

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა: ინგლისური ფილოლოგია

კოდების გადართვის სოციოლინგვისტური ასპექტები  
(ზოგადი და ბიზნეს ინგლისურის სწავლების მაგალითზე)

ხათუნა ბუსკივაძე

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი

ნაშრომის ხელმძღვანელი: რუსუდან დოლიძე  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
თსუ-ს ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2023

## აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია ერთი მხრივ ლექტორის მიერ ქართული ენის გამოყენებისადმი ლექტორისა და სტუდენტის განწყობის კვლევა, ხოლო მეორე მხრივ ლექტორის ენობრივი ქცევების ფუნქციების კლასიფიკაცია ზოგადი და ბიზნეს ინგლისურის სწავლებისას. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებულმა მოსახლეობის მიგრაციის პროცესმა (სასწავლო, სამუშაო თუ სამოგზაურო მიზნით), გაზარდა ორ და მრავალ ენაზე მოსაუბრეთა რაოდენობა. მათ შორის, საქართველოშიც გაიზარდა მოთხოვნა არა მხოლოდ ინგლისურის, როგორც საერთაშორისო ენის, არამედ ბიზნეს ინგლისურის შესწავლისადმი. ამასთანავე, როგორც სპეციალური ლიტერატურის შესწავლამ გვიჩვენა, შერეული კვლევის მეთოდების (რაოდენობრივი და თვისებრივი) გამოყენებით აღნიშნული საკითხი ნაკლებად არის შესწავლილი. წინამდებარე კვლევის ამოცანებია, ზოგადი და ბიზნეს ინგლისურის სწავლების პროცესის შესწავლით: 1. გამოჰყოს ფუნქციები, რომლებითაც ხასიათდება ლექტორის ენობრივი ქცევები; 2. განსაზღვროს ენობრივი ქცევების როლი და ლექტორის მიერ მათი გამოყენების სიხშირე; 3. განსაზღვროს ლექტორის ენობრივი ქცევების სტრუქტურული კლასიფიკაცია; 4. გაანალიზოს ენობრივი ქცევების მაგალითები, ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში განხილულ თეორიულ ჩარჩოებზე (სასაუბრო ანალიზის თეორია, ინტერაქტიული სოციოლინგვისტიკის თეორია, კონტექსტუალიზაციის მანიშნებლები და მარკირების მოდელი) დაყრდნობით; 5. შეისწავლოს ლექტორებისა და სტუდენტების დამოკიდებულება: ლექტორის მიერ ინგლისურიდან ქართულ ენაზე გადართვისადმი; 6. განსაზღვროს მიმართება სტუდენტებისა და ლექტორების განწყობასა და მათ ასაკს, სქესს შორის. ორივე, ზოგადი და ბიზნეს ინგლისურის, სივრცეში გამოვლენილი ენობრივი ქცევების ფუნქციები დავაჯგუფეთ სამი ძირითადი ნიშნის: სასწავლო მასალა, სალექციო პროცესის ორგანიზება, ლექტორ-სტუდენტის ურთიერთგაგება, მიხედვით. ზოგადი ინგლისურის დაახლოებით 120 საათიანი ჩანაწერიდან გამოვლინდა კოდების გადართვის 789, კოდების შერევის 156, ხოლო ენათმონაცვლეობის 35 მომენტი. ბიზნეს ინგლისურის დაახლოებით 80 საათიანი ჩანაწერიდან გამოვლინდა კოდების გადართვის 549, კოდების შერევის 103,

ხოლო ენათმონაცვლეობის 177 მომენტი. ორივე სივრცეში, ყველაზე გავრცელებული ფუნქცია კოდების გადართვის შემთხვევაში, სალექციო და საშინაო დავალების ორგანიზებაა, ხოლო ყველაზე ნაკლებად გავრცელებულია სიტყვის წარმოთქმის ხაზგასმა/ჩვენება, და სხვა ენის (ქართულისა და ინგლისურის გარდა) გავლენა. ორივე, ზოგადი და ბიზნეს ინგლისურის სწავლებისას კოდების გადართვა გამოხატულია უმეტესწილად თხრობითი, ენათმონაცვლეობა კი კითხვითი წინადადებით. ყველაზე მცირე რაოდენობით გვხვდება ბრძანებითი წინადადების ტიპი. კანაგარაჯაჰისა (Canagarajah, 1995) და ფერგუსონის (Ferguson, 2003) მიერ ჩატარებული კვლევებისგან განსხვავებით, რომლებშიც მშობლიური ენა არაოფიციალური, არაფორმალური და მარკირებულია, ჩვენ-კოდი (We-code), ხოლო უცხო ენა ფორმალური, არა მარკირებული, მათი-კოდი (They-code), ზოგადი და ბიზნეს ინგლისურის სწავლებისას ინგლისური ისეთივე მარკირებული ან არა მარკირებული შეიძლება იყოს როგორც ქართული ენა. ინგლისური ენა ისევე ხასიათდება რეგისტრის ცვლილებით, როგორც ქართული. ბიზნეს ინგლისურში ლექტორებისა და სტუდენტების დამოკიდებულება თუ უარყოფითია, ზოგადი ინგლისურის სწავლებისას სტუდენტების დამოკიდებულება უფრო დადებითია ლექტორის მიერ ქართული ენის გამოყენებისადმი, ვიდრე თავად ლექტორების. ლექტორების ნეგატიური დამოკიდებულებას განაპირობებს უცხო ენის სწავლების ტრადიციული შეხედულება (conventional view - რომელიც გულისხმობს უცხო ენის სწავლებისას მხოლოდ ერთი ენის გამოყენებას), ამ მოსაზრებას განამტკიცებს ის ფაქტიც რომ თვისებრივი კვლევის ფარგლებში ზოგადი ინგლისურის სწავლებას, 3-4, ხოლო ბიზნეს ინგლისურში 2-3 ლექტორთან ენობრივი ქცევის მაგალითები საერთოდ არ გვხვდება. ეს საკითხი მეტად საინტერესოა იმდენად, რამდენადაც უცხო ენის სწავლების თანამედროვე ხედვა (contemporary view) თანდათან ფეხს იკიდებს თანამედროვე მსოფლიოში. მიმართება სტუდენტების სქესს, ასაკსა, და დამოკიდებულებას შორის შემდეგია: რაც უფრო ახალგაზრდაა სტუდენტი (18-20, 21-25) მით უფრო დადებითია მისი დამოკიდებულება ლექტორის მიერ ქართული ენის გამოყენებისადმი. სქესის შემთხვევაში სტუდენტების ენისადმი დამოკიდებულება მსგავსია. ემპირიული მასალა მოპოვებულია ონლაინ ლექციების

ჩანაწერებიდან, ტრანსკრიპტების გაშიფვრით (თვისებრივი კვლევის ფარგლებში) და ონლაინ კითხვარის მეშვეობით შეგროვებული პასუხებით (რაოდენობრივი კვლევა). კვლევისას გამოყენებულია სტატისტიკური და მეტა-დისკურსული ანალიზის მეთოდები. კვლევის შედეგად მოპოვებული შედეგები საინტერესო და საგულისხმოა იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც მომავალში აპირებენ ენობრივი ქცევების ლინგვისტურ ან სოციოლინგვისტურ კვლევას; კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას სოციოლინგვისტიკისა და გამოყენებითი ლინგვისტიკის თეორიულ და სასემინარო კურსებში.

**საკვანძო სიტყვები:** მულტი-დისციპლინური კვლევა, კოდების გადართვა, კოდების შერევა, ენათმონაცვლეობა, ენობრივი განწყობა.

## **Abstract**

The present study aims to investigate: 1. lecturers' and students' attitudes towards lecturers' use of the Georgian language in their general and business English courses; 2. functions and frequency of lecturers' language behaviors (code-switching (CS), code-mixing (CM), and translanguaging) in their general and business English courses. The migration process (for studying, working, and traveling purposes) has increased the number of bilingual and multilingual speakers since the XX century. Therefore, the demand for learning English as an international language, and business English has grown in Georgia. Moreover, as the study of scientific literature has shown, the mentioned issue needs to be examined using mixed research methods (quantitative and qualitative). The objectives of the research based on the general and business English teaching context are the following: 1. to identify the functions of the lecturers' language behavior; 2. to determine the role and frequency of lecturers' language behaviors; 3. to determine the structural classification of the lecturers' language behaviors; 4. to analyze examples of language behaviors, based on the theoretical frameworks discussed in the literature review section (conversation analysis approach, interactional sociolinguistics approach, contextualization cues, and markedness model); 5. To study the attitude lecturers and students have towards lecturers switching from English to Georgian; 6. To determine the correlation between the students' and lecturers' language attitude and their

age and gender. We grouped the functions of lecturers' language behaviors (in both general and business English courses) according to three main categories: teaching material, classroom management, and interpersonal relationships (lecturers and students). From approximately 120 hours of general English recordings, 789 code-switching, 156 code-mixing, and 35 language-switching moments were identified. Within 80 hours of recordings (ESP), 549 cases of code-switching, 103 cases of code-mixing, and 177 cases of translanguaging were detected. In both contexts, the most common function for code-switching is organizing lectures and homework, while the least common is highlighting/showing pronunciation and the influence of another language (other than Georgian and English). In the above-given teaching contexts, code-switching is primarily expressed in narrative and translanguaging in interrogative sentences. The imperative sentence type is the fewest in number. In contrast to the studies conducted by Canagarajah (1995) and Ferguson (2003), in which the native/first language is unofficial, informal, and marked "we-code," and the foreign language is formal, unmarked, "they-code," in terms of teaching general and business English, English can be as marked or unmarked as the Georgian language. The English language, as well as Georgian, is characterized by the change of register Georgian. While the business English students' and lecturers' attitudes are negative, the General English students' attitude is more positive towards the lecturers' use of the Georgian language than the lecturers' attitude themselves. The lecturers' negative attitude is determined by the traditional view of teaching a foreign language (conventional view - which implies the use of only one language while teaching a foreign language); this opinion is strengthened by the fact that within the framework of qualitative research, 3-4 lecturers of teaching general English, and 2-3 lecturers of business English have not used any Georgian in their lectures. This issue is remarkably interesting because the contemporary view of teaching a foreign language is gradually gaining a foothold in the modern world. The relationship between students' gender, age, and attitude is as follows: the younger the student is (18-20, 21-25), the more positive their attitude toward the lecturers' use of the Georgian language. Regarding gender, students' attitude toward the English language is similar. The empirical material is obtained from the recordings of online lectures, with the

help of the transcription method (within qualitative research) and responses collected through an online questionnaire (quantitative research). Statistical and meta-discursive analysis methods are used in the given study. The results obtained are significant for those students who will do linguistic or sociolinguistic research on language behaviors in the future; The research results can be used in theoretical and seminar courses in sociolinguistics and applied linguistics.

**Keywords:** multidisciplinary research, code-switching, code-mixing, translanguaging, language attitude

## სარჩევი

### შესავალი

<b>თავი 1. კოდების გადართვის სოციოლინგვისტური კვლევის ისტორია.....</b>	<b>5</b>
1.1 კოდების გადართვა და მასთან დაკავშირებული საკითხები.....	13
1.1.1 კოდების გადართვა და კოდების შერევა (code-mixing).....	21
1.1.2 კოდების გადართვა (code-switching) და ენათმონაცვლეობა (translanguaging)....	25
1.2 რაოდენობრივი კვლევები (აშშ. -ში განხორციელებული კვლევები).....	32
1.2.1 ინგლისური, როგორც მეორე ენა (ESL), ამერიკის მაგალითი.....	38
1.3 თვისებრივი კვლევები.....	41
1.3.1 კოდების გადართვის ტიპოლოგია.....	43
1.3.1.1 კოდების გადართვა და საუბრის ანალიზის თეორია (The conversation analysis (CA).....	44
1.3.1.2 კოდების გადართვა და ინტერაქციული სოციოლინგვისტიკა.....	50
1.3.1.3 მარკირების მოდელი (The Markedness Model) .....	51
1.3.1.4 სიტუაციური და მეტაფორული გადართვა.....	55
1.3.1.5 გუმპერცის თეორია: ჩვენ-კოდი (We-code) და თქვენ-კოდი (They- Code).....	58
1.3.1.6 კონტექსტუალიზაციის მანიშნებლები.....	59
<b>პირველი თავის დასკვნა.....</b>	<b>67</b>
<b>თავი 2. კოდების გადართვის მოტივაცია და სოციოლინგვისტური ფუნქციები.....</b>	<b>69</b>
2.1 კოდების გადართვის მოტივაცია .....	70
2.1.1 კოდების გადართვის სოციალური ფაქტორები.....	75
2.2 გუმპერცის კლასიფიკაცია.....	79
2.3 ჰოლმის კლასიფიკაცია.....	84
2.4 მახულის კლასიფიკაცია.....	86
2.5 მაიერს სკოტონისა და ვილიამ ურის კლასიფიკაცია.....	89
2.6 ბეიკერის კლასიფიკაცია.....	90
2.7 აპელისა და მიუსკენის კლასიფიკაცია.....	91
<b>მეორე თავის დასკვნა.....</b>	<b>93</b>
<b>თავი 3. კოდების გადართვა ინგლისური, როგორც უცხო ენის (EFL)</b>	
<b>სწავლებაში.....</b>	<b>96</b>

3.1 კანაგარაჯაჰის კლასიფიკაცია.....	98
3.2 ფერგუსონის კლასიფიკაცია.....	102
<b>მესამე თავის დასკვნა.....</b>	<b>106</b>
<b>თავი 4. ენისადმი და კოდების გადართვისადმი განწყობა.....</b>	<b>108</b>
4.1 ენისადმი განწყობა.....	111
4.1.1 ენობრივი განწყობის ცვლილება.....	114
4.1.2 ენისადმი დამოკიდებულების შესწავლის პარადიგმა.....	116
4.2 ენობრივი ქცევისადმი განწყობის კვლევა.....	117
<b>მეოთხე თავის დასკვნა.....</b>	<b>121</b>
<b>კვლევითი ნაწილი.....</b>	<b>123</b>
<b>ზოგადი დასკვნები.....</b>	<b>169</b>
გამოყენებული ლიტერატურა	
დანართი 1	
დანართი 2	



## შესავალი

როგორც ვიცით, **ორენოვნების (ბილინგვიზმის)** საკითხი დღემდე აქტუალურია არა მხოლოდ სოციოლინგვისტიკის, არამედ განათლების მეცნიერებების, ლინგვისტიკის, ფსიქოლოგიისა და კოგნიტიური ნევროლოგიის დარგის სპეციალისტებისთვის. ენის პოლიტიკის განმსაზღვრელების ინტერესს წარმოადგენს ორი ან მეტი ენის პროპორციული განაწილება და მისი ფაქტორები ორენოვან (ბილინგვურ) საზოგადოებაში. აღზრდისა და პედაგოგიკის თეორეტიკოსები იკვლევენ ორენოვანი (ბილინგვური) განათლების სხვადასხვა მიდგომის ეფექტიანობის საკითხს სწავლა-სწავლების პროცესში. ლინგვისტებისთვის კვლევის ინტერესია, თუ რა ლინგვისტიკური მახასიათებლებითაა წარმოდგენილი ცალ-ცალკე თითოეული ენა ორენოვანის (ბილინგვის) გონებაში, ხოლო ფსიქოლინგვისტიკისა და კოგნიტიური ნევროლოგიის დარგის სპეციალისტებისთვის ორი ენის ერთ გონებაში თანადროული განვითარების პროცესია საინტერესო. ლინგვისტიკის, სოციოლინგვისტიკის, ფსიქოლოგიის, გამოყენებითი ლინგვისტიკისა და სხვ. დარგის სპეციალისტებისთვის, ორენოვნების (ბილინგვიზმის) ფენომენის შესწავლის პროცესში, დღემდე აქტუალურ საკითხად რჩება **კოდების გადართვის** ქცევა.

კოდების გადართვის შესწავლის ისტორია 1940 წელს იღებს სათავეს. მეცნიერები კოდების გადართვის ქცევას მხოლოდ 1970-იანი წლებიდან მოყოლებული განიხილავენ ორენოვანი (ბილინგვური) საუბრის მახასიათებლად. ამ უკანასკნელის შესწავლისას, ძირითადად, ორი მიდგომა გამოიყოფა: ფუნქციური – სოციოლინგვისტური და თეორიული, სტრუქტურული – გრამატიკული. კოდების გადართვისადმი დამოკიდებულება, მისი მიზეზები, ფაქტორები, ფუნქციები და მოტივაცია წარმოადგენს სოციოლინგვისტიკის კვლევის ინტერესს, ხოლო ლინგვისტიკის ინტერესია გადართვის გრამატიკული სტრუქტურა და მისი ტიპები.

წინამდებარე ნაშრომის **სიახლესა და ინოვაციურობას** წარმოადგენს ენობრივი ქცევების: კოდების გადართვის, კოდების შერევისა და ენათმონაცვლეობის ინტერდისციპლინარული (სოციოლინგვისტიკა და გამოყენებითი ლინგვისტიკა) კვლევა. ამასთანავე, ჩვენამდე არსებული კვლევებისგან განსხვავებით, წინამდებარე

კვლევაში გამოყენებულია, როგორც რაოდენობრივი (კითხვარები, მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი), ისე თვისებრივი (ვიდეო ჩანაწერების დაკვირვება, ტრანსკრიფცია და ანალიზი) კვლევის მეთოდები, რაც აღნიშნული საკითხის მრავალმხრივი დანახვის საშუალებას გვაძლევს.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ორ სახელმწიფო უნივერსიტეტში (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) ერთი მხრივ ლექტორების მიერ ენობრივი ქცევების ფუნქციებისა და თავისებურებების, მეორე მხრივ, ლექტორის მიერ მშობლიური (ქართული) ენის გამოყენებისადმი სტუდენტებისა და ლექტორების დამოკიდებულების კვლევა ზოგადი და ბიზნეს ინგლისურის სწავლების მაგალითზე. ხოლო ამოცანებია:

- გამოჰყოს ფუნქციები, რომლებითაც ხასიათდება კოდების გადართვა, კოდების შერევა და ენათმონაცვლეობა ზოგადი და ბიზნეს ინგლისურის სწავლებისას, ორი სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე;
- განსაზღვროს ენობრივი ქცევების როლი და ლექტორის მიერ მათი გამოყენების სიხშირე ზოგადი და ბიზნეს ინგლისურის სწავლებისას;
- განსაზღვროს ლექტორის მიერ ენობრივი ქცევების სტრუქტურული კლასიფიკაცია ზოგადი და ბიზნეს ინგლისურის სწავლებისას;
- გაანალიზოს ენობრივი ქცევების მაგალითები, ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში განხილულ თეორიულ ჩარჩოებზე (საუბრის ანალიზის თეორია, ინტერაქტიული სოციოლინგვისტიკის თეორია, კონტექსტუალიზაციის მანიშნებლები და მარკირების მოდელი) დაყრდნობით;
- შეისწავლოს ლექტორებისა და სტუდენტების დამოკიდებულება: ლექტორის მიერ ინგლისურიდან ქართულ (მშობლიურ) ენაზე გადართვისადმი;
- განსაზღვროს მიმართება სტუდენტებისა და ლექტორების განწყობასა და მათ ასაკს, სქესს შორის.

ნაშრომი შედგება შესავლის, 4 თავის (I თავი - „კოდების გადართვის სოციოლინგვისტური კვლევის ისტორია“; II თავი - „კოდების გადართვის მოტივაცია და სოციოლინგვისტური ფუნქციები“; III თავი - „კოდების გადართვა ინგლისური,

როგორც უცხო ენის სწავლებაში (EFL) უმაღლეს სასწავლებლებში“; IV თავი - „ენისადმი და კოდების გადართვისადმი განწყობა“), ცალკეული თავის დასკვნითი, კვლევითი და ზოგადი დასკვნითი ნაწილების, ნაშრომში გამოყენებულ ბიბლიოგრაფიისა და დანართებისაგან.

თითოეულ თავში განხილულია მიდგომების მრავალფეროვნება, სხვადასხვა მეცნიერის ნაშრომები.

პირველი თავი ემსახურება ტერმინოლოგიურ მიმოხილვას, მათი შედარების გზით. ორენოვნება (ბილინგვიზმი) და მრავალენოვნება (მულტილინგვიზმი), როგორც დღევანდელ მსოფლიოში გავრცელებული ფენომენი. სოციოლინგვისტიკის სფეროში ცნებების: ორენოვნება (ბილინგვიზმი), კოდების გადართვა, კოდების შერევა, ენათმონაცვლეობა, სესხება, სხვადასხვა მკვლევარების განმარტებები და ასევე განსხვავებული დამოკიდებულება აღნიშნული ტერმინებისადმი ლინგვისტიკაში, ფსიქოლოგიაში, ფსიქოლინგვისტიკასა და გამოყენებით ლინგვისტიკაში. პირველი თავის მთავარი ამოცანაა, ტერმინების: კოდების გადართვის, კოდების შერევის, სესხებისა და ენათმონაცვლეობის შედარება და ერთმანეთისგან გამიჯვნა. აღნიშნული თავი ასევე ემსახურება 1. კოდების გადართვის შესწავლის სამი მიდგომის, რაოდენობრივი, თვისებრივი და შერეული, ე.წ. ტრიანგულაციური, წარმოჩენასა და ანალიზს, შერეული კვლევების აუცილებლობის ხაზგასმას; 2. კოდების გადართვის გამოყენების მოტივაციასა და სოციალურ მნიშვნელობას, მისი შესწავლის სოციოლინგვისტურ ჩარჩოებს და მათ კრიტიკულ ანალიზს, მაგ., კოდების გადართვა და საუბრის ანალიზის თეორია (The conversation analysis (CA); კოდების გადართვა და ინტერაქციული სოციოლინგვისტიკა; მარკირების მოდელი (The Markedness Model); სიტუაციური და მეტაფორული გადართვა; გუმპერცის თეორია: ჩვენ-კოდი (We-code) და თქვენ-კოდი (They-Code), და კონტექსტუალიზაციის მანიშნებლები.

მეორე თავი ეხება კოდების გადართვის ფუნქციების კლასიფიკაციების ანალიზს, მაკრო- და მიკრო სოციოლინგვისტური ფაქტორების გათვალისწინებით. კერძოდ, გუმპერცის, ჰოლმის, მაბულის, მაიერს სკოტონის და ვილიამ ურისა, და აპელი და მიუსკენის კლასიფიკაციები, ბეიკერის კლასიფიკაცია.

მესამე თავი ეხება კოდების გადართვის ფუნქციების შესწავლის, ორ ძირითად კლასიფიკაციას 1. კანაგარაჯაჰის 2. ფერგუსონის. კოდების გადართვის ფუნქციების კლასიფიკაციების ანალიზს, სოციოლინგვისტური ფაქტორების გათვალისწინებით, წარმოდგენილი მიდგომების ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებას.

მეოთხე თავში განხილულია ერთი მხრივ, ზოგადად, განწყობა/დამოკიდებულების ცნება, ხოლო მეორე მხრივ ენობრივი განწყობა/დამოკიდებულების საკითხი.

ნაშრომის თეორიულ საფუძველს ქმნის შემდეგ მეცნიერთა შრომები: სოციოლინგვისტიკა (Gumperz 1982, 1984, 1986; Myers-Scotton, 1993, 1998, 2000; Holmes, 2001; Auer 1984; Baker, 2006; Ferguson 2003, 2009, Wardhaugh 2010); ფსიქოლინგვისტიკა (Lambert, 1969, Gardner, 1985, Richard, Platt, & Platt, 1992, Baker, 1992, Eldin, 2014), გამოყენებითი ლინგვისტიკა (Canagarajah, 1995, Ferguson, 1959).

## თავი 1. კოდების გადართვის სოციოლინგვისტური კვლევის ისტორია

კოდების გადართვის სოციოლინგვისტური კვლევის ისტორიის განხილვამდე, ორაზროვანი განმარტებების დაზუსტების მიზნით, საჭირო გახდა სხვადასხვა მეცნიერის მიერ განხილული ისეთი ტერმინების ანალიზი, როგორებიცაა ორენოვნება (ბილინგვიზმი), დიგლოსია, ორენოვანი (ბილინგვი), კოდი, კოდების გადართვა (Code-switching), კოდების შერევა (Code-mixing), ენათმონაცვლეობა (Translanguaging), და სესხება.

საგულისხმოა, რომ ტერმინი **ორენოვნება** (ბილინგვიზმი) განიხილება საზოგადოების ან ინდივიდის პრიზმიდან (Baker, 2006; Fishman, 1980; Siguan & Mackey, 1987). საზოგადოებრივ დონეზე ორენოვნება (ბილინგვიზმი) ასახავს ორი ენის თანაარსებობას ერთ საზოგადოებაში (Baker, 2006). ბეიკერის განმარტებაზე დაყრდნობით, ჰამერსმა და ბლენმა გამოარჩიეს საზოგადოებრივი ორენოვნების (ბილინგვიზმის) სამი შესაძლო მოდელი (Hamers & Blanc, 2000):

1. ტერიტორიული ორენოვნება (ბილინგვიზმი) – თითოეულ ერთენოვანთა (მონოლინგვთა) საზოგადოება დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე ფიზიკურ არეალში ცხოვრობს, მაგალითად: კანადა, ბელგია, და ა.შ.
2. ენა, როგორც ლინგვა ფრანკა – ორი სხვადასხვა მშობლიური ენის მქონე საზოგადოების მიერ ერთი ენის, როგორც ლინგვა ფრანკად გამოყენება, მაგალითად: ფრანგული ან ინგლისური ენის გამოყენება აფრიკულ ქვეყნებში.
3. დიგლოსია – ბერძნული წარმოშობის სიტყვაა, ორი ენა (ან ერთი ენის ორი ვარიანტი) გამოყენებულია ურთიერთ შევსების გზით. სხვა სიტყვებით, დიგლოსია წარმოადგენს საზოგადოების ისეთ მუდმივ განლაგებას, რომელშიც ორი სხვადასხვა სტატუსის მქონე ენა თანაარსებობს (Fishman, 1980: 3).

საინტერესოა ფერგუსონის მიდგომა, რომელმაც გამოყო **დიგლოსიის** ცნების ირგვლივ, ენების ორი, მაღალი და დაბალი, სტატუსი. მაღალი სტატუსის მქონე ენა ფორმალურით, ხოლო დაბალი არაფორმალური ფუნქციებით ხასიათდება (Ferguson, 1959). ფიშმანმა ზემოთ აღნიშნული მაღალი და დაბალი სტატუსის მქონე ენები მიუსადაგა საზოგადოების კონკრეტულ ჯგუფებს. ამგვარად, დიგლოსიის მაღალი

სტატუსის მქონე ენა გამოიყენება საზოგადოებრივ ადგილებში, კერძოდ, სამსახურებრივ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ხოლო დაბალი სტატუსის მქონე ენა დამახასიათებელია ისეთი პირადი სივრცისათვის, როგორცაა ოჯახი, სამეზობლო და რელიგია.

სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობის შედეგად გთავაზობთ ცხრილს, რომელშიც წარმოდგენილია დიგლოსიის მაღალი და დაბალი სტატუსის მქონე ენებს შორის განსხვავება.

**ცხრილი 1. მაღალი და დაბალი სტატუსის მქონე ენებს შორის განსხვავება**

<b>დიგლოსია</b>	
ფუნქციური განსხვავება: მაღალი სტატუსის მქონე ენა	დაბალი სტატუსის მქონე ენა
პრესტიჟული	ნაკლებად პრესტიჟული
ფორმალური სწავლება: გრამატიკული წესები, წერა-კითხვა ისწავლება სკოლებში.	არაფორმალური სწავლება: ოფიციალურად არ ისწავლება ამ ენ(ებ)ის გრამატიკა და წერა-კითხვა.
რთული გრამატიკა: რთული ზმნური ფორმები, გრამატიკული სქესი, სიტყვათშეთანხმება და სინტაქსი.	შედარებით უფრო მარტივი გრამატიკული ფორმები.
ლექსიკა: ურთიერთ გადაფარვა	
ფონოლოგია: 1. მაღალი და დაბალი სტატუსის მქონე ენები იზიარებენ ერთსა და იმავე ფონოლოგიურ ელემენტებს, მაგრამ ზოგჯერ მაღალი სტატუსის მქონე ენა არის დაბალი სტატუსის მქონე ფონოლოგიური ინვენტარის ქვესიმრავლე (ვინაიდან, დაბალი სტატუსის მქონე ენას შეიძლება უფრო რთული მორფოფონემიკა, იგივე მორფონოლოგია, ჰქონდეს). 2. დაბალი სტატუსის მქონე ენები სესხულობენ მხოლოდ მაღალი სტატუსის მქონე ენებში გამოვლენილ ფონოლოგიურ ფორმებს ცალკეული ცნებების გამოსახატავად.	
სტაბილურობა: ნაკლებად ცვალებადია	მოქნილია: ცვალებადი
მდიდარი ლიტერატურული	მხოლოდ „დიალექტური“ პოეზია

მემკვიდრეობა	
არასოდეს გამოიყენება ყოფითი ურთიერთობისას (არაფორმალურ სფეროში)	არასოდეს გამოიყენება ოფიციალური ურთიერთობისას (ფორმალურ სფეროში)
ძლიერად სტანდარტიზებული: ლექსიკონები, კანონიკური ტექსტები, და ა. შ.	იშვიათადაა სტანდარტიზებული

ფერგუსონის დიქტომიის საპირისპიროდ, პლეტი იყენებს პოლიგლოსიის ცნებას, რომელიც დიგლოსიისგან განსხვავებით, უფრო ზუსტად ასახავს მრავალენოვან (მულტილინგვურ) საზოგადოებას. პლეტის განმარტებით, პოლიგლოსიის შემთხვევაში, ერთ ტერიტორიულ არეალში გამოყენებადი ენები ნაწილდება დაბალი და მაღალი სტატუსების მიხედვით და გამოყენებულია კონკრეტული სივრცეებისა თუ ქვესივრცეებისთვის (Platt, 1977).

დიგლოსია არსებითად განსხვავდება სტანდარტული ენისა და ადგილობრივი დიალექტების უფრო ჩვეული სიტუაციისაგან, რომელშიც სტანდარტული ენა შეიძლება გამოიყენებოდეს ყოველდღიური კომუნიკაციისას, ხოლო დიგლოსიის დროს არასოდეს.

ამგვარად, ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება კოდების გადართვასა და დიგლოსიას შორის სწორედ ისაა, რომ დიგლოსიის დროს ერთ-ერთი ენა მეორესთან შედარებით მაღალი სტატუსის მქონეა და მხოლოდ ფორმალური წერის დროს გამოიყენება, როცა კოდების გადართვის პროცესში მონაწილე ორივე ენა საკომუნიკაციო დანიშნულებისაა. ვინაიდან, ფერგუსონის განმარტების მიხედვით, დიგლოსიის დაბალი სტატუსის ენა ა) არასდროს გამოიყენება ფორმალურ ნაწერებში, ბ) საზოგადოება ძირითადად იყენებს ყოველდღიური კომუნიკაციისას; ხოლო მაღალი სტატუსის მქონე ენა ა) მხოლოდ ფორმალური განათლების მეშვეობით ისწავლება, ბ) გრამატიკულად რთული სტრუქტურა მოეპოვება (Ferguson, 1959).

ინდივიდის დონეზე ორენოვანში (ბილინგვში) იგულისხმება ადამიანი, რომელსაც მშობლიურ ენასთან ერთად სხვა ენაშიც იგივე კომპეტენციის დონე აქვს და

სხვადასხვა სიტუაციაში შეუძლია თითოეული ენის თანაბარი წარმატებით გამოყენება (Siguan & Mackey, 1987: 17).

მსგავს განმარტებას გვთავაზობს სკუტნაბ-კანგასი. მისი თქმით, ორენოვანი (ბილინგვი) არის ერთენოვანი (მონოლინგვური) ან ორენოვანი (ბილინგვური) საზოგადოებაში ორ ან მეტ ენაზე მოსაუბრე პირი, რომელიც სრულიად, ისევე როგორც მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე, ან ნაწილობრივ, მიაკუთვნებს თავს ამავე ენ(ებ)ისა და კულტურ(ებ)ის მქონე საზოგადოებას, სოციოკულტურული მახასიათებლების, კომუნიკაციისა და გონებრივი კომპეტენციის გათვალისწინებით (Skutnabb-Kangas, 1998: 1-3).

თუმცა საყურადღებოა ისიც, რომ ორენოვანის (ბილინგვის) განმარტება, სიგუანის მიხედვით, მკაცრადაა განსაზღვრული და აღწერს იდეალურ ორენოვანებას (ბილინგვიზმს), რომელიც არსებითად იშვიათია (ციტირებულია Dewaele & Wei, 2005). ამასთანავე, ყოველივე ზემოთქმულს მივყავართ ერთენოვანის (მონოლინგვის) განმარტებასთან.

ამ საკითხთან მიმართებით აზრთა სხვადასხვაობაა მკვლევართა შრომებში. სიგუანისა და პლატის განმარტებებს არ ემხრობა ზოგიერთი მეცნიერი, მათი მტკიცებით, ორენოვანი (ბილინგვი) არ შეიძლება იყოს ორი სრული ან არასრული ერთენოვანის (მონოლინგვის) შეერთება. ორენოვანი (ბილინგვი), მათი განმარტებით, ხასიათდება კონკრეტული ლინგვისტური კონფიგურაციით, რომელიც გულისხმობს ორი ენის მუდმივ გამოყენებასა და თანაარსებობას (Grosjean, 1985; Herdina & Jessner, 2002).

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მრავალენოვნება (მულტილინგვიზმი) დღევანდელ მსოფლიოში მიღებულ ნორმად მიიჩნევა, ერთენოვანების (მონოლინგვიზმის), ანუ მხოლოდ ერთ, მშობლიურ ენაზე, მოსაუბრეების მცდარი გავრცელებული შეხედულების მიუხედავად. მსგავს შეხედულებას ფულერი ნორმატიული ერთენოვანების (მონოლინგვიზმის) იდეოლოგიას უწოდებს (Fuller, 2013).

აქედან გამომდინარე, ჩვენთვის რელევანტურია უფრო ზოგადი განმარტება. აპელისა და მიუსკენის; გროჟანი და ვაინრაიხის მიხედვით, ორენოვანი (ბილინგვი)



არის პირი, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებს ორ ენას მონაცვლეობით. ამ განმარტების მიხედვით, ორენოვნად (ბილინგვად) შეიძლება ჩაითვალოს ენობრივ უნარებში (ლაპარაკი, მოსმენა, კითხვა, წერა) სხვადასხვა კომპეტენციის მქონე პირები (Appel & Muysken, 1996; Grosjean, 2012; Weinreich, 2010).

სპეციალურ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ორენოვნების (ბილინგვიზმის) ცნების განსაზღვრა ძალზედ აქტუალური და, ამასთანავე, საკამათოა, მისი განსაზღვრებისათვის საჭირო მოთხოვნების მრავალმხრივობის გამო.

თუ ორენოვნება (ბილინგვიზმი) გულისხმობს ორი ენის, როგორც მშობლიური ენის კომპეტენციის დონეზე ცოდნასა და გამოყენებას, მრავალენოვნება (მულტილინგვიზმი) გულისხმობს ერთი მოსაუბრის მიერ ორი და მეტი ენის ცოდნასა და/ან გამოყენებას. საგულისხმოა ოფელია გარსიას (García, 2009) მოსაზრებაც, ამერიკული სკოლის მიხედვით, მრავალენოვანი (მულტილინგვი) გულისხმობს მოსაუბრეს, რომელიც ფლობს ერთ ენას დომინანტურად, ამასთანავე ფლობს მეორე, მესამე ენებს, რომლებშიც შედარებით დაბალი კომპეტენცია აქვს. მრავალენოვნება (მულტილინგვიზმი) ასახავს მოსაუბრის რამდენიმე ენას შორის იერარქიულ დამოკიდებულებას.

მრავალენოვნება (მულტილინგვიზმი) გულისხმობს არა მხოლოდ ყველა იმ გონებრივ და ფსიქიკურ პროცესებსა და ფაქტორებს, რომლებიც ჩართულია მეორე ენის ათვისების პროცესსა და, ზოგადად, ორენოვნებაში (ბილინგვიზმში), არამედ უფრო კომპლექსურ, მრავალი ენის თანადროულ სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებულ ფაქტორებსა და შედეგებს. მულტილინგვიზმი განათლება და მრავალენოვნება (მულტილინგვიზმი), ისევე როგორც ბილინგვიზმი განათლება და ორენოვნება (ბილინგვიზმი), კომპლექსურობით, თანამიმდევრულობით, ფორმალური (საგანმანათლებლო დაწესებულებებში) და არაფორმალური (საგანმანათლებლო დაწესებულების გარეთ) გარემოს, ბავშვობის, მოზარდობისა და მოწიფულობის პერიოდების გათვალისწინებით, ხასიათდება. თითოეული ენის როლი და ფუნქცია საზოგადოებაში, მათი სოციოკულტურული სტატუსი, დამატებით კომპლექსურობას სძენს მრავალენოვნებას (მულტილინგვიზმს) (Cenoz & Genesee, 1998: 16).

ზემოთ ჩამოთვლილი კომპლექსურობის სხვადასხვა დონის მიხედვითა და მრავალენოვნებასა (მულტილინგვიზმსა) და ორენოვნებაში (ბილინგვიზმში) ჩართული სხვადასხვა გონებრივი და ფსიქიკური პროცესებისა და ფაქტორების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამ ორი ტერმინის გამიჯვნა ერთმანეთისაგან.

ორენოვნებად (ბილინგვიზმად) ითვლება ერთდროულად ორი ენის, მათ შორის მშობლიური ენის, გამოყენების უნარი. ორენოვნება (ბილინგვიზმი) სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელია. მაგალითად, ორენოვნად (ბილინგვიზმად) ითვლება ენების მინიმალური ცოდნის დონიდან დაწყებული, მშობლიური ენის დონის კომპეტენციით დამთავრებული. ორენოვნა (ბილინგვიზმი) ადამიანი, რომელმაც ორი ენა ერთდროულად აითვისა ან ის, ვინც მეორე/უცხო ენა მშობლიური ენის შემდეგ ისწავლა. ტერმინი ორენოვნა (ბილინგვიზმი) განპირობებულია რიგი საკითხებით, კერძოდ, კონკრეტული კონტექსტით, ენ(ებ)ის კომპეტენციის დონითა და კომუნიკაციის მიზნობრიობით.

ემპირიული მასალის შესწავლამ ცხადყო, რომ მრავლადაა რიგი ტერმინებისა, რომლებიც გამოხატავენ სხვადასხვა ტიპის ორენოვნებას (ბილინგვიზმს). მაგალითისთვის: სრული და ნაწილობრივი, თანაბარი და შერეული ორენოვნება (ბილინგვიზმი) (Weinreich, 1953), ადრეული ორენოვნება (ბილინგვიზმი) (Diebold, 1964), აღქმითი ორენოვნება (ბილინგვიზმი), იგულისხმება შემთხვევა, რომელშიც მოსაუბრეს ესმის ორი ან მეტი ენა თანაბრად, თუმცა თვითონ ვერცერთს იყენებს და სემილინგვიზმი (Hockett, 1958) – შემთხვევა, რომელშიც მოსაუბრეს ორ ან მეტ ენაში აქვს თანაბრად დაბალი კომპეტენციის ზღვარი და ენებს იყენებს თანაბარი ხარვეზებით.

ორენოვნების (ბილინგვიზმის) სხვადასხვა პერსპექტივიდან ახსნის მრავალი მცდელობის მიუხედავად, აღნიშნული ცნება მაინც საკამათო რჩება სამეცნიერო ლიტერატურაში. ორენოვნების (ბილინგვიზმის) ყველაზე გავრცელებული განმარტებაა: ორ ან მეტ ენაზე, როგორც მშობლიურზე საუბრის უნარი. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან ცოტაა იმ მოსაუბრეთა რიცხვი, რომლებიც მეორე ან მეტ

ენაზე, როგორც თავიანთ მშობლიურ ენაზე ისე მეტყველებდნენ. ძირითად შემთხვევაში, ეს ადამიანები თავიდანვე ბილინგვებად აღიზარდნენ.

სხვადასხვა ენაზე მოსაუბრეთა რიცხვს ორი სოციოლინგვისტური ფაქტორი განსაზღვრავს: 1. მოსაუბრის საცხოვრებელი არეალი მოითხოვს ერთზე მეტი ენის ყოველდღიური გამოყენების საჭიროებას, რასაც მაიერს სკოტონი სოციალურ ზეგავლენას (Social Pressure) უწოდებს (Myers-Scotton, 2006: 37). 2. თითოეულ მოსაუბრეს, ერთი საზოგადოების წევრებსაც კი, გააჩნია ინდივიდუალური ენობრივი არსენალი, ენის ათვისების მიმართ, მათი საჭიროება, სურვილები და შესაძლებლობები განსხვავებულია. მაშასადამე, ძალიან ცოტაა დაბალანსებულ ორენოვანთა (ბილინგვთა) რაოდენობა (Balanced Bilingual). გარდამტეხ ასაკში (Critical Age Hypothesis) ნასწავლი ორი ენაც კი ვერ ინარჩუნებს თანასწორობას მოსაუბრის ზრდასრულ ასაკში, თითქმის ყოველთვის, ერთი ენა ძლევს მეორეს.

სპეციალურ ლიტერატურაში კითხვის ნიშნის ქვეშ დგას შემდეგი საკითხი: ორენოვანის (ბილინგვის) ცნების განმარტებისთვის მხედველობაში გვაქვს ერთზე მეტი ენის ცოდნა თუ მათი რეგულარული გამოყენება. აგრეთვე, საკამათოა, კომპეტენციის რა დონეზეა საუბარი და როგორ იყენებს ორენოვანი (ბილინგვი) ენას.

პირველი საკითხია - ვინ განსაზღვრავს მოსაუბრის ორენოვნების (ბილინგვობის) საკითხს. მოსაუბრე თავად მიიჩნევს თავს ორენოვნად (ბილინგვად) ან მკვლევარი ანიჭებს მას ამ სტატუსს. მაიერს სკოტონი ასახელებს ორენოვანის (ბილინგვის) ორ ტიპს: 1. სრული (absolute) (მოსაუბრე საუბრობს მეორე/უცხოურ ენაზე, მშობლიურ ენაზე მოსაუბრეების მსგავსად); 2. არასრული (gradient) (ადგილობრივებთან ვერ ახერხებს კომუნიკაციას) (Myers-Scotton, 2006: 39).

მეორე საკითხი ეხება კომპეტენციის დონის განსაზღვრას. სამი ძირითადი სისტემა (ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი) და ლექსიკონი წყვეტს ორენოვანის (ბილინგვის) კომპეტენციის დონეს. მშობლიურ ენაზე საშუალო ინტელექტის მქონე მოლაპარაკეთა კომპეტენცია ზემოთ მოყვანილ სამ სისტემაში თანაბარია, მათი ლექსიკური მარაგის განსხვავებულობის მიუხედავად. მაგრამ, უცხოურ/მეორე ენაზე მოსაუბრე არსებითად არაერთგვაროვნად ავლენს სხვადასხვა სისტემაში თავის

შესაძლებლობას. ძირითადად კი წარმოთქმა მიიჩნევა ყველაზე რთულად მისაღწევ კომპეტენციად.

კომპეტენციის შეფასებისას საჭიროა, გავითვალისწინოთ მისი ორი სახე: გრამატიკული და საკომუნიკაციო. გრამატიკული კომპეტენცია გულისხმობს გრამატიკული ფორმების ცოდნას, გრამატიკულად გამართულად, „სწორად“ საუბარს. რაც შეეხება საკომუნიკაციო კომპეტენციას, ეს უკანასკნელი ენის არა მარკირებულ, სათანადო გამოყენებას გულისხმობს. არა მარკირება დამოკიდებულია საუბრის მონაწილეებზე, თემაზე, გარემოზე და სხვ. ფაქტორებზე.

მეორე/უცხო ენის გამოყენების პროცესში, საჭიროა გავითვალისწინოთ ენობრივი უნარები: მოსმენის, კითხვის, წერის, მეტყველების. როგორ და რა სიტუაციაში იყენებენ და რა კომპეტენციის დონე აქვთ აღნიშნულ უნარებში არამშობლიურ ენაზე მოსაუბრეებს ცალკე განხილვის საკითხებია ორენოვანის (ბილინგვის) ცნების განმარტების დროს. ყველა ზემოთ მოყვანილი ფაქტორი განსაზღვრავს ორენოვანის (ბილინგვის) კომპეტენციის დონეს, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ საუბრის უნარი განსხვავებულია, სხვადასხვა სიტუაციაში. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ენა უმთავრესად საკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოიყენება.

მნიშვნელოვანია ორი ტიპის ორენოვანის (ბილინგვის) გამიჯვნაც: აქტიური და პასიური. პასიურ ორენოვნად (ბილინგვად) ითვლება ადამიანი, რომელიც იგებს ნათქვამს, თუმცა ვერ ახერხებს პასუხის გაცემას აღნიშნულ ენაზე და სხვა ენაზე პასუხის დაბრუნების შემთხვევაშიც პასიურ ორენოვნად (ბილინგვად) ითვლება.

ორენოვნება (ბილინგვიზმი) ორი ან მეტი ენის საკმარისად, მცირე ყოველდღიური საუბრის საწარმოებლად გამოყენების უნარია (Myers-Scotton, 2006: 44). მაიერს სკოტონი ორენოვნების (ბილინგვიზმის) ამ განმარტებაში ითვალისწინებს მეორე/უცხოურ ენაში მინიმალური კომპეტენციის დონის მქონე მოსაუბრესაც. მაგრამ, ხაზს უსვამს მეტყველების უნარის მინიმალური კომპეტენციის დონის საჭიროებას.

მაიერს სკოტონის მიერ შემოთავაზებული, ორენოვანის (ბილინგვის) თანამედროვე განმარტება საშუალებას გვაძლევს, ჩვენი კვლევის მონაწილეები, კერძოდ ქართველი ლექტორები (ინგლისური ენის C2-C1 დონით), რომელებიც ასწავლიან ზოგადი და

ბიზნეს ინგლისურის კურსებს უნივერსიტეტებში და მათი ქართველი სტუდენტები (ინგლისური ენის B1-B2 დონით) შეგვიძლია, ჩავთვალოთ ორენოვნებად.

### 1.1 კოდების გადართვა და მასთან დაკავშირებული საკითხები

ტერმინი „კოდი“ მეცნიერების სხვადასხვა დარგში განსხვავებული მნიშვნელობებითაა წარმოდგენილი.

ლინგვისტიკაში ტერმინი „კოდი“ შემოღებულია ინფორმაციის თეორიიდან. კოდის ცნება მეტყველებასთან მიმართებით პირველად ამავე თეორიის სპეციალისტმა ფანომ გამოიყენა, მის შემდეგ კი რომან იაკობსონმა ეს ტერმინი ფუნდამენტურად დაამკვიდრა თავის ნაშრომებში. მან გარდაქმნა სოსიურის ენა/მეტყველების დიქტომია კოდად/შეტყობინებად (ციტირებულია Alvarez-Caccamo, 1990: 23-24). სემიოტიკაში ტერმინი კოდი ფუნდამენტური მნიშვნელობისაა. ფერდინანდ დე სოსიური ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნიშნებს მხოლოდ მაშინ აქვთ მნიშვნელობა და ღირებულება, როდესაც ერთმანეთთან კავშირში არიან წარმოდგენილნი. სოსიურს მიაჩნდა, რომ აღმნიშვნელისა და აღსანიშნის კავშირი პირობითია. მაშასადამე, ნიშანთა განმარტება ითვალისწინებს წესების სიმრავლესთან, კოდებთან, კავშირის მნიშვნელობის გამოხატვას (Stockwell, 2005: 40).

პროგრამირების ენაზე, სიტყვა კოდი კომპიუტერის ინსტრუქციებს გულისხმობს. კოდი გულისხმობს პროგრამულ, საწყის კოდსა (source code) და კოდირებას (პროგრამისთვის კოდის დაწერას) (Oxford Advanced Learner's Dictionary, 2010: 273).

დევიდ კრისტალის მიხედვით, კოდი არის პირობით ნიშანთა ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფს ერთი ნიშანთა სისტემიდან მეორეში გადართვას (Crystal, 1980: 66). კრისტალი კოდის ცნებას სემიოტიკასა და კომუნიკაციის თეორიას უფრო მიაკუთვნებს, ვიდრე ლინგვისტიკას. ფონეტიკასა და ლინგვისტიკაში გამოყენებული ცნებები, როგორებიცაა კოდირება და დეკოდირება, ტიპურად არ განასახიერებს კოდის, როგორც ენის ცნებას.

კომუნიკაციის პროცესში კოდი არის გარკვეული რაოდენობის ინფორმაციის (ასო, სიტყვა, ფრაზა) ერთი ფორმიდან სხვა ან იმავე ფორმასა და გამოსახულებაში გადართვის წესი. კომუნიკაციისა და ინფორმაციის დამუშავების პროცესში კოდირება არის პროცესი, რომელშიც წყარო (ობიექტი) ინფორმაციის მონაცემად გარდაქმნას

ახორციელებს, რომელიც შემდგომში ეგზავნება მიმღებს (მსმენელს), სწორედ ისე, როგორც ეს ხდება მონაცემთა დამუშავების პროცესში (Mesthrie, 2001: 55). სოციოლინგვისტიკაში ტერმინი კოდი შემოღებულია ბერნსტაინის ნაშრომებიდან. შემდგომში კი ჰალიდეი, ბერნსტაინზე დაყრდნობით, იყენებს ამ ტერმინს სოციალური სემიოტიკის თეორიაში (Halliday, 1978).

კოდის განმარტება, სხვადასხვა მკვლევრის მიხედვით, ორგვარია: ზოგადი და კერძო. ერთი მხრივ, ტერმინი კოდი სოციოლინგვისტიკაში ზოგადი და ნეიტრალურია და გულისხმობს ნებისმიერ საკომუნიკაციო სისტემას, ენის ჩათვლით. მეორე მხრივ, კოდის განმაზოგადებელ ტერმინად გამოყენება სოციოლინგვისტიკის დარგში მკვლევრებს საშუალებას აძლევს თავი აარიდონ დაკონკრეტებას, ე.ი. გამოიყენონ შემდეგი ტერმინები: დიალექტი, ენის ვარიაცია და ა.შ.

სუზან რომენი თავის შრომებში იხსენიებს ტერმინს – მონოლინგვური კოდების გადართვა. ეს ტერმინი ლაბოვმა და ტრადგილმა გამოიყენეს სტილის მონაცვლეობის აღსანიშნავად ერთენოვანი (მონოლინგვური) საუბრის დროს (Labov, 2006; Trudgill, 1974). რომენი გვთავაზობს ტერმინი კოდის ზოგად განმარტებას, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ სხვადასხვა ენებს, არამედ ერთი ენის სხვადასხვა ვარიაციას, მათ შორის სხვადასხვა სტილსაც (Romaine, 2009: 121).

მეორე მხრივ, ბევრი მეცნიერი ცდილობს თავი აარიდოს ტერმინის განზოგადებას, სოციოლოგიასა და სოციოლინგვისტიკაში კოდი უფრო ვიწრო მნიშვნელობითაც გამოიყენება. მაგალითად, ორმხრივი ურთიერთგაგების (mutual intelligibility) მქონე კერძო ან პროფესიული ჯგუფების ენის გამოსახატავად. ყველაზე გავრცელებული ვიწრო მნიშვნელობით გამოყენებული ტერმინი კომუნიკაციის თეორიაში ბრიტანელი სოციოლოგის, ბაზილ ბერნსტაინის, სახელს უკავშირდება (Berstein, 1973).

კოდი წარმოადგენს წესების სისტემას, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ინფორმაცია გავცეთ სიმბოლოების მეშვეობით. ენა კოდია, შეიცავს სიტყვებს, რომლებიც წარმოადგენენ იდეებს, ობიექტებს და ა. შ. მათი ერთობლიობა სხვადასხვა სიტუაციებში გვაძლევს კომუნიკაციის დამყარების შესაძლებლობას.

ვორდოს განმარტებით, კოდი არის ისეთი სისტემა, რომელიც გამოიყენება ორ მხარეს შორის კომუნიკაციის დასამყარებლად ნებისმიერ ვითარებაში ან/და გარემოში (Wardhaugh 1987: 87). ამავე განმარტების მიხედვით, ორ მოსაუბრეს შორის კომუნიკაცია მყარდება სისტემის, ანუ კოდის, სახით. ამგვარად, კოდი შეიძლება წარმოდგენილი და გამოყენებული იყოს კონკრეტული ენის დიალექტის, სტილის, ან რეგისტრის სახით საკომუნიკაციო მიზნებისათვის.

ვორდოსა და ფულერის განმარტებით, კოდი წარმოადგენს სტრატეგიას, რომელსაც ორენოვანები კომუნიკაციისთვის იყენებს. ტერმინი კოდი წარმოადგენს სასაუბრო ვარიაციებს/სახესხვაობებს ენაში ან ენებში. ესაა ნიშანთა სისტემა, რომელსაც მოსაუბრე შეტყობინების გადასაცემად იყენებს.

ზემოთ მოყვანილი განმარტებებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზოგიერთი მკვლევრის მიხედვით, ტერმინი კოდი წარმოადგენს მორფემასავით მცირე და ენასავით ფართოსა და კომპლექსურ სამეტყველო კომპონენტს (verbal component). კოდი არის ენა, ენის ვარიაცია/სახესხვაობა, რეგისტრი, დიალექტი, სტილი, რომელთა მეშვეობითაც, სიტუაციიდან გამომდინარე, და, საჭიროებისამებრ, საზოგადოება საუბრობს ან ამყარებს კომუნიკაციას.

სოციოლინგვისტიკის დარგში **კოდების გადართვა** ფართოდ გამოყენებადი ტერმინია და სხვადასხვა კონტექსტშია შესწავლილი. მეცნიერების ნაწილი კოდს მიიჩნევს როგორც ენას და, შესაბამისად, კოდების გადართვის ქცევას, მისი ზოგადი განმარტებით, აღიქვამს მოსაუბრის ორ ენას შორის მონაცვლეობად საუბრის ერთ თემაში/მონაკვეთში. ხოლო დანარჩენი ნაწილი კოდში არა მხოლოდ ენას, არამედ ენის სხვადასხვა ვარიაციას, დიალექტს, სტილს და ა.შ. გულისხმობს, მაშასადამე, კოდების გადართვას განმარტავს, როგორც მოსაუბრის მიერ, ორ ენას ან ერთი ენის ვარიაციებს ან დიალექტებს ან სტილს შორის მონაცვლეობას საუბარში. ზოგიერთი განმარტების თანახმად, კონკრეტდება გადართვის საზღვრები ეს იქნება, წინადადების, სიტყვის თუ საუბრის მთლიანი მონაკვეთის დონეზე. აგრეთვე, განმარტებებში ნათლად ჩანს გადართვის მოტივაცია, მიზეზი და საკომუნიკაციო მიზნები. ტერმინი გადართვა (switching) კი საუბრისას ენებს შორის გადართვასა და მათ ცვლილებას გულისხმობს.

ცხრილის სახით წარმოგიდგინთ სხვადასხვა მეცნიერის მიერ შემოთავაზებულ კოდების გადართვის ზოგად და კერძო განმარტებებს.

**ცხრილი 2. კოდების გადართვის განმარტება სიტყვა კოდის ზოგადი და კონკრეტული განმარტებების მიხედვით**

<p><b>კოდების გადართვა (Code-switching)</b>  <b>კოდის ზოგადი განმარტების მიხედვით</b></p>
<ul style="list-style-type: none"> <li>• ფიშერის მიხედვით, კოდების გადართვა, ანუ წინადადებებს შორის კოდების მონაცვლეობა ვლინდება მაშინ, როდესაც მოსაუბრე იყენებს ერთზე მეტ ენას გაბმული საუბრის დროს, რათა სათანადოდ გადმოსცეს საკუთარი მიზნები (Fishman, 1972: 85).</li> <li>• მილროი და მუისკენი განმარტავენ კოდების გართვას, როგორც საუბრის ერთი თემის ფარგლებში ორენოვანის (ბილინგვის) მიერ ორი ან მეტი ენის ალტერნატიულ გამოყენებას (Milroy &amp; Muysken 1995: 7).</li> <li>• კუკის განმარტების თანახმად, კოდების გადართვა საუბრის პროცესში ორი ენაზე კომპეტენციის მქონე მოსაუბრეთა ერთი ენიდან მეორე ენაზე გადართვას ასახავს (Cook 2000: 83).</li> <li>• მეცნიერების დიდი ნაწილი კოდების გადართვას ჰელერის მსგავსად განმარტავს: ერთზე მეტი ენის გამოყენება საუბრის ერთ თემაში/მონაკვეთში (Heller 1998: 1).</li> <li>• აუერის განმარტება, ჰელერთან შედარებით, უფრო კონკრეტულია: ერთზე მეტი ენის მონაცვლეობით გამოყენება (Auer 1984: 1).</li> <li>• ხოლო მაიერს სკოტონის თანახმად ორი ან მეტი ენის გამოყენება საუბრისას ერთი თემის/მონაკვეთის ფარგლებში (Myers-Scotton 1993: vii).</li> <li>• გუმპერცი, ზემოთ მოყვანილ განმარტებებზე დაყრდნობით, გვთავაზობს უფრო ზოგად განმარტებას: საკომუნიკაციო კოდების გადართვა საუბრის მონაკვეთებში სხვადასხვა გრამატიკული სისტემებისა და ქვე-სისტემების ურთიერთშეთანხმებული მონაცვლეობაა (Gumperz 1982: 59). გუმპერცის თავდაპირველ განმარტებაში გამოყენებულია გრამატიკული სისტემები და ქვე-სისტემები, ხოლო მომდევნო განმარტებებში მკვლევარი ზემოთ</li> </ul>



ნახსენები ტერმინების ნაცვლად იყენებს ენებს. გუმპერცი „ენებში“ გულისხმობს ცალკეულ ენებს (მაგ., ესპანური, ინგლისური, ქართული და ა.შ.), როცა უფრო ზოგადი ტერმინები გრამატიკული სისტემები და ქვესისტემები თანაბრად გულისხმობს ზოგადად, ენებს ან, კონკრეტულად, ენის ელემენტებს: ლექსიკურ ერთეულებს, სინტაქსურ კონსტრუქციებს, პროსოდიულ მახასიათებლებს.

- გუმპერცის (Gumperz, 1982) მსგავსად, გოფმანიც (Goffman, 1979) გვთავაზობს გრამატიკულ ქვესისტემების სიას (footing cues), რომელიც არსებითად ჰგავს გუმპერცის კოდების გადართვის კონტექსტში შესწავლის როლს (contextualization cues).
- ძინგსიამ დანერგა კოდების გადართვის ცნება და განმარტა, როგორც კომუნიკაციის პროცესში ერთი ენიდან მეორეზე გადართვის ქცევა, რომელშიც მოსაუბრე და თანამოსაუბრე ფლობს ორივე ენას (Jingxia, 2010).
- ჯდეტავი კოდების გადართვას უწოდებს ორენოვანების საუბრისას სიტყვის, ფრაზის ან წინადადების დონეზე ენებს შორის მონაცვლეობას (Jdetawy, 2011).

### კოდების გადართვა (Code-switching)

#### კოდის კონკრეტული განმარტების მიხედვით

- ჰაიმში განმარტავს კოდების გადართვას როგორც ორი ან მეტი ენის ან ენის ვარიაციების ან სტილის მონაცვლეობით გამოყენებას მოსაუბრეთა მიერ (Hymes, 1962).
- მაიერს სკოტონის აზრით, კოდების გადართვა საუბრის ერთ თემაში ენის ვარიაციების ალტერნატიული გამოყენებაა (Myers-Scotton 1993b: 1).
- გარდნერი და ქლოროსი მიიჩნევენ, რომ გადართვა ხდება არა მხოლოდ ენებს, არამედ ერთი ენის დიალექტებს შორისაც (Gardner-Chloros, 1991).
- კოდების გადართვა საუბრისას ერთსა და იმავე თემაში ენის ორი ან მეტი ვარიაციის გამოყენებაა. კრისტალის აზრით, კოდებს, ენებს და ენის ვარიაციებს შორის გადართვა ხდება მაშინ, როდესაც ორი ორენოვანი (ბილინგვი) საუბრის დროს მონაცვლეობით იყენებს ორ სხვადასხვა ენას

ან ენის ვარიაციას (Crystal, 1994: 2; 13). ენების ან ენის ვარიაციების ამგვარი რეგულარული (ქმედითი, აქტიური ორენოვნება (ბილინგვიზმი) და არარეგულარული (არა ქმედითი, პასიური ორენოვნება (ბილინგვიზმი) მონაცვლეობა ძირითადად ხდება ორენოვანთა შორის. კოდების გადართვა შეიძლება გამოხატავდეს უამრავ განსხვავებულ ფორმას ორივე ენიდან, ვარიაციიდან წინადადებების და/ან ფრაზული გამონათქვამების სახით გრძელი, თანმიმდევრული წინადადებისა და/ან აბზაცის დონეზე.

- ვიქტორია ფრომკინი და როდმანის მიხედვით, კოდების გადართვა არის ლინგვისტური ტერმინი, რომელიც გულისხმობს საუბრისას ერთზე მეტი ენის ან დიალექტის გამოყენებას (Fromkin & Rodman, 2003).
- ლაიტბაუნის აზრით, კი კოდების გადართვა ენების ან ენის ვარიაციების სისტემატურ მონაცვლეობას გულისხმობს საუბრის ერთ თემაში/მონაკვეთში (Lightbown 2001: 598).

ამგვარად, ტერმინი „კოდი“-ის მნიშვნელობაზე დაყრდნობით, კოდების გადართვის განმარტებები ორ ჯგუფად დავყავით: ზოგადი განმარტება, რომელშიც კოდი წარმოდგენილია როგორც ენა, და კონკრეტული, რომელშიც კოდი წარმოადგენს ერთი ენის ვარიაციას, დიალექტს, რეგისტრს.

მიუხედავად განმარტებების ორ ჯგუფს შორის არსებული განსხვავებებისა, უნდა აღინიშნოს მათი საერთო ნიშნები, ყველა ზემოთ მოცემული განმარტების მიხედვით, კოდების გადართვის არეალი საუბრის ერთ თემას არ სცდება.

სპეციალური ლიტერატურის გაცნობის შედეგად, გამოიყო მეცნიერთა განმარტებები, რომლებშიც იკვეთება კოდების გადართვის ქცევის მიზნობრიობა, მაგ., კოდების გადართვა, როგორც საკომუნიკაციო სტრატეგია.

გალის განმარტებით, კოდების გადართვა სასაუბრო სტრატეგიაა, რომლის ამოცანაა დაამკვიდროს, გადალახოს ან გააბათილოს ჯგუფური ზღვრები. შექმნას, წაახალისოს ან შეცვალოს ადამიანთაშორისი კავშირები მათი უფლებებისა და მოვალეობების დაცვით (Gal 1988: 247), ხოლო საუბრის აღქმის, მიზნისა და თემის ცვლილების დროს ხდება მეტაფორული კოდების გადართვა (Wardhaugh, 1987: 100).

ალვარეზ-კაკამო იაკობსონსა და მის თანამოაზრეებზე (Jakobson, Fant & Halle, 1952) დაყრდნობით გვთავაზობს კოდისა და კოდების გადართვის განსხვავებულ განმარტებას: იაკობსონი ინფორმაციის თეორიაზე დაყრდნობით, ერთ-ერთი პირველი იყენებს ტერმინს კოდების გადართვა. მისი მტკიცებით, ენები კი არ მოიცავენ კოდებს, არამედ, თავად არიან კოდები. კოდები იქმნება მოსაუბრისა და მსმენელის მიერ ერთდროულად და არა მხოლოდ ერთი მეცნიერის ან მოსაუბრის მიერ. შინაგანი ინდივიდუალური კოდები (internal individual codes) (გამგზავნის/მოსაუბრისა და მიმღების/მსმენელის) ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდება, ვინაიდან ორ სხვადასხვა გონებაშია წარმოქმნილი. თუმცა არსებობს ერთი უნიკალური მსგავსება, ყველა ადამიანის გონება მომართულია ენის გამოყენებასა და კომუნიკაციაზე (Alvarez-Cáccamo, 1990).

მოსაუბრე განზრახ იყენებს (ლინგვისტურ ან პარალინგვისტურ) კოდს სხვა ენის თანამოსაუბრესთან საკომუნიკაციოდ. მსმენელები კი იყენებენ თავიანთ კოდებს, და ხშირ შემთხვევაში, უწევთ თავიანთი მოლოდინების შეცვლა, მოსაუბრისა და თანამოსაუბრის განზრახვების უკეთ აღსაქმელად. თანამოსაუბრესაც უწევს, შეცვალოს საუბრის ფორმა, სიტუაციის ცვლილების, სოციალური როლის, საუბრის ალტერნატიული გაგების გზების გამოსახატავად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კოდების შეცვლა მოსაუბრეს საშუალებას აძლევს კომუნიკაცია კონტექსტს დაუქვემდებაროს.

არიფინის აზრით, სამი კონტექსტური ფაქტორი, სასურველია, იყოს გათვალისწინებული კოდების გადართვის დროს:

1. მოსაუბრეთა შორის ურთიერთობა.
2. საუბრის გარემო და ვითარება.
3. საუბრის თემა (Ariffin, 2011: 220).

ამავე განმარტების მიხედვით, არა მხოლოდ კონტექსტური ფაქტორი განაპირობებს კოდის შერჩევას, არამედ ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა სოციალური თვითმყოფადობა (იდენტობა), განათლება და მოსაუბრის არჩევანი.

მაიკლ კლინმა შეისწავლა ავსტრალიაში მცხოვრები გერმანელი და ჰოლანდიელი იმიგრანტების საზოგადოება (Clyne, 1967). კლინმა ჩაატარა კვლევა მსგავს ენებს (მაგ. სალიტერატურო ენასა და მის დიალექტებს) შორის. იგი კოდების გადართვას მიიჩნევს გრამატიკული შეზღუდვებისგან თავისუფალ ქცევად და ძირითადად ორიენტირებულია მეტყველების სტილის სოციალურ-ენობრივ ასპექტებზე. კლინი ირწმუნება, რომ გრამატიკული გარეგანი შეზღუდვები გავლენას ვერ ახდენს მეტყველების სტილის ცვლილებაზე. მიუხედავად ამისა, ენობრივი შეზღუდვები უნდა იყოს გათვალისწინებული (Clyne 1987).

ამასთანავე, კოდების გადართვის პროცესში ჩართული ორი ენის გრამატიკა უნდა იყოს სტაბილური. ზოგიერთი ხარვეზი კლინის მიერ გრამატიკულად გაანალიზებულ საუბარზე დაყრდნობით, გამომდინარეობს იქიდან, რომ კოდების გადართვა ხდება ისეთ ორ ენობრივ წყვილს შორის (გერმანული / ჰოლანდიური), რომლებიც მსგავსია როგორც ფონეტიკური, ისე ლექსიკური ერთეულებითა და წინადადების სტრუქტურით. კლინი მიიჩნევს, რომ კოდების გადართვა ხდება მაშინაც კი, როცა სიტყვების ფორმა მსგავსია ორივე ენაში (მაგ., hier/here, here, in German/Dutch hier გერმანულ / ჰოლანდიურ ენაზე).

რა თქმა უნდა, ეს ვარაუდი არ არის უნივერსალური, რადგან ბევრი ერთმანეთისაგან განსხვავებული ენათა წყვილია შესწავლილი კოდების გადართვის თვალსაზრისით, რომლებსაც არ აქვთ მსგავსი ფორმები. ჟორჟ ლიიდისა და მისი კოლეგების შრომებში საკმაოდ განსხვავებული პერსპექტივა გამოიკვეთა (მაგ., Lüdi, 1991). მაგალითად, ორი ურთიერთგადამკვეთი, მაგრამ ცალკეულად განსხვავებული: (1) "ეგზოლინგვური ინტერაქცია" ['interaction exolingue'], მოსაუბრეების მიერ ერთმანეთისაგან განსხვავებული, არამონათესავე ენების გამოყენება და "ენდოლინგვური ინტერაქცია" ['interaction endolingue'], ითვალისწინებს საერთო ენობრივი კომპეტენციის მქონე მოსაუბრეებს (2) "ერთენოვანი" და "ორენოვანი" ინტერაქციის კავშირი. ამ ორი განსხვავების კომბინაცია საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ინტერაქციის ოთხი ტიპი:

**ცხრილი 3. ეგზოლინგვური და ენდოლინგვური ინტერაქცია**

ეგზოლინგვური	ენდოლინგვური
--------------	--------------

ორენოვანი (ბილინგვი)	ერთენოვანი (მონოლინგვი)	ორენოვანი (ბილინგვი)	ერთენოვანი (მონოლინგვი)
სხვადასხვა ენაზე მოსაუბრეები	ერთ ენაზე, როგორც მშობლიურზე და/ ან როგორც უცხოურზე მოსაუბრე	ორენოვნებს შორისი ენობრივი კომპეტენცია	ერთენოვნებს შორისი ენობრივი კომპეტენცია

(Lüdi, 1991)

განმაზოგადებელი ტერმინი "marque transcodique"-, „ტრანსკოდის ნიშანი“, გამოიყენება ნებისმიერი ერთი ენის მეორეზე გავლენის ფენომენის გამოსახატად: როგორებიცაა, კოდების გადართვა, სესხება და კალკი.

ზემოთ მოყვანილ განმარტებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კოდების გადართვა ძირითადად დამახასიათებელია ორენოვანი და მრავალენოვანი საზოგადოებისთვის, თუმცა, ერთენოვან საზოგადოებაშიც გვხვდება. შესაძლოა, მოსაუბრემ კოდები განზრახ გადართოს, რათა დაამკვიდროს, გადალახოს ან გააბათილოს ჯგუფური ზღვრები. ზემოთ მოცემული განმარტებებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კოდების გადართვა არის ენობრივი ქცევა, როდესაც კომუნიკაციისას მოსაუბრე და/ან თანამოსაუბრე ერთი ენიდან მეორე ენაზე ან ერთი ენის ვარიაციებზე გადაერთვება. ჩვენს კვლევაში ტერმინი „კოდი“ მისი ზოგადი განმარტებით არის გამოყენებული და გულისხმობს ენებს, ქართულსა და ინგლისურს. კოდების გადართვა კი გაანალიზებულია ლექტორსა და სტუდენტს შორის კომუნიკაციის ან ლექტორის მონოლოგის პროცესში.

### 1.1.1 კოდების გადართვა და კოდების შერევა (Code Mixing)

კოდების გადართვა განსხვავდება სხვა რიგი ტერმინებისაგან, რომლებიც ენათაშორის კავშირს გამოხატავენ. ესენია: *კალკი, ნასესხები სიტყვები, პიჯინი, კრეოლური ენა, „გადატანა“ და ინტერფერენცია.*

მოცემული ქვეთავის მიზანია, აჩვენოს მეცნიერთა შეხედულებები კოდების გადართვასა და კოდების შერევას შორის განსხვავების შესახებ. აგრეთვე

წარმოაჩინოს, თუ რა ადგილი უჭირავს და რა როლს ასრულებს თითოეული ტერმინი სოციოლინგვისტიკის დარგში.

მრავალენოვან (მულტილინგვურ) საზოგადოებაში მოსაუბრე იყენებს კოდების მონაცვლეობის ორ პროცესს: კოდების შერევასა და კოდების გადართვას პირადი და საზოგადოებრივი საკომუნიკაციო მიზნებისათვის. როგორც წესი, საუბრის პროცესში კოდების გადართვა ითვალისწინებს ენებს შორის ნებისმიერ მონაცვლეობას: სიტყვების, წინადადებებისა და/ან მთლიანი საუბრის მონაკვეთ(ებ)ს. ხოლო კოდების შერევა გულისხმობს ორი ენის შერევას, მაგრამ სიტყვის დონეზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წინადადებაში ერთი სიტყვა სხვა ენაზეა (Baker & Jones, 1998).

ლინგვისტებისა და განსაკუთრებით კი სოციოლინგვისტებისთვის ამ ორ ტერმინს (კოდების გადართვასა და კოდების შერევას) შორის განსხვავება ჯერ კიდევ საკამათოა. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, მაგალითად, ვორდოსთვის, კოდების გადართვა და შერევა არც კი განსხვავდება ერთმანეთისაგან (Wardhaugh 2015: 100).

გუმპერცი იყენებს ორ ტერმინს კოდების მონაცვლეობით გამოყენების აღსაწერად. ესენია: წინადადებათაშორისი (intersentential) კოდების გადართვა და წინადადებებს შიგნით (intrasentential) კოდების შერევა (Gumperz, 1971).

კოდების შერევა ან წინადადების შიგნით კოდების მონაცვლეობა ვლინდება მაშინ, როცა მოსაუბრე იყენებს ორ ან რამდენიმე ენას მოცულობით მაქსიმუმ წინადადების დონეზე ერთ კონკრეტულ სიტუაციაში.

ბევრმა მეცნიერმა სცადა, განესაზღვრა კოდების გადართვასა და შერევას შორის განსხვავება. მათ შორისაა ამუდა (Amuda, 1994), ატოიე (Atoye, 1994) და ბელი (Belly, 1976). ჰაიმსი განმარტავს კოდების გადართვას, როგორც განზოგადებულ ტერმინს, ორი ან მეტი ენის, ენის ვარიაციების ან თუნდაც მეტყველების სტილის მონაცვლეობით გამოყენებას (Hymes, 1974). როცა, ბოკამბას აზრით, კოდების გადართვა არის საუბრის ერთ თემაში, წინადადების დონეზე, სიტყვების, ფრაზებისა და წინადადებების ერთი გრამატიკული (ქვე) სისტემის მეორეში შერევა. ხოლო კოდების შერევა არის სხვადასხვა ენობრივი ერთეულების: აფიქსების (ბმული მორფემები – bound morphemes), სიტყვების (შეუზღუდავი, თავისუფალი მორფემები), ფრაზებისა და რთული წინადადების ნაწილების (clauses) ჩასმა

ურთიერთშეთანხმებული ურთიერთობის დროს, რომელშიც საუბრის მონაწილეები უნდა ჩასწვდნენ გაგონილისა და გაგებულის კავშირს (Bokamba, 1989: 278).

აუერი კოდების გადართვას განსაზღვრავს როგორც „ორი ან მეტი კოდის მონაცვლეობით გამოყენებას საუბრის ერთ ეპიზოდში“. ამ შემთხვევაში „კოდები“ გულისხმობენ ენის ურთიერთგანსხვავებულ ვარიანტებს ან დიალექტებს. მიუხედავად იმისა, რომ კოდების გადართვა ენობრივი კონტაქტის ერთ-ერთი ბუნებრივი გამოვლენაა, ენობრივი სიწმინდის გაბატონებული იდეოლოგია ნდობას უკარგავს კოდების გადართვის პრაქტიკას ორენოვან (ბილინგვურ) საზოგადოებაში. კოდების გადართვა ქაოსურ პრაქტიკად და, უფრო მეტიც, ზოგიერთი მეცნიერი მას ერთი-ერთი ან ორივე ენის დაბალი კომპეტენციის დონის მანიშნებლად მიიჩნევს (Auer 1998: 1).

ვაინრაიხი, ორენოვანების (ბილინგვიზმის) წამყვანი მკვლევარი, ამტკიცებს, რომ „იდეალური ორენოვანი (ბილინგვი) არის ის, ვინც ენებს შორის გადაერთვება არა მაშინ, როდესაც საუბრის ვითარება უცვლელია ან გადართვა ერთი წინადადების დონეს აღემატება, არამედ სიტუაციის ცვლილების მიხედვით და წინადადების ფარგლებში. მიუხედავად ამისა, კოდების გადართვა, ამ უკანასკნელზე მომუშავე ზოგიერთი მკვლევრის აზრით ორენოვანის მაღალი კომპეტენციის დონის მანიშნებელია (Weinreich 1953: 73).

წინამდებარე ნაშრომში ტერმინ კომპეტენციას ორმაგი განმარტება აქვს: 1. ორ ან მეტ ენაზე გამართულად საუბარი და 2. ორი ან მეტი ენის (ამავე ენებზე გამართულად საუბრის აუცილებლობის გარეშე) გაგების უნარი.

პოპლაკის აზრით, კოდების გადართვა არის ვერბალური უნარი, რომელიც მოითხოვს მაღალი კომპეტენციის დონეს ერთზე მეტ ენაზე, ვიდრე ერთი ან რამდენიმე ენის არასაკმარისი ცოდნით გამოწვეული ნაკლი (Poplack, 2000). ვორდოს მტკიცებით, „ჩვეულებრივ, საუბრის პროცესში ადამიანებს მოეთხოვებათ კოდების გარკვეული ნაკრების შერჩევა. ისინი, ზოგჯერ რეგულარულად, გადართავენ ან შეურევენ კოდებს ერთმანეთში, შედეგად წარმოქმნიან ახალ კოდს, ენას“ (Wardhaugh 2002: 100).

მაიერს სკოტონის თანახმად, კოდების გადართვა გულისხმობს „ორი ან მეტი ენის გამოყენებას ერთსა და იმავე საუბარში, ჩვეულებრივ, მსმენელის, მორიგი პასუხის დროს, ან, თუნდაც, მოსაუბრის იმავე წინადადებაში“. კოდების გადართვა არის მოსაუბრის მიერ „ა“ ენიდან „ბ“ ენაზე გადართვა (Myers-Scotton 1993:47)

კოდების შერევა ვლინდება საუბარში, რომელშიც ორი ენის გრამატიკის ნაზავი ისეა გამოყენებული, რომ ერთმანეთს არ ანაცვლებენ. ვორდოს განმარტებით, სასაუბრო კოდების გადართვა ითვალისწინებს ორი ენის შერევას ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული თემების ცვლილების გარეშე (Wardhaugh 1987: 107-108). მისი მტკიცებით, მრავალენოვან (მულტილინგვურ) საზოგადოებაში კოდების შერევა ძირითადად სოლიდარობის მანიშნებელია.

კოდების გადართვასა და შერევას შორის მთავარი განსხვავება ისაა, რომ კოდების გადართვის დროს ენები ინარჩუნებენ თავიანთ ლინგვისტურ თვისებებს, ხოლო კოდების შერევის დროს ზოგიერთ შემთხვევაში ვლინდება ენების შერწყმა. (Muysken 2000). კოდების შერევა გრამატიკული წესებითაა განპირობებული. კიდევ ერთი განსხვავება ისაა, რომ კოდების გადართვა ვლინდება საუბრის ერთ ეპიზოდში ორ ორენოვანს შორის, ორი ენის მონაცვლეობით, ხოლო კოდების შერევა ზოგადად გულისხმობს მრავალი სხვადასხვა ენიდან სიტყვების აფიქსების, ფრაზებისა და ჩართულების გამოყენებას ერთი წინადადების ფარგლებში (Myers-Scotton 1993).

ემპირიული მასალის გაცნობამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომლის მიხედვითაც ზემოთ აღნიშნულ ორ ტერმინს შორის რიგი მეცნიერები არსებით განსხვავებას ვერ ხედავენ, ხოლო მეცნიერების დარჩენილი ნაწილი, კოდების გადართვას განიხილავენ – ენებს შორის წინადადების გარე (intersentential) მონაცვლეობას, ხოლო კოდების შერევას – ენებს შორის, წინადადების შიგა (intrasentential), სიტყვის დონეზე მონაცვლეობას.

### **1.1.2 კოდების გადართვა (code-switching) და ენათმონაცვლეობა (translanguaging)**

ორენოვან საგანმანათლებლო დისკურსში ჩატარებული რიგი კვლევების მიუხედავად, ჯერ კიდევ ცოტაა ცნობილი ორი ენის გამოყენების მკაფიო ან ნაგულისხმევი მიზნის, მათი განაწილებისა და ბალანსის შესახებ (Lewis, Jones & Baker, 2012: 107). საგანმანათლებლო სივრცეში ორი ენის გამოყენების მიმართ



ინტერესი იაკობსონიდან (1990) მომდინარეობს (ციტირებულია Lewis, Jones & Baker, 2012), რომელიც განიხილავს საგანმანათლებლო სივრცეში ორი ენის გამოყენების ოთხ შემთხვევას: 1. ენების გადართვა (Switching languages), 2. თარგმნა/ინტერპრეტაცია (Translating/interpreting), 3. გადახედვა, განხილვა და მიმოხილვა (Previewing, viewing, and reviewing), 4. ენების მიზანმიმართული ერთდროული გამოყენება (Purposeful concurrent usage).

იაკობსონის ტერმინი, ენების მიზანმიმართული ერთდროული გამოყენება (Purposeful concurrent usage), ბეიკერმა (Baker, 2011) უელსის საგანმანათლებლო სივრცის, ხოლო გარსიამ (Garcia, 2009) ნიუ იორკის საზოგადოების კვლევისას ჩაანაცვლეს ენათმონაცვლეობით (translanguaging). როგორც ბეიკერი ციტირებს, კენ ვილიამსმა (Williams, 1996) შექმნა ტერმინი ენათმონაცვლეობა (translanguaging) გაკვეთილზე ორი ენის დაგეგმილი და სისტემატური გამოყენების აღსანიშნად. მაგალითად, ახსნა (კითხვისა და/ან მოსმების დავალება) ხდება ერთ ენაზე, ხოლო ახსნილი მასალა გადმოიცემა (საუბარი და/ან წერა) მეორე ენაზე (Baker, 2011: 288). აღნიშნული სისტემატურად მონაცვლეობს.

ბეიკერი (2011) განიხილავს ენათმონაცვლეობის ოთხ უპირატესობას:

1. ენათმონაცვლეობა ეხმარება მოსწავლეებს, განხილული თემა უფრო სიღრმისეულად და სრულფასოვნად გაიგონ. მოსწავლეები, რომლებიც ვალდებულები არიან წაიკითხონ და განიხილონ თემა ერთ ენაზე, შემდეგ კი ამის შესახებ სხვა ენაზე დაწერონ, რაც გულისხმობს, რომ საკითხი არა მხოლოდ უნდა დამუშავდეს, არამედ გაანალიზდეს კიდევ.
2. ხელს უწყობს მოსწავლეების ზეპირი კომუნიკაციის, სხვა უნარებისა და წიგნიერების განვითარებას, იმ ენაზე, რომელშიც მათ ნაკლები კომპეტენცია აქვთ.
3. ხელს უწყობს ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობას. ენათმონაცვლეობით მოსწავლეებს სკოლაში მიღებული ცოდნა შეუძლიათ გაიღრმავონ და გაიძლიერონ ოჯახის წევრებთან უმცირესობათა ენაზე დისკუსიის გზით.
4. ენათმონაცვლეობა ქმნის სრულყოფილ L1 მოსაუბრესა და L2 შემსწავლელს, რაც მიიღწევა მაშინ, როდესაც ორივე ენა სტრატეგიულად გამოიყენება კლასში,

მოსწავლეებს შეუძლიათ განვიტარონ მეორე ენის უნარი საგნობრივი შინაარსის სწავლის პარალელურად (Maillat & Serra, 2009).

კოდების გადართვასა და ენათმონაცვლეობას შორის განსხვავებაზე თავის ნაშრომში ფერგუსონი (2003) წერს, კოდების გადართვა საგანმანათლებლო დისკურსში არა მხოლოდ საყოველთაოდ მიღებული, არამედ ბუნებრივი, შესაძლოა, გარდაუვალი პრაგმატიკული პასუხია საგნისა და ენის ინტეგრირებული სწავლების პროცესში, რომელშიც ორმაგი მიზანია მისაღწევი (საგნობრივი და ენობრივი ცოდნა). უფრო მეტიც, სწავლების პროცესი ადრენალინით იმართება, ძირითადად, გადართვები გაუცნობიერებლად ხდება. უმეტეს შემთხვევაში, მასწავლებლებს არც ახსოვთ და ვერც აცნობიერებენ საერთოდ გადაერთნენ თუ არა სხვა ენაზე (Ferguson, 2003: 46).

**ცხრილი 4. კოდების გადართვასა და ენათმონაცვლეობას შორის განსხვავება**

	კოდების გადართვა	ენათმონაცვლეობა
როდის ხდება	გაუცნობიერებლად, გარდაუვალია	ორი ენის წინასწარ დაგეგმილი, სისტემატური გამოყენება
მთავარი მიზანი	სწავლებისას სტუდენტების სირთულეების გადაჭრის საპასუხოდ	სტუდენტებისთვის უფრო ღრმად გაგებისა და ენის კომპეტენციის გაზრდის ხელშეწყობის მიზნით გამოყენებული ხერხი, საშუალება.

დასკვნის სახით, გარსიას მიხედვით, ორენოვანი მოსაუბრისთვის დამახასიათებელია ორენოვანი (ბილინგვური) სამყაროების დაკავშირება ენათმონაცვლეობის დახმარებით (Garcia, 2009). ენათმონაცვლეობა კოდების გადართვასთან არ არის დაკავშირებული იმდენად, რამდენადაც იგი გამოხატავს ერთგვარ ჰიბრიდულ ენას, რომელიც სისტემურად და სტრატეგიულად გამოიყენება მოსაუბრესა და მსმენელს შორის აზრის ზედმიწევნით გამოსახატად.

დაბოლოს, ბევრი ლინგვისტი განმარტავს ცალკეული სიტყვის ერთი ენიდან მეორეში გადატანის მოვლენას, როგორც კოდის – სესხებას ან ლექსიკურ სესხებას.

საინტერესოა ვაინრაიხის მოსაზრება, რომელიც განასხვავებს პირად და სოციალურ მოტივებს. განიხილავს ლექსიკური სესხების სხვადასხვა მიზეზს. ერთ-ერთია, რაიმე სახის ლექსიკური ხარვეზი ორენოვანის პირად ლექსიკურ არსენალში, ან ზოგადად ენაში, რომელიც ივსება ლექსიკური სესხებით (Weinreich, 1953).

სესხება ითვალისწინებს ერთი, ძირითადად კი, უცხო ენიდან შემოტანილი სიტყვის მორგებას მეორე ენის ლექსიკურ სისტემაზე. ჰამერსის და ბლანკის მტკიცებით, სესხება და კოდების გადართვა ორი, ერთმანეთისგან არსებითად განსხვავებული მოვლენაა (Hamers & Blanc 2000: 259). ერთი მხრივ, ენაში ისტორიულად დამკვიდრებული, ნასესხები სიტყვა, მეორე მხრივ კი, მეტ-ნაკლებად სპონტანური, წინადადების დონეზე ერთი ენიდან მეორე ენაზე სწრაფი გადართვა, რომელიც ენის სტრუქტურის ყველა ასპექტზე ერთდროულად ახდენს გავლენას. სესხება შესაძლოა უცხო სტატუსით განსაკუთრებით ფონოლოგიით, ჰგავდეს კოდების გადართვას. უფრო მეტიც, კოდების გადართვა ხშირად ემსგავსება სესხებას ლაკონიურობითა და მიმღები ენის სინტაქსურ სტრუქტურაში მორგებით.

აღნიშნული საკითხს ვაინრაიხმა, ლაბოვმა და ჰერცოგმა უწოდეს ე.წ. გადაყვანის პრობლემა (the transition problem) (Weinreich, Labov, & Herzog, 1968). ენის ცვლილება დიაქრონიული ხასიათისაა. რთულია, განსაზღვრო კონკრეტული ლექსიკური ერთეული როდის მოიპოვებს ნასესხები სიტყვის სტატუსს მიმღებ ენაში.

ამ ორი ტერმინის ერთმანეთისგან გასამიჯნად ორი სხვადასხვა მიდგომა არსებობს. მკვლევრების ერთი ჯგუფი, პოპლაკის (Poplack 1978, 1980, 1981) მსგავსად, მიიჩნევენ, რომ სხვა ენიდან ერთეულის სესხება არსებითად განსხვავდება ერთ სიტყვაზე მეტი მოცულობის გადართვებისაგან. ამის დასამტკიცებლად კრიტერიუმად გვთავაზობენ უცხო სიტყვის მიმღებ ენაში მორფოსინტაქსურ და ფონოლოგიურ შერწყმას, ინტეგრირებას. თუმცა მეცნიერთა უმრავლესობის აზრით (Bentahila & Davies, 1983; Myers-Scotton, 1993a), ამ ორ ტერმინს შორის განსხვავების დადგენა არ არის გარდამტეხი ორენოვანის საუბრის ანალიზის პროცესში. უფრო მეტიც, განსხვავებით პოპლაკის მიმდევრებისგან, მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, ერთი სიტყვის ჩასმა

(Insertions) და მრავალი სიტყვის მონაცვლეობა (alternations) წარმოადგენს კოდების გადართვის ორ ფორმას, და არა მისგან და ერთმანეთისგან განყენებულ პროცესებს. პოპლაკისა და მისი თანამოაზრეების აზრით კი, სესხება და კოდების გადართვა ორ სხვადასხვა მექანიზმს ეფუძნება. ორენოვან პუერტო-რიკოელ საზოგადოებაზე დაკვირვების შედეგად, პოპლაკს თავის შრომებში შემოაქვს სამი კრიტერიუმი ენაში შემოსული უცხო ერთეულების განსაზღვრისათვის. დონორი ენიდან ლექსიკური ერთეულების 1. ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სინტაქსური ინტეგრირება ე.წ. საბაზისო ენაში (the base language). ამ მიდგომის მიხედვით, პოპლაკი გამოყოფს ინტეგრაციის ოთხ შესაძლო კომბინაციას: მეორე ტიპი – ლექსიკური ერთეულის მხოლოდ სინტაქსურად ხდება შერწყმა; მესამე ტიპი – მხოლოდ ფონოლოგიურად; მე-4 ტიპი – საერთოდ არ ხდება შერწყმა; ხოლო 1-ლი ტიპი წარმოადგენს ზემოთ მოყვანილი სამივე ტიპის კომბინაციას და, შესაბამისად, გამოხატავს სესხებას (Poplack 1978, 1980, 1981).

მიუხედავად იმისა, რომ ეს მიდგომა გარკვეულ განზოგადებებს ასახავს და სხვა ორენოვან საზოგადოებაში ჩატარებული ემპირიული კვლევებით დასტურდება, მოგვიანებით ფონოლოგიური ინტეგრაციის კრიტერიუმი გაუქმდა მისი ძალზე ცვალებადი ხასიათის გამო. მას შემდეგ შუალედურ კატეგორიად განისაზღვრა, როგორც ოკაზიონალური სესხება.

ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით, ზემოთ მოყვანილი ტერმინების შედარება წარმოდგენილია ცხრილის სახით:

**ცხრილი 5. ტერმინოლოგიური განსხვავება მახასიათებლების მიხედვით**

მახასიათებელი/ტერმინი	კოდების გადართვა	კოდების შერევა	დიგლოსია	სესხება
საუბრის ერთ თემაში ენებს შორის მონაცვლეობა	+	+	არა ღირებული ნიშანი	არა ღირებული ნიშანი
გვხვდება წინადადების ფარგლებში	+/-	+	არა ღირებული ნიშანი	არა ღირებული ნიშანი

გვხვდება წინადადების ფარგლებს გარეთ	+/-	-	-	-
განპირობებულია კონტექსტით	+	-	+	არა ღირებული ნიშანი
ერგება მიმღებ ენას, მისი ცვლილების გარეშე	+	-	არა ღირებული ნიშანი	+
ისტორიულადაა განპირობებული	-	-	+	+
დამახასიათებელია ორენოვანი (ბილინგვური) საზოგადოებისთვის	+	+	+	არა ღირებული ნიშანი
დამახასიათებელია ერთენოვანი (მონოლინგვური) საზოგადოებისთვის	-/+	-	-	+
ავსებს მიმღები ენის ლექსიკურ სიცარიელეს ან წარმოადგენს ენაში არსებულზე უკეთეს ვარიანტს	+	+	არა ღირებული ნიშანი	+
ენის პრესტიჟულობის ფაქტორი	-/+	-/+	+	არა ღირებული ნიშანი
ხშირად გაცნობიერებულად ხდება	+/-	+/-	+	-
გაუცნობიერებლად	+/-	+/-	-	+

ხდება				
-------	--	--	--	--

კოდების გადართვის ტიპოლოგიას შემდეგ თავში განვიხილავთ. წინამდებარე თავის მიზანია, კოდების გადართვა გაიმიჯნოს სხვა, მასთან დაკავშირებული ტერმინებისგან, როგორებიცაა: კოდების შერევა, სესხება, დიგლოსია და ა.შ.

სპეციალური ლიტერატურის შესწავლამ ცხადყო, რომ ორენოვნება (ბილინგვიზმი) და მრავალენოვნება (მულტილინგვიზმი) დღევანდელ მსოფლიოში იმდენად გავრცელებულია, რომ ჩამოყალიბდა ახალი ტერმინი მულტი-კომპეტენცია. ემპირიული მასალის შესწავლით, დასტურდება რომ კოდების გადართვის ცნების განსაზღვრას რიგი ფაქტორები განაპირობებს. სხვადასხვა მიდგომის მიხედვით, თავად ცნების განმარტებამ წარმოშვა საკამათო საკითხები. ზოგი მეცნიერის აზრით, კოდების გადართვა განმაზოგადებელი ტერმინია და თავის თავში მოიაზრებს ენების მონაცვლეობის ყველა შემთხვევას (ტერმინი ენების მონაცვლეობა (Language alternation) კოდების გადართვის სინონიმად პირველად აუერმა გამოიყენა (Auer, 1995). მეცნიერთა გარკვეული ნაწილი (Kachru, 1983; Sridhar & Sridhar, 1980) მხოლოდ წინადადების გარე შემთხვევებს მიაკუთვნებენ კოდების გადართვას, ხოლო კოდების შერევა მათთვის მხოლოდ წინადადების შიგა შემთხვევებთან ასოცირდება. კოდების გადართვა და კოდების შერევა ძირითადად დამახასიათებელია მრავალენოვანი (მულტილინგვური) საზოგადოებისთვის. მათი გამოყენების ერთ-ერთი მიზეზი სხვა მიზეზთა შორის ისაა, რომ მოსაუბრეს კოდების გადართვით სურს თავი მიაკუთვნოს და დაიმკვიდროს ადგილი საზოგადოების კონკრეტულ ჯგუფსა და პიროვნებათშორის ურთიერთობებში.

წინამდებარე ნაშრომში კოდების გადართვის ცნების განმარტება დაეფუძნა არა ტერმინი კოდის კონკრეტულ (ერთი ენის ვარიაციები, დიალექტი, სტილი, და ა.შ.), არამედ ზოგად (ენა) მნიშვნელობას. საგანმანათლებლო კონტექსტში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კოდების გადართვა ასახავს ლექტორის ან სტუდენტის მიერ მშობლიური და სამიზნე ენის საკომუნიკაციო მიზნებისათვის მონაცვლეობით გამოყენებას. წინამდებარე ნაშრომში კოდი ენაა: ინგლისური/ქართული, ხოლო კოდების გადართვა ასახავს ინგლისური ენის ლექტორების მიერ სალექციო პროცესში ინგლისურიდან ქართულ ენაზე გადართვას.

ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება კოდების გადართვასა და დიგლოსიას შორის სწორედ ისაა, რომ დიგლოსიის დროს ერთ-ერთი ენა, მეორესთან შედარებით, მაღალი სტატუსის მქონეა და მხოლოდ ფორმალური წერის დროს გამოიყენება, როცა კოდების გადართვის პროცესში მონაწილე ორივე ენა საკომუნიკაციო დანიშნულებისაა.

კოდების შერევა და კოდების გადართვა, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, არც კი განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგრამ რიგი მკვლევრები კოდების შერევას განმარტავს როგორც საუბარში ერთი ენის მეორე, წინასგან სრულიად განსხვავებული ენით ჩანაცვლებას, ხოლო კოდების გადართვა მოსაუბრის მიერ ერთი ენის სხვადასხვა ვარიაციის სხვადასხვა დროსა და სიტუაციაში გამოყენებაა. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კოდების შერევისგან განსხვავებით, კოდების გადართვის პროცესში გასათვალისწინებელია კონტექსტი: მოსაუბრეებს შორის დამოკიდებულება, საუბრის გარემო, დრო და ა.შ.

რაც შეეხება სესხებასა და კოდების გადართვას, რიგი მეცნიერისა მიიჩნევს, რომ სესხება მკაფიოდ განსხვავდება კოდების გადართვისგან. ერთი მხრივ, ენაში არსებობს ისტორიულად დამკვიდრებული, ნასესხები სიტყვა, მეორე მხრივ კი, მეტნაკლებად სპონტანური, წინადადების დონეზე, ერთი ენიდან მეორე ენაზე სწრაფი გადართვა, რომელიც ენის სტრუქტურის ყველა ასპექტზე ერთდროულად ახდენს გავლენას.

ამგვარად, შეგვიძლია, ერთმანეთისან განვასხვავოთ და ერთმანეთისგან გავმიჯნოთ შემდეგი ტერმინები: კოდების გადართვა და ენათმონაცვლეობა. ენათმონაცვლეობაზე საუბრისას განიხილება მოსაუბრის რეპერტუარი – ერთგვარი ჰიბრიდული ენა, რომელიც სისტემურად და სტრატეგიულად გამოიყენება მოსაუბრესა და მსმენელს შორის აზრის ზედმიწევნით გამოსახატად და ხოლო კოდების გადართვისას განიხილება ორი ერთმანეთისგან განყენებული ენის ერთ საუბარში გამოყენება, გაუცნობიერებლად და წინასწარი დაგეგმვის გარეშე. კვლევით ნაწილში, ლექციების ანალიზისას, შევეცდებით, გავმიჯნოთ კოდების გადართვის, კოდების შერევისა და ენათმონაცვლეობის ენობრივი ქცევები.

## 1.2 რაოდენობრივი კვლევები (ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელებული კვლევები)

სოციოლინგვისტიკა, როგორც ემპირიული მეცნიერება და ლინგვისტიკის ქვეკატეგორია, ცდილობს გააანალიზოს ენასა და საზოგადოებას შორის არსებული კორელაცია. სოციოლინგვისტიკაში კვლევის სამი მეთოდი გამოიყოფა: რაოდენობრივი, თვისებრივი და შერეული მეთოდები. მაგალითად, რაოდენობრივი სოციოლინგვისტიკა ცდილობს გაარკვიოს, თუ რა კავშირია პიროვნების ენის გამოყენებასა და მის სოციალურ სტატუსსა და იდენტობას/თვითმყოფადობას შორის. რა გავლენას ახდენს სოციალური ცვლადები – ასაკი, სქესი, სოციალური კლასი და განათლების დონე – ენის გამოყენებაზე, მაგრამ თვისებრივი სოციოლინგვისტიკა დაინტერესებულია, პასუხი გასცეს კითხვას, თუ რატომ იქცევიან ადამიანები სხვადასხვაგვარად სხვადასხვა კონტექსტში (Bayurt, 2018).

შეერთებულ შტატებში ტერმინი სოციოლინგვისტიკა ასოცირდება უილიამ ლაბოვის პიონერულ ნაშრომთან, რომელსაც სხვადასხვაგვარად მოიხსენიებენ – კორელაციურ, ვარიაციულ ან რაოდენობრივ სოციოლინგვისტიკად. სოციოლინგვისტიკის ლაბოვისეულმა ხედვამ აჩვენა სხვადასხვა ენობრივი მახასიათებლების კორელაცია გამოკითხულთა სოციალურ დემოგრაფიულ მახასიათებლებთან, როგორებიცაა ასაკი, საცხოვრებელი ადგილი, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სქესი. რაოდენობრივი სოციოლინგვისტიკური კვლევა ეყრდნობა არა ბუნებრივი საუბრის მოქმედებების ანალიზს, არამედ კონკრეტული ლინგვისტური ფორმების ენობრივ ქცევაში გამოჩენის სიხშირეს. ინტერაქციული სოციოლინგვისტიკისგან განსხვავებით, ლაბოვი ხშირად ეყრდნობოდა ინტერვიუებს მონაცემთა შეგროვების მიზნით, ვიდრე ლაპარაკს უფრო ბუნებრივ გარემოში და ხაზს უსვამდა ლინგვისტური ფორმების შედარებით დიდი რაოდენობით შეგროვებას. ფორმების ეს შემთხვევები, როგორც წესი, გაანალიზებულია რაოდენობრივად, მთლიანობაში, მცირე მითითებით მათი გამოყენების ან მნიშვნელობების სპეციფიკურ ურთიერთქმედების კონტექსტზე.

შეერთებული შტატების გარეთ, მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში, ლაბოვის პარადიგმა ნაკლებად დომინანტურია, შესაბამისად ტერმინი „სოციოლინგვისტიკა“



უფრო ფართოდ არის გაგებული და მოიცავს ენის სოციალური ფუნქციონირების, დისკურსისა და ენობრივი ქცევის ანალიზს. მიუხედავად იმისა, რომ ინტერაქციული სოციოლინგვისტიკა ორიენტირებულია მნიშვნელობის ფორმირებასა და ინტერპრეტაციაზე, ინარჩუნებს კავშირებს უფრო მეტ მაკროსოციოლოგიურ ფენომენებთან, როგორცაა დიალექტები, ეთნიკური ჯგუფები და სოციალური განსხვავებულობის დადგენის პროცესები.

საგანმანათლებლო დისკურსში ტერმინი კოდების გადართვა განისაზღვრება, როგორც ერთზე მეტი ლინგვისტური კოდის მონაცვლეობით გამოყენება საკლასო ოთახის რომელიმე მონაწილის მიერ (მაგ.: მასწავლებელი/ლექტორი, მოსწავლე/სტუდენტი, მასწავლებლის თანაშემწე). აღნიშნული პროცესი, შესაძლოა, ხასიათდებოდეს კოდების შერევით (Code-mixing) (წინადადების შიგა), კოდების გადართვით (Code-switching) (წინადადების გარე მონაცვლეობა) (Lin, 1990, 2008), და ენათმონაცვლეობით (translanguaging).

სწავლა-სწავლების პროცესში კოდების გადართვის ქცევას ემპირიულად იკვლევენ 1980-იანი წლებიდან დღემდე. კვლევები ძირითადად ეხება სამიზნე და მშობლიური ენის გრამატიკული სისტემების ანალიზს, უცხო ან მეორე ენის სწავლების პროცესში სტუდენტების, მოსწავლეების და/ან მასწავლებლის მიერ მშობლიური ენის გამოყენების სიხშირესა და ფუნქციებს (Butzkamm, 2003; Edstrom, 2006; Carless, 2007; Brooks-Lewis, 2009; Turnbull & Dailey-O’Cain, 2009).

მარტინ-ჯონსმა გამოყო კოდების გადართვის ორი ფართო საკვლევი სფერო საგანმანათლებლო დისკურსში (Martin-Jones, 1995):

(ა) პირველი ჯგუფი მოიცავს ადრეულ (რაოდენობრივ) კვლევებს, რომლებიც ეხება საკლასო დისკურსის ანალიზს ორენოვან საგანმანათლებლო სივრცეში. აღნიშნული კვლევები, უპირველეს ყოვლისა, ორიენტირებული იყო მხოლოდ მასწავლებლის კოდების გადართვის საკომუნიკაციო ფუნქციებსა და სიხშირეზე. ამგვარად, კონკრეტული ენა საკუთრივ მისთვის დამახასიათებელ ფუნქციას ასრულებდა.

(ბ) ხოლო მეორე, უახლესი კვლევები, რომლებშიც უფრო მეტად ხაზგასმულია საკლასო დისკურსში კოდების გადართვის სიხშირე საუბრის თანმიმდევრულობის გათვალისწინებით (საუბრის ანალიზის თეორია (CA), და მისი გავლენა

მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის კომუნიკაციაზე. აღნიშნული კვლევები ითვალისწინებენ კოდების გადართვისას საუბრის ანალიტიკური მიდგომის ელემენტებს და, ზოგადად, ეფუძნებიან ეთნოგრაფიული მონაცემების ანალიზს (ინტერაქციული სოციოლინგვისტიკა (IS)).

გარდა ინტერაქციული სოციოლინგვისტიკისა (IS) და საუბრის ანალიზის თეორიებისა (CA) კოდების გადართვის შესწავლის პროცესში ვხვდებით ადრეულ კვლევებს, რომლებშიც რაოდენობრივი მეთოდებია გამოყენებული და არსებობს თანამედროვე, მაგრამ არც თუ ისე ბევრი კვლევა, რომლებშიც გამოყენებულია შერეული კვლევის მეთოდები.

თანამედროვე კვლევები კოდების გადართვასთან დაკავშირებით, ცნობილია როგორც პირველი ენის (L1) გამოყენება მეორე და უცხო ენების (L2) სწავლების პროცესში (Turnbull & Dailey-O'Cain, 2009), ადგილობრივი ენების გამოყენება ინგლისურის სწავლებისას (Mahboob, 2011), პირველი, მშობლიური ენის ჩართვა უცხო ენების სწავლა-სწავლების პროცესში (Brooks-Lewis, 2009), მშობლიური ენის როლი უცხო ენების სწავლებისას (Butzkamm, 2003), მოსწავლეთა მშობლიური ენის გამოყენება ამოცანაზე დაფუძნებული სწავლების პროცესში (Carless, 2007), პირველი, მშობლიური ენის გამოყენება მეორე, უცხო ენის საკლასო ოთახში (Edstrom, 2006), ორენოვანი პედაგოგია EFL-ში (Forman, 2010), პირველი ენისა და სამიზნე ენის თანადროული გამოყენება უცხო ენების საკლასო ოთახში (Littlewood & Yu, 2009). შესწავლილი საგანმანათლებლო კონტექსტი მოიცავს კოდების გადართვას საგნისა და ენის ინტეგრირებული ან უცხო ენის სწავლებისას (Lin & Man, 2009: 137).

განვიხილოთ ჩრდილოეთ ამერიკის მაგალითზე განხორციელებული კვლევები, რომლებიც ძირითადად ორ ჯგუფად იყოფა, კოდების გადართვა: 1. მეორე ენის სწავლების პროცესში, 2. ბილინგვური განათლების დროს. კვლევის დროს იყენებენ როგორც რაოდენობრივ, ისე ფუნქციურ ენობრივ ანალიზს. კვლევის ამოცანები, ძირითადად, მოიცავდა ორ ასპექტს: პირველი, მშობლიური, და მეორე ენის გამოყენების შეფარდებითი სიხშირე და მათი ფუნქციური განაწილება საკლასო ოთახში სწავლა-სწავლების დროს. მომდევნო ქვეთავები კვლევითი ჩარჩოების, უკვე

ჩატარებული კვლევების მაგალითებზე დაყრდნობით, შედარების ანალიზს ემსახურება.

ვარიაციონისტული სოციოლინგვისტიკა სოციოლინგვისტიკის ერთ-ერთი პირველი დარგია, რომელიც იყენებს რაოდენობრივ მიდგომას მონაცემთა ანალიზისთვის. ადრეული ვარიაციონისტული კვლევები არ ხასიათდება სტატისტიკური ანალიზის მეთოდებით, არამედ ემსახურება ორი ან მეტი ცვლადის დაკავშირებას. მაგალითად, კავშირი გარკვეულ ენობრივ ფორმებსა და სოციალურ კლასს შორის, ამასთანავე, ზემოთ აღნიშნულ კვლევებში ყურადღება გამახვილებულია უმეტეს წილად ენის სოციალურ ვარიაციებზე, ვიდრე რეგიონულ ვარიაციებზე. კორელაციური კვლევები ცდილობენ აჩვენონ, თუ როგორ მოქმედებს ან რა გავლენას ახდენენ სოციალური სტრუქტურა ან ცვლადი (სოციალური კლასი, სქესი, ასაკი და ეთნიკური წარმომავლობა) ენობრივ ცვლადებზე – ფონოლოგიის, სინტაქსის, დისკურსის დონეზე (Tagliamonte, 2006). ჯაილსი და სხვ. (Giles, 1980) მიიჩნევენ, რომ სოციოლინგვისტიკის კვლევებში კლასობრივი ვარიაცია უფრო გამორჩეული თვისებაა, ვიდრე სქესი.

ნიუ იორკში, 1960-იანი წლების დასაწყისიდან, რაოდენობრივი სოციოლინგვისტიკა იყო ენის კვლევის გავრცელებული ჩარჩო დაწყებული უილიამ ლაბოვის და მართა ვინიარდის ნაშრომებით (Labov 1969; 1972a, b). მართა ვინიარდის ადრეულ და ხშირად ციტირებულ კვლევაში, ხმოვანთა აწეულობასა და ცენტრალიზაციის შესახებ ლაბოვმა აღმოაჩინა, რომ ცენტრალიზაცია შეესაბამება გარკვეულ ასაკობრივ ჯგუფებს და მოსაუბრის ორიენტაციას. ეს დასკვნები წარმოადგენდა ენის სტრუქტურისა და გამოყენების შესახებ რაოდენობრივი მეთოდების ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ გამოყენებას (Labov, 1972b). შედეგებმა აჩვენა რომ ენობრივი ცვალებადობა არ იყო შემთხვევითი, უფრო მეტიც, დათვლადი იყო. ენობრივი ვარიაციები ადგენს ენის გამოყენების პრინციპს. ლაბოვის ნამუშევრების უმრავლესობა ენის სტრუქტურასა და ცვლილებას ეხება. ლაბოვი (1972) მიზნად ისახავდა ენობრივი ცვლადების იდენტიფიცირებას, როგორცაა ალტერნატიული გამოთქმა, ეკვივალენტური გრამატიკული კონსტრუქციები და სინონიმური სიტყვები სხვადასხვა სოციალურ კლასებში. ლაბოვმა (1966) აღმოაჩინა, რომ /r/ ხმოვანთა შემდეგ წარმოთქმის ალბათობა პირდაპირ კავშირში იყო ნიუ-

იორკში მოლაპარაკებების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან. ამასთანავე, ლაბოვის მიხედვით, /r/-ის გამოთქმა დაკავშირებულია ასაკთან, მაღალი საშუალო ფენის ახალგაზრდა მოსაუბრეები უფრო ხშირად წარმოთქვამენ /r/-ს, ვიდრე იმავე კლასის უფროსი მოსაუბრეები, მაგრამ დაბალი საშუალო ფენის ხანში შესული მოსაუბრეები უფრო ხშირად წარმოთქვამენ /r/-ს, ვიდრე ახალგაზრდა მოსაუბრეები (ციტირებულია Grieve, 2011).

ადრეული ვარიაციონისტული კვლევებისგან განსხვავებით, დროთა განმავლობაში ენობრივი ვარიაციის ანალიზისთვის უფრო განვითარებული მეთოდები შემუშავდა. 1970-იანი წლებიდან სოციოლინგვისტურ კვლევაში ყველაზე გავრცელებული სტატისტიკური მეთოდი ლოგისტიკური რეგრესიაა, რომელიც ამოწმებს მოსაუბრის სოციალური ასპექტები პროგნოზირებენ თუ არა მის ენობრივ არჩევანს, ენობრივი გარემოს გათვალისწინებით (Cedergren & Sankoff, 1974; Sankoff & Labov, 1979).

ლოგისტიკური რეგრესია გამოიყენება მაშინ, როცა საჭიროა  $X_1, X_2, \dots, X_n$  პრედიქტორების (რეგრესორების) მნიშვნელობებზე დაყრდნობით რაიმე ხდომილობის განხორციელების ალბათობის წინასწარმეტყველება. ამისათვის შემოდის დამოკიდებული ცვლადი  $Y$ , რომელიც იღებს მხოლოდ ორ მნიშვნელობას 0-ს, თუ ხდომილება არ განხორციელდა, და 1-ს, თუ განხორციელდა. ამ მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია, გამოვიკვლიოთ ბინარული (ორდონიანი კატეგორიული ცვლადი, დიქტომიური ცვლადი) ცვლადების დამოკიდებულების ხასიათი ნებისმიერ სკალაზე მიღებულ დამოუკიდებელ ცვლადებზე.  $Y=1$  ხდომილების განხორციელების ალბათობა გამოითვლება ფორმულით  $p = \frac{1}{1+e^{-z}}$ , სადაც  $Z = b_1X_1 + b_2X_2 + \dots + b_nX_n$ . ლოგისტიკური რეგრესიის ამოცანა სწორედ ამ  $b_i$  კოეფიციენტების გამოთვლაა.

თუ  $p$ -ს მნიშვნელობა გამოვა 0.5-ზე ნაკლები, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ განხილული ხდომილება არ განხორციელდება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ითვლება, რომ ხდომილება განხორციელდება. ლოგისტიკურ რეგრესიაში  $b_i$  კოეფიციენტების შესაფასებლად გამოიყენება მხოლოდ მაქსიმალური დასაჯერობის მეთოდი (Field, 2013).

მაგალითისთვის, ეშბიმ (Ashby, 1981) ლოგისტიკური რეგრესია ფრანგულ ენაში უარყოფითი 'ne' ნაწილაკის გამოყენების ვარიაციის ანალიზისთვის გამოიყენა. ფრანგულ ენაში 'ne' ნაწილაკი, სურვილისამებრ, შეიძლება წინადადებიდან ამოვარდეს. ეშბიმ აღმოაჩინა, რომ ასაკი, სოციალური კლასი და სქესი გავლენას ახდენს უარყოფითი ნაწილაკების გამოყენებაზე ფრანგულ ენაში, ახალგაზრდები, დაბალი საშუალო კლასი და ქალები უფრო მეტად უგულებელყოფენ წინადადებაში 'ne' ნაწილაკის გამოყენებას. ამ ტიპის სოციოლინგვისტურმა კვლევამ არაერთხელ აჩვენა, რომ ლინგვისტური ცვალებადობა დაკავშირებულია მოსაუბრეების სოციალურ მრავალ ფაქტორთან, მათ შორის ასაკი, სქესი, ეთნიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე სხვადასხვა ლინგვისტური ფაქტორები.

მიუხედავად იმისა, რომ ლოგისტიკური რეგრესია არის სტანდარტული ტექნიკა სოციოლინგვისტიკაში, რეგრესიის ანალიზის ეს ფორმა არ არის გავრცელებული სოციოლინგვისტიკის წინამორბედ და ამჟამად უკვე ქვედისციპლინაში, რეგიონულ დიალექტოლოგიაში. მართლაც, ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რამაც განაპირობა ტრადიციული დიალექტოლოგიის ჩანაცვლება თანამედროვე სოციოლინგვისტიკით იყო მონაცემთა ანალიზის სტატისტიკური მიდგომის მიღება.

ტრადიციული დიალექტოლოგია არ იყენებდა სტატისტიკურ მეთოდებს, არამედ ეყრდნობოდა სუბიექტურ ანალიზს, რუკებზე დატანილ (categorical display maps plotting) ენობრივი ცვლადის სხვადასხვა ვარიანტებს (მაგ., Wenker, 1881; Gillieron, 1902–10; Kurath, Hansen, Bloch, & Bloch, 1939–43; Kurath, 1949; Kurath & McDavid, 1961). თანამედროვე ამერიკული დიალექტოლოგია (მაგ., Pederson, McDaniel, & Adams, 1986–93; Carver, 1987; Labov, Ash, & Boberg, 2006) ჯერ კიდევ დიდწილად ეფუძნება მონაცემთა ანალიზის სუბიექტურ მიდგომებს; ძირითადი სტატისტიკა გამოითვლება, მაგრამ რეგიონული ნიმუშების იდენტიფიკაცია ჯერ კიდევ ეფუძნება, უპირველეს ყოვლისა, დიალექტოლოგთა თვალსაზრისს.

ევროპულ დიალექტოლოგიაში რაოდენობრივი მიდგომა, რომელიც ცნობილია როგორც დიალექტომეტრია (Séguy, 1971, 1973; Goebel, 1982, 2006; Nerbonne და სხვ., 1996; Nerbonne & Kleiweg, 2003, 2007) საყოველთაოდაა აღიარებული, მაგრამ აერთიანებს სხვადასხვა ენობრივ ცვლადებს, და ამდენად, არ გვთავაზობს

ინდივიდუალური ლინგვისტური ცვლადის მიერ რეგიონული ვარიანტის გამოვლენის ტესტირების პირდაპირ მეთოდს, ისე, როგორც ლოგისტიკური რეგრესია, რომლის მეშვეობითაც დგინდება, რომ სოციალური ცვლადები თავს იჩენენ ენობრივ ვარიაციებში. რეგიონული ენობრივი ნიმუშები მეტწილად არალინეარულია/არაწრფივია, სწორედ ამიტომ არ გამოიყენება ლოგისტიკური რეგრესია საყოველთაოდ მიღებულ მეთოდად აღნიშნულ დარგში.

### 1.2.1. ინგლისური, როგორც მეორე ენა (ESL), ამერიკის მაგალითი

წინამდებარე ნაშრომში მეორე ენა (L2) განმაზოგადებელი ტერმინია მეორე (უცხო, დამატებითი) ენის მნიშვნელობით, რომელიც გამოიყენება ენის სწავლების პროცესში.

ჩრდილოეთ ამერიკის ორ კონტექსტში: მეორე ენის ათვისებისა (ESL) და ორენოვან საგანმანათლებლო სივრცეში (Lin 2013: 197) ჩატარებული კვლევები ძირითადად რაოდენობრივ და ფუნქციურ ანალიზს მოიცავს, საკვლევ ამოცანას კი პირველი და მეორე ენების ფუნქციური და რაოდენობრივი გადანაწილება წარმოადგენს.

ჩრდილოეთ ამერიკაში ბილინგვური განათლების პროგრამის მოსწავლეებზე მასობრივი დაკვირვების შედეგად, პირველი და მეორე ენის გამოყენების შეფარდებითი სიხშირის თვალსაზრისით, დადგინდა უმცირესობათა ენისა (ესპანური, ჩინური) და უმრავლესობათა ენის (ინგლისური) მოსწავლეებს შორის საკლასო ოთახში გამოყენების შეფარდებითი სიხშირე და მნიშვნელობა თითოეული ენისთვის გამოყოფილი დროის გათვალისწინებით (Lin, 2013: 198). მონაცემები შეგროვდა როგორც უშუალოდ საგაკვეთილო პროცესზე დასწრების, ისე აუდიო- და ვიდეო ჩანაწერებზე დაკვირვების შედეგად. კვლევამ აჩვენა რომ მასწავლებლის მიერ პირველი ენის გამოყენება დამოკიდებულია მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობაზე. მაგალითისთვის განვიხილოთ ვონგ ფილმორის კვლევა ჩრდილოეთ ამერიკაში (Fillmore, 1980). მისი მტკიცებით, საკლასო ოთახში პირველი, მშობლიური ენის გამოყენება განპირობებულია მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთდამოკიდებულებით. კანტონურ-ინგლისურ ორენოვან პროგრამაში ღია კლასთან ურთიერთობის დროს მასწავლებელი იყენებდა მთლიანი საუბრის 8%-ს პირველ ენას და 92%-ს მეორე ენას, ხოლო ინდივიდუალური მუშაობისას

მასწავლებელი იყენებდა 28%-ს პირველ ენას. რაც შეეხება მოსწავლეებს, ისინი წყვილებში და ჯგუფური მუშაობისას იყენებდნენ 79%-ს პირველ ენას, როცა ღია საგაკვეთილო დისკუსიისას იყენებდნენ მხოლოდ 4%-ს პირველ ენას. კვლევა ცხადყოფს პირველი ენის უპირატესობას არაფორმალურ გარემოში.

განვიხილოთ კვლევა მეორე ენის საკომუნიკაციო მიმართულებით, რომელიც ოთხი სხვადასხვა პროგრამის მიხედვით (ფრანგული ენის ძირითადი პროგრამა, ფრანგული ენის იმერსიული ანუ უფრო ღრმად შესწავლის კურსი, ფრანგული ენის ვრცელი კურსი, სხვა არაენობრივი საგნების სწავლებასთან ერთად, ინგლისური, როგორც მეორე ენის კურსი) განხორციელდა კანადაში. ამ ოთხ პროგრამაში მასწავლებელი მეორე ენას მაღალი სიხშირით, 96%-ით, იყენებდა. ინდივიდუალური, წყვილებში და ჯგუფური მუშაობისას მოსწავლეები ამჯობინებდნენ პირველი ენის გამოყენებას. ხოლო მეორე ენას მხოლოდ ღია საკლასო დისკუსიის დროს იყენებდნენ. აშკარაა მოსწავლეები უმეტესწილად პირველ ენის გამოყენებას ანიჭებენ უპირატესობას. აღნიშნულ კვლევებში ენ(ებ)ის გამოყენების სიხშირის განმსაზღვრელი ფაქტორი იყო საგაკვეთილო პროცესის ვითარება და მასში არსებული აქტივობები<sup>1</sup> (მაგ., ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა, ღია საკლასო დისკუსია).

ადრეული კვლევებისაგან განსხვავებით, მომდევნო ნაშრომებში მკვლევრები იყენებენ ენის გამოყენების ფუნქციურ ანალიზს, პირველი ენის გამოყენების ფუნქციური კატეგორიების ჩამოყალიბების მიზნით (მაგ., Flanders, 1970). ფუნქციური ანალიზი გულისხმობს პირველი და მეორე ენების გამოყენების სიხშირის განაწილებას სხვადასხვა ფუნქციური კატეგორიების მიხედვით. მაგალითად, ლიგრეტას კვლევა ხუთ ესპანურ ორენოვან საბავშვო ბაღში ფლანდერის ადაპტირებული მოდელის, მრავალმხრივი კოდების სისტემის (ენის გამოყენების, მრავალმხრივი ფუნქციური ანალიზი), გამოყენებით. კვლევაში გამოიყენეს ორი სხვადასხვა მოდელი: თანადროული თარგმანი (Concurrent Translation (CT) და ალტერნატიული დღეები (Alternative Days (AD), ინგლისურის, როგორც მეორე ენისა და ესპანურის, როგორც პირველი ენის ფუნქციური განაწილების კვლევა. AD

---

<sup>1</sup> შემდგომში ტერმინი Participant Structure, რომელსაც გოფმანი (1974) და ჰელერი (2001) იყენებენ თავიანთ კვლევებში.

მოდელში თანაბარი ფუნქციური განაწილება ჰქონდა როგორც ბალის მასწავლებლის, ისე ბალის მოსწავლის ინგლისურსა (მეორე ენა) და ესპანურს (პირველი ენა). მასწავლებლის საუბრისას გაფრთხილებისა და მითითების გამოსახატავად ესპანური ჭარბობდა, ინგლისურს ბალის მასწავლებელი მოსწავლეების დისციპლინის დაცვის მიზნით იყენებდა. CT მოდელში მოსწავლეები გაფრთხილების, თანხმობის, აზრის განვრცობის დროს იყენებდნენ პირველ, ანუ ესპანურ, ენას. რაც შეეხება მასწავლებლებსა და მათ დამხმარე პერსონალს ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციებისთვის მეტწილად იყენებდნენ ინგლისურ, ანუ მეორე, ენას (Legarreta, 1977).

ფუნქციური კვლევები განხორციელდა აშშ-ში არაენობრივი ორენოვანი საგნების (მაგ. სამოქალაქო განათლება (Milk, 1981) და რამდენიმე: მეორე და უცხო ენების სწავლების, მაგალითზე. სამოქალაქო განათლების გაკვეთილზე მასწავლებლის ლინგვისტური კოდის გაანალიზების საფუძველზე წარმოდგენილია ძირითადი პედაგოგიკური ექვსი ფუნქცია (მაგ., ინფორმაციული, დირექტიული, იუმორისტულ-გამომხატველი და ა.შ.) (Sinclair & Coulthard, 1975). კვლევამ აჩვენა, რომ ინგლისური (L2) დომინირებდა მასწავლებლის მიერ მითითებების მიცემისას (92%) და რთულ გამონათქვამებში (63%), ხოლო სხვა ფუნქციებში L1 და L2 თანაბრად გამოიყენებოდა (მაგ., მასალის ახსნის, ემოციების გამოხატვის, პასუხის გაცემის, ინფორმაციის მიწოდების). გარდა ამისა, მილკმა აღწერა ოსტატური მანერა, რომელშიც ორენოვანი მასწავლებელი გადაერთვებოდა ესპანურ და ინგლისურ ენებს შორის იუმორის გამოხატვის მიზნით, როგორც სოციალური კონტროლის საშუალებად, ასევე მოსწავლეთა ინტერესის გასაღვივებლად. გუთრი იყენებს კვლევის მსგავს მეთოდებს ინგლისურის, როგორც მეორე ენის სწავლების პროცესში, მე-11 კლასის კანტონელ-ამერიკელ მოსწავლეებთან (როგორც, დაბალი ენობრივი კომპეტენციის, ისე თავისუფლად მოსაუბრებთან) (Guthrie, 1984). კვლევის ფარგლებში გაანალიზა ორი სხვადასხვა გაკვეთილი: ორენოვან მასწავლებელთან კანტონურ-ინგლისურ ენაზე კითხვასა და ერთენოვან მასწავლებელთან საუბრის უნარზე ორიენტირებული გაკვეთილები. სავლეთ შენიშვნები და გაკვეთილების ექვსსაათიანი აუდიო ჩანაწერები მოიპოვა და დაშიფრა ორმა ორენოვანმა დამკვირვებელმა.



გუთრიმ აღმოაჩინა, რომ კომუნიკაცია ინგლისელ ერთენოვან მასწავლებელსა და ინგლისური ენის დაბალი დონის მქონე მოსწავლეებს შორის ძირითადად ხასიათდებოდა ენობრივი ქცევებისთვის დამახასიათებელი გამოთქმებით, როგორცაა „ყურადღების მიმღები“, „მოქმედების მომთხოვნი“ და „პროტესტის გამომხატველი“, რაც მიუთითებს საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლის კონტროლის ნაკლებობასა და მოსწავლის ყურადღების გაფანტულობაზე.

მეორე მხრივ, იმის მეუხედავად, რომ ორენოვანი მასწავლებელი ცდილობდა მაქსიმალურად შეემცირებინა მშობლიური ენის გამოყენება, იგი გაუცნობიერებლად, ძალიან იშვიათად, თუმცა მაინც იყენებდა (საშუალოდ 7% -ზე ნაკლები), კანტონურს (მოსწავლეთა L1) ინგლისურის კითხვის გაკვეთილებზე. გუთრის კვლევის მიხედვით, მასწავლებლის მიერ L1 გამოყენების ფუნქციები შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად: (ა) სოლიდარობის გამოხატვის („ჩვენ-კოდი“) ფუნქცია, ბ) მოსწავლეების მიერ გაგებულის გადასამოწმებლად, გ) პირველი და მეორე ენების შეპირისპირება და მოსწავლეთა დაბნეულობის გამომწვევი სავარაუდო მიზეზების წინასწარი განსაზღვრა. ლინი აღნიშნავს, რომ „სანამ ფუნქციონალური კოდირების მიდგომა დომინირებდა ადრეულ კვლევებში (Lin, 2013: 198-200), ზოგიერთ ახალ კვლევაში (მაგალითად, Milk 1981; Guthrie 1984) ეთნოგრაფიული ინტერვიუები და ინტერაქციული სოციოლინგვისტური მეთოდები გამოიყენეს და ეს ტენდენცია გაგრძელდა მომდევნო ნაშრომებშიც“.

ამგვარად, წინამდებარე კვლევები იყოფა ორ ჯგუფად: 1. პირველი ენის გამოყენების სიხშირე და 2. პირველი და მეორე ენების გამოყენების ფუნქციური განაწილება. მაგრამ აღნიშნული კვლევები ჩატარდა ისეთ საგაკვეთილო პროცესზე დაყრდნობით, რომლებშიც ინგლისური იყო პირველი ან მეორე ენა და არა უცხო ენა. ინგლისური, როგორც უცხო ენის, სწავლების დისკურსს განვიხილავთ მესამე თავში.

### 1.3 თვისებრივი კვლევები

სოციოლინგვისტიკა სისტემური მიდგომით ცდილობს სამყაროს სხვადასხვა ასპექტის ინტერპრეტაციას. განსხვავებით რაოდენობრივი კვლევისა, რომლის მიზანია გაარკვიოს თუ რამდენად ხშირად და რამდენჯერ ხდება გარკვეული ქცევა, თვისებრივი კვლევა მიზნად ისახავს, გაარკვიოს, თუ რატომ იქცევიან ადამიანები ასე

და „როგორ ყალიბდება ჩვენი სოციალური სამყარო“ (Hancock და სხვები, 2009). რაოდენობრივი მკვლევრები მიდრეკილნი არიან გამოავლინონ, თუ როგორ გრძნობენ და ფიქრობენ ადამიანები იმაზე, რაც მათ გარშემოა, იმის განსჯის გარეშე თუ რამდენად მართებულია ეს აზრები და გრძნობები (Thorne, 2015).

დორნი (Dörnyei, 2011) განასხვავებს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების ეტაპებს და ამტკიცებს, რომ პირველი შეიძლება დაიყოს ორ ეტაპად: მონაცემთა შეგროვებისა და მონაცემთა ანალიზის, რომლებიც ერთმანეთს მიჰყვება, მაგრამ თვისებრივი კვლევა შეიცავს ორ ფაზას, რომლებიც ხშირად ერთმანეთს ემთხვევა და კვეთს. მისი მტკიცებით, თვისებრივი კვლევის მეთოდით მონაცემების შეგროვების სხვადასხვა გზა არსებობს: ეთნოგრაფია, დასაბუთების თეორია, ფოკუსჯგუფის ინტერვიუ, ჩაღრმავებული ინტერვიუ, და შემთხვევის შესწავლა. ვორდო და ფულერი (Wardhaugh & Fuller, 2015) ამატებენ სხვა მიდგომებს, როგორცაა „დისკურსის ანალიზი“, რომელიც მიზნად ისახავს გამოავლინოს საუბრის სტრუქტურა და მისი ძირითადი პრინციპები და ინტერაქციულ სოციოლინგვისტური, განსაზღვრულია და დაფუძნებულია გუმპერცის (2003) მიერ, რომელიც ითვალისწინებს თვისებრივი ანალიზის განმეორებად მეთოდებს, რომლებიც ასახავენ ჩვენს უნარს ინტერპრეტაციაში, თუ რის გადმოცემას აპირებენ მონაწილეები ყოველდღიურ კომუნიკაციურ პრაქტიკაში“ (ციტირებულია Wardhaugh & Fuller, 2015:138-139).

ეთნოგრაფია ხშირად გამოიყენებოდა, როგორც თვისებრივი კვლევის სინონიმი და სათავეს იღებს ანთროპოლოგიიდან, მიზნად ისახავს, აღწეროს რწმენები და კულტურები, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიდრეკილია კულტურული ქცევის პროცესებისა და პროდუქტების ინტერპრეტაციისკენ, ნათესაობრივი კავშირებისა და ცხოვრების ტიპების ინტერპრეტაციისკენ. ნორმა მენდოზა-დენტონმა (Mendoza-Denton, 2014) ეთნოგრაფიული მიდგომით გადაწყვიტა შეედარებინა და დაეპირისპირებინა ორი კონკურენტი სტუდენტური დაჯგუფება, ნორტენასი (Nortenas) და სურენასი (Surenas), სოციოლინგვისტური კვლევა ლათინური იდენტობის/თვითმყოფადობის შესახებ. ეს საშუალო სკოლა მდებარეობს სან-ფრანცისკოს ყურის მხარეში. გახდა რა ამ დაჯგუფებების წევრი, შეძლო აღწერა მათი მახასიათებლები. ნორტენები ჩრდილოეთისკენ იყვნენ ორიენტირებული და

საუბრობდნენ ინგლისურად, ატარებდნენ წითელ აქსესუარებს და წითელ პომადას, თმას იხვევდნენ და უსმენდნენ Motown Oldie<sup>2</sup> მუსიკას. სურენები სამხრეთზე იყვნენ ორიენტირებული, საუბრობდნენ ესპანურად, ატარებდნენ ლურჯ აქსესუარებს და ყავისფერ პომადას და ემხრობოდნენ მექსიკურ მუსიკას.

მენდოზა დენტონმა წარმოადგინა გარკვეული ინფორმაცია ორ ჯგუფზე და იმაზე, თუ როგორ გამოხატავენ და ამჟღავნებენ თავიანთ იდენტობას სხვადასხვა აქტივობებისა და ჟანრის მეშვეობით, მაგალითად, ესპანური ენის გარკვეული ენობრივი მახასიათებლები განსხვავდება დაჯგუფებისადმი ერთგულების სიძლიერის მიხედვით. იგი ცდილობდა გამოესახა ენისა და ვარიაციის ყოვლისმომცველი სოციოლინგვისტური ანალიზი და ასევე ენასა და ქცევას შორის ურთიერთობის გამომხატველი ანთროპოლოგიური ანალიზი (Bird, 2010). დასაბუთების თეორია (Grounded theory) თვისებრივი კვლევითი მეთოდების ლიტერატურაში ზოგადი ტერმინია, რომელიც პოულობს მნიშვნელობებს ცალკეული ინფორმაციის შეჯერების მეშვეობით, ნაცვლად საუბრის მოქმედებების ცალ-ცალკე გაანალიზებისა (Belaskri, 2012).

ასევე, ჩო და ლი (2014) განსაზღვრავენ დასაბუთების თეორიას, როგორც „თეორიის აღმოჩენას მონაცემებიდან – სისტემატურად მიღებულ და გაანალიზებულ სოციალურ კვლევაში“. თეორიის დასაბუთების ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია ის, რომ მკვლევრებს შეუძლიათ ფენომენის ჰოლისტიკური დაჯგუფება. განსხვავება თვისებრივ კვლევასა და დასაბუთებულ თეორიას შორის არის ის, რომ თვისებრივი კვლევა შეიძლება გამოყენებულ იქნას კომუნიკაციასა და ლინგვისტიკაში, დასაბუთების თეორიის გამოყენება შესაძლებელია სოციოლოგიის სფეროში (Cho & Lee, 2014). თვისებრივი კვლევა ვერ ამოწმებს ჰიპოთეზას, უმეტეს წილად, ის კონცენტრირებულია სოციალური ფენომენების გაგებაზე (Mackey & Gass, 2005, ციტირებულია Yamini & Rahimi, 2007).

მომდევნო ქვეთავებში განვიხილავთ სოციოლინგვისტიკაში ყველაზე გავრცელებულ ორ თეორიას (საუბრის ანალიზის (CA) და ინტერაქციული სოციოლინგვისტიკის (IS)).

---

<sup>2</sup> მუსიკალური ჟანრი, 1960-იანი წლებში დაარსდა აშშ.-ში.

### 1.3.1 კოდების გადართვის ტიპოლოგია

კოდების გადართვის ტიპოლოგია, სხვადასხვა მეცნიერის მიხედვით, ორ ჯგუფად იყოფა. პირველ ჯგუფში უნდა გამოვყოთ მეცნიერთა ნაწილი პოპლაკი, დრიუ და ჰერიტიჯი (Poplack, 1982; Drew & Heritage, 1992), რომლებიც გვთავაზობენ კოდების გადართვის სტრუქტურულ, ტიპოლოგიას. სოციოლინგვისტური ანალიზისას გამოიყო სამეცნიერო ლიტერატურაში ყველაზე გავრცელებული სამი (ურთიერთ გადამკვეთი) მიდგომა: სოციო-ფსიქოლოგიური კვლევა (მაიერს-სკოტონის მარკირების მოდელი (Myers-Scotton's *markedness model*, 1983, 1993, 1998), იდენტობისა და კოდის არჩევანის კავშირის კვლევა (გუმპერცის სიტუაციური და მეტაფორული კოდების გადართვა, „ჩვენ-კოდი“ (we-code) და „თქვენ-კოდი“ (they-code) და საუბრის ანალიზის თეორია (Conversation Analysis (CA)), კოდების გადართვა და კონტექსტუალიზაცია.

ინტერაქტიული სოციოლინგვისტიკის დარგში (interactional sociolinguistics), ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია კოდების გადართვის სოციალური მნიშვნელობის შესწავლა ორენოვანების საუბარში (Gumperz 1982; 1984; 1986).

რაც შეეხება კოდების გადართვის სოციალური ფაქტორების თეორიულ ანალიზს, ორი ინტერაქტიული მიდგომა გამოიყოფა: მარკირების მოდელი (the markedness model) (Myers-Scotton 1993a; 1993b; 1998) და საუბრის ანალიზის თეორია (conversation analysis (CA) (Auer 1995; Li Wei, 1995; 2002).

#### 1.3.1.1 კოდების გადართვა და საუბრის ანალიზის თეორია (The conversation analysis (CA)

კოდების გადართვის შესწავლის პროცესში კიდევ ერთი მიდგომა საუბრის ანალიზის (CA) თეორია გამოიყო (Drew & Heritage, 1992; Li Wei, 1999; Seedhouse, 2004). ენობრივი არჩევანის ახსნისას, საუბრის ანალიზის მიხედვით, მოსაუბრე იცავს სტრუქტურული ორგანიზაციის (მაგ., მოსაუბრისა და თანამოსაუბრის ჯერი რიგობითობა საუბარში (turn-taking) მომიჯნავე წყვილები (adjacency pairs) მუდმივ, სისტემატურ თვისებებს. მეორე, უცხო ენის კლასში სწავლების პროცესში საუბრის ანალიზის თეორიის გამოყენება ორ მიდგომას გთავაზობს ემიკურ ემოციურ (emic perspective) და კონტექსტუალიზაციის (contextuality).

ემოციური პერსპექტივის გამოყენებისას (მიკროანალიტიკური მიდგომა) მეორე ენის სწავლების პროცესში, მოსაუბრეთა არა ვინაობას, არამედ საუბრის გეზს ექცევა ყურადღება, ვინაიდან საუბრის ანალიზის თეორიის მიხედვით, მოსაუბრე გავლენას ახდენს და განსაზღვრავს თანამოსაუბრის კონტექსტს.

**ცხრილი 6. საუბრის ანალიზის თეორიის მახასიათებლები**

<b>საუბრის ანალიზის თეორია</b>	
სანდოობა	საუბრის ანალიზის თეორია მკაცრად წარმოაჩენს საკითხის ემპირიულ დასაბუთებას ნებისმიერი აღწერილობის მართებულად მიღებისთვის (Peräkylä 1997: 202).
სტანდარტიზაცია	ჯეფერსონის მიერ შემუშავებული ტრანსკრიფციის სისტემა (1988) გამოიყენება სტანდარტიზაციის უზრუნველსაყოფად. ტენ ჰეივის თანახმად (Have, 2007: 77), ჯეფერსონის სისტემა საკმაოდ ზოგადი ხასიათისაა. მკვლევრის მიერ ტრანსკრიპტის ცვალებადობა ყოველთვის განიხილებოდა პრობლემად: <ul style="list-style-type: none"> <li>• თავად ავტორების ნაწერებში შეუსაბამობის პრობლემა (O'Connell &amp; Kowal, 1990)</li> <li>• ტრანსკრიპტების რეპროდუცირების, ციტირების ან რედაქტირების პრობლემა (Kitzinger, 1998)</li> <li>• სანდოობისა და ინტერსუბიექტურობის პრობლემა (Kerswill &amp; Wright, 1990; Peräkylä, 1997).</li> </ul>
გამჭვირვალობა (მრავალჯერადი მოსმენა)	გამჭვირვალობის მისაღწევად ტრანსკრიპტებში ორიგინალთან ერთად ასევე მოცემულია თარგმანი. გაკრიტიკებულია ისეთი მკვლევრებიც (მაგ., Aronsson & Cederborg, 1997), რომლებმაც ორიგინალ ტექსტთან ერთად მხოლოდ თარგმანი წარმოადგინეს ან ორიგინალური

	<p>ვერსია აჩვენებს მონაცემებში და თარგმანი დანართში დაიტანეს. თუმცა, ტენ ჰეივი (Ten Have, 2007: 93) ამტკიცებს, რომ ეს მეთოდები საკმარისი არ არის მონაცემების მკაფიოდ წარმოსადგენად. იმის გათვალისწინებით, რომ გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს კვლევის ვალიდურობას. წინამდებარე კვლევაში შევეცადეთ, დამატებით, ალიტერაციის გზით ორიგინალი ტექსტის შენარჩუნებას.</p>
ხელმისაწვდომობა	<p>ჩანაწერი და ტრანსკრიპტი საშუალებას იძლევა არაერთხელ დაუბრუნდე კოდების გადართვის ეპიზოდებს, რათა საჭიროების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭოს კვლევისთვის საინტერესო მომენტებს.</p>
ტექნოლოგია	<p>თვისებრივი კვლევის ანალიზისთვის, ტრანსკრიპტად ქცევისთვის დღეს ძალიან ბევრი ვებგვერდი და კომპიუტერული პროგრამაა, მათ შორისაა Otter.ai, Transana.com და ა.შ., რომელთა მეშვეობითაც დღეს შესაძლებელია საუბრის ძირითადი მახასიათებლების გამორკვევა და ანალიზი.</p>
შიდა პერსპექტივა (Emic Perspective)	<p>შესწავლა შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ იმის მტკიცებით, რაც რეალურად ჩანს, დეტალური თანმიმდევრული ანალიზის მეშვეობით (შიდა ვალიდობა).</p>
განზოგადებადობა (გარე ვალიდობა)	<p>ერთ კვლევაში, კონკრეტულ საკლასო ოთახზე გაკეთებული დასკვნების განზოგადება არავალიდურია (Bryman 2001).</p>
მონაცემებზე ორიენტირებული	<p>საუბრის ანალიზის თეორია არა ანალიტიკოსების ინტერპრეტაციაზე ორიენტირებული, არამედ</p>

	<p>მოსაუბრეთა ენის არჩევანის ინტერპრეტაციაზე ორიენტირებული თეორიული ჩარჩოა, რომლის მეშვეობითაც მკვლევარს მხოლოდ მონაცემთა დანახვა შეუძლია და მათი ინტერპრეტაცია იმდენად, რამდენადაც ტრანსკრიპტი იძლევა საშუალებას (Liddicoat, 2007).</p>
საიმედოობა	<p>ორივე ზემოთ და ქვემოთ მოცემულმა ფაქტორებმა (მონაცემებზე ორიენტირებულობამ და სამკუთხა მიდგომამ) გაზარდა სანდოობა აღნიშნული მიდგომისადმი.</p>
სამკუთხა მიდგომა	<p>ვინაიდან კვლევის მხოლოდ ერთი მეთოდის გამოყენება არასრულ მონაცემებამდე გაგვიყვანს, რეკომენდებულია სამკუთხა მიდგომა (ანუ ინფორმაციის შეგროვება ორი ან მეტი რესურსიდან), რომელიც ასევე შეგროვებულ ინფორმაციას უფრო სანდოს ხდის (Richards 2001). მაგ., ჩანაწერებს ახლავს მონაწილეთა კითხვარები და მკვლევართა შენიშვნები საკლასო დაკვირვებებიდან.</p>
ანონიმურობა	<p>მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის პროცესში ლექტორები და სტუდენტები რჩებიან ანონიმური.</p>
რელევანტურობა	<p>კირკი და მილერი (Kirk &amp; Miller, 1986) ამტკიცებენ, რომ დასკვნები უნდა იყოს „კვლევის შემთხვევითი გარემოებებისაგან დამოუკიდებელი“ (ციტ. Peräkylä 2004: 285). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიზანმიმართულად შერჩეულ მონაკვეთებს დიდი გავლენა აქვთ ზოგადად კვლევაზე, რადგან მათ შეუძლიათ შეცვალოს კვლევის შედეგი.</p>
დამატებითი ინფორმაცია	<p>ყოველი მაგალითის დასაწყისში მოცემულია დამატებითი ინფორმაცია საგანმანათლებლო კონტექსტის მკაფიო</p>

ამ მიდგომის მიხედვით, ძირითადი ყურადღება გამახვილებულია საუბრის თანმიმდევრულობაზე. ეს მნიშვნელობას ანიჭებს მოსაუბრისა და თანამოსაუბრის როლს და ადრესატის მიერ მყისიერ რეაგირებას საუბრის ფორმირების პროცესში და ამცირებს საზოგადოების უფლებებისა და მოვალეობების როლს, მნიშვნელობის გამოხატვა შესაძლებელია კოდების მონაცვლეობის შესწავლით სრულ საუბარში. დრიუსა და ჰერიტიჯის მიხედვით, საუბრის ანალიზი წარმოადგენს დინამიკურ მიდგომას, რომელშიც კონტექსტი განიხილება, როგორც მოსაუბრისა და თანამოსაუბრის პროექტი და მათი ქმედებების პროდუქტი. შესაბამისად, როგორც არსებითად ადგილობრივად წარმოქმნილი და ნებისმიერ მომენტში გარდაქმნადი (Drew & Heritage 1992: 19). მიუხედავად იმისა, რომ საუბრის ანალიზის თეორია თავდაპირველად შემუშავებული იყო ერთენოვანი (მონოლინგვური) საუბრის გასაანალიზებლად, შემდგომში გამოიყენეს ორენოვანთა საუბრის სტრუქტურული ინტერპრეტაციისათვის (Auer, 1998). ეს მიდგომა ხაზს უსვამს წვრილმარცვლოვან ტრანსკრიფციას და საუბრის მონაცემების ანალიზს საუბრის მნიშვნელობის ქრონოლოგიურ თანმიმდევრობაში გამოსავლენად. აუერი კოდების გადართვის მნიშვნელობის შესასწავლად გამოყოფს საუბრის ანალიზის ორ უპირატესობას (Auer, 1984).

პირველი, საუბრის ანალიზის თეორია ყურადღებას ამახვილებს ენის არჩევანის პრიორიტეტულობაზე თანმიმდევრული საუბრის ფარგლებში, ე.ი. მოლაპარაკე რომელ ენას აირჩევს თავისი საუბრის ჯერის დროს, გავლენას ახდენს თანამოსაუბრის ენის არჩევანზე (Auer, 1984: 5) მეორე, საუბრის ანალიზის თეორია ზღუდავს გარე ანალიტიკოსის ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, რადგან მკვლევარი თავის ინტერპრეტაციას კვლავ მოსაუბრესა და თანამოსაუბრეს, მათ ურთიერთგაგებას უკავშირებს (Auer 1984: 6). ლი ვეის მტკიცებით, საუბრის ანალიზის მიდგომა ორენოვანი (ბილინგვური) საუბრის ფარგლებში სამ ფუნდამენტურ პუნქტს გამოყოფს: 1) შესაბამისობა, 2) პროცედურული შედეგი და 2) სოციალური და საუბრის სტრუქტურებს შორის ბალანსი. საუბრის ანალიზის მომხრე მკვლევრებმა უნდა აჩვენონ თავიანთი ანალიზის მნიშვნელოვნება საუბრის



მონაწილეთათვის (Li Wei, 2005). პროცედურული შედეგი გულისხმობს საუბრის განსაზღვრას ექსტრალინგვისტური კონტექსტით. მკვლევრები უნდა დაეყრდნონ საუბრის მონაცემების მტკიცებულებებს და არა თავიანთ ინტუიციებს. საუბრის ანალიზის თეორიის მიმდევრებმა, საჭიროა, მხედველობაში მიიღონ სოციალური და საუბრის სტრუქტურების ბალანსი. მკვლევრის მოვალეობაა, აჩვენოს როგორ აისახება ან მოქმედებს მოსაუბრის იდენტობა, განწყობა, ძალაუფლების გამოხატვა და ფორმალობა საუბრის თანმიმდევრობაზე. ეს სამი პუნქტი კვლევის ინტერესის მნიშვნელოვან ცვლაზე მიუთითებს, „რატომ“ კითხვაზე პასუხის გასაგებად, მკვლევრებმა სრულად უნდა შეისწავლონ მოსაუბრისა და თანამოსაუბრის ინტერაქციული კონტექსტი, პასუხი უნდა გაეცეს „როგორ“ კითხვებს. ამგვარად, საუბრის ანალიზის თეორიის დანიშნულებაა, გაანალიზოს თუ როგორ აირჩია კონკრეტული ენა (Auer, 1984: 3).

საუბრის ანალიზის მიდგომა არ ითვალისწინებს მოსაუბრისა და თანამოსაუბრის მოტივაციას კოდის გარკვეული არჩევანისადმი, მიუხედავად იმისა, რომ აქცენტი გაკეთებულია ტრანსკრიფციის ტექნიკაზე და მოსაუბრისა და თანამოსაუბრის საუბრის ჯერზე (Myers-Scotton, 1999; Myers-Scotton & Bolonyai, 2001). ასევე ის ფაქტი, რომ ზოგიერთი მკვლევარი იყენებს საუბრის ანალიზის თეორიას, როგორც ტრანსკრიფციის მეთოდს, მაგრამ სისტემატურად არ განმარტავს მათ დასაბუთებას. აშკარაა უკმაყოფილება იმის შესახებ, რომ საუბრის ანალიზი არის თეორიული (Ten Have, 2007).

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ რაციონალური არჩევანის მოდელი მკვლევრებისათვის არის კოდების გადართვის სოციალური მოტივაციის შესწავლის შესაძლებლობა, ხოლო საუბრის ანალიზის თეორია წარმოადგენს მტკიცებულებებს, რომ რაციონალური არჩევანის მოდელს სჭირდება მისი მხარდაჭერა. მსგავსი ორმაგი დონის მიდგომა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ახსნა შეძლებს „გააღრმავოს ჩვენი გაგება, თუ როგორ იყენებენ ორენოვანი მოსაუბრეები ენობრივ და ინტერაქციულ რესურსებს, რათა მიაღწიონ უფრო მდიდარ, საინტერესო, მაგრამ მაინც აქტუალურ განმარტებას“ (Li Wei, 2005: 387).

საუბრის ანალიზის (CA) მიდგომის დამცველები (მაგ., Auer, 1995 1998; Gafaranga 2007), ამტკიცებენ, რომ კოდების გადართვის მოტივაციის ყველა ატრიბუტი უნდა იყოს დინამიკური, კონსტრუქტივისტული და მოსაუბრისა და თანამოსაუბრის საუბრის ჯერის გაანალიზებაზე დაფუძნებული. მაგრამ, თავის მხრივ, ანალიზისას გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა შესაბამისი კონტექსტუალიზაციის ნიშანი, როგორცაა პროსოდიული მახასიათებლები და პაუზების ხანგრძლივობა (ინტერაქციული სოციოლინგვისტიკა (IS), რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ორენოვანი (ბილინგვური) საუბრის მნიშვნელობის ჩამოყალიბებას.

ამ მოსაზრების თანახმად, ძირითადი საკვლევი კითხვა შემდეგია: „რისი გაკეთება ან მიღწევა სურს მოსაუბრეს კოდების გადართვით?“ ეს კითხვა არ განიხილება სათანადოდ ორენოვანი ინტერაქციის ყველა შესაბამისი კონტექსტუალიზაციის ნიშნის შესწავლის გარეშე, რაც ხსნის საუბრის ანალიზის თეორიის მიმდევრების დაჟინებას მკაცრი პროტოკოლის დაცვასთან დაკავშირებით, ბუნებრივი დაკვირვებით მოპოვებული კოდების გადართვის მონაცემების ჩაწერასა და ტრანსკრიბირებასთან მიმართებით. განურჩევლად იმისა, თუ როგორ აანალიზებენ მკვლევრები ენობრივი კონტაქტის ფენომენს, როგორცაა კოდების გადართვა, ის წარმოადგენს ორენოვანების ენობრივი რესურსის ნაწილს. ორენოვანების ძირითადი საზრუნავი არის თითოეული საუბრის მომენტის მნიშვნელობის განსაზღვრა თანამოსაუბრესთან, მსგავსი ენობრივი ცოდნით ან რეპერტუარით, საუბრისას.

### 1.3.1.2 კოდების გადართვა და ინტერაქციული სოციოლინგვისტიკა

ინტერაქციული სოციოლინგვისტიკა დაინტერესებულია მოსაუბრეთა რეპერტუარითა და მსმენელის ინტერპრეტაციის უნარით. ეს ტერმინი და პერსპექტივა დაფუძნდა ჯონ გუმპერცის (1982a) ნაშრომში, რომელმაც გააერთიანა ანთროპოლოგიის, ლინგვისტიკის, ინტერაქციული პრაგმატიკისა და საუბრის ანალიზის ინტერპრეტაციულ ჩარჩოში არსებული შეხედულებები და ინსტრუმენტები საუბრის მნიშვნელობის გასაანალიზებლად. ინტერაქციული სოციოლინგვისტიკა ცდილობს დააკავშიროს ემპირიულ კომუნიკაციური ფორმები – მაგალითად, სიტყვები, პროსოდია, რეგისტრის მონაცვლეობა და სხეულის ენა – და მოსაუბრეთა მიერ კოდირებული მნიშვნელობები. გუმპერცის თეორიის მთავარი

მიღწევა იმის წარმოჩენას რომ კონტექსტი და მესიჯის ფორმა ერთმანეთისგან განსხვავდება და ინტერპრეტაციისას საჭიროა მკაფიო კავშირის წარმოჩენა შეტყობინების ფორმებსა და სოციალურ და კულტურულ კონტექსტს შორის.

ინტერაქციულ სოციოლინგვისტიკაში მნიშვნელობა შეესაბამება „ადგილობრივ ინტერპრეტაციას“. გუმპერცის (Gumperz, 1992: 230) მიხედვით, „ნებისმიერი გამოთქმის სიტუაციური ინტერპრეტაცია საუბრის კონტექსტში გაკეთებული დასკვნების საკითხია, რომლის ბუნება შეზღუდულია როგორც ნათქვამით, ასევე მისი ინტერპრეტაციით“. დასკვნა მოიცავს „საკომუნიკაციო განზრახვის ჰიპოთეზის მსგავს საცდელ შეფასებებს, ანუ მსმენელის ინტერპრეტაციას იმის შესახებ, რის გადმოცემასაც ცდილობს მოსაუბრე“ (Gumperz, 1992: 230). თანამოსაუბრეები გამუდმებით ცდილობენ გაარკვიონ, რას გულისხმობს ადამიანი იმით, რასაც ამბობს და როგორ ამბობს ამას. ამგვარ პერსპექტივებს (კონტექსტი და საუბრის მნიშვნელობა) შორის კავშირი ჩანს გუმპერცის ნაშრომში – ნორვეგიაში სასაუბრო კოდების გადართვის შესახებ.

აღნიშნული ნაშრომით, გუმპერცმა აჩვენა, რომ კონტექსტი ჩვეულებრივ გავლენას ახდენდა კოდის არჩევაზე, მაგრამ მან ასევე აჩვენა, რომ თავად მეტყველებას შეუძლია კონტექსტის ხელახალი განსაზღვრა. მოსაუბრეები ზოგჯერ იყენებდნენ კოდის ალტერნატივას, რომელიც არ იყო მოსალოდნელი, ან „ჩვეული“ კონკრეტული კონტექსტისთვის და ასეთი გამოყენება გარკვეულწილად გარდაქმნიდა სოციალურ და კომუნიკაციურ კონტექსტს. ამგვარად, ადგილობრივ დიალექტზე გადართვა (ასოცირებული იყო არაფორმალურობასა და სოლიდარობასთან) შეიძლება გადაქცეულიყო უფრო დიდ აქტივობისა და ფიზიკური კონტექსტის შუაგულში, რომელიც უფრო ფორმალური და ინსტიტუციური იყო.

ინტერაქციული სოციოლინგვისტიკა ორიენტირებულია იმ მეთოდებზე, რომლებითაც მოსაუბრეები ქმნიან სოციალურ სამყაროებს და მნიშვნელობებს. მეთოდოლოგიურად, ინტერაქციული სოციოლინგვისტიკა ეყრდნობა საუბრების აუდიო ან ვიდეო ჩანაწერების მჭიდრო, კულტურულად ინფორმირებულ დისკურსულ ანალიზს. ელექტრონული ჩანაწერების დეტალური ანალიზი მნიშვნელობის გაგებისა და მისი ინტერპრეტირებისთვის უმთავრესია, ვინაიდან

მოსაუბრეების მიერ გადართვები სწრაფი, გაუცნობიერებელი და კულტურულად ცვალებადია.

### 1.3.1.3 მარკირების მოდელი (The Markedness Model)

მარკირების მოდელი აერთიანებს მიკრო და მაკრო ფუნქციებს კოდების გადართვის შესწავლის პროცესში. ფიშმანის ნორმატიული ჩარჩოს ამოსავალი დებულების მიხედვით, მრავალენოვან საზოგადოებაში მოსაუბრის მიერ ენის შემთხვევით შერჩევის ტენდენცია არ შეინიშნება (Fishman 1972: 437). მაიერს სკოტონის მოსაზრებით კოდის არჩევანი, ზოგადად, საზოგადოებაში მიღებული წესების იდენტურია, მით უფრო რომ წესები განსაზღვრავენ მიახლოებულ, შესაძლო მარკირებულ არჩევანს და არა მოსაუბრის რეალურ არჩევანს. მაიერს სკოტონისთვის კოდების გადართვა საუბრის ერთ-ერთი მუდმივი ფუნქციაა და არა სიტუაციიდან გამომდინარე ქცევა (Myers-Scotton, 1987).

აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნებში შეგროვებულ ვრცელ მონაცემებზე დაყრდნობით, მაიერს სკოტონი მიიჩნევს, რომ ნებისმიერ ორენოვან საზოგადოებაში კოდის არჩევანი სამ, ურთიერთდაკავშირებულ ლოგიკურ პოსტულატს ემყარება:

1. ორენოვანი, როგორც რაციონალურად მოაზროვნე პირი, მოწადინებულია სრულყოფილად გადმოსცეს სათქმელი;
2. მოსაუბრის ენობრივ რეპერტუარში საუბრისას მოიძებნება სხვადასხვა ენის პოტენციური ლექსიკური მარაგი, რომელსაც მოლაპარაკე ინტერაქციის შესაბამისად გამიზნულად იყენებს; კონკრეტულ ინტერაქციაზე დამოკიდებული კოგნიტიური გამოთვლები.
3. კომუნიკაცია მიზანზე ორიენტირებულია და კოგნიტიურად და რაციონალურად წარმართავს გაცემა მიღების ანალიზს; „უფლებებისა და მოვალეობების სიმრავლე“ მიუთითებს „მარკირებულობის წაკითხვას“ გაცემა მიღების ანალიზის მეშვეობით (Myers-Scotton 1998: 16-22; Li Wei 2002: 148).

მარკირების მოდელი ითვალისწინებს მოსაუბრისა და თანამოსაუბრის საუბრისას რიგი უფლებებისა და მოვალეობების (rights and obligations) ერთმანეთთან მორიგებას (Myers-Scotton 1993: 113).

უფლებები და მოვალეობები საუბრისთვის საჭირო ის სოციალური ფაქტორებია, რომლებზეც მოსაუბრე და თანამოსაუბრე ორმხრივად თანხმდება (Myers-Scotton, 1983). სოციალური ფაქტორების ცვლილება იწვევს საუბრის შინაარსის ცვლილებას ერთი და იმავე მოსაუბრისა და თანამოსაუბრის შემთხვევაშიც კი. მარკირების მოდელი გამოყოფს სამ კატეგორიას:

1. არამარკირებული არჩევანი (the unmarked-choice);
2. მარკირებული არჩევანი (the marked-choice);
3. საცდელი არჩევანი (exploratory-choice).

არამარკირებული არჩევანი გულისხმობს მოსაუბრისა და თანამოსაუბრის არამარკირებული უფლებებისა და მოვალეობების გამოყენებას კოდის არჩევის დროს, მათი დამკვიდრებისა და დამტკიცების მიზნით (Myers-Scotton, 1993: 114). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არამარკირებული არჩევანი გულისხმობს კონკრეტული საუბრისას მოსაუბრისა და თანამოსაუბრისათვის მოსალოდნელი ენის არჩევანს. მრავალენოვანი (მულტილინგვური) საზოგადოების წევრი, მოსაუბრე, ცნობს ზემოთ მოყვანილ სოციალურ ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებენ კონკრეტული ენის არჩევის უპირატესობას. ერთი ენის მეორესთან შედარებით უპირატესად გამოყენება განაპირობებს მოსაუბრესა და თანამოსაუბრეს შორის უფლებებისა და მოვალეობების არჩევანს.

ამგვარად, სოციალურ ფაქტორებსა და ენის არჩევანს შორის პირდაპირპროპორციული კავშირია. მაშასადამე, მაიერს-სკოტონი არამარკირებულ არჩევანს განმარტავს როგორც მოსალოდნელ გარემოებს (expected medium) საუბარში (Myers-Scotton 1993: 89-90).

საუბარში მარკირებული არჩევანი ითვალისწინებს სტანდარტული, მოსალოდნელი ენიდან გადახრას. მოსაუბრესა და თანამოსაუბრეს არსებული სოციალური დისტანციის (დაახლოება თუ დაშორება) ცვლილების განმსაზღვრელია (Myers-Scotton, 1993: 132). მოსაუბრის მოსალოდნელი სოციალური ფაქტორებიდან (უფლებები და მოვალეობები) გადახრის დროს კოდების გადართვა არ პროგნოზირდება ფიზიკური გარემოს, თემებისა და მონაწილეების მეშვეობით. ამ

მარკირებულ არჩევანს მოსაუბრე თავად აკეთებს, რათა განსაზღვროს ურთიერთობა თანამოსაუბრესთან.

მაიერს-სკოტონი თავის და ვილიამ ურის მაგალითს იმოწმებს (Myers-Scotton & William Ury, 1977): ავტობუსის კონდუქტორსა და მგზავრს შორის. მგზავრი სუაჰილის ენაზე (არამარკირებული კოდი) მიმართავს კონდუქტორს მგზავრობის საფასურის გადახდისას. იგვიანებს რა კონდუქტორი ხურდის დაბრუნებას, მგზავრი ინგლისურ ენაზე (მარკირებული არჩევანი) გადაერთვება, რათა თავის ავტორიტეტსა და განათლების სტატუსზე მიანიშნოს. კონდუქტორიც პასუხობს ინგლისურად, რათა მგზავრს თავისი ავტორიტეტი აჩვენოს (Myers-Scotton 1993). განსხვავება მარკირებულ და არამარკირებულ არჩევანს შორის მოცემულ მაგალითში მკაფიოდ ვლინდება.

მოსაუბრეს შეუძლია საცდელი არჩევანის (exploratory-choice) გაკეთება, როცა არამარკირებული არჩევანი ბუნდოვანია. მსგავსი ტიპის კოდების გადართვა ვლინდება მაშინ, როდესაც მოსაუბრე არ არის დარწმუნებული მოსალოდნელ, ოპტიმალურ საკომუნიკაციო განზრახვაში, უფლებებსა და მოვალეობებში. საცდელი კოდების გადართვა იშვიათია, ვინაიდან არამარკირებული არჩევანი, ხშირ შემთხვევაში მკაფიო და ნათელია (Myers-Scotton 1993: 142). მაგალითად, შემთხვევა, რომელშიც სოციალური ნორმები და როლები არ შეეხამება კონკრეტულ სიატუაციას. და-ძმის საუბარი ძმის სამსახურში სხვა მომხმარებლების თანდასწრებით, შინაურული საუბარი, და ძმას მიმართავს თავიანთ მშობლიურ ენაზე – ლუიდახოზე (Lwidakho), სოლიდარობის ნიშნად. მაგრამ ძმა დას უწყებს ლაპარაკს ლინგვა ფრანკაზე – სუაჰილიზე (Swahili), რათა თავი სხვების დასანახად ერთ-ერთ მომხმარებლად აჩვენოს (Myers-Scotton 1993b: 144-145).

საუბრის ანალიზის თეორიის მომხრეები მარკირების მოდელს ფიშმანის მიდგომის (Fishman, 1965, 1972) სესხების გამო აკრიტიკებენ. კერძოდ, მევეისი და ბლომარტი მიიჩნევენ, რომ მოდელი წარმოადგენს ინდექსურობისა და სოციალური ქცევის სტატიკურ და მცდარ შეხედულებას, სადაც მოსაუბრეები აღწერილია, როგორც უკვე არსებული ნორმების უბრალოდ მიმდევრები ან უკუმგდებნი (Meeuwis & Blommaert,

1994). მარკირების მოდელი არ ითვალისწინებს სოციალური სტრუქტურისადმი საუბრის შემადგენლურ ხასიათსა და ენის დიაქრონულ ცვლილებას.

მარკირების მოდელის ნაკლოვანება ისაა, რომ საუბრისას აქცენტი კეთდება არა საუბრის მნიშვნელობაზე, არამედ მის ინტერესში შედის მკვლევართა ინტერპრეტაცია საუბრის მონაწილეთა განზრახვებზე (Li Wei, 1999). მარკირების მოდელის შეზღუდულობის გამო (ენობრივი არჩევანი გამოხატავს სოციალურ მნიშვნელობას). ბოლოდროინდელ ნაშრომში სკოტონმა და ბოლონუაიმ წამოაყენეს რაციონალური არჩევანის მოდელი (Rational Choice (RC) model) Myers-Scotton & Bolonyai, 2001). მაიერს-სკოტონის მიხედვით, რაციონალობა განსაზღვრავს კოდებს შორის არჩევანს Myers-Scotton (1999: 261).

ლი ვი გვთავაზობს რაციონალური არჩევანის მოდელის ორ ნაკლოვანებას:

1. რაციონალურობის დებულების თანახმად, იგულისხმება რომ საუბარი აუცილებლად თანმიმდევრულია და ნაკლებად მიუთითებს მოსაუბრეთა არჩევანზე გადაერთონ სხვა ენაზე არათანმიმდევრულად მაშინ, როცა მათ სურთ ან საჭიროება მოითხოვს (Li Wei 2005: 377).
2. რაციონალური არჩევანის მოდელი არ ხსნის მოსაუბრეთა წინასწარ განზრახვას, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი აკისრია მოსაუბრის მიერ კოდის არჩევის პროცესში. განგებ, განზრახვით ნათქვამი, რაციონალური მოდელისთვის ნაგულისხმევი და თვალსაჩინოა. ეს მოდელი უარყოფს ფაქტს, რომ მოსაუბრე ზოგჯერ გამიზნულად, არა რაციონალური, არამედ სხვა მიზნებისათვის გადაერთვება.

ლი ვეის მტკიცებით, კვლევის დროს რაციონალობა საჭიროა გაანალიზდეს საუბრის მთლიანი მონაკვეთის პროცესში (Li Wei, 2005).

მაიერს-სკოტონის მარკირების მოდელის თანახმად, კოდების გადართვა ანალიზდება ზოგადად, სოციოფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით, მაგრამ კოდების გადართვის კონკრეტულ კონტექტს ყურადღება არ ექცევა.

#### 1.3.1.4 სიტუაციური და მეტაფორული გადართვა

ერთ-ერთი ნორვეგიული სოფლის – ჰამნესბერგეტის (Hemnesberget), მეტყველების შესწავლის პროცესში ბლუმმა და გამპერცმა კვლევა ბუკმოლისა და რანამოლის გამოყენების ფუნქციების გაანალიზებით განაგრძეს. ისინი ბუკმოლსა და რანამოლს მიიჩნევდნენ როგორც ორ სხვადასხვა კოდს (ვარიაციას) და არა ორ სხვადასხვა ენას. ეს ორი კოდი ერთმანეთისაგან ვრცელი, თუმცა მცირედი ფონოლოგიური, მორფოლოგიური და ლექსიკური განსხვავებებით გამოირჩეოდა. მეტიც, ადგილობრივები ბუკმოლსა და რანამოლს ორ ერთნამეთისაგან განსხვავებულ ვარიაციად მიიჩნევენ და ცდილობენ ამ ტენდენციის შენარჩუნებას. ადგილობრივი და სტანდარტული დიალექტების ლინგვისტური განცალკევება განპირობებულია სხვადასხვა სოციალური ფაქტორებით და სოციალური ფუნქციებით (Bloom & Gumperz 1972: 417).

ადრეული კვლევები კოდების გადართვის მოტივაციაზე გამოხატავს მნიშვნელოვან განსხვავებას მეტაფორულ და სიტუაციურ კოდების გადართვას შორის (Blom & Gumperz 1972). ზოგჯერ გადართვა განსაზღვრავს სიტუაციას, მაგალითისთვის, ლექტორებისთვის განკუთვნილ ოთახში ინგლისური ენის ლექტორები ქართულად საუბრობენ, მაგრამ საქმიანი ჯგუფური შეხვედრების დროს ისინი გადაერთვებიან ინგლისურ ენაზე. მსგავსი გადართვა წააგავს დიგლოსიურ კომუნიკაციას, რომელშიც გადართვა სიტუაციის მიხედვით თითქმის ყოველთვის პროგნოზირებადია, ისევე როგორც სიტუაციური კოდების გადართვა. ორენოვანი, შესაძლოა, გადაერთოს სხვა ენაზე არა სიტუაციური ცვლილების, ან საუბრის თემის ცვლილების, არამედ სპეციალური სოციალური მნიშვნელობის გამოხატვის მიზნით, ამგავრი გადართვა მეტაფორული გადართვის სახელითაა ცნობილი.

ჰოლმსი იმოწმებს პაპუა ახალი გვინეის მაგალითს, რომლის მიხედვითაც, ორენოვანი იყენებს ტოკ-პისინსა და ბუნგს ორმაგი იდენტობის გამოსახატად: 1. ბიზნესმენი (ტოკ-პისინი) და ბუნგის საზოგადოების წევრი. მსგავს შემთხვევას მეტაფორული კოდების გადართვა ეწოდება (Holmes 1992: 48).

გუმპერცის ტიპოლოგია ერთ-ერთი ფუძემდებლურია კოდების გადართვის შესწავლის პროცესში. ერთ-ერთ ჩრდილოეთ ნორვეგიულ სოფელში, ჰამნესბერგეტში, მცხოვრებთა (დაახლოებით 1300) მიერ ორი დიალექტის (სტანდარტული ბუკმოლი



და ადგილობრივი რანამოლი) გამოყენება გუმპერცმა შეადარა სტანდარტული და ადგილობრივი ჰინდის (ჩრდილოეთ ინდოეთში გავრცელებული ენა) დიალექტების გამოყენებას (Gumperz, 1964b). ორივე მოსახლეობის შემთხვევაში მეზობლებთან და, ზოგადად, არაფორმალურ სიტუაციაში ადგილობრივი დიალექტის გამოყენების სიხშირე მაღალი აღმოჩნდა, როცა სტანდარტული დიალექტი გამოიყენებოდა ფორმალური კომუნიკაციისთვის რიტუალური შეზღუდვების (ritual barriers) გათვალისწინებით. კასტის, სოციალური კლასის, სოფლის მცხოვრებთა დაჯგუფების შეზღუდვები ინდოეთის, ხოლო აკადემიური, ადმინისტრაციული და რელიგიური გარემო ნორვეგიის მაგალითზე (Gumperz 1964b: 48).

ამ ორი კვლევის შედეგების საფუძველზე გუმპერცი მიიჩნევს, რომ ერთმანეთისაგან განსხვავებული ენობრივი რეპერტუარი განისაზღვრება სოციალური ფაქტორებით: მონაწილეების, გარემოებისა და თემის და ამის შემდეგ ლინგვისტური, ფონოლოგიური და მორფოლოგიური, მახასიათებლების გათვალისწინებით.

ცნებები სიტუაციური და მეტაფორული კოდების გადართვა ბევრმა სოციოლოგმა და ანთროპოლოგმა თავიანთ ნაშრომებში გამოიყენა. ბლუმმა და გუმპერცმა ბუკმოლი და რანამალი ორ სხვადასხვა კოდად დაადგინა და ეცადა მათ შორის განსხვავების წარმოჩენას. მეცნიერების ნაწილმა კოდი ენასთან გააიგივა და შეეცადა მეტყველებაში მათი ფუნქციური განაწილებისა და სიტუაციების განსაზღვრას.

ბლუმისა და გუმპერცის კვლევის მოწინააღმდეგენი, მაგ., მაჰლამი ბუკმოლისა და რანამალის სხვადასხვა კოდად არ მიიჩნევს. მისი მტკიცებით, ნორვეგიის სხვა სოფლებში ადგილობრივი და სტანდარტული დიალექტები არც ისეთი განცალკევებულია ერთმანეთისაგან, როგორც ბლუმი და გუმპერცი ამტკიცებენ. მეჰლუმის აზრით, ადგილობრივი და სტანდარტული დიალექტები არა ემპირიულად ამოცნობადი, განცალკევებული კოდებია, არამედ გაიდებულნი ობიექტური რეალობა (კლასიკური დიგლოსიის შეთხვევა) (Mæhlum 1996: 753).

აუერმა გამოავლინა კოდების გადართვის ორი ფორმა: მონაცვლეობითი (alternational; ეკუთვნის წინადადების შიგნით გადართვას) და ჩართული ჩასმადი გადართვა (insertional switching) (წინადადებებსშორისი) (Auer, 2002). აუერი ერთ-

ერთი პირველია, რომელმაც, ორენოვანთა (ბილინგვთა) საუბრებზე დაკვირვების შედეგად, გუმპერცის სიტუაციურ და მეტაფორულ კოდების გადართვებს შორის აშკარა განსხვავების ნაკლებობა წარმოაჩინა (Auer 1984). მისი მტკიცებით, სიტუაციური გადართვის შემთხვევაში სოციალური მნიშვნელობა იკარგება, ვინაიდან სიტუაციის ცვლილება აუცილებელი შედეგია სიტუაციური პარამეტრების შეცვლის, ხოლო მეტაფორული გადართვის შემთხვევაში ენის არჩევანი და სიტუაციური პარამეტრები პირდაპირ უკავშირდება და შესაძლოა, გამიზნულადაც კი შეიცვალოს (Auer 1984: 4). აუერის თანახმად, სიტუაცია ინტერაქციისას, საუბრის მიხედვით იქმნება, მოსაუბრისა და თანამოსაუბრის თავად ენობრივ ქცევას ახასიათებს სოციალური მნიშვნელობა. აუერს მოჰყავს გერმანიაში მცხოვრები იტალიელი ემიგრანტი ბავშვების მაგალითი, რომელთა საუბარშიც ვერ იპოვეს მნიშვნელოვანი კორელაცია თემასა და ენის გამოყენებას შორის. აუერის მტკიცებით, კოდების გადართვის მნიშვნელობა განპირობებულია საუბრის თანმიმდევრულობით (Auer, 1984: 93). აუერი უპირატესობას ანიჭებს ენის მონაცვლეობის პროცედურულ ანალიზს ინდივიდუალისტურ ანალიზთან შედარებით.

### 1.3.1.5 გუმპერცის თეორია: ჩვენ-კოდი (We-code), თქვენ-კოდი (They-Code)

სოციალური მნიშვნელობის კვლევის პროცესში უნდა აღინიშნოს გუმპერცის კიდევ ერთი თეორია ჩვენ-კოდისა (we-code) და თქვენ-კოდის (they-code) სახელწოდებით.

ერთ-ერთი ნორვეგიული სოფლის – ჰამნესბერგეტის (Hemnesberget) (ლიტერატურული ბუკმოლი და ადგილობრივი რანამოლი), და ინდური (სტანდარტული და ადგილობრივი ჰინდი) ენების გამოყენების ფუნქციების გაანალიზებით გუმპერცმა შეადგინა ჩვენ-კოდი (we-code) და თქვენ-კოდი (they-codes) დიქტომია, რომელშიც ჩვენ-კოდი (we-code) წარმოადგენს უმცირესობათა ენას (უკავშირდება არაფორმალურ საუბრებს, ვიწრო წრის ურთიერთობებს), როცა თქვენ-კოდი (they-code) უმრავლესობის ენაა, ფორმალურ და ფართო საზოგადოების ურთიერთობებისთვისაა დამახასიათებელი.

ზემოთ აღნიშნულ კოდებსა და სოციალურ კონტექსტს შორის კავშირი არაპირდაპირია და საუბრის დროს იშვიათად გამოიყენება მხოლოდ ერთი კოდი,

ძირითადად ჩვენ-კოდი (we-code) და თქვენ-კოდი (they-code) ერთმანეთს ენაცვლება, რაც კოდების გადართვას გულისხმობს. ამასთანავე, კოდების გადართვა ქმნის საერთო თვითმყოფადობის სხვადასხვა წარმოშობის მქონე ადამიანთა ჯგუფებისთვის. მაგალითად: ქართველი, რომელიც ფლობს უცხოურ ენას (ინგლისური) და ინგლისელი, რომელიც ფლობს ქართულს, როგორც უცხოურ ენას. ამ ორ ადამიანს შორის საუბარში, შესაძლოა, გამოვლინდეს კოდების გადართვა, იმის მიუხედავად, რომ ისინი, ამ უკანასკნელის გარეშე შეძლებენ კომუნიკაციას. ამგვარად, კოდების გადართვა წარმოადგენს არა საჭიროებას, არამედ მოსაუბრეთა არჩევას, რომლის მეშვეობითაც ხდება სხვადასხვა წარმოშობის მქონე ადამიანთა ჯგუფური იდენტობის გამყარება (Gardner-Chloros 2009: 106).

გუმპერცის მტკიცებით, ლინგვისტური ფორმების კონკრეტულ წყებასა და არალინგვისტური კონტექსტის გამოვლენას შორის კავშირი არაპირდაპირია, ძალიან იშვიათია შემთხვევა, როცა კონკრეტულად ერთი კოდი მიესადაგება კონკრეტულ სიტუაციას. საუბრისას გადამწყვეტ როლს ასრულებს სათქმელის ინტერპრეტაცია, სოციალური ფაქტორები და მოსაუბრისა და თანამოსაუბრის არსებული ცოდნა (Gardner-Chloros 2009: 105).

თუმცა უნდა გამოიყოს ამ ტიპოლოგიისადმი კრიტიკაც. სინგჰის მტკიცებით, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ, დიქტომიის მიხედვით, ჩვენ-კოდი (we-code) უმცირესობათა ენას გამოხატავს, არსებობს გამონაკლისებიც, კერძოდ, ინდოეთში სოციალურად პრივილეგირებულმა მოსაუბრებმა შესაძლოა გამოიყენონ ინგლისური, როგორც ჩვენ-კოდი (we-code) და ჰინდი ირონიული განზრახვით, რათა გაემიჯნონ სხვა ჯგუფებს და თავი პრივილეგირებულად წარმოაჩინონ (Singh, 1983).

### 1.3.1.6 კონტექსტუალიზაციის მანიშნებლები

გუმპერცის თეორიამ კოდების გადართვასა და კონტექსტუალიზაციაზე დიდი დაინტერესება ჰპოვა სოციოლინგვისტიკის, ლინგვისტური ანთროპოლოგიისა და სოციოლოგიის დარგში. ჩრდილოეთ ინდოეთში გუმპერცის მიერ ჩატარებული კვლევების (Gumperz 1958, 1961, 1964a, 1964b) ინტერესს ჰინდი და მისი დიალექტები წარმოადგენენ, რომლებიც მან სამ დონედ დაჰყო: სოფლის, დაბის (village dialects), რეგიონული დიალექტები (regional dialects) და სალიტერატურო ჰინდი. სამივე დონე

თავის თავში მოიცავს უამრავ ვარიაციას, რომლებსაც სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვა აქვს (Gumperz 1958). გუმპერცის მტკიცებით, ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა, რომლებიც საკმაოდ ხშირად მოგზაურობს, მეტყველებს ორივე, როგორც სოფლის, ისე რეგიონულ დიალექტზე. სოფლის დიალექტი, ძირითადად, შინ ან ადგილობრივ მოსახლეობის საუბრისას გამოიყენება, როცა რეგიონული დიალექტი არაადგილობრივების მიერაა გამოყენებული (Gumperz 1958: 669). ამგვარად, მოსაუბრესა და თანამოსაუბრეს შორის კავშირი და ურთიერთობა განსაზღვრავს ენის არჩევანს. ელვინ ტრიპის შეხედულება „ენობრივ ფორმას განსაზღვრავს საუბრის ვითარება, მონაწილეები და თემა“ გუმპერცისთვის მნიშვნელოვანი საყრდენი აღმოჩნდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები იაპონური წარმოშობის ორენოვან ქალებზე დაკვირვებით, ერვინ-ტრიპმა წარმოაჩინა ურთიერთდამოკიდებულება ენის არჩევანსა და დისკურსის შინაარსს შორის (Ervin-Tripp, 1964).

კოდების გადართვის ე.წ. სემანტიკური ანალიზი კრიტიკის საგანი გახდა, ვინაიდან ნაწილობრივ და მიახლოებით კვლევად მიიჩნევდნენ (მაგალითად, Auer 1984, 1995).

ბლუმმა და გამპერცმა წარმოადგინეს სამი სოციალური მახასიათებელი, რომლებიც განაპირობებენ მოსაუბრის კოდის არჩევანს: 1. ფიზიკური საცხოვრებელი გარემო (Setting), 2. სოციალური გარემო (კონკრეტული სოციალური შეკრების დრო და ადგილი) (Social situation), 3. სოციალური თავყრილობა (კონკრეტული შეკრების მიზეზი) (Social Event) (Blom & Gumperz 1972: 423). ჰაიმზის მიერ შემოთავაზებული მახასიათებლებია: სოციუმი საუბრის გარემოსა და მიზეზის გათვალისწინებით (social units of speech situation and speech event) (Hymes 1967, 1972).

კოდების გადართვა გამოხატავს კონტექსტურ ინფორმაციას, რომელიც ერთენოვანი (მონოლინგვური) საუბრისას ვლინდება პროსოდის, სინტაქსური და ლექსიკური პროცესების სახით. ასეთ დროს წარმოიქმნება ისეთი პრესუპოზიციები, რომლებიც განაპირობებენ ნათქვამის შინაარსის დეკოდირებას (Gumperz 1982: 98).

გამპერცმა, თავის გვიანდელ კვლევებში, გამოყო ტერმინი სასაურო კოდების გადართვა, როგორც კონტექსტუალიზებული ნიშანი, რომელშიც კოდს აიგივებს

დიალექტთან, სტილთან, საუბრის პროსოდიულ ნიშნებსა და მყარ გამონათქვამებთან, რომლებიც წარმოადგენენ იმპლიციტურ საშუალებებს საუბრის მნიშვნელობის გადმოსაცემად (Gumperz 1982, 1992).

ურბანულ ინსტიტუციურ კონტექსტებში (მაგ., სამუშაო ადგილი, სკოლა), მართალია, ზედაპირულად მოსაუბრეები საერთო ენას იზიარებდნენ, მაგრამ სხვადასხვა ეთნიკური ან სოციალური კლასის წარმოშობის წარმომადგენლებს ხშირად საუბრის გაცვლა-გამოცვლისას საერთო კონტექსტუალიზაციის ნიშნები არ აერთიანებთ, რომლებმაც საუბრისას გაუგებრობა შეიძლება გამოიწვიოს.

როგორც გალი (1988) შენიშნავს, ამგვარი „გაუგებრობები ვლინდება არა როგორც ენობრივი განსხვავებები, არამედ როგორც პიროვნული თვისებების მანიშნებლები და, შესაბამისად, [მატერიალურ რესურსებზე] წვდომის მცდელობის უარყოფისა და გაუფასურების ობიექტური საფუძველი“ (Gal 1989: 352).

ორენოვან (ბილინგვურ) საგანმანათლებლო სივრცეში მასწავლებლისა და მოსწავლის საუბრისას გაუგებრობა ვლინდება მაშინ, როდესაც მასწავლებელი უარყოფითად აფასებს ორენოვანი (ბილინგვი) სტუდენტების კოდების გადართვის, როგორც საუბრის სტრატეგიის, გამოყენებას.

სხვა მკვლევრებმა (აუერმა და სებამ (Auer, 1984, 1988, 1995; 1998; Sebba, 1993) განავითარეს გუმპერცის ინტერაქციული პერსპექტივა კვლევაში საუბრის ანალიზის (CA) ტექნიკის გამოყენებით საუბრისას კოდების გადართვის მონაცემების ანალიზის მიზნით. კერძოდ, უნდა აღინიშნოს აუერის თანმიმდევრობითი ანალიზი. საუბრის კოდების შეცვლის ნებისმიერი თეორია წარუმატებელია თუ არ ითვალისწინებს თანმიმდევრობითი ანალიზის მეშვეობით განსაზღვრულ კოდების გადართვის მნიშვნელობას (Auer, 1995: 116). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კოდების შეცვლის მნიშვნელობა, საჭიროა, გაანალიზდეს მის წინა და მომდევნო ნათქვამთან მიმართებით. აუერისთვის ორენოვან საუბარში მნიშვნელობის თანმიმდევრული ჩანართის სოციალური მნიშვნელობა საზოგადოებისაგან შედარებით დამოუკიდებელია (Auer, 1995: 132).

ბლუმი და გუმპერცი (1972) თავიანთ კვლევაში ცდილობდნენ, განესაზღვრათ სოციალური მნიშვნელობა, როგორც ინდივიდის საუბრის პროდუქტი, რაც გარკვეულწილად ეხმიანება ლე პაჟის და ტაბურეტ-კელერის თვითმყოფადობის (Acts of Identity) ცნებას: მოსაუბრე თავად ქმნის საუბრის ნიმუშს, რომლის მეშვეობითაც ცდილობს, თავი მიაკუთვნოს ან გაემიჯნოს კონკრეტულ საზოგადოებრივ ჯგუფს ან ჯგუფებს (Le Page & Tabouret-Keller 1985: 181). ბლუმი და გუმპერცი ინდივიდის საუბარს მიიჩნევენ კვლევის მთავარ ობიექტად, ვინაიდან, მათი დაკვირვებით, მყარი მაგალითები წარმოიქმნება ინდივიდის კოდის არჩევანის შედეგად და არა პირიქით. მათი მიდგომის თანახმად, მოსაუბრე იდენტობის გამოხატვისას არ არის ვალდებული იყოს თანმიმდევრული. სხვადასხვა სიტუაციაში მან შეიძლება სხვადასხვა სოციალურ კლასს, ჯგუფს მიაკუთვნოს თავი (Blom & Gumperz 1972: 421).

აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვნად განსხვავდება ფიშმანის (1965, 1972) ენის არჩევის მაკროდონის მიდგომისაგან, სადაც იგი ყურადღებას ამახვილებს კოდის არჩევანისა და საქმიანობის ტიპის ურთიერთდამოკიდებულებაზე. ფერგუსონით (1959) (სტატია დიგლოსიაზე) შთაგონებული, ის, უპირველეს ყოვლისა, ეხება არჩევანის სტაბილურ ნორმებს და ენის ჩვეულ გამოყენებას, რომელშიც თითქმის ყოველთვის არსებობს კოდებსა და აქტივობებს შორის კავშირი: რაც გულისხმობს კონკრეტული საზოგადოების მიერ თეორიულად თანაარსებული, ენებისა და ვარიაციების, კონკრეტულ შემთხვევებსა და თემებზე საუბრის დროს გამოყენებას (Fishman 1972: 437). სხვა სიტყვებით, არა მხოლოდ გადართვა, არამედ მეტყველებასა და ენის არჩევის ნორმებს შორის კავშირი განსაზღვრავს სოციალურ მნიშვნელობას. სწორედ ამ ურთიერთმიმართების საფუძველზე ფიშმანმა წარმოადგინა საუბრის სიტუაციების (domain) ცნება, რომელიც ასახავს სხვადასხვა ურთიერთობის სახეებში მოსაუბრისა და თანამოსაუბრის ტიპურ როლებს (Fishman, 1965, 1972).

**ცხრილი 7. სასაუბრო სიტუაციები, ფიშმანის საუბრის ანალიზი – ურთიერთმიმართების სქემა (1972).**

სასაუბრო სიტუაციები	მოსაუბრე/ თანამოსაუბრე	ადგილი	თემა
---------------------	------------------------	--------	------

ოჯახი	მშობელი	სახლი	როგორი უნდა იყოს სამაგალითო შვილი
მეგობრობა	მეგობარი	სანაპირო	როგორ ითამაშო სპორტული თამაშები
რელიგია	მღვდელი	ტაძარი	როგორია სამაგალითო ქრისტიანი
განათლება	მასწავლებელი	სკოლა	როგორ უნდა ამოხსნა ამოცანა ალგებრაში
სამსახური	დამსაქმებელი	სამუშაო ადგილი	უფრო ეფექტიანად როგორ უნდა იმუშაო

ფიშმანის მაგალითია პუერტორიკოელი უფროსისა და მდივნის კოდების გადართვა (ინგლისურ და ესპანურ ენებს შორის). უფროსი მხოლოდ ინგლისურ ენას იყენებს მდივნისთვის წერილის ტექსტის კარნახისას, მაგრამ გადაერთვება ესპანურზე წერილის ადრესატის შესახებ არაფორმალური საუბრისას (Fishman, 1971). საგულისხმოა, რომ სოციალური მნიშვნელობას განსაზღვრავს არა გადართვა, არამედ აქტივობის ტიპსა და კოდის არჩევანს შორის კავშირი (ესპანური არაფორმალური საუბრისთვის, ხოლო ინგლისური ფორმალური საქმიანობის საწარმოებლად).

კოდების გადართვის შედარებით სტაბილური (მაკროდონე) ერთ საცხოვრებელ არეალში მცხოვრები საზოგადოებისთვის დამახასიათებელი მოვლენა, ინდივიდის კოდების გადართვა გაანალიზდება იმ საზოგადოებასთან მიმართებით, რომელშიც ცხოვრობს (Wei Li, 1995) და მიკროდონეების (ასახავს მეტაფორულ, საუბრის კოდების გადართვას, მოსაუბრის განზრახვას კომუნიკაციის განსახორციელებლად) დაპირისპირების შედეგად წარმოიშვა ახალი ინტერესი – კოდის არჩევის სოციალური ასპექტების შესწავლა.

მაგალითად, ლიბერიაში კრუ და ინგლისური ენების კოდების გადართვის შესწავლის საფუძველზე ბრეიტბორდი აცხადებს, რომ კოდების გადართვის სოციალურმა მნიშვნელობამ არ უნდა უგულებელყოს საზოგადოებრივი

რეგულაციები და მათი მაკროდონეზე ორგანიზაცია, რაც, სავარაუდოდ, მნიშვნელობას ანიჭებს ინდივიდუალურ არჩევანს (Breitborde, 1983).

ფიშმანის სასაუბრო არეთა ანალიზის თეორია (Fishman, 1965, 1972) ორიენტირებულია ვიწრო საზოგადოებრივი ჯგუფების კონტექსტზე. ნაკლები ყურადღება ექცევა საუბრისას გამოხატულ ინდივიდის მიზანს (მიკროდონე). სოციალური, ისევე როგორც კონტექსტური ფაქტორები განაპირობებენ მოსაუბრის კოდის არჩევანს, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ეს უკანასკნელი ფაქტორები არასაკმარისი პირობაა კოდების გადართვის პროცესში. ამასთანავე, აღნიშნული მიდგომა არ ითვალისწინებს მაკროდონის ფაქტორებს, რომლებიც თუ არ განსაზღვრავენ, მინიმუმ უზრუნველყოფენ კოდების გადართვის ინტერპრეტაციის ზოგად ჩარჩოს. მაგ., აფრიკის მონაცემებზე დაკვირვებით (მაგ., Blommaert, 1992), კოდების გადართვის სოციალური მნიშვნელობა მხოლოდ ადგილობრივი ფაქტორების გათვალისწინებით არ განისაზღვრება.

გალმა ზუსტად შენიშნა, რომ არც მაკრომიდგომები და არც ის, ვინც უპირატესობას ანიჭებს მიკროცვლადებს, არ წარმოადგენს კონცეპტუალურად გაერთიანებულ ჯგუფს (Gal 1983: 64). მისთვის ნორმები კოდებს უკავშირებენ საქმიანობის ზოგად სფეროებს და გამოხატავენ არა აუცილებლად გასათვალისწინებელ წესებს, არამედ საჭირო ცოდნას მოსაუბრის საკომუნიკაციო განზრახვის ამოსაცნობად (Gal, 1983: 69). ამჟამინდელი ფორმით ზემოთ მოყვანილი მიდგომა ვერ ახერხებს მაკრო- და მიკროდონეების ფაქტორებს შორის კავშირის დამყარებას კოდების გადართვის ქცევის ინტერპრეტაციის დროს.

ტაბურეტი და კელერი აღნიშნავენ, რომ რაც უფრო მაღალია კოდის არჩევანის პროგნოზირება, მით უფრო მეტი ალბათობაა, რომ გადართვის ქცევა წარმოადგენს საზოგადოებრივ მახასიათებლებთან შესაბამისობის შემთხვევას. მისთვის აუცილებელია განსხვავება პროგნოზირებად და მოულოდნელ გადართვას შორის (Tabouret & Keller 1983: 143). სწორედ აქ შემოდის კოდების გადართვის ნიშან-თვისების თეორიული გაგება.



ინტერაქციული სოციოლინგვისტიკის თეორიული საფუძველი ემყარება სოციოლინგვისტური ცოდნის ინტერპრეტირებას საუბარში. როცა ეთნოგრაფიული მიდგომა ხაზს უსვამს კონტექსტურ და კულტურულ ასპექტებს, უგულებელყოფილია სოციოკულტურული და ლინგვისტური ცოდნა, რომელიც დაკავშირებულია საუბრის მნიშვნელობასთან. გუმპერცის ინტერაქციული სოციოლინგვისტიკა, შემდგომში „კონტექსტუალიზაციის მანიშნებლების“ სახელწოდებით, საუბრის ინტერპრეტაციისას ითვალისწინებს სოციოკულტურულ და ლინგვისტურ ცოდნას. იგი აჩვენებს, რომ სოციოკულტურული ცოდნა არ არის განყენებული საუბრისგან. გუმპერცის თეორია დაფუძნებულია ჩარჩოების/ფრეიმების ცნებებზე (Frames) (Goffman, 1974), რომლებიც ასკვნიან, რომ ნებისმიერი საუბრის ნაკადი მხოლოდ ერთი მოქმედებითა და კონტექსტით არ ხასიათდება, არამედ მოსაუბრე მონაცვლეობს ინტერპრეტაციის ჩარჩოებს შორის, ქმნის (ხშირად დროებით) ქვეკონტექსტებს უფრო ფართო კონტექსტში. რაც დიდ გავლენას ახდენს კომუნიკაციის მნიშვნელობაზე. გუმპერცის თეორია ამტკიცებს, (Gumperz, 1982) რომ მოსაუბრეები კომუნიკაციას ამყარებენ საუბრის ფრეიმებს შორის მონაცვლეობით, რომლებსაც პირობითი ფორმები (კონტექსტუალიზაციის მანიშნებლები) აქვთ. აღნიშნული პირობითი ფორმები მონაცვლეობენ სემიოტიკურ მოდელებს შორის, როგორებიცაა პროსოდია, კოდი და ლექსიკური არჩევანი, შაბლონური გამონათქვამები (ფრაზეოლოგიური შესიტყვებები), თანმიმდევრული არჩევანი, ვიზუალური და ჟესტიკულური ფენომენები.

სპეციალური ლიტერატურის გაცნობის შედეგად, წარმოვაჩინთ ინტერაქციულ სოციოლინგვისტიკას, საუბრის ანალიზის თეორიასა და კონტექსტუალიზაციის მანიშნებლებს შორის კავშირსა და განსხვავებას.

**ცხრილი 8. კონტექსტუალიზაციის მანიშნებლების, ინტერაქციული სოციოლინგვისტიკისა და საუბრის ანალიზის თეორიის შედარებითი ანალიზი**

მახასიათებლები	ინტერაქციული სოციოლინგვისტიკა	საუბრის ანალიზის თეორია	კონტექსტუალიზაციის მანიშნებლები
კვლევის მეთოდი	ელექტრონული ჩანაწერები, ბუნებრივი საუბრის ვიდეო ჩანაწერები, ტრანსკრიფციები.		

	მოსაუბრის რიგითობა, ჯერი გათვალისწინებულია	მოსაუბრის მონაცვლეობა ჩარჩოებს/ფრეიმებს შორის	
<b>საკვლევი ობიექტი</b>	ინტერაქცია, საუბარი, კომუნიკაცია.		
<b>კვლევის მიზანი</b>	ვერბალური ან არავერბალური ნათქვამის მნიშვნელობის ინტერპრეტაცია	საუბრის ორგანიზების სტრუქტურა, საუბრის თანმიმდევრულობა	ვერბალური ან არავერბალური საუბრის ნიმუშზე დაყრდნობით მოსაუბრის იდენტობის განსაზღვრა
<b>წარმოშობა</b>	დიალექტოლოგია/ან თროპოლოგია	ნაკლებად აინტერესებს კულტურული სხვადასხვაობისა და მნიშვნელობის საკითხი.	დიალექტოლოგია/ან ნთროპოლოგია
<b>ორიენტირებულია</b>	სოციალურ და კულტურულ მრავალფეროვნებაზე და მნიშვნელობაზე.	საუბრის სტრუქტურაზე (მოსაუბრეები სისტემატურად იყენებენ კონკრეტულ სტრუქტურებს). კულტურულად განპირობებული მნიშვნელობები აღიქმება, როგორც სუბიექტური და არაზუსტი.	სოციალური მახასიათებლებზე, რომლებიც განაპირობებენ მოსაუბრის კოდის არჩევანს: ფიზიკური საცხოვრებელი გარემო (Setting), სოციალური გარემო (კონკრეტული სოციალური შეკრების დრო და ადგილი) (Social situation), სოციალური

			თავყრილობა (კონკრეტული შეკრების მიზეზი) (Social Event).
--	--	--	--

ინტერაქციული სოციოლინგვისტიკა განვითარდა ტრადიციებზე დაყრდნობით (დიალექტოლოგია და ანთროპოლოგია). ამგვარად, კულტურული პრაგმატიკული ცოდნა და ანთროპოლოგიური მეთოდები გამოყენებული სოციალური ინტერაქციის ინტერპრეტირებისას (Bailey, 2000).

რაც შეეხება საუბრის ანალიზის თეორიას, უარყოფს რა ეთნოგრაფიულ მეთოდებს, ცდილობს თავი აარიდოს კულტურული ცოდნის გამოყენებით საუბრის მნიშვნელობის ინტერპრეტაციას. ანალიზის ამ ტიპის მიზანია შეაგროვოს კონკრეტული ტიპის საუბრის სტრუქტურები, რომლებსაც მოსაუბრეები სისტემატურად იყენებენ.

ხოლო კონტექსტუალიზაციის მანიშნებლების მთავარი მიზანი მოსაუბრის ენობრივი არჩევანის მიხედვით იდენტობის განსაზღვრაა. სხვა სიტყვებით, მოსაუბრე ირჩევს ენას, რათა გაემიჯნოს ან თავი მიაკუთვნოს კონკრეტულ საზოგადოებრივ ჯგუფ(ებ)ს.

### **პირველი თავის დასკვნა**

კოდების გადართვის შესწავლის პროცესში სამი მიდგომა გამოიყო, ესენია რაოდენობრივი, თვისებრივი და ტრიანგულაციური (შერეული). რაოდენობრივი კვლევები (1.2 ქვეთავი) ჰიპოთეზის შემოწმებას და ცვლადებს შორის კავშირებისა და მიმართებების დადგენას ემსახურება, რომელიც ადრეულ კვლევებში ლოგისტიკური რეგრესიის ფორმულების მეშვეობით, სტატისტიკურად ითვლებოდა, ხოლო თანამედროვე კვლევებში სტატისტიკური ანალიზისათვის (მონაცემების რაოდენობრივად გამოსათვლელად) პროგრამებია (SPSS Statistics, Python, და სხვ..) გამოყენებული. თვისებრივი კვლევები (1.3 ქვეთავი) მეტადაა ორიენტირებული დაკვირვების მეთოდზე, მაგალითებზე, რომელიც შემდგომში მკვლევარს ანალიზისა და განსჯის საშუალებას მისცემს. აღნიშნულს ემსახურება კვლევის შემდეგი თეორიული ჩარჩოები (საუბრის ანალიზის თეორია (CA) და ინტერაქციული

სოციოლინგვისტიკის თეორია (IS), შემდგომში, კონტექსტუალიზაციის მახასიათებლები გუმპერცის თეორია (contextualization cues). რაოდენობრივი კვლევები მონაცემთა განზოგადების, როცა თვისებრივი, დაკვირვების შედეგად მოპოვებული მსგავსი მაგალითების დასაბუთების, გააზრების, ექსტრაპოლაციის საშუალებას იძლევა.

ამასთანავე, პირველი თავი ემსახურება კოდების გადართვის ტიპოლოგიის განხილვას, კერძოდ, მარკირების მოდელი, ჩვენ-კოდი და თქვენ-კოდი, სიტუაციური და მეტაფორული კოდების გადართვის სახეები, რომლებიც კოდების გადართვის მაგალითების დისკურსული ანალიზის განხილვისას უნდა იყოს გათვალისწინებული.

მკვლევრებს, რომლებიც ორივე მეთოდს იყენებენ, შეუძლიათ უფრო ფართო სურათის წარმოჩენა. ვინაიდან, სოციოლინგვისტიკაში სოციალური და ლინგვისტური საკითხები ერთიანდება და საჭიროა, ორივე დარგის კვლევის მეთოდების გამოყენება. წინამდებარე ნაშრომში გაერთიანებულია კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები, საკითხის მრავალმხრივ შესწავლის მიზნით.

## თავი 2. კოდების გადართვის მოტივაცია და სოციოლინგვისტური ფუნქციები

კოდების გადართვის შესწავლის პროცესში ყველაზე ფართოდ შესწავლილი სამი მიმართულება გამოიყო. სტრუქტურული, სოციოლინგვისტური და ფსიქოლინგვისტური. სტრუქტურალისტების ინტერესს წარმოადგენს კოდების გადართვის მახასიათებლები და მექანიზმი, რომლებიც გადართვის პროცესს მართავს და ამსგავსებს სტრუქტურულ მოდელებს (“Unconstraining Codeswitching Theories”, Macswann, 2000; Myers-Scotton & Gross, 2002; The 4-M model; The abstract level model, The Matrix Language Frame Model (MFL), Myers-Scotton & Jake, 2000a, b, 2001; Poplack, 2004, Linguistic Codeswitching). ხოლო უნივერსალურ მოდელებს შორის ყველაზე ფართოდ გამოიყენება მაიერს-სკოტონის მარკირების მოდელი (Myers-Scotton, 1993, 1998, 2000).

სეპირი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც გამოეხმაურა კოდების გადართვისადმი ლინგვისტურ მიდგომას (Sapir 1929: 214). მისი მტკიცებით, ლინგვისტების ინტერესი უმნიშვნელო მაგალითებით განისაზღვრება, რომლებშიც ნაკლები ყურადღება ექცევა ენის კავშირს სოციალურ, ანთროპოლოგიურ, კულტურულ და სხვა უფრო ზოგად ასპექტებთან, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდებიან ადამიანის ყოფას. ამგვარად, სოციოლინგვისტიკისა და სოციალური ანთროპოლოგიის დარგების ინტერესია კოდების გადართვის შესწავლა სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.

ფსიქოლინგვისტიკის დარგის ზოგიერთი მეცნიერი კოდების გადართვას ექსტრალინგვისტურ ფენომენად მიიჩნევს. კოდების გადართვა არა ლინგვისტური, არამედ ფსიქოლოგიური ფენომენია და მისი საფუძველი არსებითად ექსტრალინგვისტურია (Vogt, 1954: 368). ზოგიერთი (Stroud 1998: 322) კი მიიჩნევს, რომ კოდების გადართვა სოციალური ფენომენია და რთულია ამ ცნების შესწავლა, სოციალური ფაქტორების გათვალისწინების გარეშე.

წინამდებარე თავის ინტერესს წარმოადგენს კოდების გადართვის სოციოლინგვისტური მიდგომის შესწავლა და ანალიზი. კერძოდ, კონტექსტური,

კულტურული და სოციალური ფაქტორები, რომლებიც კოდების გადართვის ქცევას განაპირობებენ.

გარდნერ-ქლოროსის მტკიცებით, კოდების გადართვის შესწავლის პროცესში, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს მის სოციოლინგვისტურ მახასიათებლებს: ენის გამოყენება თანაფარდობაშია მოსაუბრის სოციალურ თვითმყოფადობასთან (identity) (ადამიანის საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ასპექტებთან) (Gardner-Chloros 2009: 97).

## 2.1 კოდების გადართვის მოტივაცია

ვორდოს თანახმად, საუბრისას ენის სტრუქტურისა და ენების ფუნქციის დასადგენად, სოციოლინგვისტური მიდგომა ცდილობს ენებსა და საზოგადოებას შორის კავშირის განსაზღვრას (Wardhaugh 2010: 13). კალაჰანიც ვორდოს პოზიციის მსგავსად, მიიჩნევს, რომ კოდების გადართვის შესწავლის სოციოლინგვისტური მიდგომა საჭიროა, ითვალისწინებდეს სოციალურ და პრაგმატიკულ ფუნქციებს როგორც მოსაუბრის, ასევე სოციალური ჯგუფის თვითმყოფადობის (identity) ფორმირებისათვის (Callahan, 2004). მეცნიერთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ კოდების გადართვა და კოდების მონაცვლეობა არა ენობრივი კომპეტენციის დონის ნაკლებობა, არამედ მოსაუბრის არჩევანია, რომელიც გამოწვეულია სოციალური, სოციოკულტურული და ფსიქოლოგიური ფაქტორებით (Ritchie & Bhatia, 2015; Ndebele, 2012; Draemel, 2011; Kim, 2006). ტერმინი მოტივაცია, რომელიც ფსიქოლოგიიდან არის აღებული, სოციოლინგვისტიკაში გამოიყენება როგორც სოციალური მოტივაცია.

გუმპერცის სიტუაციური და მეტაფორული კოდების გადართვის თეორია ერთ-ერთი ფუძემდებელია (Gumperz, 1982). მისი მტკიცებით, კოდების გადართვა განპირობებულია მოსაუბრის კოდების არჩევანით თემაზე სასაუბროდ კონკრეტულ სიტუაციაში. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თეორია მარკირების მოდელი (Markedness model), რომლის მიხედვითაც, მოსაუბრე კოდების გადართვის პროცესში აკეთებს მარკირებულ (marked) ან არამარკირებულ (unmarked) არჩევანს, რაც გულისხმობს მის გაცნობიერებულ და გაუცნობიერებელ გადართვას და რომელშიც თითოეულ კოდს სხვადასხვა ფუნქცია აკისრია (Myers-Scotton, 1993). მარკირების მოდელი ხსნის არა

მხოლოდ სოციალურ და ფსიქოლოგიურ მოტივაციას თითოეული კოდის არჩევის პროცესში, არამედ ზოგადად, რატომ რთავს მოსაუბრე კოდებს.

ზოგად კონტექსტში კოდების გადართვის მოტივაციის განმსაზღვრელი მრავალი ფაქტორი გამოიყოფა. მაშასადამე, ორენოვნების (ბილინგვების) გადართვა განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: მოსაუბრე, თანამოსაუბრე, სიტუაცია, შეტყობინება, დამოკიდებულება, თითოეული ენის მიმართ არსებული ემოციური განწყობა (Kim, 2006). ბჰატასა და რიჩის მიხედვით, კოდის არჩევანი და კოდების გადართვა, სხვა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გარდა, განისაზღვრება მოსაუბრესა და თანამოსაუბრეს შორის ურთიერთობით. კონკრეტულ სიტუაციაში სწორედ მოსაუბრის მიერ თანამოსაუბრის საუბარში ჩართვის ან საუბრიდან გამოთიშვის მზაობა განსაზღვრავს როდის, სად და რატომ (გადა)ირთვება კოდები (Ritchie, 2015). სოციალური კლასი, გენდერი, ასაკი და ა.შ. წარმოადგენს კოდების გადართვის მოტივაციისა და ფუნქციის განმაპრობებელ ფაქტორებს (Ritchie & Bhatia, 2015: 376). ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებს ემატება ფსიქოლოგიური და სოციალური მოტივაცია. რიჩისა და ბჰატას კვლევის ინტერესს წარმოადგენდა კოდების გადართვისას მოსაუბრეთა შორის ურთიერთგაგების დადგენა და კოდების გადართვის მოტივაციის განმსაზღვრელი ფაქტორები. მაგალითად, ნიგერიაში მცხოვრები იგბო ხალხისთვის (ინგლისური უცხოურ ენას წარმოადგენს) კოდების გადართვა სოციალურ-ფსიქოლოგიურ მოტივაციასთან არის დაკავშირებული: ენისადმი განწყობა (language attitude) ქვეცნობიერი ენობრივი ქცევა (subconscious linguistic Behavior), არალოიალურობა კულტურის მიმართ (cultural disloyalty) (Obiamalu & Mbagwu 2010: 34-35). იგბო ხალხის კოდების გადართვის კვლევის მიხედვით, ინგლისური ენა დაკავშირებულია სოციალურ პრივილეგირებულ მდგომარეობასთან. თავიანთი კულტურისადმი არალოიალური დამოკიდებულება შესაძლოა განიხილებოდეს, როგორც მოსაუბრის განსხვავებული კულტურის ათვისების სურვილი. თუმცა, ძირითად შემთხვევაში, მოსაუბრე მნიშვნელოვნად მიდრეკილია უცხო ენის გამოყენებისკენ (Obiamalu & Mbagwu 2010: 35). ობიამალუსა და მბაგვუს თანახმად, მოსაუბრეებს შორის კოდების გადართვა სრულიად გაუცნობიერებელი და ინსტინქტურია და განიხილება როგორც საყოველთაოდ გამოყენებული სოციალური ნორმა. კოდების გადართვა და შერევა ხასიათდება

შემოქმედებითობით, კომპლექსურობითა და ინოვაციური მრავალფუნქციურობით, რაც ქცევის სოციალურ საფუძველზე მიუთითებს (Ritchie & Bhatia, 2015). ამ მოსაზრების საპირისპიროდ, კოდების გადართვა, რომელიც ორენოვანის (ბილინგვის) ენობრივი დაბრკოლებებითა და ლექსიკური არსენალის სიმწირითაა გამოწვეული, ენის სიწმინდეს, მასზე გამართულად მეტყველებას, საშიშროებას უქმნის. ამავე მოსაზრების თანახმად, ორენოვანი (ბილინგვი) აღიქმება ორივე ენაში არაკომპეტენტურ მოსაუბრედ.

რიჩი და ბჰატია ეწინააღმდეგებიან ზემოთ წარმოდგენილ შეხედულებას და მიიჩნევენ, რომ კოდების გადართვის პროცესში გადამწყვეტია მოსაუბრის მოტივაცია (Ritchie & Bhatia, 2015). მიუსკენი ციტირებს ვაინრაიხის მოსაზრებას, რომ წინადადების გარე კოდების მონაცვლეობა გამოხატავს მოსაუბრის ენობრივი კომპეტენციის დაბალ დონეს (Muysken, 2000). თუმცა არ ეთანხმება ვაინრაიხის მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ მოსაუბრე არა ენობრივი კომპეტენციის ნაკლოვანების გამო გადაერთვება, არამედ, რიგ შემთხვევებში, კომპეტენციის საილუსტრაციოდ ძალდაუტანებლად და გაუცნობიერებლად მეტყველებს. აგრეთვე მიუსკენი ამტკიცებს, რომ კოდების მონაცვლეობის მიზეზს საუბრისას რომელიმე ენაში სიტყვის მოძიება და ენის კულტურული ზეგავლენა არ წარმოადგენს (Muysken 2000: 2). მაიერს-სკოტონის მოსაზრებით, კოდების გადართვა, ზოგადად, საკომუნიკაციო განზრახვის მქონე კვალიფიციურ და დიდი ცოდნის მქონე მეტყველებაზე მიუთითებს (Myers-Scotton 1993: 6).

ჰუსეინმა არაბულ საზოგადოებაზე დაკვირვებით წამოჭრა საკითხი კოდების გადართვის ფსიქოლოგიური და სოციალური მიზეზების შესახებ. კერძოდ რა მიზანს ემსახურება პატიების, მისალმებისა და კომპლიმენტის გამომხატველი ინგლისური ტერმინების გამოყენება არაბი ორენოვნების (ბილინგვის) საუბარში (Hussein, 1999). ელდინმა წარმოადგინა მიზეზთა კლასიფიკაცია: მოსაუბრეს კოდების გადართვით სურს თავი მიაკუთვნოს ან გაემიჯნოს კონკრეტულ საზოგადოებას.

**ცხრილი 9. ელდინის კლასიფიკაცია, კოდების გადართვის მიზეზები (Eldin, 2014)**

კოდების გადართვის	მიზეზის აღწერა
-------------------	----------------



მიზეზი	
1. სოლიდარობის გამოხატვა (Showing Solidarity)	სხვადასხვა ან ერთგვაროვანი ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები კოდებს გადართავენ საერთო ეთნიკურობის გამოსახატად.
2. სოციალური სტატუსის ასახვა (Reflecting Social Status)	ორენოვანი (ბილინგვი) კოდების გადართვას იყენებს სხვა სოციალური კლასისგან გამიჯვნის მიზნით, პრესტიჟის, ძალის და ერთზე მეტ ენაში კომპეტენციისა და განათლების გამოხატვის მიზნით.
3. თემატიკა (Topic)	კოდების გადართვის მოტივი დამოკიდებულია საუბრის თემატიკაზე, მოსაუბრესა და კონტექსტზე (Alenezi, 2010). თემატიკის თვალსაზრისით, კოდების გადართვის 12 მიზეზი გამოიყოფა სოციოლინგვისტურ ფუნქციებზე დაყრდნობით (Baker, 2011). მიზეზებს შორისაა: კონკრეტული საკითხის ხაზგასმა; ისეთი ცნებების გამოხატვა, რომლის ეკვივალენტსაც სამიზნე ენა საჭიროებს; სამიზნე ენაში უცნობი სიტყვის ჩანაცვლება ნაცნობი სიტყვით სხვა ენიდან; შეთავაზების განმტკიცება; იდენტობის გამოხატვა; საკითხის განმარტება; დაძაბულობის განმუხტვა; იუმორის ჩართვა სამიზნე ენაზე საუბრისას. კოდების გადართვის შვიდი ფუნქცია, რომელიც გამოიყოფა საუბრისას (Abalhassan & Alshalawi, 2000) : სასაუბრო ეტიკეტი, კონტექსტუალიზაცია, ციტირება, ზრდილობის გამოხატვა, დარგობრივი ტერმინები, თანმხვედრი შეზღუდვა (concurrent constriction emphasis) და ენობრივი რეპერტუარი. ამგვარად, ორენოვანისთვის (ბილინგვისთვის) დამახასიათებელია მშობლიური ენიდან უცხოურ/მეორე ენაზე გადართვა ემოციური საკითხების განხილვისას, რათა თავი აარიდოს შეურაცხმყოფელ სიტყვებს (Leung, 2006).
4. განწყობილება (Affection)	ორენოვანი (ბილინგვი), კოდის გადართვით, ცდილობს გამოხატოს დამოკიდებულება და მხიარული, ბრაზიანი,

	მწუხარე, მოსიყვარულე განწყობა, ენთუზიაზმი თუ უკმაყოფილება.
5. მსმენელის დარწმუნება (Audience Persuasion)	მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ კოდების გადართვა ხშირად გამოყენებულია მსმენელის დასარწმუნებლად ან მათი ყურადღების მიქცევის მიზნით, მათთვის მოსაუბრის შეტყობინების ზედმიწევნით გადასაცემად. ეს მიზეზი გამოხატავს სოციო-ეკონომიკურ თვითმყოფადობას, რომელიც მოსაუბრეს ხდის სანდოსა და დამაჯერებელს. კოდების გადართვა ძლიერი ზეგავლენის მქონე მეთოდია, რომელიც დისკუსიის პროცესში ინფორმაციის ორგანიზებული მანიპულაციის წყაროა (Nerghe, 2011).

კოდების გადართვას მოლაპარაკე იყენებს საუბრისას კონკრეტული თემის განხილვისთვის, ემოციების გამოხატვის მიზნით და მსმენელის დასარწმუნებლად (Eldin, 2014).

სოციოლინგვისტური თვალსაზრისით, კოდების გადართვა ხასიათდება სიტუაციური და მეტაფორული ფაქტორებით, როგორებიცაა სოციალური კონტექსტი, მოსაუბრესა და მსმენელს შორის კავშირი, მათი პროფესია თუ პირადი განწყობა. სოციალური გარემო (ოჯახი, სამუშაო ადგილი, სკოლა და ა.შ.) საუბარში ჩართულ პირებთან და თემასთან ერთად განსაზღვრავს ენის არჩევანს. ამასთანავე, კოდების გადართვის ქცევაზე გავლენას ახდენს ენის კომპეტენციის დონე (მაგ., ლექსიკური ერთეულების სიმწირე მოსაუბრის არსენალში), ენის პრესტიჟი და გავლენა, მოსაუბრის სოციალური, პოლიტიკური და კულტურული მიკუთვნებულობა და დამოკიდებულება. და ბოლოს, კოდების გადართვის ყველაზე მარტივ, ჩვეულ და მოხერხებულ მიზეზად, შესაძლებელია, გახუმრება, უხამსი და შეურაცხმყოფელი სიტყვების გამოყენება დასახელდეს.

სპეციალური ლიტერატურის შესწავლამ ცხადყო მოსაუბრის მიერ კოდების გადართვის შესაძლო მიზეზები, რომლებიც ერთ ცხრილში გავაერთიანეთ.

**ცხრილი 10. კოდების გადართვის მიზეზები**

<b>კოდების გადართვის მიზეზები</b>
-----------------------------------

<ul style="list-style-type: none"> <li>• განვრცობა (amplify)</li> <li>• ხაზგასმა (emphasize)</li> <li>• ექსპრესიულობის შექმნა (to add expression)</li> <li>• პერსონიფიცირება (to add personality)</li> <li>• ჩვევა (habitual expression)</li> <li>• თვითმყოფადობის გამოხატვა (Showing identity)</li> <li>• ფატიკურობის გამოხატვა (phatic expressions)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ციტირება (to quote other people)</li> <li>• დამოწმება (referential)</li> <li>• მიმართულების (directive)</li> <li>• მეტალინგვისტური (metalinguistic)</li> <li>• პოეტური (poetic)</li> <li>• მოსაუბრის განწყობა (mood of speaker)</li> <li>• გამოაშკარვების მიზნით (to clarify)</li> <li>• ახსნის მიზნით (to explain)</li> </ul>
--	---

სოციალური ფაქტორების განხილვამდე, ლიტერატურის შეჯერების შედეგად, უნდა აღინიშნოს სამი ზოგადი მიზეზი:

1. **საჭიროების დაკმაყოფილება:** მოსაუბრემ, რომელმაც ვერ შეძლო საკუთარი თავის გამოხატვა ერთ ენაზე, შეიძლება სხვაზე გადაერთოს დანაკლისის კომპენსირების მიზნით. ამ ტიპის კოდების გადართვა ვლინდება, როდესაც მოსაუბრე გაღიზიანებული, დაღლილი და/ან დაბნეული, ან კონკრეტულ ენაში ნაკლებად კომპეტენტურია;
2. **სოლიდარობის გამოხატვა:** კოდების გადართვა ასევე დამახასიათებელია ინდივიდისთვის, რომელსაც სურს გამოხატოს სოლიდარობა კონკრეტული სოციალური ჯგუფისადმი. მოსაუბრესა და თანამოსაუბრეს შორის ურთიერთობა განსაზღვრავს მათ რეაგირებას, პასუხი გასცენ იმავე ენაზე.
3. **სხვების გამორიცხვა:** კოდების გადართვა ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას საუბრისას სხვების (რომლებიც არ ფლობენ კონკრეტულ ენას) გამოსარიცხად. მაგ., ინგლისურენოვან საზოგადოებაში, რიგში მდგომი ორი ადამიანი თუ გადაწყვეტს ქართულად საუბარს, მათი მიზანი სხვების გამიჯვნა და პირადი, კომფორტული ზონის შექმნაა, ვინაიდან რიგში მდგომ სხვა ადამიანებს არ შეუძლიათ საუბრის გაგება.

### 2.1.1 კოდების გადართვის სოციალური ფაქტორები

კოდების გადართვის მიზეზები არსებითად ხსნიან მის მნიშვნელობას, თუმცა საჭიროა კიდევ რიგი ფაქტორების გათვალისწინება, მაგ., კონტექსტი. როგორც ვიცით, ენის არჩევანს უამრავი კონტექსტუალური ფაქტორი განსაზღვრავს, მაგ., თანამოსაუბრე, გარემო, თემა. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ არსებობს კოდის მოსალოდნელი და მოულოდნელი არჩევანი. მესტრი იზიარებს ამ მოსაზრებას და ენის ვარიაციებს საკომუნიკაციო რესურსად განიხილავს (Mesthrie, 2001). მისი აზრით, რესურსზე დაყრდნობით, მოსაუბრე წყვეტს ენის არჩევანის სისწორეს, შესაბამისობას კონკრეტულ სიტუაციასთან. მაშასადამე, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ზოგიერთი კოდი მეტად ღირებულია ზოგიერთ სიტუაციაში, ის გარკვეულწილად ასოცირდება კიდევ კონკრეტულ სიტუაციებთან.

გალი თავის ნაშრომში, აღმოსავლეთ ავსტრიის, გერმანულ-უნგრული ორენოვანი ქალაქის, ობერვარტის შესახებ, სხვადასხვა სოციალურ გარემოში დაკვირვების შედეგად ასკვნის, რომ სტანდარტული უნგრულისგან განსხვავებით, უნგრული ენის ადგილობრივი დიალექტი "იდეალურად" ითვლება ობერვარტელებს შორის გულწრფელი და პირდაპირი საუბრისთვის. ეს გვაჩვენებს, რომ ობერვარტში ადგილობრივი დიალექტი სასურველი კოდია გულწრფელობისა და პირდაპირობის გამოხატვისთვის, რაც გამოწვეულია მისი გამოყენებისადმი მაღალი სოლიდარობით (Gal, 1987). ობერვარტში ძირითადად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მქონე მოსახლეობა ცხოვრობს, თუმცა ამ ქალაქმა სოციალურ-ეკონომიკური სწრაფი ცვლილება განიცადა, რამაც ადგილობრივებს მისცა საათობრივი ანაზღაურებით მუშაობის შესაძლებლობა. ამგვარად, მოსახლეობა გაიყო გლეხებად და მუშებად, შესაბამისად, ჩამოყალიბდა ორი ენობრივი საზოგადოება. უნგრული წარმოადგენდა გლეხების კულტურას, როცა გერმანული ასოცირდებოდა თანამედროვეობასა და მატერიალურ რესურსებთან. იმპლიკაციური სკალის გამოყენებით (implicational scales) გალმა გამოავლინა მყარი კავშირი ენის არჩევანსა და მოსაუბრის ასაკს შორის, მისი კვლევის მიხედვით, ასაკში შესული მოსაუბრეები უპირატესობას ანიჭებენ უნგრულ ენას, ახალგაზრდები უნგრულ ენაზე მოსაუბრეებთანაც კი ირჩევდნენ გერმანულს.

გალი ობერვარტის კვლევაზე დაყრდნობით, ასკვნის, რომ ყველა ის სოციალური აქტივობა, რომელიც ადრე უნგრულ ენასთან იყო დაკავშირებული, შეითავსა

გერმანულმა ენამ. მისი მტკიცებით, სოციალური წრე დიდ გავლენას ახდენს ენის არჩევანზე (Gal, 1983).

მილროიმ განავითარა გალის იდეა სოციალური წრისა და კოდის არჩევანს შორის კავშირის შესახებ. თავის ნაშრომში, ბელფასტის ადგილობრივების მუშათა კლასის სამ დიალექტზე დაკვირვებით შედეგად, დაასკვნა, რომ მუშათა კლასის ინდივიდის მჭიდრო და მრავალმხრივი ბუნება ადგენს ენის ადგილობრივ ფორმას, რომელიც ჯგუფს შიგა სოლიდარობის გამომხატველია. მსგავსი კავშირი სოციალურ დაჯგუფებასა და ენის არჩევანს შორის ასევე შესწავლილია ინგლისში, ნიუკასლში, ტინში, მეორე თაობის ჩინურ/ინგლისურ ორენოვანთა შორის (Li Wei, 1995; Milroy & Li Wei, 1995).

ჰოლმსი ეთანხმება მოსაზრებას, რომ სხვადასხვა კონტექსტი ეხმარება ადამიანს კოდის არჩევანის განსაზღვრაში. აღნიშნული კონტექსტი განპირობებულია გარკვეული სოციალური ფაქტორებით, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბევრი სხვადასხვა ტიპის საზოგადოების მიერ ენის არჩევანის განსაზღვრის პროცესში:

- თანამოსაუბრით;
- საუბრის სოციალური კონტექსტით (სოციალური გარემო, სოციუმი);
- საუბრის ფუნქციით;
- საუბრის თემატიკით.

მან ასევე აღნიშნა, რომ სოციალური ფაქტორები კარნახობენ ენის არჩევანს "ტიპურ" საუბარში, რომლებიც შეიძლება დაჯგუფდნენ კატეგორიებად და ცნობილია როგორც "ენის გამოყენების დომენები" (Holmes, 2001).

ჰოლმსის აზრით, "დომენი" ტიპურ სიტუაციებში ტიპურ მონაწილეებს შორის ტიპურ ურთიერთქმედებას გულისხმობს. ჰოლმსს მოჰყავს პარაგვაის მაგალითი. პარაგვაიში ქალაქების უმეტესობაში მცხოვრები მოსახლეობა ორენოვანია და ორ ენას იყენებს - გუარანი, რომელიც არის ამერიკული ინდური ძირძველი ენა და ესპანური, რომელიც კოლონიზატორების ენაა.

გარდა ამისა, ადამიანები ერთ სიტუაციაში იყენებენ ერთ კონკრეტულ ენას, ხოლო სხვას სხვა სიტუაციაში. ესპანური არის ენა, რომელიც გამოიყენება განათლებაში,

სამთავრობო ორგანიზაციებსა და ღვთისმსახურებაში, ხოლო გუარანი გამოიყენება ნაკლებად ოფიციალურ სიტუაციებში, როგორცაა ხუმრობა, ან მეგობრებს შორის საუბარი. სხვა სიტყვებით, ესპანური ენა განკუთვნილია ფორმალური, ხოლო გუარანი - უფრო არაფორმალურ დომენებისთვის.

სება, კანადაში ჩატარებული კვლევის საფუძველზე, გვთავაზობს სამი ტიპის სოციალურ ფაქტორს, რომლებიც კოდების გადართვას განსაზღვრავენ (1) კონკრეტული მოსაუბრისგან დამოუკიდებელი ფაქტორები, როგორცაა პრესტიჟი, უფლებამოსილებითი ურთიერთობები, ეკონომიკური გარემოებები; (2) ფაქტორები, რომლებიც დამოკიდებულია მოსაუბრეების ენობრივ კომპეტენციაზე და მათ სოციალურ ურთიერთობებზე, და (3) კონკრეტული საუბრის ფაქტორები (Sebba, 2009: 42-43).

პირველი მაკრო სოციოლინგვისტური კვლევა ჯოშუა ფიშმანის სახელს უკავშირდება. აღნიშნული კვლევის მიზანი იყო, ნიუ იორკში მცხოვრები, ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე, პუერტო რიკოელი, მამრობითი სქესის მოზარდებში ენის კონტაქტის დადგენა. ფიშმანის კვლევის მთავარ ამოცანას, ერთი მხრივ, სუბსტრატი ენის - პუერტო რიკული ესპანური და მეორე მხრივ, ორ ენას - ნიუ იორკული ინგლისური და ე.წ. შავი ინგლისური, შავკანიანთა ინგლისური, შორის კონტაქტის კვლევა წარმოადგენდა (Fishman, 1965: 67-88). მიუხედავად იმისა, რომ ფიშმანის ნაშრომმა დიდი გავლენა მოახდინა სხვა მკვლევრებზე, მისი კვლევა არ ითვალისწინებდა სოციოლინგვისტური მიდგომის მიკრო დონის ანალიზსა და ინტერაქციულ დინამიკას, რომელიც მოსაუბრის მიერ კოდების გადართვისა და ენის არჩევანის საფუძველს წარმოადგენს.

ემპირიული მასალის გაცნობის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ კოდების გადართვის ფუნქციები შესწავლილია როგორც წერილობით ისე ზეპირ დისკურსში. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კვლევისთვის ზეპირი კონტექსტი უფრო საინტერესოა, განვიხილოთ ჰინდისა და ინგლისურს შორის კოდის გადართვის მაგალითი წერილობით კონტექსტში. იგი გვთავაზობს წერილობით კონტექსტში კოდების გადართვის ორ ზოგად ფუნქციას: სოციალური და სტილისტიკური (Kumar, 1986: 195-205).

1. **სოციალური ფუნქციები** ასოცირდება კოდების გადართვაში ჩართული ენების ფარდობით მნიშვნელობასთან. ენების როლი განპირობებულია მისივე სოციალურ-ეკონომიკური სტატუსით, ძალაუფლებითა და მოსაუბრეთა სოციალური იერარქიით. მაგალითად, ინდოეთში ინგლისურ ენაზე გადართვა ბუნებრივი ტენდენციაა, ვინაიდან ინგლისური უფრო პრესტიჟულ ენად ითვლება.
2. **სტილისტიკური ფუნქცია** გულისხმობს ავტორის ისეთ სტილისტიკურ მახასიათებელს, რომლის ფუნქციაა მხატვრული ელფერი და კრეატიულობა შესძინოს თავის ნაწარმოებს.

კუმარის კვლევა ეფუძნება ჰინდი და ინგლისურ ენებს შორის კოდების გადართვის სტრუქტურულ ასპექტებსა და ფუნქციურ მახასიათებლებს. წინამდებარე კვლევისთვის ორივე მახასიათებელი საინტერესოა, უფრო დაწვრილებით, კვლევით ნაწილში ვისაუბრებთ.

აღნიშნული ნაშრომი მიზნად ისახავს კოდების გადართვის ქცევის მხოლოდ ზეპირ დისკურსში შესწავლას. სპეციალური ლიტერატურის გაცნობის შედეგად, გამოიყო მეცნიერთა ნაშრომები, რომლებიც ეხება კოდების გადართვის გამოყენების პრაგმატიკულ, საკომუნიკაციო და ა.შ. ფუნქციებს ზეპირ მეტყველებაში. ჰოვარდ გაილის მიერ კოდების გადართვის ფსიქოლოგიური, საუბრის მონაწილეებზე ორიენტირებული მიდგომით შესწავლამ ორი მიმართულება გამოჰყო: 1. თანამოსაუბრეებთან ასოცირება და 2. თანამოსაუბრეებისგან თავის გამიჯვნა (Giles, 1973).

## 2.2 გუმპერცის კლასიფიკაცია

ფიშმანის კვლევის შემავსებლად გვევლინება გუმპერცი, რომელიც პირველია კოდების გადართვის შესწავლის პროცესში საუბრისას ინტერაქციული სტრატეგიების გამოყენების გათვალისწინების თვალსაზრისით. გარდა ამისა, მისი ანალიზი პირდაპირ ეწინააღმდეგება მოსაზრებას, რომლის თანახმადაც კოდების გადართვა წარმოადგენს ენის ცოდნის დაბალ კომპეტერენციასა და გრამატიკის გარეშე ორი კოდის ნაზავს. ენის მონაცვლეობა კონცეპტუალიზებულია არა, როგორც ენის ცოდნის დაბალი დონე, არამედ როგორც დამატებითი რესურსი, რომლის

საშუალებითაც მთელი რიგი სოციალური მნიშვნელობების გამოხატვაა შესაძლებელი (Gumperz 1982a, 1982b).

როგორც წესი, გუმპერცი აქცენტს აკეთებს მოსაუბრეთა მიერ კოდების გადართვის არა სტრუქტურულ ასპექტებზე, არამედ დისკურსზე და ინტერაქციულ ფუნქციებზე. გუმპერცი ამას იკვლევს სიტუაციური ფაქტორების (ფიშმანის კვლევიდან სესხულობს) გავლენის გათვალისწინებით. მაგ., თემა, მონაწილეები და გარემო.

აგრეთვე, კოდების გადართვის გასაანალიზებლად მის კვლევაში ხაზგასმულია მოსაუბრის მიზნები და კოდების გადართვის კონტექსტი, სოციალური ღირებულებებისა და ნიშანთვისებების გათვალისწინებით. აღნიშნული მიდგომის მიხედვით, გუმპერცი ორიენტირებულია კოდების გადართვის დისკურსზე და ფუნქციებზე (Gumperz 1982: 132-52). შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით, გუმპერცი (1982) ამტკიცებს რომ თითოეულ ადამიანს შეუძლია აირჩიოს მეტყველების სტილი დისკურსის სტრატეგიის შესაბამისად. შემდგომში იგი საუბრის კოდის შეცვლას ექვს მთავარ ფუნქციად, მაგალითად, ციტატა, თხოვნა, სიტყვის შეწყვეტინება, მესიჯის შესწორება და ა.შ. წარმოადგენს.

**ცხრილი 11. გუმპერცის კლასიფიკაცია**

ფუნქცია	განმარტება
1. ციტატის მოყვანა (Quotations)	ციტირება ან ირიბი ნათქვამი
2. ადრესატი ზუსტია (Addressee Specification)	მოსაუბრე ცდილობს გამოყოს მხოლოდ ერთი ნივთი, საგანი თუ საკითხი, რათა უარყოს სხვა დანარჩენი
3. შორისდებული (Interjections)	კოდების გადართვა შესაძლოა ემსახურებოდეს წინადადების შევსებას
4. გამეორება (Reiteration)	კოდების გადართვის პროცესში შეიძლება განმეორდეს იდენტური ან ნაწილობრივ შეცვლილი ზეპირსიტყვიერი შეტყობინება. გამეორების მიზანია კონკრეტული საკითხის ხაზგასმა ან გარკვევა



5. შეტყობინების კვალიფიკაცია (Message Qualification)	რაც ემსახურება კონსტრუქციების ცოდნას, მაგალითად: შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი (კოპულა), რომელიც აკავშირებს ქვემდებარეს შემასმენელთან
6. პერსონიფიცირებისა და ობიექტივაციის შეპირისპირება (Personalization versus Objectivization)	ამ ფუნქციას აინტერესებს მოსაუბრის ჩართულობის დონე, საუბრისას მოსაუბრე გამოხატავს პირად მოსაზრებას თუ ზოგად ცოდნას (Gumperz, 1982: 77).

გუმპერცის კოდების გადართვის ფუნქციების ჩამონათვალმა მრავალი მკვლევარი შთააგონა და შემდგომში საშუალება მისცა, დაეხვეწა ან საკუთარი ფუნქციების ჩამონათვალი წარმოედგინა (მაგ., McClure & McClure, 1988; Romaine, 1989; Nishimura 1997; Zentella 1997). თუმცა, აუერი ზემოთ ჩამოთვლილ მეცნიერთა კლასიფიკაციას ნაკლებად სარწმუნოდ მიიჩნევს (Auer, 1995). მაგალითად, ხშირად ციტირებული მე-4 კატეგორია, გამეორება, ზუსტად ვერ განსაზღვრავს რა მეორდება, ან რატომ. ზემოთ ჩამოთვლილი მეცნიერები ასევე აერთიანებენ ენობრივ სტრუქტურებს (როგორცაა შორისდებული) და პრაგმატულ ან სასაუბრო ფუნქციებს (შეტყობინების კვალიფიკაცია, ადრესატის დაზუსტება) ფორმასა და ფუნქციებს შორის ურთიერთობის ძიების მცდელობის გარეშე.

გროჟანის მტკიცებით, სპეციალური ლიტერატურის გაცნობის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ კოდების გადართვა გამოხატავს ჯგუფურ იდენტობასა და სოლიდარობას კონკრეტული საზოგადოების მიმართ (Beebe, 1981; Gal, 1987, 1989; Milroy, 1987).

**ცხრილი 12. გროჟანის კლასიფიკაცია (Grosjean, 1982: 136)**

ფაქტორები, რომლებიც მოსაუბრის ენის არჩევანზე გავლენას ახდენს	
საუბრის მონაწილეები	<ul style="list-style-type: none"> <li>• ენის კომპეტენცია</li> <li>• ენის უპირატესობა</li> <li>• სოციო ეკონომიკური სტატუსი</li> <li>• ასაკი</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>• სქესი</li> <li>• საქმიანობა</li> <li>• განათლება</li> <li>• ეთნიკური წარმომავლობა</li> <li>• მოსაუბრის მიერ ენის გამოყენების ისტორია</li> <li>• ნათესაობრივი კავშირი</li> <li>• ინტიმურობა</li> <li>• კომუნიკაციის უნარი</li> <li>• ენებისადმი დამოკიდებულება</li> <li>• გარე ზემოქმედების ფაქტორები</li> </ul>
საუბრის გარემო	<ul style="list-style-type: none"> <li>• ადგილმდებარეობა/ვითარება</li> <li>• ერთენოვანების (მონოლინგვების) არსებობა</li> <li>• ფორმალობის ხარისხი</li> <li>• ინტიმურობის, სიახლოვის ხარისხი</li> </ul>
საუბრის შინაარსი	<ul style="list-style-type: none"> <li>• თემა</li> <li>• სიტყვების მარაგი</li> </ul>
ურთიერთობის ფუნქცია	<ul style="list-style-type: none"> <li>• სტატუსის წარმოჩენა</li> <li>• სიციალური დისტანციის შექმნა</li> <li>• სხვა მოსაუბრის გამიჯვნა</li> <li>• მოთხოვნა ან განაცხადი</li> </ul>

გუმპერცის დიქტომიის მიხედვით „ჩვენ-კოდი“ (we-code) გამოხატავს არაფორმალურ კომუნიკაციას, ჯგუფს შიგა ურთიერთობას, როცა „თქვენ-კოდი“ (they-code) ფორმალური და ჯგუფს გარე დამოკიდებულების გამომხატველი და საკომუნიკაციო ფუნქციის მატარებელია. გუმპერცის ორივე კოდი სოლიდარობის სხვადასხვა დონეს გამოხატავს. გროჟანი, კლასიფიკაციის მეშვეობით, გვთავაზობს ფაქტორებს, რომლებიც მოსაუბრის „ჩვენ-კოდს“ (we-code) ან „თქვენ-კოდს“ (they-code) შორის არჩევანს ხსნის (Grosjean, 1982).

მიუხედავად იმისა, რომ გუმპერცის მიმდევარი მკვლევრების კლასიფიკაციებმა შეიძლება დიდი წვლილი შეიტანონ სასაუბრო კოდების გადართვის განმარტებაში,

ისინი ვერ სცემენ დამაკმაყოფილებელ პასუხებს შემდეგ კითხვებზე: თუ რატომ ხდება გადართვა და რა ფუნქციას ემსახურება ის საუბარში.

ერთ საუბარში კოდების გადართვა შესაძლოა მრავალ სხვადასხვა ფუნქციას გამოხატავდეს. ამგვარად, ფუნქციების ნებისმიერი სასრული ჩამონათვალი პირობითია. უმჯობესია, კოდების გადართვის ფუნქციები განისაზღვროს უშუალოდ საუბრის კონკრეტულად ერთი ეპიზოდის ფარგლებში და არა ზოგად ფუნქციებზე დაკვირვებით.

გალის მტკიცებით, გუმპერცის კლასიფიკაციის პირველი პუნქტი, ციტირება, ყოველთვის არ მართლდება, კერძოდ ადრესატმა საჭიროა იცოდეს ციტატა, რათა კოდების გადართვის მეშვეობით დამყარდეს კომუნიკაცია, თუმცა მოსაუბრის მოლოდინი ყოველთვის არ მართლდება (Gal 1989: 109). ადრესატის დაზუსტების ფუნქციის მიხედვით, მოსაუბრე კოდების გადართვით ცდილობს მრავალ სხვა ადრესატს შორის გამოჰყოს მხოლოდ ერთი. შორისდებული ფილერის, შემავსებლის ფუნქციას ასრულებს, მაგალითისთვის, ქართულად მეტყველებისას გამოყენებული „you know“, „well“, და ა.შ. გამეორების დროს, მოსაუბრე სხვა ენაზე იმეორებს უკვე ნათქვამს, ხაზგასმის, გამოამკარავების მიზნით. შეტყობინების კვალიფიკაცია ემსახურება კონსტრუქციების ცოდნას, მაგალითად: შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი (კოპულა), რომელიც აკავშირებს ქვემდებარეს შემასმენელთან. პერსონიფიცირებისა და ობიექტივაციის შეპირისპირება წარმოაჩენს თითოეული მონაწილის ჩართულობის როლს, მათი მოსაზრების ავტორიტეტულობას.

გუმპერცის ფუნქციები სრულად ვერ ასახავენ თუ რისი მიღწევა სურს მოსაუბრეს კოდების გადართვით. ციტირებისას მოსაუბრის მიზანი ბუნდოვანია, გარდა იმისა რომ ირიბად გადმოსცემს სათქმელს, მსგავსი პრობლემა წარმოიქმნება შორისდებულისა და შეტყობინების კვალიფიკაციის დროს.

სხვა მკვლევრებიც იყენებენ გუმპერცის მსგავს ტიპოლოგიას (Gardner-Chloros, 1991; Saville-Troike, 1982). გარდნერ-ქლოროსის კვლევის სამი ყველაზე გავრცელებული ფუნქცია სტრასბურგში ფრანგულ-ალზანურ ენებს შორის კოდების გადართვისას არის ის, რასაც გუმპერცი უწოდებდა ციტატის მოყვანას, ადრესატის დაზუსტებასა და გამეორებას. გუმპერცისა და სხვების მიერ შემოთავაზებული ფუნქციების

უმეტესობა ვლინდება ლექსიკური საშუალებებით, ან პროსოდური მახასიათებლებით ან თუნდაც ჟესტებით ერთენოვანთა საუბარში.

ამგვარად, კოდების გადართვა ჯგუფს შიგა სოლიდარობის გამომხატველი ქცევაა (Bradby, 2002). სოციოლინგვისტიკური მიდგომით კოდების გადართვა კონკრეტული ტიპის ორენოვანთა (ბილინგვთა) საზოგადოების წევრობის სიმბოლოს გამომხატავს (Auer, 1998: 3).

აუერი ასევე გვთავაზობს სხვადასხვა ფაქტორს კოდების გადართვის ანალიზის პროცესში გასათვალისწინებლად, მაგ., ირიბი თქმა, გამეორება, თემის ცვლა, ენების თამაში, საკითხის აქტუალიზება. გარდა ამისა, იგი აღწერს სოციო-პრაგმატულ მოტივაციებს, რომლებიც კოდების გადართვას იწვევს (Auer, 1995). ჩვეულებრივ, ორენოვანების (ბილინგვების), რომლებიც ორენოვან საზოგადოებაში ცხოვრობენ, დისკურსთან დაკავშირებული და დისკურსზე ორიენტირებული სტრატეგიები, დამოკიდებულია ინდივიდუალურ ცხოვრებისეულ ისტორიებზე, ვიდრე ენის ცოდნის კომპეტენციაზე. ამრიგად, ამ კონტექსტში კოდების გადათვასა და ენის კომპეტენციას შორის მიმართება ხდება ნაკლებად მნიშვნელოვანი. აქ კოდის გადართვის მთავარი ფუნქცია ენებს შორის კონტრასტის შექმნაა (Ramat 1995).

### 2.3 ჰოლმის კლასიფიკაცია

გარდა კოდების გადართვის მოტივაციისა, რომელიც წინა ქვეთავში განვიხილეთ, არსებობს ფუნქციები, რომლებიც კოდების გადართვას განაპირობებენ. ჰოლმსი გამოყოფს ოთხ ფუნქციურ მახასიათებელს, რომელიც გავლენას ახდენს დომენის არჩევანზე: სოლიდარობა, იგივე სოციალური დისტანცია; სოციალური სტატუსის, ოფიციალურობის, ემოციური და რეფერენციული ფუნქციური მახასიათებლები (Holmes, 2001). განვიხილოთ თითოეული მათგანი და ავხსნათ, თუ როგორ უკავშირდება ის პარაგვას მაგალითს, კერძოდ, ესპანურსა და გუარანს შორის კავშირს.

1. **სოლიდარობა - სოციალური დისტანციის მახასიათებელი:** ეს მახასიათებელი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, თუ რამდენად კარგად ვიცნობთ ვინმეს, არის მნიშვნელოვანი ფაქტორი ენის არჩევისთვის. მაგალითისთვის, ადამიანს

ნაცნობობის/სიახლოვის დონის მიხედვით მივმართავთ მხოლოდ სახელით ან ოფიციალური ფორმით, ქალბატონოსა და ბატონოს გამოყენებით. ესპანეთისა და გუარანის შემთხვევაში, გუარანი არის ახლო კავშირის გამოხატვის/მაღალი სოლიდარობის ენა, ხოლო ესპანური შორეული/დაბალი სოლიდარობის ენაა. მაგალითად, ორი პარაგვაელის შეხვედრაა მეზობელ ესპანურენოვან ქვეყანაში (რომელშიც გუარანი არ არის მშობლიური ან თუნდაც მეორე ენა), გუარანის გამოყენება მათი პარაგვაული პიროვნებისადმი ახლო კავშირისა და სოლიდარობის გამოხატვის გზა იქნება.

2. **სოციალური სტატუსი:** ჰოლმსის თანახმად, თანამოსაუბრის სოციალური სტატუსი განსაზღვრავს ჩვენი საუბრის მანერას. მაგალითისთვის, სამსახურში მისაღებია, რომ მაღალ თანამდებობაზე მყოფმა პირმა მიმართოს დაბალი თანამდებობის პირს თავისი სახელით, მაშინ როცა დაბალი თანამდებობის მქონე პირმა შეძლება ამ გზით მიმართოს თავის უფროსს და უნდა გამოიყენოს მისი სრული ტიტული. პარაგვაიში, რადგან ესპანური არის სამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნესის ენა, გონივრული იქნება ვიფიქროთ, რომ ადამიანები ესპანურად მიმართავენ მას, ვინც უფლებამოსილების პოზიციაზე დგას. თუმცა თუ მაღალი სტატუსის მქონე პირს სურს დომენის შეცვლა საუბარში, რომელშიც სოციალური სტატუსი არც ისე მნიშვნელოვანია, მას თავისუფლად შეუძლია გადაერთოს გუარანის ენაზე.
3. **ფორმალობა:** ამ მახასიათებლის მიხედვით, ენის არჩევანზე გავლენას ახდენს სიტუაციის ფორმალობა. მართლაც, ოფიციალურ გარემოში გამოყენებული სამსახურებრივი ინტერვიუს ენა ძალიან განსხვავდება არაფორმალურ გარემოში, მეგობრებთან საუბრისას გამოყენებული ენისაგან. პარაგვაის მაგალითის გათვალისწინებით, ჩვენ ვიცით, რომ ესპანური არის ფორმალურ დომენებში სასურველი ენა, რადგან ის ხშირად გამოიყენება საგანმანათლებლო, სასულიერო და სამთავრობო დაწესებულებებში, ხოლო გუარანი გამოიყენება არაფორმალურ დომენებში, როგორცაა მეგობრებთან საუბარი და ხუმრობა.
4. **ემოციური და რეფერენტული მახასიათებელი:** ეს მახასიათებელი ითვალისწინებს მოსაუბრის ემოციურ და რეფერენტულ (ინფორმაციით

დატვირთული საუბარი) ფუნქციებს. ზოგადად, ინფორმაციული ხასიათის ლექცია შესაძლოა, ნაკლებად დატვირთული იყოს ემოციური ფონით, ვინაიდან მსმენელის მთავარი ინტერესი არა მოსაუბრის გრძნობები, არამედ სალექციო ინფორმაციაა. ჰოლმსის მოსაზრებით, ენას შეუძლია გადმოგცეთ რეფერენტული ტიპის ობიექტური ინფორმაცია. პარაგვანის მაგალითის მიხედვით, ისევე ჩანს, რომ ზოგადად ესპანური რეფერენტური დომენებისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო გუარანის ძირითადად ემოციურად დატვირთულ მეტყველებაში გამოიყენება. ამასთან, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პარაგვაელების უმეტესობა გუარანს ჭორაობისთვის იყენებს. მიუხედავად იმისა, რომ ჭორი ნამდვილად ემოციურად დატვირთული მეტყველებაა, მასში ასევე დიდი რაოდენობით რეფერენტული შინაარსია.

ზემოთ მოყვანილი კლასიფიკაციიდან ჩანს, რომ დომენის გამოყენება არასტაბილურია და არსებობს სიტუაციები, როდესაც გარკვეული კოდი გამოიყენება მოსალოდნელი დომენის ფარგლებს გარეთ. ეს მოვლენა ცნობილია, როგორც გაჟონვა. ჰოლმსის თანახმად, ხშირად პარაგვაელები სახლში გვარანის ენაზე საუბრობენ, როგორც ამ დომენისთვის არის მოსალოდნელი, მაგრამ რადგან განათლების ენა არის ესპანური, ისინი სკოლაზე, სამსახურზე და მსგავს თემებზე საუბრისას ესპანურზე გადაერთვებიან. ანალოგიურად, თუ პარაგვაელი მონახულებს ისეთ გარემოს, სადაც ესპანური უნდა იყოს გამოყენებული, მაგალითად მთავრობის ოფისი, მან შეიძლება ნაცნობ ადამიანთან საუბარი გუარანის ენაზე წამოიწყოს, სანამ ესპანურად გადაერთვება. საერთო ჯამში, ეს გვიჩვენებს, რომ სიტუაციების კლასიფიკაცია წინასწარ შეფუთულ "დომენებად" ხშირად შეიძლება პრობლემური იყოს. ეს ასევე გვიჩვენებს, რომ დომენის შეცვლის გარდა, არსებობს სხვა რიგი მიზეზები, თუ რატომ შეცვლის მოსაუბრე კოდს.

## 2.4 მაბულის კლასიფიკაცია

კოდების გადართვის საფუძველი და ფუნქცია ჩრდილოეთ სოთომში მაბულის კვლევის საგანია. მისი ნაშრომის მიზანს სამხრეთ აფრიკულ ენებში კოდების გადართვისა და შერევის კვლევა წარმოადგენდა. მაბულის მტკიცებით, გაუცნობიერებელი კოდების გადართვა ზოგადი ტენდენციაა და არ არის

განპირობებული მოსაუბრის განათლების დონეზე, ასაკზე და კულტურაზე. მონაცემები შეგროვდა სოციალურ და პროფესიულ გარემოში, სამხრეთ აფრიკის უნივერსიტეტის კოლეგებსა და სტუდენტებს შორის საუბრისა და მიმოწერის გაანალიზების შედეგად მებუღმა გამოჰყო კოდების გადართვის საფუძველი და ფუნქცია (Mabule, 2015). რომლებსაც ცხრილის სახით წარმოვადგენთ.

**ცხრილი 13. კოდების გადართვის საფუძველი და ფუნქცია (Mabule, 2015)**

კოდების გადართვის საფუძველი და ფუნქცია	განმარტება
სათანადო და ეკვივალენტური ტერმინოლოგიის უკმარობა (Lack of proper or equivalent terminology)	კოდების გადართვის მიზეზები განპირობებულია ენის ვარიაციებსა და სხვადასხვა გარემოზე. მაგალითად, საუბარი მედღებს შორის, რომლებიც ცდილობენ განიხილონ საექთნო საკითხები ჩრდილოეთ სოთოს ენაზე და შემდეგ საუბრისას გადაერთვებიან ინგლისურ ენაზე. ამ შემთხვევაში კოდის გადართვის მიზეზი არის ის, რომ მათი ტერმინოლოგიისა და სამედიცინო ცნებების უმეტეს ნაწილს ეკვივალენტური სიტყვები არ გააჩნია ჩრდილოეთ სოთოს ენაზე.
მიმღებლობა (Acceptance)	კოდების გადართვის კიდევ ერთი მიზეზი არის სოციალური იდენტობა და ენობრივი ინტეგრაცია. ეს კეთდება იმისთვის, რომ მოსაუბრემ კონკრეტული საზოგადოების წევრად იგრძნოს თავი. სოციალური მიმღებლობის საკითხი გავლენას ახდენს მოსაუბრეზე, გამოიყენოს სოციალურად უფრო მეტად მისაღები გამოხატვის

	ფორმები.
სოციალიზაციისა და იდენტობის ფუნქცია (Social and identity function)	კოდების გადართვა საუბრის მონაწილეებს ხდის სოციალურს. აფრიკელი მამა ხშირად ცვლის კოდს თავის თინეიჯერ ვაჟებთან საუბრის დროს, მაგრამ ეს შეიძლება ჩაითვალოს კოდების გადართვად, მეგობრული ურთიერთობის მიუხედავად, ისინი არ არიან ერთი და იგივე სოციალურ ჯგუფში, ასაკობრივი სხვაობის გამო. კოდის გადართვა ქმნის იდენტურობას, მაგალითად, თინეიჯერებს შორის, რომლებსაც შეუძლიათ ერთმანეთის გაგება და თავად ქმნიან, საკუთრივ მათთვის დამახასიათებელ კოდს.
კოდების გადართვა ინფორმაციის დამტკიცებისა და დადასტურების მიზნით (Code switching for confirmation)	ამ ტიპის გადართვა ხდება მაშინ, როდესაც ადამიანი ეძებს ინფორმაციის დადასტურების რაიმე ფორმას. მაგალითად, საუბარი კოლეგებს შორის, შეხვედრაზე გარკვეული დოკუმენტების წარდგენის ვადებთან დაკავშირებით ინფორმაციის დაზუსტების მიზნით.
განვრცობა (Expansion)	კოდების გადართვა გამოიყენება სხვა ენაზე ფაქტების განვრცობის მიზნით, რათა ადრესატი უკეთ გაერკვეს საქმის ვითარებაში.
მსმენელის გამიჯვნა ან კომპეტენტურობის ჩვენება (Exclusion or to show expertise)	მოსაუბრე კოდების გადართვას იყენებს კონკრეტული მსმენელის, გამიჯვნის მიზნით. მაგალითად, მრავალენოვან საზოგადოებაში, როგორცაა სამხრეთ აფრიკა მოსაუბრე კოდების გადართვას



	ახდენს, რათა ესა თუ ის მსმენელები გამიჯნოს.
--	---

*(კოდების გადართვის საფუძველი და ფუნქცია, Mabule, 2015)*

მაბულის კვლევის ძლიერი მხარეს ორივე, წერილობითი და ზეპირი დისკურსის შესწავლა წარმოადგენს. თუმცა, გაუცნობიერებელი გადართვაც კი, ზოგჯერ შესაძლოა განპირობებული იყოს მოსაუბრის ასაკით, განათლების დონითა და კულტურით. მეტიც, აღნიშნული ფაქტორები მოსაუბრის იდენტობას გამოხატავენ.

## 2.5 მაიერს სკოტონისა და ვილიამ ურის კლასიფიკაცია

კაროლ მაიერს სკოტონისა და ვილიამ ურის კვლევის მიზანია პასუხი გასცეს კითხვას, რატომ ახდენს მოსაუბრე კოდების გადართვას. კოდების გადართვას განმარტავენ, როგორც ორი ან მეტი ენობრივი ვარიაციის გამოყენებას ერთსა და იმავე საუბრის თემაში/ინტერაქციაში. გადართვა შესაძლოა შემოიფარგლოს მხოლოდ ერთი სიტყვით, ან წუთების განმავლობაშიც კი გაგრძელდეს. ენობრივ ვარიაციაში შესაძლოა იგულისხმებოდეს არმონთესავე ენები და ერთი ენის სხვადასხვა სტილიც კი. ენაში დამკვიდრებული განყენებული, ნასესხები სიტყვის გამოყენება არ ითვლება კოდების გადართვად.

კაროლ მაიერს და ვილიამ ური გამოყოფენ სამ სოციალურ არენას.

**ცხრილი 14. კოდების გადართვის სოციალური ფუნქციები (Carol Myers Scotton & William Ury, 1977)**

არენათა კლასიფიკაცია	
იდენტობის არენა	მოსაუბრესა და თანამოსაუბრეს შორის საუბარი განპირობებულია საუბრის მონაწილეების იდენტობის ხარისხზე. მინიმუმ (პროფესია ან ასაკობრივი ჯგუფი) იდენტობის ფაქტორები აჯგუფებს საუბრის მონაწილეებს. ოჯახის წევრები ან

	საერთო ეთნიკური წარმოშობის მქონე ჯგუფებიც ამ არენაში ექცევიან.
ძალაუფლების არენა:	ძალაუფლების გამომხატველი ურთიერთობები ყოველთვის არათანაბარია. ერთი ან მეტი მონაწილე ძალაუფლების საილუსტრაციოდ იყენებს კოდების გადართვას, რათა გამიჯნოს თავი საუბრის სხვა მონაწილეებისაგან.
ტრანსაქციული არენა:	საუბარი ამ არენაზე უარყოფითად განისაზღვრება: არ განეკუთნება არც იდენტობის და არც ძალაუფლების არენას. არც პირად დამოკიდებულებას გამოხატავს.

აღნიშული კვლევის ზოგადი ჰიპოთეზის თანახმად, კოდების გადართვა ვლინდება, მაშინ როდესაც ერთ-ერთი მოსაუბრე მაინც ცდილობს საუბრის გადაყვანას სხვადასხვა სოციალურ არენაში. აქვე, მხედველობაში უნდა მივიღოთ: ა) კოდების გადართვის პროცესში გამოყენებულ ენებს შორის კავშირი და ბ) ინტერაქციის სოციალური მნიშვნელობა.

აღნიშული კვლევა ზოგადია და კოდების გადართვის მხოლოდ სოციალურ ფუნქციებსა და გამოყენებულ ენებს შორის კავშირს ეხება და ნაკლებად ითვალისწინებს თავად ინტერაქციის პროცესს.

## 2.6 ბეიკერის კლასიფიკაცია

ბეიკერის კვლევა დაფუძნებულია ახალი ზელანდიის (მაორისა და ინგლისურის თანაარსებობა), ამერიკის შეერთებულ შტატებისა და კანადის (ორენოვანი (ბილინგვური) პროგრამები) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულ ენის პოლიტიკაზე.

ბეიკერმა გამოჰყო კოდების გადართვის პრაგმატიკული, ზოგადი ფუნქციების ტაქსონომია (Baker 2006: 108-110).

- ნაგულისხმევი აზრის ხაზგასასმელად;
- ენაში სიტყვის ზუსტი შესატყვისის უქონლობის გამო სხვა ენიდან შემნაცვლებელი სიტყვების გამოყენება;
- ცნების გამოხატვისთვის, რომელსაც შესატყვისი არ აქვს სხვა ენის კულტურაში;
- თხოვნის განმტკიცება და ხშირად ავტორიტეტულობის ხაზგასმა;
- საკითხის განმარტვა ან კონცეფციის ახსნა სხვა ენაზე;
- იდენტურობის გამოხატვა სოციალური დისტანციის შემცირებით ან მოსაუბრესა და თანამოსაუბრეს შორის ახლო ურთიერთობის, მეგობრობისა და ოჯახური კავშირის ჩვენება;
- სხვისი ნათქვამის გამეორება;
- შორისდებული, წინადადების შევსების მიზნით;
- ძაბულობის შესამსუბუქებლად და საუბარში იუმორის გამოყენების მიზნით;
- დამოკიდებულების ან ურთიერთობის შეცვლის ჩვენება. ეს ძალიან ხშირად ჩანს მოსაუბრესა და თანამოსაუბრეს შორის, რომლებიც პირველად ხვდებიან და საუბარში აღმოაჩენენ, რომ მათ საერთო წარმომავლობა აქვთ ან საერთო კულტურული საზოგადოების წევრები არიან.
- სხვა ადამიანების გამორიცხვის მიზნით;
- გარკვეულ თემაზე სასაუბროდ; რომელიც, ჩვეულებრივ ერთ კონკრეტულ ენაზე განიხილება ხოლმე, მაგალითად, ინგლისური ითვლება კომერციის ენად. ესპანურ-ინგლისურენოვანი ორენოვნები (ბილინგვები), შეერთებული შტატების სამხრეთ-დასავლეთში, ფულზე საუბრისას ყოველთვის გადაერთვებიან ინგლისურ ენაზე.
- მეგობრებისა და მოზარდების იმიტაციის მიზნით, განსაკუთრებით ბავშვები, მათთვის ავტორიტეტულ ზრდასრულებთან თავის გაიგივების მიზნით.

ბეიკერის კლასიფიკაცია ასახავს მხოლოდ პრაგმატიკულ ფუნქციებს და ნაკლებად ითვალისწინებს ინტერაქციის სოციალურ მნიშვნელობას.

## 2.7 აპელისა და მიუსკენის კლასიფიკაცია

ერთ-ერთი პირველი კატეგორიზაცია კოდების გადართვის ფუნქციებთან დაკავშირებით აპელმა და მიუსკენმა შემოგვთავაზეს. მათი კატეგორია ხუთ ფუნქციას მოიცავს:

**ცხრილი 15. აპელისა და მიუსკენის კლასიფიკაცია (*Appel & Muysken, 2006: 29*)**

დამოწმების ფუნქცია (Referential function)	მოსაუბრე კოდის გადართვას, ინფორმაციის დამოწმების მიზნით, მატრიცა ენაში არსებული ხარვეზების კომპენსაციისთვის. ამან შეიძლება შეავსოს მატრიცული ენის ლექსიკური ხარვეზები, ან დაეხმაროს მოსაუბრეს შეინარჩუნოს გაბმული მეტყველება.
მიმართულების ფუნქცია (Directive function)	ასახავს სიტუაციას, რომელშიც მოსაუბრე მიაკუთნებს ან გაემიჯნება საუბრის სხვა მონაწილეებს.
ექსპრესიული ფუნქცია (Expressive function)	ამ ფუნქციის მიზანია იდენტობის ჩვენება
ფატიკური ფუნქცია (Phatic function)	ასახავს საუბრის ტონის შეცვლას
მეტალინგვისტური ფუნქცია (Metalinguistic function)	მეტალინგვისტური ფუნქცია ვლინდება, როდესაც მოსაუბრე ენის კონკრეტულ თვისებაზე მიუთითებს კოდების გადართვით.
პოეტური ფუნქცია (The poetic function)	გამოხატავს ისეთ შემთხვევებს, რომლებშიც ჩვეულებრივი საუბრისას მოსაუბრე კოდების გადართვას ახდენს გახუმრების, სიტყვების თამაშის ან/და ტაბუირებული სიტყვებისა და ფრაზების წარმოთქმის დროს.

აპელი და მიუსკენი ეყრდნობა იაკობსონის მიერ შემოთავაზებულ ექვს ფუნქციას, (რეფერენციული, კონოტაციური, ემოციური, ფატიკური, მეტალინგვისტური და პოეტური). დომენის მიდგომასთან (ენების გამოყენება ზოგადი დომენების

მიხედვით) ერთად, ეს ფუნქციები კოდების გადართვის შესწავლის პროცესში დიდ როლს ასრულებენ (Appel & Muysken, 1987: 29). რეფერენციული ფუნქცია: კოდების გადართვა ავსებს საკომუნიკაციო ხარვეზებს საუბარში გამოყენებული ორიდან ერთ ენაზე; დირექტივის ფუნქცია: კოდების გადართვა საუბარში ჩართავს ან გამიჯნავს კონკრეტულ თანამოსაუბრეებს, როგორც მოსაუბრის სასურველი ან არასასურველი ენის არჩევანის გამოყენებით; ექსპრესიული ფუნქცია: კოდების გადართვა არა კონკრეტული მნიშვნელობის მატარებელი, არამედ ორენოვანი სტატუსის გამომხატველია; ფატიკური ფუნქცია: (მსგავსია გუმპერცის მეტაფორული კოდების გადართვის): კოდების გადართვა ხელს უწყობს საუბრის ტონის შეცვლას; მეტალინგვისტური ფუნქცია: კოდების გადართვა ხელს უწყობს ენის დამოკიდებულების ან ცოდნის გამოხატვას; პოეტური ფუნქცია: კოდების გადართვა გამოიყენება მხატვრული/ესთეტიკური მიზნებისთვის, როგორცაა პოეზია, დრამა, ხუმრობა და ა.შ.

### **მეორე თავის დასკვნა**

ორენოვნების (ბილინგვების) მიერ, ერთ საუბარში, ორი ან მეტი ენის მონაცვლეობით გამოყენებას (კოდების გადართვა) ცენტრალური ადგილი უჭირავს ორენოვნების (ბილინგვიზმის) შესწავლის პროცესში. ამ ზოგადი განმარტების ქვეშ, კოდების გადართვის სხვადასხვა ფორმები გამოიყოფა. ერთი მხრივ, კოდების გადართვით იწყებს მოსაუბრე და თანამოსაუბრე თავის რიგს საუბრისას, მეორე მხრივ, მხოლოდ ერთი მოსაუბრე ახდენს კოდების გადართვას.

კოდების გადართვის ფუნქციები შესწავლილია როგორც წერილობით (Kumar, 1986) (სოციალური და სტილისტიკური), ისე ზეპირ (Gumperz 1982a, 1982b; Appel & Muysken, 2006; Baker 2006; Carol Myers Scotton & William Ury, 1977; Holmes, 2001; Grosjean, 1982, და ა. შ) და ერთდორულად ორივე (Mabule, 2015) დისკურსში (პრაგმატიკული, სოციალური, საკომუნიკაციო).

გუმპერცი პირველია კოდების გადართვის შესწავლის პროცესში საუბრისას ინტერაქციული სტრატეგიების გამოყენების გათვალისწინების თვალსაზრისით. იგი აქცენტს აკეთებს მოსაუბრეთა მიერ კოდების გადართვის არა სტრუქტურულ ასპექტებზე, არამედ დისკურსზე და ინტერაქციულ ფუნქციებზე. გუმპერცი ამას

იკვლევს სიტუაციური ფაქტორების (ფიშმანის კვლევიდან სესხულობს) გავლენის გათვალისწინებით. მაგ., თემა, მონაწილეები და გარემო. გუმპერცი სასაუბრო კოდის შეცვლას ექვს მთავარ ფუნქციად: ციტატა, თხოვნა, სიტყვის შეწყვეტინება, მესიჯის შესწორება და ა.შ. წარმოადგენს. მაგრამ, აღნიშნული ფუნქციები სრულად ვერ ასახავენ თუ რისი მიღწევა სურს მოსაუბრეს კოდების გადართვით.

ჰოლმისი პარაგავის (ესპანური და გუარანი) მაგალითზე დაყრდნობით, გამოყოფს ოთხ ფუნქციურ მახასიათებელს, რომლებიც გავლენას ახდენენ დომენის არჩევანზე: სოლიდარობა, სოციალური სტატუსი, ემოციური და რეფერენციული ფუნქციური მახასიათებლები (Holmes, 2001). სიტუაციების კლასიფიკაცია წინასწარ შეფუთულ "დომენებად" ხშირად შეიძლება პრობლემური იყოს.

მაბული მიიჩნევს, რომ გაუცნობიერებელი კოდების გადართვა ზოგადი ტენდენციაა და არ არის განპირობებული მოსაუბრის განათლების დონით, ასაკითა და კულტურით. ამგვარად, მაბულის კვლევის შედეგად გამოიყო კოდების გადართვის ფუნქციათა რიგი: სათანადო და ეკვივალენტური ტერმინოლოგიის უკმარობის გადაჭრის ფუნქცია; მიმდებლობის ფუნქცია, რომელიც შესაძლებელს ხდის კომუნიკაციას სხვადასხვა კულტურასა და ენობრივ ჯგუფებს შორის; სოციალიზაციისა და იდენტობის ფუნქცია; რაიმეს ხაზგასმა ან დადასტურება; სხვა, უფრო შესაფერის ენაზე ნათქვამის განვრცობა ან ახსნა; მსმენელის გამიჯვნა ან კომპეტენტურობის ჩვენება, იდენტობის ან ზოგჯერ, სოციალური სტატუსის ჩვენება. თუმცა, არ ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ გაუცნობიერებელი გადართვა არ არის განპირობებული მოსაუბრის ასაკით, განათლების დონითა და კულტურით.

მაიერს სკოტონისა და ვილიამ ურის კვლევის ზოგადი ჰიპოთეზის თანახმად, კოდების გადართვა ვლინდება, მაშინ როდესაც ერთ-ერთი მოსაუბრე მაინც ცდილობს საუბრის გადატანას სხვადასხვა სოციალურ არენაში. აქვე, მხედველობაში უნდა მივიღოთ: ა) კოდების გადართვის პროცესში გამოყენებულ ენებს შორის კავშირი და ბ) ინტერაქციის სოციალური მნიშვნელობა.

აღნიშნული კვლევა ზოგადია და კოდების გადართვის მხოლოდ სოციალურ ფუნქციებსა და გამოყენებულ ენებს შორის კავშირს ეხება და ნაკლებად ითვალისწინებს თავად ინტერაქციის პროცესს.

ბეიკერის კლასიფიკაცია გამოყოფს მხოლოდ პრაგმატიკულ ფუნქციებს, თუმცა ნაკლებად ითვალისწინებს ინტერაქციის სოციალურ მნიშვნელობას.

აპელი და მიუსკენი ეყრდნობა იაკობსონის მიერ შემოთავაზებულ ექვს ფუნქციას: რეფერენციული, კონოტაციური, ემოციური, ფატიკური, მეტალინგვისტური და პოეტური. აღნიშნული კლასიფიკაცია აერთიანებს პრაგმატიკულ და დომენის ფუნქციებს, რომლებიც კოდების გადართვის შესწავლის პროცესში დიდ როლს ასრულებენ.

### თავი 3. კოდების გადართვა ინგლისური, როგორც უცხო ენის სწავლების (EFL) საგანმანათლებლო დისკურსში

კოდების გადართვის ფენომენი განმარტებულია, როგორც სოციოლინგვისტიკის, ისე პედაგოგიკის პერსპექტივიდან, ამასთანავე, გასათვალისწინებელია, როგორც ყოველდღიური, ისე საკლასო საუბრის კონტექსტი. კოდების გადართვის სოციოლინგვისტიკური პერსპექტივა შესწავლილია ბლუმისა და გუმპერცის მიერ. მათი კვლევის ინტერესს წარმოადგენდა კოდების გადართვის როლი სხვადასხვა სახის ურთიერთობების, საუბრის თემის, ცვლილებისას. კოდების გადართვა გავლენას ახდენს მოსაუბრის იდენტობის მარკირებაზე, გამოხატავს პირადულ და სოლიდარულ დამოკიდებულებებს (Blom & Gumperz, 1972). საუბრისას სოციალური ინფორმაციის კოდირებისთვის, ორენოვანები (ბილინგვები) იყენებენ კოდების გადართვას, როგორც სტილისტიკურ პროცესს (ინდივიდუალური რიტორიკული ხერხი, რომელიც გამოყენებულია, როგორც საუბრისათვის მხატვრული ელფერის შესაძენად და ნათქვამის ლოგიკური მახვილის დასასმელად) (Valdés-Fallis, 1981: 96). წინამდებარე თავი წარმოადგენს კოდების გადართვის ინგლისური, როგორც უცხო ენის სწავლების კონტექსტში წამყვანი კვლევების მიმოხილვას.

კოდების გადართვა უცხო ენ(ებ)ის სწავლების საკლასო დისკურსში მრავალმხრივ შესწავლილია, როგორც სოციოლინგვისტიკის და ფსიქოლინგვისტიკის, აგრეთვე უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგიური კუთხით. ამ ქვეთავში განვიხილავთ ინგლისური, როგორც უცხო ენის შესწავლის მაგალითებს სხვადასხვა მკვლევრის მიხედვით.

ინგლისური, როგორც უცხო ენის სწავლების ორი მიდგომა გამოიყო: ერთენოვანი (მონოლინგვური) და ორენოვანი (ბილინგვური). საგაკვეთილო პროცესში ერთენოვანი (მონოლინგვური) მიდგომა ითვალისწინებს მხოლოდ უცხო ენის გამოყენებას, რაც აიძულებს სტუდენტებს, პირველი (მშობლიური) ენის მინიმალური ჩარევით, შეძლონ ფიქრი უცხოურ ენაზე (Howatt, 1984). კუმინსის (Cummins, 1978) ლინგვისტური დამოკიდებულების ჰიპოთეზაზე (linguistic interdependence hypothesis) დაყრდნობით, ატკინსონმა (Atkinson, 1993) და აუერბახმა (Auerbach, 1993) განავითარეს ორენოვანი (ბილინგვური) მიდგომა, რომლის მიხედვითაც მეორე ენის



ათვისების ეფექტიანობა განპირობებულია პირველი (მშობლიური) ენის კომპეტენციისა და განვითარების დონით. კრისტალი განმარტავს ტერმინს – *ინგლისური, როგორც უცხო ენა* (EFL), რომლის მიხედვითაც ინგლისური განიხილება იმ ქვეყნების კონტექსტში (მაგ., იაპონია, საფრანგეთი, ეგვიპტე და ბრაზილია) რომლებშიც არც მშობლიური და არც განსაკუთრებული სტატუსის მატარებელი ენაა (Crystal, 1995: 108). ინგლისური, როგორც მეორე ენა (ESL) არის კიდევ ერთი ტერმინი, რომელიც გვხვდება ინგლისური ენის სწავლების (ELT) ლიტერატურაში. კრისტალი ტერმინში – *ინგლისური, როგორც მეორე ენა* (ESL), ინგლისურს მოიაზრებს იმ ქვეყნებში, რომლებშიც მას აქვს სპეციალური სტატუსი, როგორც კომუნიკაციის საშუალება (Crystal, 1995: 108). ეს ტერმინი ასევე მიესადაგება იმ ქვეყნებში მცხოვრებ ინგლისელ ემიგრანტებსა და სხვა უცხოელებს, რომლებშიც ინგლისური პირველი ენაა (Crystal, 1995: 108). კოდების გადართვა ბუნებრივი და საყურადღებო მოვლენაა, რომელიც აადვილებს როგორც კომუნიკაციას, ასევე სწავლა-სწავლების პროცესს (Eldridge, 1996). კოდების გადართვა ქმნის კომფორტულ გარემოს EFL სწავლა-სწავლების პროცესში. მაგალითად, თურქეთში საშუალო საფეხურის EFL სწავლა-სწავლების პროცესში ჩართულ მოსწავლეთა კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ კოდების გადართვა თანხვედრაში მოდის საგანმანათლებლო მიზნებთან (Eldridge, 1996: 303).

საგანმანათლებლო კონტექსტში კოდების გადართვა პედაგოგიკური და სხვა ფუნქციებით ხასიათდება, რაც განპირობებულია აკომოდაციის თეორიით (Accommodation Theory). ეს თეორია ძირითადად ამტკიცებს, რომ მოსაუბრეები სტრატეგიულად იყენებენ კოდების გადართვას, როგორც ინსტრუმენტს სხვადასხვა გარემოში კომუნიკაციისთვის (Mesthrie და სხვ., 2000). ეს ადასტურებს, რომ როგორც მოსწავლეები, ასევე მასწავლებლები გარკვეულ სიტუაციებში ირჩევენ მშობლიურ ენას, რათა საუბრისას მოერგონ სიტუაციას ან აჩვენონ თავიანთი სტატუსი (ორენოვნების). იაკობსონი და ფალტისი (Jacobson & Faltis 1990: 174–175) განიხილავენ აცდენას ენის პოლიტიკასა და სწავლების პრაქტიკას შორის და ვარაუდობენ, რომ აღნიშნულ შეუსაბამობას სწავლებისას არსებული პრობლემა იწვევს, კერძოდ, მასწავლებლის განზრახვა სწავლებისას გამოიყენოს მხოლოდ სამიზნე ენა და სტუდენტების საჭიროება, გაიგონ რაც შეიძლება მეტი. ამრიგად, მასწავლებლებს

უჭირთ თავი აარიდონ მშობლიური ენის გამოყენებას. შესაძლებელია, მაგრამ რთულია მოსწავლეებისთვის მშობლიური ენის იგნორირება უცხო ენის სწავლებისას.

საგანმანათლებლო კონტექსტში, კოდების გადართვის ფუნქციების შესწავლის, ორი ძირითადი კლასიფიკაცია გამოიყო, 1. კანაგარაჯაჰის 2. ფერგუსონის, რომლებიც ყველაზე ციტირებულია სამეცნიერო სივრცეში. მომდევნო ქვეთავები ემსახურება აღნიშნული კლასიფიკაციების განსჯა განხილვას.

### 3.1 კანაგარაჯაჰის კლასიფიკაცია

კანაგარაჯაჰის კვლევა (ჩატარდა შრი-ლანკაში, ჯაფნას საკლასო ოთახებში) ეყრდნობა 24 მასწავლებლის (თანაბრად არჩეული რაოდენობები სასოფლო და საქალაქო დასახლებებიდან) საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების შედეგად შეგროვებულ მონაცემებს. თავდაპირველად კვლევის მიზანს წარმოადგენდა საგაკვეთილო პროცესში პირველი (მშობლიური) ენის ფუნქციური ანალიზი, შემდგომში დავიწროვდა და საგაკვეთილო პროცესში კოდების გადართვის როლს დაეთმო მეტი ყურადღება. კვლევაში ჩართული პირები იყვნენ მასწავლებლები, რომლებიც მაგისტრატურის საფეხურზე სწავლობდნენ და ორთვიან შეფასებად პრაქტიკულ კურსს გადიოდნენ სკოლებში. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, სულ მცირე სამჯერ ხელმძღვანელები ესწრებოდნენ და აკვირდებოდნენ მათ მუშაობას. გაკვეთილის შემდგომ ორივე მხარე (მასწავლებელი და ხელმძღვანელი) აფასებდა გაკვეთილის ეფექტიანობას. თავად ხელმძღვანელებიც ერთმანეთში განიხილავდნენ თითოეული მასწავლებლის საგაკვეთილო პრაქტიკას. კანაგარაჯაჰი, როგორც ხელმძღვანელი, ესწრებოდა, ინიშნავდა დამატებით ეთნოგრაფიულ შენიშვნებს სწავლების კონტექსტზე და გაკვეთილის ორმხრივი რეფლექსიის დროს გამოთქმულ მოსაზრებებს. საკვლევი მასალა აერთიანებს როგორც აუდიო ჩანაწერებს, ასევე დაკვირვების დროს ჩაწერილ ტრანსკრიპტებს.

კანაგარაჯაჰის კვლევა ბუნებრივ გარემოშია ჩატარებული, და ამგვარად, თვისებრივი ხასიათისაა, რომელიც ემსახურებოდა კოდების გადართვის მაგალითების მოძიებას და მათი ფუნქციების გამორკვევას. იმის მიუხედავად რომ მკვლევარმა გამოიყენა ეთნოგრაფიული მონაცემები, კვლევის ჩარჩოდ მაინც საუბრის

ანალიზის თეორიაა აღებული, ვინაიდან მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ კოდების გადართვის ქცევები უფრო მეტად გაუცნობიერებელი ხასიათისაა. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მასწავლებლების აკადემიური ხელმძღვანელები საგაკვეთილო პროცესს აკვირდებოდნენ საკლასო ოთახში ბოლო მერხიდან, მოსწავლეებისთვის ეს ფაქტი მეტ-ნაკლებად ბუნებრივი იყო, ვინაიდან მსგავს დასწრებებს მიჩვეულები იყვნენ, განათლების სამინისტროს მიერ გამოგზავნილი პირები ხშირად ესწრებოდნენ საგაკვეთილო პროცესს. რაც შეეხება მასწავლებლებს, ვინაიდან მათი საქმიანობა ფასდებოდა, ცდილობდნენ მეტად გამოეყენებინათ სამიზნე ენა.

კანაგარაჯაჰის კვლევა ნაკლებად ეხება კოდების გადართვის სტრუქტურულ ანალიზს, არამედ ორიენტირებულია მის სოციოლინგვისტურ და დისკურსულ ფუნქციებზე.

კანაგარაჯაჰის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, კოდების გადართვის გამოყენების ფუნქციები საკლასო ოთახში მიკროფუნქციების კატეგორიის ქვეშ ერთიანდება და იყოფა ორ ფართო კატეგორიად: პირველი კატეგორია აჩვენებს, საკლასო ოთახში რა ფუნქციას ასრულებს კოდების გადართვა სასწავლო მასალის შინაარსის გადმოსაცემად ხოლო მეორე კატეგორია საკლასო/საგაკვეთილო პროცესის მართვას ეხება.

წინამდებარე ორი ვრცელი კლასიფიკაცია იყოფა ქვეკატეგორიებად:

### **1. შინაარსის (გაკვეთილის თემისა და კურიკულუმში გაწერილი ენის უნარების) გადაცემა.**

საგაკვეთილო მასალაზე მუშაობისას ძირითადად, ორმხრივად მიღებულია ინგლისური ენის გამოყენება. თუმცა, აღნიშნულ პროცესშიც გამოვლინდა გაუცნობიერებელი გადართვები ტამილურზე.

- **საგაკვეთილო მასალის მიმოხილვა** – როგორც საგაკვეთილო პროცესისთვის შემზადების ფუნქციას, წინა საგაკვეთილო მასალის მიმოხილვის პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეების მობილიზებას გაკვეთილისთვის.

- **განმარტება (მაგ., სიტყვის)** – მასწავლებლები ხშირად იყენებდნენ ტამილურს ბავშვებისთვის უცნობი სიტყვის (ძირითადად იგულისხმება ლექსიკური ერთეული ან ნასესხები სიტყვა) განმარტების მიზნით.
- **ახსნა (მაგ., საგაკვეთილო მასალის)** – კოდების გადართვა ემსახურება ბევრ ამგვარ სტრატეგიას (გამეორება, ახსნილის სხვაგვარად ფორმულირება, დაზუსტება) რომლებიც ხელს უწყობენ სტუდენტებს მასალის ათვისებაში.
- **კულტურული შესაბამისობის გამოხატვა** – მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ხშირად უჩნდებათ ტამილურ ენაზე შესატყვისი ანეკდოტის, ხუმრობის, კულტურული შესაბამისობის მოყვანის სურვილი.
- **პარალელური თარგმანი (მაგ., მშობლიურ ენაზე)** – ზოგიერთი მასწავლებელი საგაკვეთილო მასალის ახსნის პროცესში იყენებს სიტყვასიტყვით თარგმანს. განვიხილოთ მაგალითი გაკვეთილის, რომელზეც მასწავლებელი ხსნის ახალ ლექსიკურ ერთეულებს – სხეულის ნაწილებს.
- **მოსწავლეებთან წყვილში ან ჯგუფური მუშაობა** – საგაკვეთილო პროცესში, წყვილში ან ჯგუფური მუშაობისას მასწავლებლისგან დამოუკიდებლად, მოსწავლეები ხშირად იყენებდნენ ტამილურს – წინადადებების, სიტყვების თარგმნის მიზნით.

2. **საკლასო/საგაკვეთილო პროცესის მართვა** (კოდების გადართვა არეგულირებს მოსწავლეებისა და მასწავლებლების ჩართულობასა და გაკვეთილის მსვლელობას. მათ ხდის ეფექტიანსა და რეგულარულს).

პირველი მშობლიური ენის სწავლების პროცესზე დაკვირვებისას, გამოიკვეთა მასწავლებლების მიდრეკილება ეფექტიანი მართვის განხორციელების მიზნით გამოიყენონ ორგვარი მიდგომა – „მოდალობის გამიჯვნა“ (Meritt, და სხვ., 1992). მერიტის და სხვა მკვლევრების მიერ შექმნილი ტერმინი განმარტავს მასწავლებლის მიერ სხვადასხვა ფუნქციების გამოხატვის მიზნით კონკრეტული კოდების ან ხერხის გამოყენებას, კერძოდ, მასწავლებელთა ნაწილი ირჩევს ინსტრუქციების მიცემის ვერბალურ გზას და არავერბალურ (ჟესტიკულაცია, სიჩუმე, ფიზიკური მოძრაობები) გზას შეფასებისას. კოდების გადართვაც მსგავსი ხასიათისაა, მასწავლებელთა ნაწილი ინგლისურს იყენებს დავალების ინსტრუქციის მისაცემად, როცა ემოციების გამოხატვისთვის ტამილურს ამჯობინებს.

- **საგაკვეთილო პროცესისთვის შემზადება** – მასწავლებელი ტამილურს იყენებს მოსწავლეებისთვის საკლასო ოთახში მერხების სასურველი განლაგების ცნობების მიზნით.
- **მითითებების მიცემა** – აქტივობის ინსტრუქციის მიცემისას მოსწავლეების დაბნეულობისა და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მასწავლებელი იყენებს ტამილურს. თუმცა მონაცემთა ანალიზისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები შაბლონურ ინსტრუქციებს ინგლისურ ენაზე იძლეოდნენ (მაგ., now sit in pairs with your neighbour and practice the dialogue).
- **დახმარების თხოვნა** – მოსწავლეებს, დავალების შესრულების პროცესში არსებული დაბრკოლებისას, შეუძლია გადაერთონ ტამილზე, რათა აღნიშნულმა ხელი არ შეუშალოს საკლასო აქტივობის მსვლელობას.
- **დისციპლინის დამყარება** – მოსწავლეები თანაკლასელებთან უთანხმოების შემთხვევაში მიმართავდნენ მასწავლებლებს ტამილურად.
- **მოსწავლის გამხნეების** – სიტუაციებში, რომლებშიც საჭიროა დაბნეული, შეშინებული და აღელვებული მოსწავლის წახალისება, მასწავლებლები ცდილობენ გამოიყენონ შედარებით არაფორმალური და უშუალო სტატუსის მქონე ენა – ტამილური. რაც ხელს უწყობს მოსწავლეებისთვის მშვიდი და მეგობრული გარემოს შექმნას.
- **მოსწავლის შექება** – მსგავსად გამხნეების ფუნქციისა, შექებისას ტამილურის გამოყენებას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. ინგლისურ ენაზე მრავალჯერადად წარმოთქმული კომპლიმენტები კარგავს ძალას.
- **მოსწავლის გაფრთხილება** – როდესაც მოსწავლეები ნაკლებად ცდილობენ ინსტრუქციებს არ დაემორჩილონ, მასწავლებელი გადაერთვება ტამილურზე, რათა შეახსენოს მათ მსგავსი ქმედების შედეგი.
- **მასწავლებლის შენიშვნა (ემოციური გამოხატულება)** – იმედგაცრუებული მასწავლებელი ერთვება ტამილურზე ბრაზის გამოხატვის მიზნით.
- **კლასის დაწყნარება** – დისკურსის მარკერების, ნაწილაკების მეშვეობით გადართვა გამოხატავს თბილ, მეგობრულ, გამამხნეებელ დამოკიდებულებას მასწავლებლის მხრიდან.

- **თხოვნა** – როგორც წინა ფუნქციაში აღვნიშნეთ, ტამილური გამოხატავს უშუალოდ, სოლიდარობის გამომხატველ კოდს, რომელსაც მოსწავლეები იყენებენ მასწავლებლის მიმართ განსაკუთრებული თხოვნის გამოსახატად.
- **არასაგაკვეთილო თემებზე საუბრები** – არასაგაკვეთილო თემებზე საუბრისას (მოსწავლეების წყვილში მუშაობისას, ჯგუფური მუშაობისას, მასწავლებლისა და მოსწავლეების გჯუფური მუშაობისას) გამოიყენება ტამილური. ამასთანავე, საზოგადოებაში აქტუალურ თემებზე საუბრისას ორივე მხარის მიერ გამოიყენება მშობლიური (ტამილური) ენა.

ზემოთ მოყვანილ კლასიფიკაციის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კანაგარაჯაჰის კვლევა აერთიანებს როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლეების მიერ კოდების გადართვის ქცევებს და წარმოადგენს საერთო კლასიფიკაციას. მის კვლევაში ნაკლებადაა შესწავლილი მოსაუბრეთა მიერ ენების მიმართ დამოკიდებულებისა და ენის პოლიტიკის საკითხები. კანაგარაჯაჰის კვლევის ინტერესს ძირითადად კოდების გადართვის მიკროფუნქციები წარმოადგენს. კვლევის ზოგადი შეფასებით, ინგლისური ენა გამოიყენება საგაკვეთილო აქტივობებში, სახელმძღვანელოში არსებულ მასალაზე სამუშაოდ, ტამილური კი მხოლოდ მაშინ, როდესაც კომუნიკაცია არაოფიციალური, პერსონიფიცირებული, მოსაუბრეთა კულტურაზე მორგებულია. ჯაფნას საკლასო ოთახებში ინგლისური დამკვიდრებული, ოფიციალური, ხოლო ტამილური მარკირებული კოდია (Myers-Scotton, 1983).

### 3.2 ფერგუსონის კლასიფიკაცია

ფერგუსონის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით (კვლევა ჩატარდა აფრიკაში, როგორც პოსტკოლონიურ კონტექსტში) მასწავლებლის მიერ კოდების გადართვის გამოყენების ფუნქციები საკლასო ოთახში მიკროფუნქციების კატეგორიის ქვეშ ერთიანდება და იყოფა სამ ფართო კატეგორიად: პირველი კატეგორია აჩვენებს, საკლასო ოთახში რა ფუნქციას ასრულებს კოდების გადართვა სასწავლო მასალის გადმოსაცემად, მეორე კატეგორია საკლასო/საგაკვეთილო პროცესის მართვას ეხება, ხოლო მესამე ადამიანთაშორის ურთიერთობებს, კერძოდ მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობას.

წინამდებარე კლასიფიკაცია ფერგიუსონმა უკვე ჩატარებულ კვლევებზე (ჰონგ-კონგი Pennington, 1995; Lin, 1996; Jonson, 1983; ბრუნეი – Martin, 1996, 1999; შრი-ლანკა – Canagarajah, 1995; მალტა – Camilleri, 1996; ბოტსვანა – Arthur, 1996; სამხრეთ აფრიკა – Addendorf, 1993; კენია – Merritt და სხვ., 1992) დაყრდნობით წარმოადგინა. ცხრილში მოყვანილია ის კვლევები, რომელთა კვლევის ობიექტი ინგლისური, როგორც უცხო ენა იყო.

**ცხრილი 16. კოდების გადართვის კვლევა საგანმანათლებლო კონტექსტში (მიმოხილვა)**

ადგილმდებარეობა	ავტორი	კვლევის მონაცემები და საგანი
<b>კვლევის შედეგები</b>		
ჰონგ-კონგი	Pennington (1995)	ინგლისური ენის გაკვეთილები, რვა მასწავლებელი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში (1-6 კლასები)
<p>კანტონურ ენაზე გადართვის ფუნქციები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ინგლისური ტერმინების ახსნა-განმარტება;</li> <li>• მოსწავლეების ყურადღების მობილიზება და ჩართულობის გაზრდა;</li> <li>• სასწავლო მასალის შინაარსის ახსნა;</li> <li>• სოციალური დისტანციის გაზრდა საკლასო, ფორმალური ატმოსფეროს შექმნა.</li> </ul>		
შრი-ლანკა, ჯაფნა	Canagarajah (1995)	ინგლისური ენის გაკვეთილები, 24 სკოლის მასწავლებელი.
<p>ტამილურ ენაზე გადართვის ფუნქციები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შინაარსის (გაკვეთილის თემისა და კურიკულუმში გაწერილი ენის უნარების) გადაცემა;</li> <li>• საკლასო/საგაკვეთილო პროცესის მართვა.</li> </ul>		

ბოტსვანა	Arthur (1996)	ორ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, მეექვსე კლასებში.
<p>კოდების გადართვის ფუნქციები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საკლასო/საგაკვეთილო პროცესის მართვა (საუბრის ადრესატის დაზუსტების, გაკვეთილის მომდევნო საფეხურზე გადასვლის, მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით);</li> <li>• ორი მოდალობა (საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო);</li> <li>• საგაკვეთილო მასალის ახსნისას.</li> </ul>		
კენია	Merritt და სხვ., 1992	სამ სკოლაში (პირველი, მესამე, მეოთხე და მერვე კლასები)
<p>კოდების გადართვის ფუნქციები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საგაკვეთილო მასალის თავიდან ფორმულირება;</li> <li>• გაკვეთილის მომდევნო საფეხურზე გადასვლის, მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით;</li> <li>• ინგლისური ლექსიკური ერთეულების განმარტების მიზნით;</li> <li>• მოსწავლისთვის სიტყვის მიცემის უფლების, საკლასო ენობრივი ერთეულების გამოყენების დროს.</li> </ul>		

რაც შეეხება დანარჩენ კვლევებს (Lin, 1996; Jonson, 1983, 1985; Martin, 1996, 1999; Camilleri, 1996; Addendorf, 1993), მათი კვლევის საგანია საგნისა და ენის ინტეგრირებული სწავლების კონტექსტი, მაგ., გეოგრაფიის, ბიოლოგიის და სხვ., გაკვეთილები, რომლებიც ინგლისურ ენაზე ტარდება.

წინამდებარე კვლევებზე დაყრდნობით, ფერგუსონის სამი ვრცელი კლასიფიკაცია იყოფა ქვეკატეგორიებად:

1. შინაარსის (გაკვეთილის თემისა და კურიკულუმში გაწერილი ენის უნარების) გადაცემა:

- პარალელური თარგმანი (მაგ., მშობლიურ ენაზე);
- განმარტება (მაგ., სიტყვის);



- ახსნა (მაგ., საგაკვეთილო მასალის: გრამატიკული საკითხების);
- მასწავლებლის მიერ მოსწავლეების გაუგებარი საკითხის განმარტება;
- კულტურული შესაბამისობის გამოხატვა;
- მოსწავლეთა მიერ გაგებულის შემოწმება;
- ინგლისურად სწორად წარმოთქმაზე მოსწავლეებისთვის ყურადღების გამახვილების მიზნით;

## 2. საკლასო/საგაკვეთილო პროცესის მართვა

- მოსწავლეებისა და მასწავლებლების საკლასო დავალებების ორგანიზება;
- დისციპლინისა და საგაკვეთილო პროცესის სტრუქტურის შენარჩუნების მიზნით;

## 3. პიროვნებათშორისი ურთიერთობები

- მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის პიროვნებათშორისი ურთიერთობების გამყარება (მოსწავლეებთან წყვილში ან ჯგუფური მუშაობა);
- მოსწავლეებში შფოთის შემსუბუქების მიზნით;
- ინგლისური ენის სწავლის პროცესში მოსწავლის მოტივაციისა და თავდაჯერებულობის გაზრდის მიზნით;
- მოსწავლის წახალისების მიზნით;
- მოსწავლის შექების მიზნით;
- მოსწავლისთვის უკუკავშირის მიცემის მიზნით;
- მოსწავლეების ჩართულობის გაზრდის მიზნით.

ფერგუსონის კვლევა ეფუძნება ენის პოლიტიკის საკითხებს პოსტკოლონიურ კონტექსტში და გამოყოფს ორ მნიშვნელოვან მახასიათებელს. 1. კოდების გადართვა, როგორც ზოგიერთი კვლევა მოწმობს (იხ. Boyle 1997: 83), არა საუბრის უფუნქციო მოქმედებაა, არამედ მეტად მნიშვნელოვანი და კომუნიკაციისთვის საჭირო მექანიზმია სწავლების პროცესში, განსაკუთრებით იმ მოსწავლეებისთვის, რომელთა კომპეტენცია უცხოურ ენაში დაბალია. ზემოთ მოყვანილი ავტორების უმრავლესობა ეთანხმება ამ მახასიათებელს, მაგალითისთვის: „კოდების გადართვა საჭირო საშუალებაა მოსწავლეების მიერ კურიკულუმში გაწერილი სასწავლო მასალის ათვისების თვალსაზრისით“ (Camilleri, 1996: 107) „კოდების გადართვა წარმოადგენს

დამატებით რესურსს საგაკვეთილო მიზნების მიღწევის თვალსაზრისით“ (Merritt და სხვ., 1992: 118).

ამ მნიშვნელოვანი მიღწევების მიუხედავად, არსებობს მთელი რიგი შენიშვნები, რომელთაგან ერთ-ერთია უცხო ენის გაკვეთილზე კოდების გადართვის ქცევა, როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლის მხრიდან. აღნიშნული შესაძლოა, უფრო მიუღებლად ჩაითვალოს, ვიდრე საგნობრივი შინაარსის მქონე გაკვეთილზე, რომელსაც ორმაგი მიზანი (საგნობრივი შინაარსის გადაცემა და ენობრივი კომპეტენციის ამაღლება) აკისრია.

### **მესამე თავის დასკვნა**

საგანმანათლებლო კონტექსტში, კოდების გადართვის ფუნქციების შესწავლის, ორი ძირითადი კლასიფიკაცია გამოიყო, 1. კანაგარაჯაჰის 2. ფერგუსონის.

კანაგარაჯაჰის კვლევა ბუნებრივ გარემოშია ჩატარებული (საკლასო ოთახში დაკვირვების მეთოდის გამოყენებით) და, ამგვარად, თვისებრივი ხასიათისაა, რომელიც ემსახურებოდა კოდების გადართვის მაგალითების მოძიებას და მათი ფუნქციების გამორკვევას. მისი კვლევა ნაკლებად ეხება კოდების გადართვის სტრუქტურულ ანალიზს, არამედ ორიენტირებულია მის სოციოლინგვისტურ და დისკურსულ ფუნქციებზე. კანაგარაჯაჰის კვლევა აერთიანებს როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლეების მიერ კოდების გადართვის ქცევებს და წარმოადგენს საერთო კლასიფიკაციას. მის კვლევაში ნაკლებადაა შესწავლილი მოსაუბრეთა მიერ ენების მიმართ დამოკიდებულებისა და ენის პოლიტიკის საკითხები. კანაგარაჯაჰის კვლევის ინტერესს ძირითადად კოდების გადართვის მიკროფუნქციები წარმოადგენს.

ამგვარად, ზემოთ მოყვანილ ფუნქციებზე დაყრდნობით, ინგლისური ფორმალური, უცხო, შორეული, ხოლო ტამილური სპონტანური, არაფორმალური, ახლო საუბრებისთვის გამოიყენება.

კანაგარაჯაჰისგან განსხვავებით, ფერგუსონის კვლევა უმეტეს წილად მაკროფუნქციებზეა ორიენტირებული. ფერგუსონის კვლევა ეფუძნება ენის პოლიტიკის საკითხებს პოსტკოლონიურ კონტექსტში და გამოყოფს ორ

მნიშვნელოვან მახასიათებელს. 1. კოდების გადართვა, როგორც ზოგიერთი კვლევა მოწმობს (იხ. Boyle 1997:83), არა საუბრის უფუნქციო ქცევაა, არამედ მეტად მნიშვნელოვანი და საჭირო საკომუნიკაციო რესურსია სწავლების პროცესში, განსაკუთრებით იმ მოსწავლეებისთვის, რომელთა კომპეტენცია უცხოურ ენაში დაბალია. ამასთანავე, ფერგიუსონმა გამოყო არა ორი, არამედ სამი ძირითადი კატეგორია კოდების გადართვის ფუნქციების. ფერგიუსონის კვლევა ეყრდნობა უფრო მეტად აღწერითი ხასიათის მქონე თვისებრივ, ვიდრე რაოდენობრივ კვლევებს, ვინაიდან იგი ახდენს არა უშუალოდ მის მიერ ჩატარებული კვლევების, არამედ სხვა მკვლევრების მიერ განხორციელებული კვლევების დოკუმენტირებასა და ამავე კვლევებით მოპოვებულ მაგალითებზე დაყრდნობით კოდების გადართვის ფუნქციების კლასიფიცირებას.

#### თავი 4. ენისადმი და კოდების გადართვისადმი დამოკიდებულება

იმის მიხედვით თუ როგორ აღიქვამს სამყაროს ადამიანი, განისაზღვრება მისი ქცევა. სამყაროს აღქმის პროცესში დიდ როლს ასრულებს განწყობა/დამოკიდებულება (attitude). ტერმინი „განწყობა“ ნასესხებია ფსიქოლოგიიდან. კერძოდ, ენისადმი დამოკიდებულების შემსწავლელი მთავარი დარგი სოციალური ფსიქოლოგიაა. გამომდინარე იქიდან, რომ დამოკიდებულების კვლევა დიდი ხანია თამაშობდა გამორჩეულ და გადამწყვეტ როლს სოციალურ ფსიქოლოგიაში, აღნიშნული კონცეფცია ასევე გახდა სოციოლინგვისტიკის ინტერესის მთავარი ობიექტი (Garrett და სხვ., 2003: 2). თუმცა მისი ზუსტი ბუნება, მიუხედავად კვლევის სხვადასხვა სფეროში არსებული ფართო ინტერესისა, საკამათო რჩება.

დამოკიდებულება შეიძლება განისაზღვროს, როგორც „ფსიქოლოგიური ტენდენცია, რომელიც გამოიხატება კონკრეტული ობიექტის შეფასებით გარკვეული კეთილგანწყობის ან უკმაყოფილების გასაზომად“ (Eagley & Chaiken, 1993: 1). გასაზომი ობიექტების შეფასების პასუხები მოიცავს, მაგალითად, მოწონებას ან არ მოწონებას, მიახლოებას ან თავიდან აცილებას და მიკუთვნებას ან ზიზღს (Eagley & Chaiken, 1993: 3). ობიექტი შეიძლება იყოს კონკრეტული (მაგ., სხვადასხვა სახის საკვები) ან აბსტრაქტული (მაგ., ფემინიზმი), ისევე როგორც უსულო (მაგ., კომპიუტერები) ან სულიერი (მაგ. ადამიანები, ადამიანთა ჯგუფები) (Bohner, 2001: 241).

დამოკიდებულება მოიცავს კოგნიტიურ (cognition), აფექტურ (affect) და ქცევით (behaviour) კომპონენტებს (Garrett და სხვ., 2003: 3). ადამიანების შეფასებითი პასუხები სტიმულებზე შეიძლება დაიყოს სამ კლასად – შემეცნება, აფექტი და ქცევა (Eagley & Chaiken, 1993: 10). შემეცნებითი ტიპის შეფასების პასუხებს ასევე მოიხსენიებენ, როგორც „რწმენებს“, რომლებიც შედგება კავშირებისგან ან ასოციაციებისგან, რომლებსაც ადამიანები ამყარებენ დამოკიდებულების ობიექტსა და მის სხვადასხვა ნიშან-თვისებას შორის (Eagley & Chaiken, 1993: 11).

ფიშბეინი (Fishbein, 1967: 259) განმარტავს, რომ „კოგნიტიური კომპონენტი ეხება შეხედულებებს ობიექტის ბუნებისა და მისი ურთიერთობის შესახებ სხვა ობიექტებთან“. მაგალითად, ასეთი კავშირი ან ურთიერთობა შეიძლება აისახოს

ადამიანის რწმენაში, რომ უელსური ენის შესწავლა დაეხმარება მათ უკეთესი სამუშაოს პოვნაში უელსში (Garrett და სხვ., 2003: 3). ამ რწმენის მქონე პირმა დაამყარა კავშირი, ერთი მხრივ, უელსური ენის (ობიექტი A) ათვისებასა და, მეორე მხრივ, უკეთესი სამსახურის (ობიექტი B) პოვნას შორის.

მეორე მხრივ, აფექტური ტიპის შეფასებითი პასუხები შედგება გრძნობებისა და ემოციებისგან, როგორცაა პიროვნების ენთუზიაზმი უელსურ ენაზე დაწერილი პოეზიის მიმართ (Garrett და სხვ., 2003: 3). დამოკიდებულების აფექტური კომპონენტი ასევე შეიძლება გამოვლინდეს „თანაგრძნობიერი ნერვული სისტემის აქტივობის“ სახით, რომელსაც ადამიანები განიცდიან, როდესაც ისინი უპირისპირდებიან გარკვეული დამოკიდებულების მქონე სხვა ობიექტებს (Eagley & Chaiken, 1993: 11). მაშინ როცა ზოგიერთი ადამიანი განიცდის ბრაზის გრძნობას ან ემოციას ბირთვული ელექტროსადგურების განხილვისას, სხვები გრძნობენ იმედს და ოპტიმიზმს (Eagley & Chaiken, 1993: 11). აფექტური, ემოციური კომპონენტი ხშირად წარმოადგენს კვლევის ფოკუსს დამოკიდებულების შესწავლის პროცესში (Fishbein, 1967: 257) და ის დამატებით მნიშვნელობას იძენს კოგნიტიურ კომპონენტთან მისი მჭიდრო კავშირის გამო (Garrett და სხვ., 2003: 10). მიუხედავად იმისა, რომ რწმენა (ანუ შემეცნებითი კომპონენტი) ჩვეულებრივ თავისუფალია ემოციური შინაარსისგან, ის შეიძლება ეფუძნებოდეს ან იწვევდეს ემოციურად დატვირთულ რეაქციებს (Garrett და სხვ., 2003: 10). შესაბამისად, დამოკიდებულების მკვლევრებმა უნდა გაითვალისწინონ, როგორც ადამიანების რწმენა (კოგნიტიური კომპონენტი), ასევე მათი გრძნობები (ემოციური კომპონენტი) დამოკიდებულების ობიექტების მიმართ.

დამოკიდებულების მესამე კომპონენტი ქცევითი ხასიათისაა და მოიხსენიება, როგორც „ქცევითი“ (behavioural), „კონატიური“ (conative) ან „მოქმედების“ (action) კომპონენტი (Eagley & Chaiken, 1993: 12; Fishbein, 1967: 259). ერთის მხრივ, დამოკიდებულების ეს კომპონენტი აღწერილია, როგორც აშკარა ქმედებებისკენ მიმავალი, ხოლო მეორეს მხრივ, ადამიანების ქცევითი განზრახვების გამომხატველი (Eagley & Chaiken, 1993: 12). ამ განმარტების მიხედვით, ქცევითი რეაქცია სულაც არ იწვევს ფაქტობრივ ქცევას, მაგრამ შეიძლება უბრალოდ წარმოადგენდეს პიროვნების მოქმედების სურვილს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორმაგი განსაზღვრება მოიცავს

როგორც კონკრეტულ ქცევას, ასევე აბსტრაქტული ქცევის ზრახვებს, ფიშბაინი პირიქით ამტკიცებს, რომ ქცევითი კომპონენტი მხოლოდ ქცევის განზრახვისგან/სურვილისგან შედგება და არ იწვევს ან მოიცავს კონკრეტულ ქცევებს (Fishbein, 1967: 259). ფიშბაინი (Fishbein, 1967: 259) ადგენს მჭიდრო კავშირს დამოკიდებულების ქცევით და შემეცნებით კომპონენტებს შორის შემდეგ განმარტებაში:

დამოკიდებულების შემეცნებითი და ქცევითი კომპონენტები შეიძლება განიხილებოდეს, როგორც რწმენა ობიექტის შესახებ. შემეცნებითი კომპონენტი ეხება შეხედულებებს ობიექტის ბუნების შესახებ და მის ურთიერთობას სხვა „ობიექტებთან“, ხოლო ქცევის კომპონენტი ეხება რწმენას იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს ობიექტთან მიმართებით. ეს განმარტება შეესაბამება არგუმენტს, რომ ქცევითი კომპონენტი წარმოადგენს ქცევის განზრახვას/სურვილს და არა რეალური მოქმედებისას. დამოკიდებულებასა და ქცევით კომპონენტს შორის კავშირი საკამათოა, რაც წარმოაჩენს მათ შორის კომპლექსურ ურთიერთობას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დამოკიდებულების კოგნიტიური, აფექტური და ქცევითი კომპონენტები შეიძლება აღწერილი იყოს როგორც „შეფასებითი“ პასუხი დამოკიდებულების ობიექტზე (Eagley & Chaiken, 1993:10). მაგრამ, საკამათოა სამივე კომპონენტის გაერთიანება დამოკიდებულების შემსწავლელ თეორეტიკოსებს შორის. ზოგიერთი სოციალური ფსიქოლოგი განსაზღვრავს აფექტსა და შეფასებას, როგორც იდენტურ ცნებებს და ურთიერთ შენაცვლებით იყენებს ტერმინებს. ამ განმარტების ფარგლებში, რწმენა (ანუ შემეცნებითი კომპონენტი) განიხილება, როგორც „მოტივაციური და ემოციურად ნეიტრალური“ და არ შედგება შეფასებითი პასუხისგან (Fishbein, 1967: 259). მეორეს მხრივ, ფიშბაინი ამტკიცებს, რომ ყველა რწმენა მიუთითებს გარკვეულ ხარისხზე, კეთილგანწყობაზე ან უკმაყოფილებაზე და, შესაბამისად, შეფასებითი ხასიათისაა. ბოლო დროინდელმა მიღწევებმა დამოკიდებულების თეორიაში და კვლევაში აფექტისა და ემოციების შესახებ დაადგინა აფექტი და შეფასება, როგორც განსხვავებული ცნებები (Eagley & Chaiken, 1993: 12). ამ მოსაზრების მიხედვით, ადამიანებს შეუძლიათ გამოხატონ შეფასება კოგნიტიური, ემოციური და ქცევითი რეაქციების საშუალებით.

ზემოთ ჩამოთვლილი დამოკიდებულების სამმხრივი მოდელი აჩენს კითხვას, უნდა შეიცავდეს თუ არა დამოკიდებულებები ყოველთვის სამივე კომპონენტს. სოციალური ფსიქოლოგების მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სამივე კომპონენტი არ არის აუცილებელი დამოკიდებულების ხასიათის გამოსავლენად, რადგან დამოკიდებულებები შეიძლება ძირითადად ან ექსკლუზიურად დაფუძნდეს სამივე კონცეფციიდან ერთ-ერთზე (Eagley & Chaiken, 1993: 16). გარდა ამისა, როდესაც დამოკიდებულება მოიცავს სამივე კომპონენტს, არ არის აუცილებელი ისინი იყოს ერთმანეთთან შეთანხმებული. ფიშბაინი (Fishbein, 1967: 257) განმარტავს, რომ „დამოკიდებულების მრავალკომპონენტური კონცეფცია მრავალგანზომილებიანია და ნებისმიერი ადამიანის დამოკიდებულება ობიექტის ან კონცეფციის მიმართ შეიძლება იყოს სამ ძალიან განსხვავებულ პოზიციაზე, სამ სხვადასხვა განზომილებაში“. შესაბამისად, ადამიანს შეიძლება სჯეროდეს (მაგ. კოგნიტიურ კომპონენტს), რომ კონკრეტულ ენაზე საუბარი დაეხმარება მას უკეთესი სამუშაოს მოპოვებაში და ამავდროულად ჰქონდეს უარყოფითი ემოციური პასუხი (ანუ აფექტური კომპონენტი) ამ ენის მიმართ.

#### 4.1 ენისადმი დამოკიდებულება

ცივილიზაციის დასაწყისიდან ადამიანმა დაიწყო ფიქრი ენის როლსა და მნიშვნელობაზე (Huguet & Madariaga, 2005). ენამ მოიცვა ადამიანის ცხოვრების ყველა ასპექტი და, ამრიგად, – ენის განმარტება ყოველთვის, ირიბად თუ აშკარად, დაკავშირებულია ადამიანის არსებობასთან “ (Williams, 1976: 21).

ენა, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს იდეების, ემოციების და სურვილების კომუნიკაციის მეთოდს ნებაყოფლობით წარმოებული სიმბოლოების საშუალებით“ (Sapir, 1921: 4). თუმცა ენა არა მხოლოდ მოსაუბრის მიერ განზრახული ინფორმაციის, არამედ სოციალური მნიშვნელობის მატარებელია. ის შეიცავს იდენტობის, ჯგუფის და სოციალური კლასის წევრობის სოციალურ მარკერებს (Cargile, Giles, Ryan, & Bradac, 1994; Garrett, 2001, 2010; Grosjean, 1982; Huguet & Madariaga, 2005). ენა არის „ძლიერი სოციალური ძალა“ (Cargile და სხვ., 1994: 211) და, შესაბამისად, ენობრივი დამოკიდებულებები წარმართავენ სოციალურ, ინსტიტუციურ, ინტერპერსონალურ

და ინდივიდუალურ დონეებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსაუბრის აღქმაზე და გადაწყვეტილების მიღებაზე (Giles & Billings, 2004).

გარეტმა (Garrett, 2010) განსაზღვრა ენობრივი დამოკიდებულებები ზოგადი დამოკიდებულების განსაზღვრის საფუძველზე სარნოფის განმარტებაზე დაყრდნობით, რომელმაც თქვა, რომ დამოკიდებულება არის ტენდენცია დადებითად ან უარყოფითად მოახდინო რეაგირება ობიექტებზე (Sarnoff, 1970: 279). მან დაასკვნა, რომ დამოკიდებულება არის შეფასებითი ორიენტაცია რაიმე სახის სოციალურ ობიექტზე, იქნება ეს ენა თუ ახალი მთავრობის პოლიტიკა და ა.შ. (Garrett, 2010: 20). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ენობრივი დამოკიდებულება გამოირჩევა სხვა დამოკიდებულებისგან ობიექტით (Fasold, 1984).

მაშასადამე, ენა შეიძლება ჩაითვალოს „ობიექტად, რომელიც განიხილება როგორც სასურველი ან არასასურველი“ (Baker, 1992: 11). მორენომ (Moreno, 1999: 179) შემოგვთავაზა ენობრივი დამოკიდებულების უფრო ფართო განმარტება: ენობრივი დამოკიდებულება წარმოადგენს ინდივიდის სოციალური დამოკიდებულების გამოვლინებას, ორიენტირებულია და კონკრეტულად ითვალისწინებს როგორც ენას, ასევე მის გამოყენებას საზოგადოებაში; ხოლო ენა-ში ნებისმიერი ტიპის ენობრივი ვარიაცია იგულისხმება.

ენასა და საზოგადოებას შორის ძლიერი კავშირის გამო ენის დამოკიდებულების კონცეპტუალიზაცია ხშირად ვრცელდება მოსაუბრეების მიმართ (González & Huguet, 2002; Lasagabaster, 2003). ამ თვალსაზრისით (Richard, Platt, & Platt, 1992) განისაზღვრა ენობრივი დამოკიდებულება, როგორც დამოკიდებულება, რომელიც აქვთ სხვადასხვა ენაზე ან ენობრივ ვარიაციებზე მოსაუბრეებს ერთმანეთის ენების ან საკუთარი ენის მიმართ. ენის მიმართ ნეგატიური ან პოზიტიური გრძნობები შეიძლება ასახავდეს ლინგვისტურ შთაბეჭდილებებს სირთულე ან სიმარტივე, სწავლის სიმარტივე ან სირთულე, მნიშვნელობის ხარისხი, ელეგანტურობა, სოციალური მდგომარეობა და ა.შ. ხალხის დამოკიდებულება ამ ენაზე მოლაპარაკების მიმართ (Richard, Platt, & Platt, 1992: 199).

ენის დამოკიდებულების კვლევა კიდევ უფრო გაფართოვდა და მოიცვა სხვადასხვა ენობრივი ქცევა და მასთან დაკავშირებული ასპექტები (Fasold, 1984),



მაგალითად: ენობრივი საზოგადოება, ენობრივი ცვლილებები, ენის შენარჩუნება და ენობრივი მონაცვლეობა, და ჯგუფთაშორისი კომუნიკაციის ხელშემშლელი ენობრივი საკითხები, ენის დაგეგმვა და ენობრივი განათლება (Hout & Knops, 1988: 1). ენის დამოკიდებულების ამ ფართო განმარტების დასაძლევად აუცილებელია გავითვალისწინოთ ენის დამოკიდებულების ობიექტები. ბეიკერმა (Baker, 1992) ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტერმინი „ენობრივი დამოკიდებულება“ გამოიყენებოდა როგორც განმაზოგადებელი ტერმინი, რომელშიც იგულისხმება:

- ენისადმი დამოკიდებულება;
- დამოკიდებულება ენის ვარიაციის ან დიალექტის მიმართ;
- დამოკიდებულება კონკრეტულ ენაზე მოსაუბრეების მიმართ;
- დამოკიდებულება ენის შესწავლისადმი;
- დამოკიდებულება სასწავლო სიტუაციისადმი;
- დამოკიდებულება ენასთან დაკავშირებული ქცევების მიმართ, როგორებიცაა ენის გამოყენება, შენარჩუნება, დაგეგმვა და ა.შ.

მაშასადამე, ზემოთ მოყვანილი ობიექტებისადმი დამოკიდებულებებს შორის შესაძლოა იყოს კავშირი. მათ მიმართ არსებული დამოკიდებულებები შეიძლება იყოს იდენტური, ერთგვაროვანი, გარკვეულწილად გადაფაროს ან შეიძლება არც იყოს დაკავშირებული. არსებობს შემთხვევები, როდესაც ენისადმი დადებითი დამოკიდებულება თანაარსებობს მოსაუბრეებისადმი უარყოფით დამოკიდებულებასთან ან პირიქით. მეტიც, შესაძლოა, დადებითად იყოს განწყობილი ენისადმი, მაგრამ შეინარჩუნოს უარყოფითი დამოკიდებულება მისი შესწავლის მიმართ, ან, პირიქით, შეიძლება უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდეს ენისადმი, მაგრამ იმავე ენის სწავლა მნიშვნელოვნად მიიჩნიოს (Edwards, 1985). უფრო მეტიც, ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტების მიმართ დამოკიდებულებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთმანეთზე. მაგალითისთვის, ენისადმი დამოკიდებულება/განწყობა შეიძლება გამოავლინოს ან განაპირობოს ამ ენაზე მოსაუბრეებმა (Sharp და სხვ., 1973: 37). ამგვარად, განსხვავებულია დამოკიდებულება ენისადმი და ენობრივი ქცევისადმი (Crano და სხვ., 2010; Eagly & Chaiken, 1993; Fishbein & Azjen, 1974). შესაბამისად, ენასთან დაკავშირებული საკვლევო ობიექტებია: ენები, ენობრივი ვარიაციები, მოსაუბრეები, სასწავლო სიტუაცია და ქცევები,

რომლებიც მოიცავს ენის სწავლას, გამოყენებას და შენარჩუნებას. გარდა ამისა, კიდევ ერთი კრიტერიუმი, რომელიც განასხვავებს დამოკიდებულების ობიექტებს, არის კონკრეტულობა (Eagly, 1992; Eagly & Chaiken, 1993; Gardner, 1985; Krauss, 1995; Fishbein & Azjen, 1974). ენობრივი დამოკიდებულება შეიძლება განსხვავდებოდეს კონკრეტულობის განზომილების მიხედვით, უფრო ზოგადი დამოკიდებულებიდან (მაგ., დამოკიდებულება უცხო ენების მიმართ, დამოკიდებულება ინგლისურის, კატალონიურის მიმართ ბარსელონაში) კონკრეტულ დამოკიდებულებებზე (მაგ., დამოკიდებულება სწავლის მიმართ ინგლისური, დამოკიდებულება კატალონიის კლასის მიმართ, დამოკიდებულება ფრანგულის მასწავლებლის მიმართ). გარდა ამისა, გარდნერმა (1985) განასხვავა საგანმანათლებლო და სოციალური ენისადმი დამოკიდებულებები. საგანმანათლებლო დამოკიდებულებები მოიცავს დამოკიდებულებებს საგანმანათლებლო ასპექტების მიმართ, როგორცაა ენის შესწავლისადმი დამოკიდებულება, მასწავლებელი და კურსი. სოციალური დამოკიდებულებები ორიენტირებულია ენის კულტურულ შედეგებზე და მოიცავს დამოკიდებულებას სოციალური ჯგუფების, ეთნოცენტრიზმისა<sup>3</sup> და ანომის<sup>4</sup> მიმართ. სოციალური ენისადმი დამოკიდებულების კვლევა ითვალისწინებს (Baker, 1992; Fasold, 1984; Garrett, 2010) უფრო რთული პროცესების გაგებას, როგორებიცაა ენის ათვისებისა ან სოციალური ინტეგრაციის საკითხები. გარდა ამისა, ენობრივი დამოკიდებულება შეფასებითი ხასიათის, ჰიპოთეზური კონსტრუქტებია, რომლებიც გამოცდილებით შეისწავლება. სტაბილურობის გარკვეული ხარისხის მიუხედავად, ინგლის და ჩეიკენის (Eagly & Chaiken, 1993) განმარტებაზე დაყრდნობით, დამოკიდებულება ენის მიმართ, ფსიქოლოგიური ტენდენციების თვალსაზრისით, გამოხატულია კონკრეტულის დადებითი ან უარყოფითი შეფასებით.

#### 4.1.1 ენობრივი განწყობის ცვლილება

განწყობის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია ცვალებადობა, რაც განაპირობებს მის აქტუალობას. დამოკიდებულების/განწყობის ცვლილება იწვევს ქცევის ცვლილებას. ენის პოლიტიკის მიხედვით, ენისადმი განწყობის/დამოკიდებულების

<sup>3</sup> ეთნიკური ჯგუფის რწმენას, რომ ის, თავისი ჩვეულებებითა და ტრადიციებით, სხვა ეთნოსებზე აღმტებულია

<sup>4</sup> საზოგადოების ისეთი მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება სოციალური ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმების შესუსტებით, ან მათ მიმართ გულგრილი დამოკიდებულებით.

ცვლილება არსებითად დაკავშირებულია ენის შენარჩუნების, დაბინძურებისა და განვითარების საკითხებთან. ენობრივი დამოკიდებულების ცვლილების მაგალითები სოციალურ დონეზე ჩატარდა უელსსა (Baker, 1992) და კატალონიაში (Woolard & Gahng, 1990), ორივე შემთხვევაში დამოკიდებულება/განწყობა უმცირესობათა ენების სასწავლო მიზნებისთვის გამოყენებასთან მიმართებით გაუმჯობესდა. ინდივიდუალურ დონეზე, ენობრივი დამოკიდებულება/განწყობის შეცვლა განპირობებულია ინდივიდუალური საჭიროებებით, მოტივებითა და სოციალური სიტუაციებით. სოციალურ-ფსიქოლოგიური დამოკიდებულების თეორიიდან გამომდინარე, ენის დამოკიდებულების ცვლილებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს მოტივაციამ, ღირებულებებმა, იდეოლოგიებმა, იდენტობებმა და ქცევებმა. მნიშვნელოვანი მოვლენები, როგორებიცაა ძალადობა, მასობრივი პროტესტი, პარტიზანული აქტივობა, მთავრობის მიერ დაწესებული პოლიტიკა, ასევე იწვევს დამოკიდებულების/განწყობის ცვლილებას (Baker, 1992). ამგვარად, დამოკიდებულების თვისებებია: ძალა და ხელმისაწვდომობა, მისი ზომიერი ცვლილება და გავრცელების არეალი. ენობრივი კონტაქტის სიტუაციებში მრავალფეროვან სოციალურ ჯგუფებს შორის ურთიერთობები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ენისადმი დამოკიდებულების ცვლილების საკითხში. ბეიკერს (Baker, 1992) შემოაქვს რამდენიმე პირობა, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს ენისადმი დამოკიდებულების/განწყობის ცვლილებას: პირველი, საზოგადოების ინტეგრაციამ შეიძლება ხელი შეუწყოს დამოკიდებულების/განწყობის შეცვლას, განსაკუთრებით მათთვის, ვინც გეგმავს დასახლდეს შესაბამის საზოგადოებაში. მეორე, საზოგადოებებს შორის კავშირი, რომელიც მიიღწევა საერთო მიზნებით, კულტურული აქტივობებით, სპორტით, რელიგიით, საერთო გატაცებებითა და ინტერესებით, ასევე ზრდის ენისადმი დამოკიდებულების/განწყობის შეცვლის შანსებს. რაც უფრო სავარაუდოა ცვლილება, მით უფრო მჭიდროა ურთიერთობები აღნიშნულ ჯგუფებს შორის. გარდა ამისა, ენის მარკეტინგი, კონკრეტულ ენაზე მოსაუბრე საზოგადოების გარე პიროვნებების წახალისება გამოიყენოს ენა, შეიძლება სასარგებლო იყოს ენისადმი მათი დამოკიდებულების/განწყობის ცვლილების ხელშეწყობისთვის, მეტყველების გარეთ მყოფი პირების წახალისებისთვის გამოსაყენებელი საზოგადოება. გარდა ამისა, მხარდამჭერი პოლიტიკური,

კულტურული, ეკონომიკური გარემო ხელს უწყობს ენობრივი დამოკიდებულება/განწყობის ცვალებადობას. და ბოლოს, რაც მთავარია, ცვლილება უფრო სავარაუდოა, რომ მოხდეს, როდესაც მიიღწევა ნებაყოფლობით, ინფორმირებისა და კონსულტაციის გზით. ენობრივი დამოკიდებულების განსაზღვრებისა და მახასიათებლების დადგენის შემდეგ, შევეცდებით, განვიხილოთ ენობრივი დამოკიდებულების/განწყობის სხვადასხვა კვლევა.

#### 4.1.2 ენისადმი დამოკიდებულების შესწავლის პარადიგმა

ენისადმი დამოკიდებულების კვლევების მიმოხილვისას, აღეისიმ და ფიშმანმა (Agheyisi & Fishman, 1970) გამოყვეს სამი კატეგორია: ა) კვლევები ენისადმი დამოკიდებულების შეფასებაზე ორიენტირებული; ბ) კვლევები ენის ან მისი ვარიაციის სოციალური მნიშვნელობის შესახებ, რომლებიც ეხება ჯგუფურ, სტერეოტიპულ შთაბეჭდილებებს; გ) კვლევები, რომლებიც ეხება ენასთან დაკავშირებულ ქცევებს, როგორცაა ენის სწავლა, არჩევანი, გამოყენება, განმტკიცება და დაგეგმვა. 1970-იან წლებში გაჩენილი ეს კვლევითი მიმართულებები ბოლო ათწლეულებში გაიზარდა. კვლევები ენის შესწავლისადმი დამოკიდებულებაზე ყველაზე მეტად განვითარდა. აღეისისა და ფიშმანის (Agheyisi & Fishman, 1970) კლასიფიკაციის გამოყენებით, როგორც ამოსავალი წერტილი და კვლევის მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით, კვლევის ოთხი ძირითადი კატეგორია გამოიყო: 1) ენის შეფასების პარადიგმა ორიენტირებულია ენის მიმართ დამოკიდებულებაზე. წარმომადგენლობითი კვლევები ჩატარდა უელსში (Sharp, 1973; Baker, 1992). მეთოდოლოგიურად მიღებულია კითხვარის საშუალებით გაზომვა. 2) მოსაუბრის შეფასების პარადიგმა, კანადაში გამოიყენეს პირველად, კვლევებით ჩაატარა (Lambert და სხვ., 1960) და ორიენტირებულია კონკრეტულ ენაზე ან ენის ვარიაციაზე მოლაპარაკებისადმი დამოკიდებულების კვლევაზე. ხასიათდება არაპირდაპირი გაზომვის ტექნიკით – შესატყვისი გაზომვის ტექნიკა (the matched-guise technique).

3) ენის სწავლის პარადიგმა ეყრდნობა ენის შესწავლის საკითხს და დიდწილად ეფუძნება გარდნერის მიერ ჩატარებულ კვლევებს (Gardner, 1985) კანადაში. ზოგადად, ენის შესწავლისადმი, სასწავლო სიტუაციისა და ენობრივი საზოგადოების მიმართ

დამოკიდებულება შესწავლილია მოტივაციასთან მიმართებით და გასაზომად გამოიყენება კითხვარი.

4) გარდა ენის შესწავლისადმი დამოკიდებულებისა, ენასთან დაკავშირებული ქცევებისადმი დამოკიდებულების კვლევა მოიცავს ენის გამოყენებასა და ენის შენარჩუნებას. კვლევის ეს მიმართულება მიზნებისა და მეთოდების თვალსაზრისით ჰეტეროგენულია.

ენისადმი დამოკიდებულების კვლევის კიდევ ერთი მიმართულებაა კოდების გადართვის მიმართ განწყობის კვლევა (Edwards, 2004; Heller, 1995), რომელიც განიხილება, როგორც ცალკე კატეგორია, ვინაიდან ორიენტირებულია არა ერთი, არამედ ორი ენისადმი დამოკიდებულების კვლევაზე.

#### **4.2 ენობრივი ქცევისადმი დამოკიდებულების კვლევა**

ლამბერტის (Lambert, 1969) და გარდნერის (Gardner, 1985) ნაშრომები კანადის ორენოვან კონტექსტში მეორე ენის ფსიქოსოციალური ცვლადების შესწავლის, განსაკუთრებით ქცევითი და მოტივაციური ფაქტორები, კვლევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, გარდნერის (Gardner, 1985) ნაშრომის შემდეგ, რომელიც აჩვენებს დამოკიდებულებებისა და მოტივაციის როლს ენის ათვისებასთან მიმართებით, ამ თემაზე კვლევა ექსპონენტურად განვითარდა, რომლის თანახმად მოსაუბრის ენისადმი დამოკიდებულება და მოტივაცია დადებითად განამტკიცებს ენის ათვისებას (Gardner, 1985: 56).

გარდნერის სოციო-საგანმანათლებლო მოდელის, მეორე ენის ათვისების შესახებ, შესწავლის საგანია დამოკიდებულებები და მოტივაცია, რადგან ისინი განსაზღვრავენ, რამდენად აქტიურადაა მოსაუბრე ჩართული ენის შესწავლის პროცესში (Gardner, 1985: 56).

გარდნერმა შემოიტანა ინტეგრაციულების კონცეფცია, რომელიც გულისხმობს ინდივიდის მეორე ენისადმი ინტერესსა და L2 ჯგუფის წევრებთან ურთიერთობის მზაობას. აღნიშნული კონცეფცია განამტკიცებს გარდნერის კვლევის ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც მოსაუბრე რაც უფრო მეტად მიაკუთვნებს თავს კონკრეტულ ენაზე მოსაუბრე საზოგადოებას, მით უფრო მაღალია მისი მოტივაცია აღნიშნული

ენის ათვისებისადმი (Gardner, 1985, 1991, 2001; Masgoret & Gardner, 2003). ინტეგრაციულების კონცეფციის განმარტებაში ახსნილია ენის სწავლასა და სოციალურ ინტეგრაციას შორის ძლიერი კავშირი (Gardner, 2001): *ინტეგრაციულება ასახავს მეორე ენის შესწავლის ინტერესს სხვა ენობრივ საზოგადოებასთან დაახლოების მიზნით. ერთი მხრივ, ეს გულისხმობს სხვა კულტურული ჯგუფებისა და ცხოვრების წესისადმი ღიაობასა და პატივისცემას. მეორე მხრივ, ეს შეიძლება მოიცავდეს საზოგადოებასთან სრულ იდენტიფიკაციას (და შესაძლოა თავდაპირველი ჯგუფიდან გასვლასაც კი), მაგრამ უფრო ხშირად ითვალისწინებს სრულ ინტეგრაციას ორივე ენობრივ საზოგადოებაში“ (Gardner, 2001: 5).*


ინტეგრაციულება მოიცავს სამ ფაქტორს: დამოკიდებულებას სამიზნე ენობრივი ჯგუფის მიმართ, ინტეგრაციულ ორიენტაციასა და ინტერესს უცხო ენის მიმართ. ენობრივი საზოგადოებისადმი ინტეგრაციულებისა და დამოკიდებულების დანერგვით გარდნერმა და მისმა თანამოაზრებმა აჩვენეს სოციალური კონტექსტის აქტუალობა, რაც თავის დროზე შედარებით ახალი იდეა იყო. მოდელის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მოტივაცია, რომელიც განისაზღვრება როგორც „მოსწავლის დამოკიდებულებების, მისწრაფებებისა და ძალისხმევის ერთობლიობა ენის შესწავლის მიმართ“ (Gardner & MacIntyre, 1993b: 159). მოტივირებულ ინდივიდს სურს მიაღწიოს კონკრეტულ მიზანს, მიზნისადმი დიდი ძალისხმევის ფასად და კმაყოფილია იმ გამოცდილებით, რომელიც მიზნის მიღწევის პროცესში დააგროვა (Gardner & MacIntyre, 1993a). ამრიგად, გარდნერის თეორია მოიცავს ენის შესწავლის სურვილს, მოტივაციასა და ენის შესწავლის მიმართ დამოკიდებულებას.

ეს სამი კომპონენტია: ინტეგრაციულობა, მოტივაცია და სასწავლო გარემოსადმი დამოკიდებულება. ინტეგრაციული მოტივაცია ასახავს მოსაუბრის სურვილს, ინტეგრაციის მიზნით აითვისოს სამიზნე ენა და კულტურა (Gardner და სხვ., 1992: 198).

თუმცა, გარდნერის მოდელმა შესაძლოა არ გაამართლოს ყველა ენისა და კონტექსტის შემთხვევაში. მაგალითისთვის, საგულისხმოა განსხვავება მეორე და უცხო ენების სწავლა-სწავლების პროცესებს შორის. მეორე ენა ისწავლება კონტექსტში, რომელშიც ენას მაკავშირებელი ფუნქცია აქვს, რაც უზრუნველყოფს მის ვიზუალურ და სმენით

სტიმულაციას. მაშინ, როცა უცხო ენა ისწავლება კონტექსტში, რომელშიც ენის გამოყენება უმეტეს შემთხვევაში საკლასო ოთახს არ სცდება (Oxford & Shearin, 1994). ეს განსხვავება წარმოშობს რიგ პრობლემურ საკითხებს მოდელთან მიმართებით – მაგალითად – ინტეგრაციული მოტივაციის კონცეფცია, უცხო ენის სწავლა-სწავლების კონტექსტში არსებული მცირედი კონტაქტი ამავე ენაზე მოსაუბრე საზოგადოებასთან ამცირებს მათთან ინტეგრირების მოტივაციას (Dörnyei, 1990, 2003).

**ცხრილი 17. გარდნერის ინტეგრაციული მოტივაცია (Dörnyei, 2005: 69)**



გარდა ამისა, გარდნერის თეორიის დეტალურ ანალიზში, დერნეიმ (Dörnyei, 1994, 2005) ჩამოთვალა მოდელის პრობლემური ასპექტები: პირველ რიგში, მან ყურადღება გაამახვილა ტერმინოლოგიურ საკითხზე, რომელიც წარმოიქმნება ტერმინის „ინტეგრაციული“ გამოყენებით აბსტრაქციის სამ სხვადასხვა დონეზე: არსებობს „ინტეგრაციული ორიენტაცია“, „ინტეგრაციულება“ და „ინტეგრაციული მოტივაცია“.

ამასთანავე, დასაზუსტებელია ტერმინის “მოტივაცია” მნიშვნელობა, იგულისხმება ზოგადი ტერმინი „ინტეგრაციული მოტივაცია“ თუ მისი კომპონენტი, ცალკე აღებული მოტივაცია. ინტეგრაციული მოტივაცია არის სოციო-საგანმანათლებლო მოდელის მთავარი კომპონენტი, მაგრამ ინსტრუმენტული მოტივაცია ნაკლებადაა წარმოდგენილი თეორიაში. მოგვიანებით, გარდნერმა (Gardner, 2000; 2001) ახსნა ინსტრუმენტული მოტივაცია, როგორც ინსტრუმენტული ფაქტორების ერთობლიობა და მოტივაცია. მისი მტკიცებით, მოტივაციის ქვეკომპონენტი მუშაობს როგორც „ცენტრალური“ მოტივაციური ძალა, რომელიც ვლინდება სპეციფიკური სასწავლო მიზნების მეშვეობით, როგორცაა ინსტრუმენტული ან ინტეგრაციული ორიენტაცია“ (Dörnyei, 2005: 70).

გარდა ამისა, ყურადღება უნდა მიექცეს თეორიის არასწორ ინტერპრეტაციას, როგორც ინტეგრაციული და ინსტრუმენტული მოტივაციის სახეების შეპირისპირებას (Dörnyei, 2005). გარდნერმა და ტრემბლეიმ (Gardner & Tremblay, 1994) შეახსენა მკვლევრებს, რომ ეს არის ორიენტაციები (ანუ ენის ათვისების მიზეზები) და არა მოტივაცია. იგივე მიმართებაა ტერმინებს, ინსტრუმენტულ და ინტეგრაციულ დამოკიდებულებებს, შორის (Baker, 1992; Ndhlovu, 2010; Sakuragi, 2006; Wright & Scullion, 2007).

გარდნერის (1985) სოციალურ-საგანმანათლებლო მოდელის მიხედვით, დამოკიდებულები და მოტივაციური კომპონენტები დაკავშირებულია L2-ის ათვისების პროცესთან. მოდელში წარმოდგენილია ენასთან დაკავშირებული სამი ტიპის დამოკიდებულება: ზოგადად ენის სწავლისადმი დამოკიდებულება, დამოკიდებულება კონკრეტული სასწავლო სიტუაციისადმი და დამოკიდებულება ენობრივი საზოგადოების მიმართ.

გარდა ენის სწავლა-სწავლების პროცესში, არსებობს ენასთან დაკავშირებული სხვა ქცევები, როგორცაა ენის გამოყენება და ენის შენარჩუნება. ინტერპერსონალურ და ჯგუფთაშორის ურთიერთქმედებებში, აგრეთვე საკუთარი სოციალური იდენტობის ფორმირებასა და გამოხატვაში ენის გამოყენება არ იყო ისეთი ინტენსიურად გამოკვლეული, როგორც ენის სწავლის შემთხვევაში (Lauring, 2008). შედეგად, კვლევები, რომლებიც განიხილავს ენის გამოყენებას, მრავალფეროვანია თეორიული



ჩარჩოს, მიზნებისა და მეთოდების თვალსაზრისით. მაკენტაიერმა, დორნიმ, კლემენტმა და ნოელსმა (MacIntyre, Dörnyei, Clément & Noels, 1998) გამოიკვლიეს კომუნიკაციის სურვილი, როგორც ენის გამოყენების განმსაზღვრელი ფაქტორი (“willingness to communicate” – WTC). ეს კონცეფცია თავდაპირველად გამოიყენებოდა პირველი ენის გამოყენებასთან მითითებით და განიხილებოდა პიროვნების თვისებად, რომელიც ხსნიდა ინდივიდის არჩევანს კომუნიკაციაში ჩართვისას (McCroskey & Baer, 1985, როგორც ციტირებულია MacIntyre და სხვ., 1998). მეორე ენის კომუნიკაციის უფრო რთული ჩარჩოსთვის (Dörnyei, 2003), ავტორებმა გააფართოვეს კონცეპტუალიზაცია სიტუაციური ფაქტორების გათვალისწინებით და კონცეფცია უფრო დინამიკური გახდა.

ამრიგად, ტერმინი კომუნიკაციის სურვილი (WTC) განისაზღვრა, როგორც ინდივიდის „მზაობა ჩაერთოს დისკუსიაში კონკრეტულ დროს კონკრეტულ ადამიან(ებ)თან L2-ის გამოყენებით“ (MacIntyre და სხვ., 1998: 547).

### **მეოთხე თავის დასკვნა**

მეოთხე თავში განხილულია ერთი მხრივ, ზოგადად, დამოკიდებულების ცნება, ხოლო მეორე მხრივ, ენობრივი დამოკიდებულების საკითხი.

ჩვენი კვლევისათვის მეტად მნიშვნელოვანია დამოკიდებულება/განწყობის (attitude) არა ზოგადი განმარტება, არამედ ენისადმი დამოკიდებულების სპეციფიკა. დამოკიდებულება/განწყობის კვლევისას გათვალისწინებულია კოგნიტიური (cognition), აფექტური (affect) და ქცევითი (behaviour) კომპონენტები.

ენისადმი დამოკიდებულებები წარმართავენ სოციალურ, ინსტიტუციურ, ინტერპერსონალურ და ინდივიდუალურ დონეებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსაუბრის აღქმაზე და გადაწყვეტილების მიღებაზე. ენობრივი დამოკიდებულება წარმოადგენს ინდივიდის სოციალური დამოკიდებულების გამოვლინებას, ორიენტირებულია და კონკრეტულად ითვალისწინებს როგორც ენას, ასევე მის გამოყენებას საზოგადოებაში. „ენობრივი დამოკიდებულება“ გამოიყენება როგორც განმაზოგადებელი ტერმინი, რომელშიც იგულისხმება: ენისადმი დამოკიდებულება; დამოკიდებულება ენის ვარიაციის ან დიალექტის მიმართ; დამოკიდებულება კონკრეტულ ენაზე მოსაუბრეების მიმართ; დამოკიდებულება ენის შესწავლისადმი;

დამოკიდებულება სასწავლო სიტუაციისადმი; დამოკიდებულება ენასთან დაკავშირებული ქცევების მიმართ, როგორებიცაა ენის გამოყენება, შენარჩუნება, დაგეგმვა და ა.შ.

ენობრივი ქცევისადმი დამოკიდებულების კვლევისათვის გარდნერმა შემოიტანა ინტეგრაციულების კონცეფცია, რომელიც გულისხმობს ინდივიდის მეორე ენისადმი ინტერესსა და L2 ჯგუფის წევრებთან ურთიერთობის მზაობას. ინტეგრაციულება მოიცავს სამ ფაქტორს: დამოკიდებულებას სამიზნე ენობრივი ჯგუფის მიმართ, ინტეგრაციულ ორიენტაციასა და ინტერესს უცხო ენის მიმართ. აღნიშნულ ფაქტორებს მოგვიანებით დაემატა მოტივაციის ცნება. გარდნერის სოციალურ-საგანმანათლებლო მოდელის მიხედვით, დამოკიდებულების და მოტივაციური კომპონენტები დაკავშირებულია L2-ის ათვისების პროცესთან. მოდელში (ცხრილი 17) წარმოდგენილია ენასთან დაკავშირებული სამი ტიპის დამოკიდებულება: ზოგადად ენის სწავლისადმი დამოკიდებულება, დამოკიდებულება კონკრეტული სასწავლო სიტუაციისადმი და დამოკიდებულება კონკრეტულ ენაზე მოსაუბრე საზოგადოების მიმართ.

## კვლევითი ნაწილი

ამგვარად, ზოგადი და ბიზნეს ინგლისურის სწავლებისას ლექტორის მიერ მშობლიური (ქართული) ენის გამოყენების თავისებურებების კვლევისთვის, ფუნქციებისა და ენისადმი განწყობის დასადგენად წინამდებარე ნაშრომში გამოვიყენეთ ინტერდისციპლინარული (სოციოლინგვისტიკა და გამოყენებითი ლინგვისტიკა) მიდგომა, შერეული კვლევის (როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი) მეთოდები.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავს ორ სახელმწიფო უნივერსიტეტში (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) ერთი მხრივ ლექტორების მიერ მშობლიური (ქართული) ენის გამოყენების ფუნქციებისა და თავისებურებების, მეორე მხრივ, მშობლიური (ქართული) ენის გამოყენებისადმი სტუდენტებისა და ლექტორების დამოკიდებულების კვლევას ინგლისური, როგორც უცხო ენისა და ბიზნეს ინგლისურის სწავლების მაგალითზე.

ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, კოდების გადართვის, კოდების შერევისა, და ენათმონაცვლეობის პრაქტიკის სრული სურათის დასახად ნაშრომი აერთიანებს როგორც რაოდენობრივი (ონლაინ კითხვარები ზემოთ მოყვანილი უნივერსიტეტების როგორც ლექტორებისთვის, ასევე მათი სტუდენტებისთვის), ისე თვისებრივი კვლევის მეთოდებს (ამავე უნივერსიტეტების 12 ლექტორის მინიმუმ ათ-ათი საათი (ჯამში 63 ლექცია, 120-126 საათი) ინგლისური, როგორც უცხო ენისა და ბიზნეს ინგლისურის რვა ლექტორი, ათ-ათი საათი (ჯამში 40 ლექცია, 80 საათი) ლექციების ჩანაწერების დისკურსული ანალიზი).

წინამდებარე კვლევა აერთიანებს სოციოლინგვისტურ და ფსიქოლინგვისტურ საკითხებს, კერძოდ: 1. კოდების გადართვის, კოდების შერევისა, და ენათმონაცვლეობის ფუნქციები და მათი კავშირი სოციალურ ცვლადებთან და 2. ლექტორის მიერ მშობლიური (ქართული) ენის გამოყენების მიმართ სტუდენტებისა და ლექტორების განწყობის კვლევა. ამასთანავე, კვლევაში წარმოდგენილია ლექტორების ენობრივი ქცევების (language behaviours) სტრუქტურული ანალიზი.

კვლევის ფარგლებში, პასუხი გაეცა შემდეგ კითხვებს:

- რა ფუნქციებით ხასიათდება კოდების გადართვა, კოდების შერევა, და ენათმონაცვლეობა ზოგადი და ბიზნეს ინგლისურის სწავლების მაგალითზე?
- როგორია აღნიშნული ენობრივი ქცევების რაოდენობრივი გადანაწილება ზოგადი და ბიზნეს ინგლისურის სწავლებისას?
- როგორია კოდების გადართვის, კოდების შერევისა და ენათმონაცვლეობის სტრუქტურული კლასიფიკაცია ზოგადი და ბიზნეს ინგლისურის სწავლებისას ცალ-ცალკე?
- რა მიმართებაა ქართულ რეალობაში მოპოვებული ენობრივი ქცევების მაგალითებსა და ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში განხილულ თეორიულ ჩარჩოებს (საუბრის ანალიზის თეორია, ინტერაქტიული სოციოლინგვისტიკის თეორია, კონტექსტუალიზაციის მანიშნებლები და მარკირების მოდელი) შორის.
- როგორია ლექტორებისა და სტუდენტების დამოკიდებულება ლექტორის მიერ მშობლიური (ქართული) ენის გამოყენებისადმი ზოგადი და ბიზნეს ინგლისურის სწავლების მაგალითებზე დაყრდნობით?
- როგორია მიმართება სტუდენტებისა და ლექტორების ლექტორის მიერ მშობლიური (ქართული) ენის გამოყენებისადმი დამოკიდებულებებსა და მათ ასაკს, სქესს შორის?

**კვლევის შეზღუდვა** განპირობებული იყო გარემო ფაქტორებით, კერძოდ, კოვიდ პანდემიამ გარკვეული ცვლილება შეიტანა კვლევის განხორციელებაში. ერთის მხრივ, ლექციებზე დასწრების, რეალურ სალექციო პროცესზე დაკვირვების ნაცვლად, ლექტორებს მოუწიათ ვიდეო ჩანაწერების გაკეთება, რამაც დაგვაშორა ბუნებრივ სალექციო გარემოს. მეორეს მხრივ, გააადვილა ჩანაწერების ტრანსკრიპტისა და მრავალჯერადი დაკვირვების პროცესი. ამასთანავე, უშუალოდ შეხვედრისა და გამოკითხვის მეთოდი, ჩაანაცვლა ონლაინ (google forms) კითხვარის მეთოდმა, რომელიც გაეგზავნა კვლევის სამიზნე ჯგუფებს ლმს-ისა და არგუსის, საინფორმაციო სასწავლო პორტალებისა და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

ნაშრომის **პრაქტიკული ღირებულება** - უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ენობრივი ქცევები (კოდების გადართვა, კოდების შერევა და ენათმონაცვლეობა) ზოგადი და

ბიზნეს ინგლისურის სწავლების პროცესში ქართულ რეალობაში ნაკლებადაა შესწავლილი და საჭიროებს, როგორც სოციოლინგვისტურ, აგრეთვე, სტრუქტურულ კვლევებს. კვლევის შედეგად მოპოვებული შედეგები საინტერესო და საგულისხმოა იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც მომავალში აპირებენ ენობრივი ქცევების ლინგვისტურ ან სოციოლინგვისტურ კვლევას; უცხო ენის პედაგოგებისათვის და ინგლისური ენისა და ბიზნეს ინგლისურის სწავლების მეთოდისტიკებისთვის.

**სამიზნე ჯგუფის შერჩევისას** გამოყენებული იქნა ხელმისაწვდომი შერჩევის მეთოდი (convenience sampling), შემთხვევითობის პრინციპით მივწერეთ ზემოთ ჩამოთვლილ უნივერსიტეტებში მომუშავე 20-40 მდე ლექტორს, სამწუხაროდ, ბევრმა მათგანმა უარი განაცხადა კვლევაში მონაწილეობაზე, ჩანაწერების გაკეთების დისკომფორტის გამო.

- თვისებრივი კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სახელმწიფო უნივერსიტეტების (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) ინგლისური, როგორც უცხო ენის 12 ლექტორი (რომლებიც ასწავლიან ზოგადი ინგლისური ენის კურსის B1-B2 დონეებს) და ბიზნეს ინგლისურის რვა ლექტორი.
- რაოდენობრივი კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს იმავე სახელმწიფო უნივერსიტეტების (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) ინგლისური, როგორც უცხო ენისა და ბიზნეს ინგლისურის ლექტორები (92 და 8) და მათი სტუდენტები (220 და 70) (რომლებიც ძირითადად გადიან B1-B2 დონეს).

### **რაოდენობრივი კვლევა**

ჩვენი კვლევის განხორციელებისათვის საჭირო დროის გათვალისწინებით, პირველ ეტაპზე რაოდენობრივი კვლევა ჩავატარეთ. ხოლო მეორე ეტაპი დაეთმო თვისებრივი კვლევის განხორციელებასა და ანალიზს.

კვლევის სამიზნე ჯგუფად შერჩეულ იქნა ინგლისური ენის, როგორც უცხო ენისა და ბიზნეს ინგლისურის ლექტორები და მათი სტუდენტები, რომლებიც არიან საქართველოს მოქალაქეები და მათი მშობლიური ენა არის ქართული.

რაც შეეხება რაოდენობრივ კვლევის მეთოდს, გამოვიყენეთ ონლაინ (google forms) კითხვარები, რომელიც ეფუძნება ფერგუსონის კოდების გადართვის კლასიფიკაციას, გავუზიარეთ კვლევის სამიზნე ჯგუფებს (ლექტორებსა და მათ სტუდენტებს) ღმს-ისა და არგუსის, საინფორმაციო სასწავლო პორტალებისა და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. სტუდენტებისა და ლექტორებისთვის განკუთვნილი კითხვარები ემსახურება ორივე მხარის პასუხების სანდოობის შემოწმებას.

### **რაოდენობრივი კვლევა (ზოგადი ინგლისური)<sup>5</sup>**

**ინგლისური, როგორც უცხო ენის ლექტორების** ასაკი დავყავით შემდეგი ინტერვალებით; პროცენტულობა მათი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ამგვარად გადანაწილდა: 26-30 – 35%, 31-35 – 12%, 36-40 – 12%, 41-45 – 20%, 46-50 – 5%, 51-55 – 3%, 56-60 – 13%. ყველაზე დიდი რაოდენობა 35% 26-30 წლის ლექტორები იყვნენ. შედეგების მიხედვით, ყველაზე ახალგაზრდა გამოკითხულ ლექტორთა ასაკობრივი ინტერვალი 26-30 წლით განისაზღვრა.

რაც შეეხება, გამოკითხულ ლექტორთა **სქესს**, მათი უმრავლესობა მდედრობითი სქესისაა - 95%, მხოლოდ 5%-ია კვლევაში მონაწილე მამრობითი სქესის ლექტორი. კვლევაში მონაწილე ლექტორები ასწავლიან შემდეგ უნივერსიტეტებში: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - 62%, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 38%.

რაც შეეხება რესპონდენტთა **ეროვნებას**, მათი უმეტესობა ქართველია 97%, აზერბაიჯანელია 2%, სომეხი 1%.

იმის მიუხედავად, რომ გამოკითხულების უმრავლესობა ქართველია, განსხვავებულია მათი საუბრის ენა ოჯახის წევრებთან, მაგალითად: ოჯახის წევრებთან საუბრისას მხოლოდ ქართულს იყენებს ლექტორთა 87%, მხოლოდ რუსულს - 2%, ქართულსა და რუსულს - 2%, ინგლისურსა და ქართულს - 3%, აზერბაიჯანულსა და ქართულს - 2%, მხოლოდ ინგლისურს - 1%, ქართულს, ინგლისურს, თურქულს და ზოგჯერ რუსულს - 1%, ქართული, თურქული, ინგლისური, რუსული 1%, ქართული, იშვიათად რუსული ან ინგლისური - 1%.

<sup>5</sup> წინამდებარე ქვეთავში გამოყენებული შედეგები გამოქვეყნებულია ელ. ჟურნალში სპეკალი (ბუსკივაძე, ხ., 2022) DOI: [10.55804/jtsuSPEKALI-16-18](https://doi.org/10.55804/jtsuSPEKALI-16-18)

მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გამოკითხული ლექტორების - 10% ორ ენას იყენებს ოჯახის წევრებთან სასაუბროდ.

ინგლისური ენის, ზოგადი კურსის ლექტორთა **სწავლების სტაჟი** განისაზღვრა 5 წლიანი ინტერვალებით: 0-5 წლიანი სწავლების სტაჟი აქვს კვლევაში მონაწილე ლექტორების 10%; 6-10 (36%); 11-20 (29%); 21 და მეტი (25%).

საინტერესოა ის გარემოება, რომ კვლევაში მონაწილე **ლექტორთა განათლება** და პროფესია განსხვავებულია უნივერსიტეტების მიხედვით და ამგვარად ნაწილდება: განათლება დააფიქსირა გამოკითხულთა საერთო რაოდენობიდან 92-დან 60-მა (მიახლოებით 65%), რომელთაგან 38 ლექტორი მაგისტრია, 14 დოქტორი, 7 ლექტორი - 5 წლიანი სწავლების, 1 კი ბაკალავრის ხარისხის მქონეა (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი). რაც შეეხება მათ პროფესიას, 92-დან 50-მა (54%) მასწავლებელმა დააფიქსირა პროფესია: მასწავლებლის განათლება - 17 ლექტორი (ორივე უნივერსიტეტი) განათლების მენეჯმენტი - 2 (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), ინგლისური ფილოლოგია - 27 (ორივე უნივერსიტეტი), ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი - 1 (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), მთარგმნელ-თარჯიმანი - 2 (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), საერთაშორისო სამართალი - 1 (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი).

კვლევაზე დაყრდნობით გამოვყავით **ინგლისური ენის სწავლების სამი ყველაზე გავრცელებული დონე**. ესენია Intermediate B1 (43%); Upper-Intermediate B2 (32%); Pre-Intermediate A2 (16%). აგრეთვე, გამოკითხულთა მცირე ნაწილმა დააფიქსირა Elementary A1 (4%) და Advanced C1 (5%).

ორი სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოკითხულ ლექტორთა უმრავლესობას აქვს შესაბამისი კომპეტენცია და განათლების დონე ინგლისური ენის ზოგადი მოდულის სასწავლებლად. ლექტორთა უმრავლესობის (35%) ასაკობრივი ჯგუფი 26-30 ინტერვალით განისაზღვრა, რომლებსაც სწავლების 6-10 წლიანი სტაჟი აქვს.

რაც შეეხება **ინგლისური, როგორც უცხო ენის სტუდენტებს**, მათი ასაკი დაყვავით შემდეგი ინტერვალებით; პროცენტულობა მათი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ამგვარად გადანაწილდა: 18-20 - 71%; 21-25 - 26%; 26-30 - 3%. ყველაზე დიდი რაოდენობა 71% 18-20 წლის სტუდენტები იყვნენ.

რაც შეეხება, გამოკითხულ სტუდენტთა სქესს, მათი უმრავლესობა მდედრობითი სქესისაა - 74%, მხოლოდ 26%-ია კვლევაში მონაწილე მამრობითი სქესის სტუდენტი. გამოკითხული სტუდენტები სწავლობენ შემდეგ უნივერსიტეტებში: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - 72%, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 29%.

რაც შეეხება რესპონდენტთა ეროვნებას, მათი უმეტესობა ქართველია 91%, აზერბაიჯანელია 4%, სომეხი 3%, იეზიდი 1%, უკრაინელი 0.5%, ნახევრად ქართველი ნახევრად რუმინელი 0.5%.

იმის მიუხედავად, რომ გამოკითხულების უმრავლესობა ქართველია, განსხვავებულია მათი საუბრის ენა ოჯახის წევრებთან, მაგალითად: ოჯახის წევრებთან საუბრისას მხოლოდ ქართულს იყენებს სტუდენტთა 92%, მხოლოდ აზერბაიჯანულს 3%, მხოლოდ რუსულს - 3%, მხოლოდ სომხურს - 2%. მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კვლევაში მონაწილე სტუდენტების მხოლოდ 1% იყენებს ორ ენას ოჯახის წევრებთან საუბრისას, თუმცა სავარაუდოა ის ფაქტი რომ სტუდენტების 9%-ს საუნივერსიტეტო სივრცეში სასწავლო და საკომუნიკაციო ურთიერთობებისთვის უწევთ ორი ენის გამოყენება.

ინგლისური ენის, ზოგადი კურსის სტუდენტები ინგლისურს, როგორც უცხო ენას სწავლობენ 0-5 წელი 18%, 6-10 (32%); 11-20 (45%); 21 და მეტი (6%).

გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა (97%) ბაკალავრის საფეხურის სტუდენტია, როცა მხოლოდ 3% ია მაგისტრატურის სტუდენტი.

კვლევაზე დაყრდნობით გამოვყავით ინგლისური ენის სწავლების 3 დონე, რომლებიც სტუდენტებმა ბოლოს გაიარეს. ესენია Intermediate B1 (52%); Pre-Intermediate A2 (24%); Upper-Intermediate B2 (16%); აგრეთვე, გამოკითხულთა მცირე ნაწილმა მიუთითა Elementary A1 (6%) და Advanced C1 (2%).

ორი უნივერსიტეტის გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობას აქვს ყოველდღიური კომუნიკაციის დასამყარებლად საჭირო კომპეტენცია ინგლისურ ენაში, მათი დონე B1-B2 ინტერვალით განისაზღვრა. გამოკითხულთა უმრავლესობა ბაკალავრის საფეხურის სტუდენტია, კერძოდ, პირველი და მეორე კურსი.



წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი რაოდენობრივი კვლევა ემსახურება ერთი მხრივ ზოგადი ინგლისურის სწავლების პროცესში ლექტორების მიერ კოდების გადართვის ფუნქციების კლასიფიკაციას, მეორე მხრივ ზემოთ აღინიშნული სახელმწიფო უნივერსიტეტების ლექტორებისა და სტუდენტების დამოკიდებულების კვლევას ლექტორის მიერ კოდების გადართვის ქცევისადმი.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში პასუხი გაეცა შემდეგ კითხვებს: რა ფუნქციებით ხასიათდება ლექტორის მიერ მშობლიურ (ქართული) ენაზე გადართვა ინგლისური, როგორც უცხო ენის სწავლების კონტექსტში, სახელმწიფო უნივერსიტეტების დონეზე? როგორია ლექტორებისა და სტუდენტების დამოკიდებულება ლექტორის მიერ მშობლიური (ქართული) ენის გამოყენებისადმი? როგორია მიმართება სტუდენტებისა და ლექტორების დამოკიდებულებებსა და მათ ასაკს, სქესს შორის?

წინამდებარე კვლევისათვის გამოყენებულია სოციოლინგვისტიკის დარგიდან აღებული კვლევის მეთოდი - რაოდენობრივი კვლევა, რომელიც ჩატარდა ონლაინ კითხვარის გამოყენებით (Google Form). კითხვარის მეშვეობით შევაგროვეთ ზოგადი ინგლისურის კურსის, 92 ლექტორისა და 220 სტუდენტის პასუხი.

კითხვარი წარმოადგენს ფერგუსონის კლასიფიკაციის მოდიფიცირებულ ვერსიას (Ferguson, 2009). იგი გამოყოფს საკლასო ოთახში მასწავლებლის კოდების გადართვის ფუნქციების სამ კატეგორიას: პირველი კატეგორია აჩვენებს, საგაკვეთილო მასალაზე მუშაობისას რა ფუნქციას ასრულებს მასწავლებლის კოდების გადართვა, მეორე კატეგორია საკლასო/საგაკვეთილო პროცესის მართვას ეხება, ხოლო მესამე ადამიანთა შორის ურთიერთობებს (მასწავლებელსა და მოსწავლე(ებ)ს). ფერგუსონის კლასიფიკაციისგან განსხვავებით, ჩვენი კვლევა ორიენტირებულია საუნივერსიტეტო განათლებაზე. ჩვენი კითხვარების სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს ის სოციალური ცვლადები, დემოგრაფიული მონაცემები და განწყობის გასაზომი სკალები, რომლებიც ფერგუსონს არ გამოუყენებია.

რაოდენობრივი კვლევის შემდგომ კითხვებს განვიხილავთ ორმხრივად, კერძოდ, ლექტორებისა და მათი სტუდენტების პასუხების შედარების საფუძველზე.

**ცხრილი 1. ლექტორის მიერ ქართული და ინგლისური ენების გამოყენების პროპორციული განსაზღვრა**

კითხვა	81-100%		61-80%		41-60%		21-40%		0-20%	
ლექტორი იყენებს დაახლოებით _____% ინგლისურ ენას	ლ.	ს.	ლ.	ს.	ლ.	ს.	ლ.	ს.	ლ.	ს.
ლექტორი იყენებს დაახლოებით _____% ქართულ ენას	87%	81%	11%	12%	2%	6%	-	-	-	1%
ლექტორი იყენებს დაახლოებით _____% ქართულ ენას	-	9%	-	2%	1%	5%	12%	14%	87%	70%

აღნიშნული ცხრილის პირველი კითხვის მიხედვით, სტატისტიკური დასკვნების თეორიის მეშვეობით, ერთგვაროვნების ჰიპოთეზის ხი კვადრატ კრიტერიუმის გამოყენებით, მივიღეთ რომ გამოკითხული ლექტორებისა (ლ.) და სტუდენტების (ს.) პასუხები (პროცენტებში) სტატისტიკურად ერთგვაროვანია (2.65 კოეფიციენტი).

ხოლო მეორე კითხვაზე პასუხები არაერთგვაროვანია. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ლექტორების დაახლოებით 50-60% ქართულ ენასაც იყენებს ზოგადი ინგლისურის კურსის წაყვანისას (15.45 კოეფიციენტი).

შემდეგი ორი ცხრილი წარმოადგენს ლექტორის მიერ მშობლიური (ქართული) ენის გამოყენების ფუნქციებს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. გამოკითხულთა პასუხები შემდეგ ორ კითხვაზე ლაიკერტის შკალის (საერთოდ არ ვეთანხმები, არ ვეთანხმები, ვეთანხმები, სრულიად ვეთანხმები) მეშვეობით შეგროვდა. რაც პასუხების ერთგვაროვნების გარდა ლექტორების მიერ მშობლიური (ქართული) ენის გამოყენებისადმი (ლექტორებისა და სტუდენტების) დამოკიდებულების დადგენის საშუალებასაც გვაძლევს. პასუხების სანდოობის თვალსაზრისით, ორივე მხარეს (ლექტორებსა და სტუდენტებს) შევავსებინეთ კითხვარი ერთსა და იმავე კითხვებზე.

**ცხრილი 2. ფუნქციების საშუალო არითმეტიკული**

ჯგუფი	ფუნქციები	წინა სალექციო მასალის მიმოხილვა	სიტყვის ქართული განმარტების მისაცემად	სალექციო მასალის ახსნის პროცესში	ქართული კულტურული შესაბამისობის გამოხატვისას	ქართულად პარალელური თარგმანის დროს	სტუდენტთან წყვილში ან ჯგუფური მუშაობისას
ლექტ.	საშუალო	1.50	2.25	1.74	2.62	2.37	1.64
	რაოდენობა	92	92	92	92	92	92

	სტ. გადახრა	.703	.979	.754	.912	1.013	.909
სტუდ.	საშუალო	2.10	2.80	2.25	2.57	2.68	2.10
	რაოდენობა	220	220	220	220	220	220
	სტ.გადახრა	.903	.884	.896	.860	.906	.921
ყველა	საშუალო	1.93	2.64	2.10	2.58	2.59	1.96
	რაოდენობა	312	312	312	312	312	312
	სტ. გადახრა	.892	.946	.887	.874	.948	.940

**ცხრილი 2** მიზნად ისახავს, ლექტორებისა და სტუდენტების პასუხების საშუალო არითმეტიკულის შედარებას, გამოკითხულთა დამოკიდებულების განსაზღვრის მიზნით. მაგალითად: ლექტორების მიერ მშობლიური (ქართული) ენის გამოყენება „წინა სალექციო მასალის მიმოხილვისას“ ლექტორების საშუალო 1.5 ია, როცა სტუდენტების 2.1. ლაიკერტის შკალა მონაცემთა ბაზაში წარმოვადგინეთ, როგორც (1- სრულიად არ ვეთანხმები, 2- არ ვეთანხმები, 3 - ვეთანხმები, 4- სრულიად ვეთანხმები). მაშასადამე, სტუდენტები უფრო ეთანხმებიან (საშუალო - 2.1), რომ ინგლისური ენის ზოგადი კურსის ლექტორი ქართულ ენაზე გადაერთვება წინა სალექციო მასალის მიმოხილვისაც, ვიდრე თავად ლექტორები, ვინაიდან მათი საშუალო 1.5 ია. ლექტორებისა და სტუდენტების პასუხების საშუალო, შემდეგ ფუნქციაზე, ლექტორების მიერ ქართულ ენაზე გადართვა „სიტყვის ქართული განმარტების მისაცემად“ შედარებით პოზიტიურია, (საშუალო 2.80) ხოლო ლექტორების (საშუალო 2.25) ნეგატიური.

ცხრილი 3-ის მიზანი სწორედ გამოკითხულთა პასუხების ერთგვაროვნების დადგენას ემსახურება. თუ მნიშვნელოვნება (significance) Sig < 0.05 მაშინ შეფასებებს შორის მიღებული სხვაობა სტატისტიკურად სანდოა, ანუ შეფასებები არაერთგვაროვანია და განსხვავდება ერთმანეთისგან.

**ცხრილი 3. ჯგუფთაშორისი პასუხების ერთგვაროვნების დადგენა**

ფუნქციები		Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.
წინა სალექციო მასალის მიმოხილვა	ჯგუფებს შორის	23.709	1	23.709	32.871	0.000
სიტყვის ქართული განმარტების მისაცემად	ჯგუფებს შორის	19.624	1	19.624	23.538	0.000
სალექციო მასალის ახსნის პროცესში	ჯგუფებს შორის	17.233	1	17.233	23.484	0.000

ქართული კულტურული მემკვიდრეობის გამოხატვისას	ჯგუფებს შორისი	0.171	1	0.171	0.223	0.637
ქართულად პარალელური თარგმანის დროს	ჯგუფებს შორისი	6.325	1	6.325	7.178	0.008
სტუდენტთან წყვილში ან ჯგუფური მუშაობისას	ჯგუფებს შორისი	13.649	1	13.649	16.214	0.000

ფუნქციებზე რესპოდენტთა პასუხების ერთგვაროვნება, საშუალებას გვაძლევს, შევადგინოთ ქართული საგანმანათლებლო სივრცისათვის დამახასიათებელი, ლექტორების მიერ ქართულ ენაზე გადართვის ფუნქციების კლასიფიკაცია. ცხრილის მიხედვით, სალექციო მასალაზე მუშაობისას მხოლოდ ერთი ფუნქციის შემთხვევაშია შეფასებები ერთგვაროვანი, სტუდენტები და ლექტორები ერთნაირად აფასებენ რომ ლექტორი გადაერთვება ინგლისურიდან ქართულ ენაზე კულტურული განსხვავების შესაბამისობის გამოხატვის მიზნით.

მომდევნო ცხრილები სალექციო მეცადინეობის წარმართვის პროცესში არსებულ ფუნქციებს, მათ მიმართ გამოკითხულთა დამოკიდებულებასა და პასუხების ერთგვაროვნებას ეხება.

**ცხრილი 4** ადგენს დამოკიდებულების დონეს მონაწილეთა პასუხების საშუალო არითმეტიკულის შედარების საფუძველზე. როგორც ცხრილიდან ჩანს, სტუდენტების დამოკიდებულება, ლექტორების მიერ ინგლისურიდან ქართულ ენაზე გადართვისადმი უფრო დადებითია, ვიდრე თავად ლექტორების დამოკიდებულება. მაგალითად, სტუდენტების ყველაზე პოზიტიური მაჩვენებელი მოდის შემდეგ ფუნქციაზე: „დახმარების თხოვნის დროს“. რაც შეეხება ლექტორებს, მათი დამოკიდებულება დადებითია „სტუდენტებთან არასალექციო თემაზე საუბრისას“ ქართულ ენაზე გადართვისადმი.

**ცხრილი 4. დამოკიდებულების დონის განსაზღვრა**

რესპოდენტები		ლექტორები	სტუდენტები	ყველა
ფუნქციები				
ახსნილი მასალის მიმოხილვისას	საშუალო	1.61	2.12	1.97
	რაოდენობა	92	220	312

	სტან. გადახრა	0.71	0.857	0.848
მითითებების მიცემის დროს	საშუალო	1.66	2.27	2.09
	რაოდენობა	92	220	312
	სტან. გადახრა	0.73	0.858	0.866
დახმარების თხოვნის დროს	საშუალო	1.87	2.48	2.3
	რაოდენობა	92	220	312
	სტან. გადახრა	0.815	0.899	0.917
აუდიტორიაში დისციპლინის დამყარების დროს	საშუალო	1.74	2.1	1.99
	რაოდენობა	92	220	312
	სტან. გადახრა	0.783	0.875	0.864
სტუდენტების წახალისების დროს	საშუალო	1.63	2.1	1.96
	რაოდენობა	92	220	312
	სტან. გადახრა	0.707	0.83	0.823
სტუდენტების შექების დროს	საშუალო	1.6	2.02	1.9
	რაოდენობა	92	220	312
	სტან. გადახრა	0.712	0.791	0.791
სტუდენტებისთვის შენიშვნის მიცემის დროს	საშუალო	1.79	2.07	1.99
	რაოდენობა	92	220	312
	სტან. გადახრა	0.792	0.808	0.812
სტუდენტების გაფრთხილების დროს	საშუალო	1.78	2.12	2.02
	რაოდენობა	92	220	312
	სტან. გადახრა	0.768	0.832	0.827
სტუდენტებთან არა სალექციო თემაზე საუბრისას	საშუალო	2.4	2.32	2.34
	რაოდენობა	92	220	312
	სტან. გადახრა	0.973	0.854	0.89
აუდიტორიის დაწყარების მიზნით	საშუალო	1.82	2.09	2.01
	რაოდენობა	92	220	312
	სტან. გადახრა	0.783	0.85	0.839

ამგვარად, ცხრილზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლექტორები ყველაზე დადებითად არიან განწყობილნი სტუდენტებთან არასალექციო თემაზე საუბრისას ქართულ ენაზე გადართვისადმი, ხოლო ყველაზე უარყოფითად სტუდენტების შექების დროს მშობლიური (ქართული) ენის გამოყენებას ასახელებენ. სტუდენტებისა და ლექტორების უარყოფითი დამოკიდებულება სტუდენტების შექების მიზნით ერთგვაროვანია.

**ცხრილი 5. ლექტორებისა და სტუდენტების პასუხების ერთგვაროვნების დადგენა**

ფუნქციები		Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.
ახსნილი მასალის მიმოხილვისას	ჯგუფებს შორისი	16.839	1	16.84	25.238	0.000
მითითებების მიცემის დროს	ჯგუფებს შორისი	23.756	1	23.76	35.113	0.000
დახმარების თხოვნის დროს	ჯგუფებს შორისი	24.317	1	24.32	31.759	0.000
აუდიტორიაში დისციპლინის დამყარების დროს	ჯგუფებს შორისი	8.448	1	8.448	11.716	0.001
სტუდენტების წახალისების დროს	ჯგუფებს შორისი	14.028	1	14.03	22.139	0.000
სტუდენტების შექების დროს	ჯგუფებს შორისი	11.712	1	11.71	19.839	0.000
სტუდენტებისთვის შენიშვნის მიცემის დროს	ჯგუფებს შორისი	5.059	1	5.059	7.844	0.005
სტუდენტების გაფრთხილების დროს	ჯგუფებს შორისი	7.504	1	7.504	11.329	0.001
სტუდენტებთან არასალექციო თემაზე საუბრისას	ჯგუფებს შორისი	0.458	1	0.458	0.577	0.448
აუდიტორიის დაწყნარების მიზნით	ჯგუფებს შორისი	4.931	1	4.931	7.141	0.008

**ცხრილი 5** გამოკითხულთა პასუხების ერთგვაროვნებას ადგენს, შესაბამისად, „სტუდენტებთან არასალექციო თემაზე საუბრისას“ დებულებაზე შეფასებები ერთგვაროვანია, ანუ ლექტორების და სტუდენტების მიერ დაწერილი საშუალო შეფასებები არ განსხვავდება სტატისტიკურად ერთმანეთისგან.

მიმართება სტუდენტებისა და ლექტორების დამოკიდებულებებსა და მათ ასაკს, სქესს შორის სხვაობები გვაქვს მხოლოდ სტუდენტებში და ეგეც მხოლოდ ასაკში, სქესთა შორის სხვაობები არ გვაქვს არცერთ ჯგუფში. 18-20, 21-25 წლის სტუდენტი უფრო დადებითადაა განწყობილი (საშუალო 2.15-2.86) ლექტორის მიერ ინგლისურიდან ქართულ ენაზე გადართვისადმი, ვიდრე 26-30 წლის (საშუალო 1.17 - 1.33).

**რაოდენობრივი კვლევა (ბიზნეს ინგლისური)**

ბიზნეს ინგლისურის ლექტორების განათლება სხვადასხვაა (5 მათგანი ფლობს მაგისტრატურის ხარისხს (ორივე უნივერსიტეტიდან), რომელთაგანაც ერთმა დააფიქსირა მასწავლებელთა განათლება (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ასევე გამოკითხულ ლექტორებს შორის ერთს აქვს ინგლისური ფილოლოგიის დოქტორის ხარისხი (ივანე ჯავახიშვილის

სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან), დანარჩენ ორს კი აქვთ დოქტორის ხარისხი ფსიქოლოგიისა და სინქრონული ინტერპრეტაციის დარგებში (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან).

**მათი ასაკი:** ექვსი ლექტორი შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებს მიეკუთვნება - 31-35; 41-45; 36-30, მხოლოდ ერთი არის 56-60, მხოლოდ ერთი 26-30. კვლევაში მონაწილე ლექტორების უმრავლესობამ დაბადების ადგილად საქართველო დაასახელა, გარდა თბილისისა, პასუხებში შემდეგ რეგიონებსაც ვხვდებით: ჭიათურა, სოხუმი. ლექტორების უმრავლესობამ (7 - 87.5%) ქართული დაასახელა, როგორც მშობლიური ენა (ორივე ზემოთ ნახსენები უნივერსიტეტიდან), მხოლოდ ერთმა დაასახელა რუსული, როგორც მშობლიური ენა (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან).

ენები, რომლებსაც გამოკითხული ლექტორები თავიანთ ოჯახის წევრებთან იყენებენ შემდეგია: ქართული 6 (75%), ინგლისური 1 (12.5%) (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), რუსული 1 (12.5%) (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი). იდენტობა და ენა ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. ინგლისური ენის მაღალი კომპეტენციის ქონა ძალიან მნიშვნელოვანია 7 ლექტორისთვის, ერთისთვის მნიშვნელოვანია, ხოლო ერთისთვის უმნიშვნელოა. გამოკითხული ლექტორებიდან ექვსი ინგლისურ ენას განიხილავენ, როგორც მათი იდენტობის ნაწილს, ხოლო ერთი უარყოფითადაა განწყობილი ამ ენის მიმართ.

**ბიზნეს ინგლისურის კვლევაში მონაწილეობა სხვადასხვა საფეხურის სტუდენტი** სხვადასხვაა (36% ბაკალავრის საფეხურის სტუდენტი, 14% მაგისტრი, 52% აქვს ბაკალავრის ხარისხი). გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობამ დაბადების ადგილად საქართველო მიუთითა, რომელთაგან 56% თბილისში, ხოლო დანარჩენი: ქუთაისში, რუსთავში, ქობულეთში, ზუგდიდში, თელავში, აბაშასა და ზესტაფონში დაიბადნენ. მხოლოდ ერთმა სტუდენტმა მიუთითა რუსეთი, მოსკოვი დაბადების ადგილად. გამოკითხული სტუდენტების მშობლიური ენები შემდეგია: ქართული (95%), აზერბაიჯანული (4%) და სომხური (1%). ენები, რომლებსაც გამოკითხული სტუდენტები თავიანთ ოჯახის წევრებთან იყენებენ შემდეგია: ქართული (91%); ინგლისური (1%); ქართული და რუსული (1%); აზერბაიჯანული (4%); სომხური (1%). იდენტობა და ენა ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. გამოკითხული

სტუდენტების ინგლისური ენის კომპეტენციის დონე შემდეგნაირად განაწილდა: ძალიან კარგი (34%); კარგი (53%); დამაკმაყოფილებელი (13%). 54% გამოკითხული სტუდენტებისა აქვს პოზიტიური, 23% ნეგატიური, ხოლო 3%-მა აჩვენა ნეიტრალური დამოკიდებულება ინგლისური ენის მაღალი კომპეტენციის ქონის აუცილებლობის მიმართ.

წინამდებარე კვლევაში მონაწილეობდნენ ბაკალავრიატის, ბიზნეს ინგლისურის კურსის 70 სტუდენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

რაოდენობრივი კვლევის მიზანია, პასუხი გასცეს შემდეგ საკვლევ კითხვებს:

1. როგორია კორელაცია ბიზნეს ინგლისურის სტუდენტების სქესს, დაბადების ადგილსა და მათ იდენტობას შორის?
2. როგორია მიმართება ბიზნეს ინგლისურის სტუდენტების ინგლისური ენის კომპეტენციასა და მათ იდენტობას შორის?
3. როგორია ლექტორებისა და სტუდენტების დამოკიდებულება ბიზნეს ინგლისურის სწავლებისას მშობლიური (ქართული) ენის გამოყენებისადმი?

ღია კითხვაზე - „მიიჩნევთ რომ ინგლისური ენა თვენი იდენტობის ნაწილია?“ - ბიზნეს ინგლისურის, გამოკითხული სტუდენტების 86%-ს მიაჩნია, რომ ინგლისური ენა მათი იდენტობის ნაწილია. გამოკითხული სტუდენტების მხოლოდ 14%-ს თვლის, რომ ინგლისური ენა არ არის მათი იდენტობის ნაწილი და მას მხოლოდ კომუნიკაციის საშუალებად იყენებს.

### დადებითი

*“Yeah, it is, because it’s lingua franca”*

*“Yes, I think speak in English more often than in Georgian “*

*“In General, language is fundamental to cultural identity. It has an ability to completely shape one's personal identity. This applies to the mother tongue. In my case it's Georgian. As for English, it is my second language and, for me, learning another language opens new windows of opportunities. A new language gives us a new worldview and makes us more aware of the cultures, lifestyles, customs, and beliefs of other people”*



*"I think without English it's hard to be successful in your field and therefore, I agree with this opinion"*

*"Yes, I basically talk half in English. half Georgian, half English. its part of my personality";*

*"yes it is, because i use it on daily basis"*

**უარყოფითი**

*"No, it's not. It doesn't affect my identity, rather it has an effect on how society views my ability to know it and to use it due to lack of respect to our own language, also there is no job left for translators whatsoever".*

*"I think not, because at the moment I'm studying English at the university but so far I have no close connection with this language."*

განვიხილოთ თითოეული ზემოთ მოყვანილი საკვლევი საკითხი ცალ-ცალკე.

**ჰიპოთეზა 1 - სქესის მიხედვით განსხვავდება ინგლისურ ენისადმი იდენტობის აღქმა:** საგულისხმოა, რომ სქესის მიხედვით ინგლისური ენის იდენტობის აღქმა მსგავსია. ამგვარად, განსხვავება სქესში არ გამოვლინდა - ფიშერის ტესტი = .543, პირსონის ხი-კვადრატი =.733). ინგლისურ ენასთან იდენტობის აღქმის სხვაობა არ აღმოჩნდა არც დედაქალაქსა და რეგიონში დაბადებულ სტუდენტებს შორის. იდენტობის აღქმა მსგავსია როგორც თბილისში, ისე რეგიონში დაბადებულ სტუდენტებთან. (Fisher's Exact Test = .484, Pearson Chi-Square = .695).

**ჰიპოთეზა 2 - ენის სრულყოფილად ცოდნასა და იდენტობას შორის არის დადებითი ურთიერთკავშირი:** კვლევის თანახმად, ენის სრულყოფილ ცოდნასა და ინგლისურ ენასთან იდენტობის ქონას შორის კორელაციური კავშირი არ დასტურდება ( $r=.134$ ), რის საფუძველზეც ვერ დავასკვნით, რომ ენის სრულყოფილად ცოდნა შესაძლოა იდენტობის ჩამოყალიბების ერთ-ერთი წინაპირობა იყოს.

**ჰიპოთეზა 3 – ინგლისური ენის მიმართ იდენტობა კავშირშია ენის ფუნქციებთან:** კვლევის თანახმად, ზოგადად, ენის ფუნქციებსა და იდენტობას შორის ურთიერთმიმართება არ დასტურდება ( $r<.06$ ). სტუდენტებს სურთ ლექტორები იყენებდნენ ინგლისურ ენას, სხვადასხვა ფუნქციებში იმაზე უფრო მეტად, ვიდრე ამას ამჟამად აკეთებენ.

მონაცემთა ანალიზმა აჩვენა რომ ბიზნეს ინგლისურის გამოკითხულ სტუდენტებს ლექტორების მიერ სხვადასხვა ფუნქციის გამოყენებისას ინგლისური ენის გაძლიერება და უფრო აქტიურად შეთავაზება სურთ. მაგალითად ისეთ ფუნქციებში, როგორცაა:

- სტუდენტების მშობლიურ ენასა და ინგლისურს შორის განსხვავებების ახსნა
- სტუდენტთა მონაწილეობის წახალისება სალექციო აქტივობებში
- ლექტორებსა და სტუდენტებს შორის ინტერპერსონალური ურთიერთობების დამყარება/გაძლიერება
- ბიზნეს ინგლისურის სწავლებისას სტუდენტების შფოთვის შესამცირებლად
- ბიზნეს ინგლისურის სწავლებისას სტუდენტების მოტივაციისა და ნდობის გაზრდა

**ცხრილი 6. ლექტორის მიერ ქართული ენის გამოყენებისადმი სტუდენტების დამოკიდებულება, სხვადასხვა ფუნქციების მიხედვით**

ფუნქციები	ენები	ბიზნეს ინგლისურის ლექციებზე, ჩემი ლექტორი იყენებს:	ბიზნეს ინგლისურის ლექციებზე, ჩემმა ლექტორმა მიჩვენა გამოიყენოს:	სხვაობა (იყენებს/ მინდა რომ გამოიყენოს)
ინსტრუქციების მიცემა	ინგლისური	77%	76%	1%
	ორივე ენის კომბინაცია	23%	3%	20%
რთული ტერმინის ახსნა	ინგლისური	61%	61%	0%
	ქართული	14%	9%	6%
	ორივე ენის კომბინაცია	24%	30%	-6%
გრამატიკული მასალის ახსნა-განმარტება	ინგლისური	73%	73%	0%
	ქართული	3%	7%	-4%
	ორივე ენის კომბინაცია	24%	20%	4%
სტუდენტების მიერ გაგებულის შემოწმება	ინგლისური	81%	81%	0%
	ქართული	1%		1%
	ორივე ენის კომბინაცია	17%	19%	-1%
სტუდენტებისთვის უცნობი ბიზნეს სფეროს/მასალის წარდგენა	ინგლისური	70%	67%	3%
	ქართული		3%	-3%
	ორივე ენის კომბინაცია	30%	30%	0%
სტუდენტების მშობლიურ ენასა და ინგლისურს შორის განსხვავებების ახსნა	ინგლისური	70%	73%	-3%
	ქართული	1%	3%	-1%
	ორივე ენის კომბინაცია	29%	24%	4%

ინგლისური ტერმინების სწორად წარმოთქმის ხაზგასმა	ინგლისური	84%	83%	1%
	ქართული	1%		1%
	ორივე ენის კომბინაცია	14%	17%	-3%
სალექციო და აუდიტორიის დისციპლინისა და სტრუქტურის შენარჩუნება	ინგლისური	76%	76%	0%
	ქართული	1%	1%	0%
	ორივე ენის კომბინაცია	23%	23%	0%
ლექტორის შექება/უკუკავშირი სტუდენტების სალექციო აქტივობებში ჩართულობასთან მიმართებით	ინგლისური	81%	77%	4%
	ქართული	1%	1%	0%
	ორივე ენის კომბინაცია	17%	21%	-4%
სტუდენტთა მონაწილეობის სალექციო აქტივობებში წახალისების მიზნით	ინგლისური	77%	80%	-3%
	ორივე ენის კომბინაცია	23%	20%	3%
	ქართული			
ლექტორებსა და სტუდენტებს შორის ინტერპერსონალური ურთიერთობების დამყარება/გამლიერება	ინგლისური	71%	74%	-3%
	ქართული	1%		1%
	ორივე ენის კომბინაცია	27%	26%	1%
ბიზნეს ინგლისურის სწავლებისას სტუდენტების შფოთვის შესამცირებლად	ინგლისური	69%	73%	-4%
	ქართული	6%	4%	1%
	ორივე ენის კომბინაცია	26%	23%	3%
ბიზნეს ინგლისურის სწავლებისას სტუდენტების მოტივაციისა და ნდობის გაზრდა	ინგლისური	69%	76%	-7%
	ქართული	1%	24%	-23%
	ორივე ენის კომბინაცია	30%	0%	30%

წინამდებარე მონაცემები წარმოადგენს მშობლიური (ქართული) ენის გამოყენების ფუნქციებს ბიზნეს ინგლისურის სწავლების პროცესში. ვინაიდან გამოკითხული ლექტორების რიცხვი (რვა) საკმაოდ მცირეა რაოდენობრივი ანალიზისთვის, მხოლოდ გამოკითხული სტუდენტების (70) მონაცემების გაანალიზება შევძელით SPSS Statistics პროგრამის დახმარებით. კვლევაში მონაწილე სტუდენტებზე შეეძლოთ, დაეფიქსირებინათ ერთზე მეტი პასუხი შემდეგ კითხვაზე, „ბიზნეს ინგლისურის ლექციებზე ლექტორები იყენებენ“: მხოლოდ ქართული, მხოლოდ ინგლისური ან ორივე ინგლისური და ქართული ენების კომბინაცია.

როგორც კვლევამ აჩვენა, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური არის ყველაზე ხშირად გამოყენებადი ენა ბიზნეს ინგლისურის ლექციებზე, ლექტორები საკმაოდ

ხშირად იყენებენ მხოლოდ ქართულს და/ან ინგლისურისა და ქართულის კომბინაციას.

ცხრილი 6. ასევე ასახავს სტუდენტების უპირატესობას ერთ-ერთი ენის ან ინგლისურისა და ქართულის ერთად გამოყენების მიმართ. რაც შეეხება სტუდენტების დამოკიდებულებას, ისინი ფიქრობენ, რომ სასურველია ლექტორმა უფრო მეტად გამოიყენოს ინგლისური ენა, ვიდრე ამას ამჟამად იყენებს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ბიზნეს ინგლისურში უცნობი მასალების/თემების წარდგენა უფრო მეტად ხასიათდება კოდების გადართვით, ვიდრე სტუდენტების მშობლიურ და ინგლისურ ენებს შორის განსხვავებების წარმოჩენა.

რაც შეეხება გამოკითხულ ლექტორებს, ექვსი მათგანი მუშაობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო ორი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. ექვსი რვა ლექტორიდან მიიჩნევს ინგლისური ენის მაღალი კომპეტენციის ქონას ძალიან მნიშვნელოვნად და მაშასადამე, ინგლისურ ენას თავიანთ იდენტობის ნაწილად განიხილავენ. ყველა ლექტორი ირწმუნება, რომ იყენებს და ურჩევნია რომ გამოიყენოს ან მხოლოდ ინგლისური ან ინგლისური და ქართული ენები ერთად. არცერთმა მათგანი არ ანიჭებს უპირატესობას მხოლოდ ქართული ენის გამოყენებას.

**კვლევის მეორე ეტაპი** - სახელმწიფო უნივერსიტეტების (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) ლექციების ჩანაწერების (12 ლექტორის მინიმუმ ათ-ათი საათი, ჯამში (120-125 ინგლისური როგორც უცხო ენა), ხოლო ბიზნეს ინგლისურის 8 ლექტორი (80 საათი). ტრანსრიპტი ([www.otter.ai](http://www.otter.ai) -ის მეშვეობით) და ლექტორის მიერ განხორციელებული ენობრივი ქცევების მაგალითების ამოწერა, დისკურს ანალიზის (კონტექსტუალური მანიშნებლების, საუბრის და ინტერაქციული სოციოლინგვისტიკის ანალიზის თეორიების) მეშვეობით, მათი ფუნქციური კლასიფიკაცია სამი ფართო კატეგორიის (ლექციის თემატიკა (სილაბუსით გაწერილი მასალა) (lesson content), ლექტორის მიერ სალექციო პროცესისა და აუდიტორიის მართვა (classroom management); ლექტორსა და სტუდენტს შორის ურთიერთგაგება (rapport) ქვეშ მოვაქციეთ, ლექციის ტიპის (გრამატიკა, ლექსიკა, მოსმენა, კითხვა

საუბარი, წერა, ფუნქციური ენა) მიხედვით კი განვსაზღვრეთ აღნიშნული მოქმედებების ლექტორის მიერ გამოყენების სიხშირე.

აღნიშნული ნაშრომის, თვისებრივი კვლევის ძირითად მიღწევად, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში კოდების გადართვის ფუნქციების კლასიფიკაცია გვესახება. ლიტერატურის მიმოხილვაში მოყვანილი, კანაგარაჯაჰისა (Canagarajah, 1995) და ფერგუსონის (Ferguson, 2003), კლასიფიკაციებისგან განსხვავებით, კოდების გადართვის, კოდების შერევისა და ენათმონაცვლეობის ფუნქციები ქართულ საგანმანათლებლო დისკურსში ინგლისური ენისა და ბიზნეს ინგლისურის სწავლების სალექციო ტიპის მიხედვით დაჯგუფდა.

როგორც უკვე აღინიშნა, სახელმწიფო ორი უნივერსიტეტის (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) 12 ლექტორმა, თითოეულმა ხუთი-ექვსი ლექციის, (10-12 საათი თითოეულმა) ვიდეო ჩანაწერი განახორციელა, რის შედეგადაც, მოგვეცა საშუალება მრავალჯერ მოგვესმინა და ტრანსკრიპცია გაგვეკეთებინა ამავე ლექტორების მიერ კოდების გადართვისა და ენობრივი სხვა მოქმედების მაგალითების.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი თვისებრივი კვლევა ემსახურება ზემოთ აღნიშნული სახელმწიფო უნივერსიტეტების, ინგლისური, როგორც უცხო ენის 12 და ბიზნეს ინგლისურის 8 ლექტორის ვიდეო ლექციების მეტა დისკურსულ ანალიზსა და ფუნქციების კლასიფიკაციას.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში პასუხი გაეცა შემდეგ კითხვებს:

- რომელი ენობრივი ქცევით ხასიათდება ზოგადი და ბიზნეს ინგლისურის სწავლება?
- როგორია აღნიშნული ენობრივი ქცევების რაოდენობრივი გადანაწილება ზოგადი და ბიზნეს ინგლისურის სწავლებისას?
- როგორია აღნიშნული ენობრივი ქცევების სტრუქტურული კლასიფიკაცია ზოგადი და ბიზნეს ინგლისურის სწავლებისას?

ინგლისური ფილოლოგიის კურსების გარდა, ამჟამად ინგლისური სავალდებულოდ ისწავლება ორი წლის განმავლობაში, ბაკალავრიატის ფარგლებში - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს როგორც ზოგად კურსებს,

ასევე EAP-ს (ინგლისური აკადემიური მიზნებისთვის), ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს ზოგადი ინგლისური ენის კურსი, აკადემიური (EAP) ინგლისური და ინგლისური კონკრეტული მიზნებისთვის (ESP): ბიზნეს ინგლისური, სამართალი, მედიცინა და ა.შ. თითოეული ფაკულტეტისთვის. ამრიგად, ინგლისური სხვა უცხოურ ენებთან შედარებით სრული ჰეგემონიით სარგებლობს აღნიშნულ უნივერსიტეტებში.

ცხრილის სახით, რაოდენობრივად, გამოყენების სიხშირის თვალსაზრისით წარმოდგენილია და შემდგომ დაჯგუფებულია ლექტორების ენობრივი ქცევების ფუნქციები და გამოყოფილია კოდების გადართვისა და სხვა ენობრივი ქცევების მაგალითები, ინტერპრეტაციით.

**ცხრილი 7. ენობრივი ქცევის გამოყენების სიხშირის ლექციის ტიპის მიხედვით**

ლექციის რაოდენობა და ტიპი	საუბრის მოქმედების ტიპი და რაოდენობა
გრამატიკა (ESP-1) (EFL-18)	კოდების გადართვა (ESP-9), (EFL-265); კოდების შერევა (ESP-2); (EFL-58); ენათმონაცვლეობა (ESP-0) (EFL-7).
ლექსიკა (ESP-4) (EFL-7)	კოდების გადართვა (ESP-205), (EFL-10); კოდების შერევა (ESP-39), (EFL-5); ენათმონაცვლეობა (ESP-43), (EFL-0).
მოსმენის უნარი (ESP-3) (EFL-6)	კოდების გადართვა (ESP-21), (EFL-65); კოდების შერევა (ESP-10), (EFL-14); ენათმონაცვლეობა (ESP-0), (EFL-0).
საუბრის უნარი (ESP-7) (EFL-11)	კოდების გადართვა (ESP-66), (EFL-4); კოდების შერევა (ESP-12), (EFL-0); ენათმონაცვლეობა (ESP-54), (EFL-0).
წერის უნარი (ESP-7) (EFL-7)	კოდების გადართვა (ESP-7), (EFL-68); კოდების შერევა (ESP-2), (EFL-8); ენათმონაცვლეობა (ESP-1), (EFL-0).
კითხვის უნარი (ESP-12) (EFL-10)	კოდების გადართვა (ESP-238), (EFL-361); კოდების შერევა (ESP-37), (EFL-68); ენათმონაცვლეობა (ESP-70), (EFL-28).
ფუნქციური ენა (ESP-0) (EFL-1)	კოდების გადართვა (EFL-0); კოდების შერევა (EFL-0); ენათმონაცვლეობა (EFL-0);

როგორც ცხრილიდან ირკვევა, ინგლისური, როგორც უცხო ენის სწავლების კონტექსტში, გრამატიკისა და კითხვის ლექცია ყველაზე მეტადაა დატვირთული ლექტორის მხრიდან კოდების გადართვისა და კოდების შერევის ქცევებით, ვიდრე

სხვა ენობრივი უნარების (წერა, ლექსიკა, მოსმენა, საუბარი) და ლექსიკის ლექციები. ენათმონაცვლეობის შემთხვევაში, ყველაზე მეტი მაგალითი კითხვის ლექციაზე გამოვლინდა.

რაც შეეხება ბიზნეს ინგლისურს, კითხვისა და ლექსიკის ლექციებზე გვხვდება კოდების გადართვისა და კოდების შერევის ყველაზე მეტი მაგალითი. ენათმონაცვლეობის შემთხვევაში, კითხვის უნარის ლექცია ყველაზე მეტადაა დატვირთული მაგალითებით.

გარდა ლექციის ცალკეული ტიპებისა, შევეცადეთ, ლექტორის ენობრივი ქცევები მთლიანობაში, ორივე, ბიზნეს ინგლისურისა და ინგლისური, როგორც უცხო ენის სწავლების კონტექსტში რაოდენობრივად განგვესაზღვრა.

**ცხრილი 8. ენობრივი ქცევების რაოდენობა ზოგადი და ბიზნეს ინგლისურის სწავლებისას**

ენობრივი ქცევები	EFL	ESP
კოდების გადართვა	789	549
კოდების შერევა	156	103
ენათმონაცვლეობა	35	177

იმის მიუხედავად რომ ლექციების რაოდენობები განსხვავდება, ბიზნეს ინგლისურის შემთხვევაში გვაქვს 80 საათი, როცა ინგლისური, როგორც უცხო ენის სწავლების შემთხვევაში 120 საათი, ცხრილის მიხედვით ჩანს განსხვავება ენათმონაცვლეობის ქცევასთან მიმართებით. კერძოდ, ბიზნეს ინგლისურის შემთხვევაში, ბევრად მაღალია ენათმონაცვლეობის ქცევის რაოდენობრივი მაჩვენებელი. მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ენათმონაცვლეობის ქცევა ბევრად საჭიროა ბიზნეს ინგლისურის სწავლებისას, ცხრილი 8-ზე დაყრდნობით, ლექსიკის სწავლებისას, ვინაიდან აღნიშნული ქცევის მიზანი ორმაგია, ლექტორს სურს ასწავლოს ლექსიკური ერთეულები არა მხოლოდ ინგლისურად, არამედ შესთავაზოს სტუდენტებს ამავე ლექსიკური ერთეულების ქართული შესატყვისებიც.

რაც შეეხება ენათმონაცვლეობის ქცევის ნაკლებ რაოდენობრივ მაჩვენებს, ინგლისური, როგორც უცხო ენის სწავლებას, ნაკლებად აკისრია ორმაგი მიზანი, რაც გულისხმობს ორივე ენის სწავლებას ერთდროულად, არამედ ორიენტირებულია

მშობლიური ენის, როგორც დამხმარე საშუალებად გამოყენებაზე. რაც მკაფიოდ ჩანს მაგალითებში. ენათმონაცვლეობის ქცევა ინგლისური, როგორც უცხო ენის სწავლებისას წარმოადგენს ლექტორის მიერ, წინასწარ დაგეგმილ აქტივობას, რომელშიც ორივე, მშობლიური და უცხო ენებია გამოყენებული, მაგრამ მიზანი მხოლოდ ერთია, ესაა, მშობლიური ენის დახმარებით, უცხო ენის უკეთ ათვისება.

### თვისებრივი კვლევა (ზოგადი ინგლისური)

კულტურული და სოციალური მახასიათებლების გათვალისწინებით, ჩვენმა თვისებრივმა კვლევამ შეცვალა ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში მოყვანილი ორი მეცნიერის (კანაგარაჯაჰისა და ფერგუსონის) კლასიფიკაცია. გაგება და ინტერპრეტაცია დაგვეხმარება ვიდეო ლექციებში, ლექტორების მიერ კოდების გადართვის მომენტების ანალიზში, ენობრივი ქცევების მაგალითების ინტერპრეტაციასა და ფუნქციების კლასიფიკაციაში განვიხილოთ სწორედ იმ ფუნქციების მაგალითები, რომლებიც ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში მოყვანილი ორი მეცნიერის კლასიფიკაციაში არ გამოვლინდა და ინგლისური, როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში ინგლისური ენის ქართველმა ლექტორებმა გამოიყენეს.

ამასთანავე, გათვალისწინებულია ლიტერატურის მიმოხილვის თავებში მოყვანილი სამი თეორიული ჩარჩოს (ინტერაქციული სოციოლინგვისტიკის თეორია (IS), საუბრის ანალიზის თეორია (CA) და კონტექსტუალიზაციის მანიშნებლები (Contextualisation Cues) დისკურსის ანალიზის ასპექტები:

- რიგითობა, მოსაუბრე რომელ ენას ირჩევს თავისი საუბრის ჯერის დროს (CA)
- განწყობა ენისადმი, ძალაუფლების გამოხატვა, ფორმალობა (CA)
- რეგისტრის მონაცვლეობა (IS)
- მიმართება კონტექსტსა და ნათქვამის მნიშვნელობას შორის (IS)
- ენის არჩევანი განსაზღვრავს მოსაუბრის იდენტობას თავის მიკუთვნება/გამიჯვნა კონკრეტული ჯგუფ(ებ)ისადმი (Contextualisation Cues)
- ჩარჩოების, ფრეიმების მონაცვლეობა (Contextualisation Cues)

შენიშვნები:



// - პაუზა 0.5 წამი და მეტი

= - პირდაპირი ბმა წინადადებებს შორის

[ ] - გადაფარვა საუბრისას ორი სხვადასხვა მოსაუბრის მიერ

(,) - დაყოვნება

(?) - აწეული ინტონაცია

(.) - დაწეული ინტონაცია

— - ქართული წინადადებები და სიტყვები ხაზგასმულია

() - თარგმანი ინგლისურად

განვიხილ

ოთ თითოეული ენობრივი ქცევის მაგალითი ვრცლად.

**მაგალითი 1/ლექტორი 12 (კოდების გადართვა)**

ფუნქცია: ლექტორსა და სტუდენტს შორის ურთიერთგაგება: ლექტორის ხუმრობა

ლექცია 3/02:20/თემა: Family Life Vocabulary

T: The deference between these two words immediate and extended. Anybody got the idea?

S: Family you're living with and your whole family right, right? [your father...]

T: [Like, ყვავი ჩხიკვის მამიდას, yvavi chkhikvis mamidas] (the relative, with whom you no longer have contact with) = actually (იცინის)

Ss: (იცინიან)

T: no, no, no, no it's not like = ყვავი ჩხიკვის მამიდას, yvavi chkhikvis mamidas, (.) = it's like your uncle and his family//Your auntie and his family big family, you know. and your immediate family is your father, mother, sister, brother.

როგორც მაგალითიდან ირკვევა, ლექტორის მიერ გამოხატულ ემოციებზე დაყრდნობითა და ვიდეო ჩანაწერის მოსმენით, შეგვიძლია დავასკვნათ რომ კოდების გადართვის პირველ ქცევას არა მხოლოდ ხუმრობის, არამედ მეორედ გამოყენებისას სიტყვის განმარტებისა და ქართული კულტურული შესაბამისობის გამოხატვის ფუნქცია აკისრია, რაც მიანიშნებს ლექტორის ქართულ იდენტობაზე, თუმცა ნეგატიური განწყობით. მიმართება კონტექსტსა და ნათქვამის მნიშვნელობას შორის: ერთ ფრაზას ორი სხვადასხვა ფუნქცია აკისრია (მაგ., T: no, no, no, no it's not like ყვავი ჩხიკვის მამიდას, yvavi chkhikvis mamidas). ამასთანავე, მაგალითში მოცემულია

მოსაუბრეთა ნათქვამის გადაფარვა (მაგ., S: .....[your father...] T: [Like, ყვავი ჩხიკვის მამიდას, yvavi chkhikvis mamidas]), რაც უნებლიე ძალაუფლების გამოხატვაა ლექტორის მხრიდან.

### მაგალითი 2/ლექტორი 8 (კოდების გადართვა)

ლექცია 1/52:01/თემა: Family – vocabulary, Future Forms – be going to, will, present continuous)

ფუნქცია: ლექტორის მიერ სალექციო პროცესისა და აუდიტორიის მართვა (classroom management): სტუდენტების ყურადღების მიმართვა, გადატანა;

T: where does ‘will’ belong?

S: [1<sup>st</sup> one!]

T: [3<sup>rd</sup> one?]

S: 1<sup>st</sup>!

T: 1<sup>st</sup> one, people’s programmes or arrangements, hm? Let me check it, let’s leave ‘will’ like that, okay? = tsotakhani davtovot willi ese/ცოტა ხანი დავტოვოთ will-ი ესე (.) (let’s leave/forget about ‘will’ for a while) = Let’s think about “to be going to”.

დავალემა ემსახურება მომავლის გამომხატველი ფორმების ფუნქციების მიხედვით დაჯგუფებას. სტუდენტების არასწორი პასუხის გამო, თუ რომელ ფუნქციას განეკუთვნებოდა “will” ფორმა, ლექტორი ცდილობს მათი ყურადღება სხვა ფორმებზე მომართოს. ლექტორის მიერ კოდების გადართვის ქცევა ამ კონკრეტულ მაგალითში ერთგვარი დამხმარე საშუალებაა, რომ სტუდენტები თავად მივიდნენ სწორ პასუხამდე, ამავდროულად, კოდების გადართვის აღნიშნული მაგალითი სიტუაციის განმუხტვას, სტუდენტებისთვის დამაბულობის მოხსნას ემსახურება, ქართული აქ ახლო, ნაცნობი, არაფორმალური, ენის ფუნქციას ასრულებს.

### მაგალითი 3/ლექტორი 8 (კოდების შერევა)

ლექცია 1/01:53:00/თემა: Family – vocabulary, Future Forms – be going to, will, present continuous)

ფუნქცია: (სილაბურით გაწერილი მასალა) (lesson content), ჩაღრმავება, ჩაკითხვა (ზიზგი სტუდენტისთვის, რომ დაფიქრდეს, გაიაზროს, პასუხი გასცეს ლექტორის მიერ დასმულ კითხვას)

S: I would like?

T: or I would like, that would be one of the options, that's it, I would like = kidev?/კიდევ? (?) (what else?)

S: [or I am going to go]

T: [exactly] I am going to go to the café, = kidev?/კიდევ? (?) (what else?) = directly present continuous.

S: [I am going]

T: [exactly]

მაგალითი 3 ემსახურება ჩაღრმავება, ჩაკითხვის ფუნქციას, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების ცოდნის სქემის ამუშავებას და სალექციო ტემპის შენარჩუნებას. ქართულს არაფორმალური ენის დატვირთვა, სტუდენტების შთამაგონებელი ფუნქცია აკისრია და ლექტორის იდენტობასაც გამოხატავს.

#### მაგალითი 4/ლექტორი 8 (კოდების გადართვა)

ლექცია 1/01:24:00/თემა: vocabulary (Family; Future Forms – be going to, will, present continuous)

ფუნქცია:

(1) ლექტორის მხრიდან მზაობის ჩვენება/გამოხატვა, კოდების გადართვა: ფრაზა

(2) 2.4 ადმინისტრაციული საკითხების გაჟღერების, დაზუსტების მიზნით, კოდების გადართვა: აბზაცი

T: do you have any questions? about the grammar, or the vocabulary, don't be shy, please ask.

S: მე მაქვს ერთი შეკითხვა, [ოღონდ სხვა რაღაცასთან დაკავშირებით]/me maqvs erti shekitkhva, [oghond skhva raghatsastan dakavshirebit.] (I have one question but about something else.)

T: [yeah, L.....] Aham (,) (1) კი ბატონო/ki batono (?) (yes, please)

S: ანუ, თავიდან სხვა ლექტორი მყავდა არჩეული და პირველ ორ ლექციას ვერ დავესწარი და, შესაბამისად, დამაკლდა აქტივობის ქულა და როგორ შემიძლია, რომ გამოვასწორო?/anu, tavidan skhva leqtori myavda archeuli da pirvel or leqtsias ver daveswari da, shesabamisad, damaklda aqtivobis qula da rogor shemidzlia, rom gamovasworo? (So, at the beginning I had another lecturer chosen, so I have missed the first two lectures of yours, so, how can I improve my activity mark of those two lectures?)

T: (2) ხო, ესეიგი მოდი ეს, პირველ რიგში, პირველი ორი კვირა ყოველთვის ითვლება საპატიოდ, ჯგუფები იცვლება, სისტემა ღია არის და გადასვლა გადმოსვლები ფიქსირდება, და მათ ვთვლით ჩათვლად, დასწრებად, აქტიურობას, ასე რომ, პირველ ორ კვირაზე არ ინერვიულო, მესამე კვირიდან დავიწყებ ათვლებს [Okay?]/Kho, eseigi modi es, pirvel rigshi, pirveli ori kvira yoveltvis itvleba sapatiod, jgufebi itsvleba, sistema ghia aris da gadasvla gadmosvlebi fiqsirdeba, da mat vtvlit chatvrad, dastsrebad, aqtiurobad, ase rom, pirvel or kviraze ar inerviulot, mesame kviridan daviwyeb atvlebs. (.) = [Okay?] (yes, so to say, let's, first of all, the first two weeks are always considered as good excuse, the groups change, the system is open and the transitions are common, and we consider them as attendance, activity, so do not worry about the first two weeks, I will start counting our points from the third week) [Okay?].

S: [მადლობა/madloba!] (Thank you!)

წინამდებარე მაგალითი ემსახურება ერთი მხრივ ლექტორსა და სტუდენტს შორის ადმინისტრაციული საკითხის გარკვევას და მეორე მხრივ ლექტორის მხრიდან მზაობის გამოხატულების ფუნქციას. საუბრის ანალიზის თეორიის (CA)-ზე დაყრდნობით, ლექტორი მყისიერი პასუხი მშობლიურ, ქართულ ენაზე შესაძლოა ქართულად დასმულმა კითხვამ განაპირობა, მაგრამ აშკარაა პასუხის სიმძაფრე და ლექტორის სურვილი უპასუხოს მის სტუდენტს. ლექტორის ინგლისური ისეთივე არაფორმალურია (მაგ., T: .....don't be shy, please ask.), როგორც ქართული ენა (T:.....ასე

რომ, პირველ ორ კვირაზე არ ინერვიულო, მესამე კვირიდან დავიწყებ ათვლებს). მან რამდენჯერმე შეცვალა რეგისტრი: პირველად, ინგლისურიდან ქართულზე გადართვისას (მაგ., Aham, კი ბატონო/ki batono) და შემდეგ თავად ქართულად საუბრისას, მეორედ გადართვისას ლექტორი იწყებს არაფორმალურად საუბარს, შემდეგ გადადის ფორმალურ ფორმაზე და კვლავ ცვლის რეგისტრს.

#### **მაგალითი 5/ლექტორი 4 (კოდების გადართვა)**

ლექცია 2/1:22:03/თემა: Grammar - Past Forms – past simple, past continuous, past perfect, past perfect continuous)

ფუნქცია: ლექტორის მიერ ხაზგასმა (მაგ., გრამატიკული საკითხების მნიშვნელოვან ასპექტებზე, კონტექსტზე)

S: (კითხულობს) They walked in the forest for hours before they realize they were lost.

T: Now, we're here, we're here, so, these are past tenses but what happened during = ნახე! სადამდე ესეიგი იარეს, იარეს მთელი 4 საათი იარეს რაღაც კონკრეტულ მომენტამდე/nakhe! sadamde eseigi iares, iares mteli 4 saati iares haghac konkretul momentamde. (.) (Look, until when, so they had been walking, they had been walking for the whole 4 hours until the specific moment.)

S: they have had [to walk]

T: [had been walking] because you have for four hours, yes. // ხანგრძლივობასთან ყოველთვის პროცესია ბავშვებო, თანაც პროცესი რაღაც წარსულ ქმედებამდე/khangrdzlivobastan yoveltvis procesia bavshvebo, tanac procesi raghac warsul qmedebamde (Guys, there is always a process with duration, moreover the process until the past action) = they had been walking, past perfect continuous, guys.

აღნიშნულ მაგალითში ლექტორის მიერ პირველი კოდების გადართვა ემსახურება გრამატიკული კონტექსტის ახსნა განმარტებას, ხოლო მეორე გადართვა ხაზს უსვამს იმ გრამატიკულ წესს, რომელიც წესით სტუდენტებს უნდა გაეთვალისწინებინათ. ლექტორის რეგისტრი ქართულ და ინგლისურ ენებში ერთგვაროვანია, ქართული და ინგლისური ენები ერთნაირად არაფორმალურია.

### მაგალითი 6/ლექტორი 5 (კოდების გადართვა)

ლექცია/26:09/ თემა: Grammar (Present Forms – present simple, present continuous, present perfect, present perfect continuous, reading - natural phenomenon)

ფუნქცია: 2.7 ლექციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით; მახილის წინადადება

T: Alright, so there are 14 of us = თოთხმეტნი ვართ, ზუმი გაითიშება და შემოვიდეთ ხელახლა/14ni vart, zoomi gaitisheba da Semovidet khelakhla (there are 14 of us, Zoom will be over soon, please come back) = Okay?

S: okay.

მაგალითი 6 ემსახურება ლექციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზის აღმოფხვის მიზნით ლექტორის მიერ ქართული ენის გამოყენებას. დროის სიმცირის გამო გამოიყენა ქართული, რათა გაურკვევლობა აერიდებინა. ლექტორის მიერ კოდების გადართვა იდენტობის გამოხატვას ემსახურება. საუბრის ჩარჩოები/ფრეიმები იცვლება (დასწრების აღრიცხვა/ზუმის შეხვედრის ორგანიზება).

### მაგალითი 7/ლექტორი 6 (კოდების შერევა)

ლექცია 5/21:58/თემა: e-sport, free-diving, grammar: present simple, present continuous)

ფუნქცია: სტუდენტის მიერ გამოთქმული აზრის ლექტორის მიერ გაგრძელება და განმტკიცება/უარყოფა: არსებითი სახელი

S1: Shelia is not understanding the exercise (reading the exercise (homework))

T: Okay, no, Why NO then?

S1: ისა/isa (so), Shelia does not understand the exercise.

T: Yes, but why?

S1: Ah because it's a general thing.

T: well, the idea behind it is that she doesn't understand it right now, so, it should be present continuous, but it is not present continuous and why is it present simple, can anybody help us?

S2: because understand doesn't, ანუ, არ გადაადის მოკლედ/anu, ar gadadis mokled (isn't used in).

T: -ing ფორმაში/-ing formashi (in -ing form), (.) = yes, because it's a stative verb here and we do not use -ing form, however, as I have mentioned on our previous lessons a lot of things are changing and I have heard by native speakers that understand already has -ing form, mostly in American English, I've heard like I'm not understanding you or I'm not understanding this instead of I don't understand but I have told you before If it's an exam kind of situation stick to the conventional grammar whereas if it's like a colloquial, everyday speaking English situation then you can use the -ing form I guess. Okay, good, thank you.

აღნიშნული მაგალითი სტუდენტის მიერ გამოთქმული აზრის გაგრძელებასა და განმტკიცებას ემსახურება. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ლექტორი არ იმეორებს სტუდენტის გამოთქმულს, არამედ განაგრძობს მის ნათქვამს. ლექტორის ენის არჩევანი განპირობებულია სტუდენტის არჩევანით.

### მაგალითი 8/ლექტორი 9 (კოდების გადართვა)

ლექცია 5/37:50-38:04/თემა: grammar - past simple – weekend

ფუნქცია: (1) სალექციო და საშინაო დავალების ორგანიზების მიზნით: კითხვითი

(2) სალექციო და საშინაო დავალების ორგანიზების მიზნით კოდების: ძახილის

(3) სალექციო და საშინაო დავალების ორგანიზების მიზნით, ლექტორის გაოცება, შეშფოთება: ძახილის

T: Okay, now, read the text and answer the questions.

S: უკაცრავად, ტექსტი არ ჩანს და რომ გადავუღო ან რამე, რომ გამოაჩინოთ?/ukatsravad, teqsti ar chans da rom gadavugho an rame, rom gamochinot?

(Excuse me, I cannot see the text, may I take a screenshot, or could you please scroll up?)

T: (1) არ ჩანს/ar chans? (?) (isn't it visible?)

S: ანუ მარტო/anu marto... (so, only)

T: (2) ანუ, ჯერ დაიწყეთ და მერე ჩავწევ!/anu, jer daitsyet da mere chvwev! (.) (so, please first start reading then I will scroll down).

S: ანუ, ტექსტის მიხედვით ხომ უნდა ვუპასუხოთ/anu, teqstis mikhedvit khom unda vupasukhot? (aren't we going to answer the questions according to the text)

T: (3) ხოდა, აქედან იწყება/khoda, aqedan itsyeba, (.) [Next time a friend or colleague....] (კითხულობს ტექსტის დასაწყისს) (yes, then it starts from here.)

S: [აა, კარგი, კი ბატონო/aa, kargi, ki batono.](aham, okay, yes, for sure.)

კოდების გადართვის აღნიშნული მაგალითი, ლექციის ჩანაწერზე დაყრდნობით, გამოხატავს ლექტორის ემოციურ მდგომარეობას, სტუდენტმა ვერ შენიშნა საიდან იწყებოდა ტექსტი, რამაც გამოიწვია ლექტორის შეშფოთება, სწორედ ამ მდგომარეობამ უზიბგა ლექტორს პირველი ენის გამოყენება. სტუდენტის მიერ რეგისტრის შეცვლა მიანიშნებს ლექტორის მისდამი ფორმალურ დამოკიდებულებაზე და შეშფოთების ემოციის განეიტრალების მცდელობაზე (მაგ., [აა, კარგი, კი ბატონო/aa, kargi, ki batono.]).

### მაგალითი 9/ლექტორი 8 (Translanguaging)

ლექცია 4/0:29-02:23/თემა: grammar quantifiers, present perfect vs past simple - shopping) (previous vocabulary review)

ფუნქცია: (1) (2) (3) (4) (5) (6) (7) 1.2 განმარტება (მაგ., სიტყვის), ქართული შესატყვისის თემა: შესიტყვება

T: Okay now, now let's remind you about a previous lecture yeah so it was about present perfect and the vocabulary of housework, right? housework. Now, I will tell you check some words some housework, whereas in Georgia and you tell me in English, okay? T..... (სტუდენტის სახელი), how it's in English (,) (1) ლოგინის ალაგება/loginis alageba (?) (make the bed)

S1: make a bed.



T: Make the bed, S... (სტუდენტის სახელი) (,) (2) ჭურჭლის დარეცხვა/churchlis daretskhva (?) (Do the washing up)

S2: Wash, ისა/isa (so to say), I forget.

S2: Do the washing up.

T: Do the washing up, yeah, do the washing up, okay L.... (სტუდენტის სახელი) (,) (3) ნაგვის გატანა/nagvis gatana (?) (take out the rubbish)

S3: Take the rubbish?

T: take out the rubbish, yes. A.... (სტუდენტის სახელი) (,) (4) სარეცხის რეცხვა/saretskhis retskhva (?) (do washing)

S4: wash the clothes?

T: do washing, yeah?

S4: [do the washing up]

T: do the washing up is when you wash dishes, do the washing, M.... (სტუდენტის სახელი) (,) (5) უთობა/utooba (?) (do ironing)

S5: ironing

T: [do ironing, yeah?]

S5: [do ironing]

T: Okay, S... (სტუდენტის სახელი) (,) (6) დალაგება ოთახის/dalageba otakhis (?) (tidy the room)

S6: clean the room.

T: Aaa, and? ha?

S4: Tidy it?

T: tidy the room, A.... (სტუდენტის სახელი) (,) (7) ტანსაცმელების შელაგება/tansatsmelebis shelageba (?) (Put away your clothes)?

S: Ahh.

T: Put away your clothes, put away. K.... (სტუდენტის სახელი), take clothes from the floor?

S7: იატაკიდან ალება ტანსაცმელების/iatakidan agheba tansatsmelebis? (Pick up clothes)

T: pick up dirty clothes, pick up dirty clothes, clean the floor and so on.

მოცემული მაგალითი ენათმონაცვლეობას ასახავს, რომელიც ლექტორმა წინა სალექციო მასალაზე დაყრდნობით, დავალების სახით შექმნა და წინასწარ დაგეგმვით გამოიყენა. ქართული ენის გამოყენება ამ კონკრეტულ შემთხვევაში ემსახურება ლექტორის მხრიდან სიტყვათშეერთების (collocation) გრამატიკული ფორმის ახსნას. ქართული ენა ერთგვარი დამხმარე საშუალებაა, ამასთანავე ლექტორის იდენტობას გამოხატავს.

### მაგალითი 10 ლექტორი 8 (კოდების გადართვა)

ლექცია 2/33:00/თემა: Writing – a paragraph

ფუნქცია: 2.2 სტუდენტების ყურადღების მობილიზება, ლექტორის მიერ ხაზგასმა (მაგ., სიტყვების ერთგვაროვნებაზე, გრამატიკული საკითხების მნიშვნელოვან ასპექტებზე, კონტექსტზე): ძახილის

T: Right Okay, and there is also received one answer in the chat from Maria helpful tips for beginners who just started exercising = ნახეთ, წელან რაც ვთქვი, statement-ის ფორმა მივცეთ/nakhet, tseghan rats vtqvi, statement-is forma mivtset. (.) (look, that's what I said before, give it a form of a statement) = there are lots of helpful tips or several helpful tips for beginners who just started exercising okay? So, try to Imagine that this is an opening sentence right, so you need it to be in the form of this statement, alright guys.

მაგალითი 10-ში კოდების გადართვის მიზანია სტუდენტების ყურადღების მობილიზება, ლექტორის მიერ უკვე ნათქვამის ხაზგასმა და შეხსენება.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ლექტორის მიერ გადართვის თითოეულ მაგალითს არა მხოლოდ ერთი, არამედ რამდენიმე ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს, მთავარი კი ინტერპრეტირებისას კონტექსტის გათვალისწინებაა, რომლის გარეშეც კვლევა

არასანდო ხდება, ლექციის ჩანაწერების რამდენჯერმე ყურებამ, მაგალითების ამოწერამ მაგალითების ზუსტი ინტერპრეტაციის საშუალება მოგვცა. ძალაუფლების გამოხატულება ლექტორის მხრიდან (T:.....ნახეთ, წედან რაც ვთქვი,.....), ამასთანავე, რეგისტრი მონაცვლეობს ორივე ენაზე.

**თვისებრივი კვლევა (ბიზნეს ინგლისური)**

ყველა მონაწილე (8 ლექტორი) იყენებს და/ან ურჩევნია გამოიყენოს მხოლოდ ინგლისური ან ინგლისური და ქართული ერთად. არცერთი მათგანი არ ანიჭებს უპირატესობას ან/და იყენებს მხოლოდ ქართულს ბიზნეს ინგლისურის ლექციებზე.

ბიზნეს ინგლისურის Zoom ლექციების საფუძველზე (80 საათი), მოვახერხეთ ლექტორების კოდების გადართვის, კოდების შერევისა და ენათმონაცვლეობის ენობრივი ქცევების გამოყენების ფუნქციების დადგენა. კვლევა მიზნად ისახავდა ბიზნეს ინგლისურის ჩანაწერებში ლექტორების კოდების გადართვის და კოდების შერევისა და ენათმონაცვლეობის ქცევების აღმოჩენილი მაგალითების სტრუქტურულ ანალიზსა და დაჯგუფებას.

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი დეტალურად.

<i>შენიშვნები:</i>
<i>// - პაუზა 0.5 წამი და მეტი</i>
<i>= - პირდაპირი ბმა წინადადებებს შორის</i>
<i>[ ] - გადაფარვა საუბრისას ორი სხვადასხვა მოსაუბრის მიერ</i>
<i>(.) - დაყოვნება</i>
<i>(?) - აწეული ინტონაცია</i>
<i>(.) - დაწეული ინტონაცია</i>
<i>— - ქართული წინადადებები და სიტყვები ხაზგასმულია</i>
<i>( ) - თარგმანი ინგლისურად</i>

**მაგალითი 1/ლექტორი 1 (ენათმონაცვლეობა)**

ლექცია 5/23:27/თემა: Writing (Minutes)

მაგალითი 17/23:27

ფუნქცია: (1) განმარტება (მაგ., სიტყვის), ქართული შესატყვისის თქმა; ჩაღრმავება, ჩაკითხვა (ბიძგი სტუდენტისთვის, რომ დაფიქრდეს, გაიაზროს, პასუხი გასცეს ლექტორის მიერ დასმულ კითხვას): კითხვით-მახილის

(2) ლექტორის მიერ ხაზგასმა (მაგ., სიტყვების ერთგვაროვნებაზე, გრამატიკული საკითხების მნიშვნელოვან ასპექტებზე, კონტექსტზე): მახილის

T: It conveys synonymous to communicate or to convey information means to communicate information to communicate ideas, information in this case (,) (1) ანუ, ინფორმაციის მიწოდება გვინდა აქ, ამ შემთხვევაში, ხო?/anu, inpormatsiis miwodeba gvinda ak, am shemtkhvevashi, kho? (?) (so, in this case we need to pass the information on, don't we?) so reporting back, reporting back. Report = (2) ხომ არის ანგარიში მოხსენება./khom aris angarishi mokhseneba, (.) // (Isn't it (the Georgian definition of the word). when you write to someone.

აღნიშნული მაგალითის მიზანია, ბიზნეს ინგლისურის ტერმინოლოგიის ახსნა-განმარტება, სტუდენტების ყურადღების გამახვილება კონტექსტზე. კოდების გადართვის ქცევა, ვერ გაანალიზდება საუბრის ანალიზის თეორიის მიხედვით (ლექტორის მონოლოგი). რაც შეეხება ინტერაქტიულ სოციოლინგვისტურ მიდგომას, მაგალითში ვხვდებით აწეულ და დაწეულ ინტონაციას, დაყოვნებას და პირდაპირ ბმას. ენათმონაცვლეობის ქცევით, ლექტორის მიზანია სტუდენტებისთვის არა მხოლოდ კონტექსტის უკეთ გააზრება, არამედ ქართული შესატყვისების სწავლება.

## მაგალითი 2/ლექტორი 1 (კოდების შერევა)

ლექცია 5/1:38:37/თემა: Writing (Minutes)

ფუნქცია: მისალმება/დამშვიდობება

T: Okay, I guess you have no questions, would you like to, I don't know, say something before we say goodbye?

Ss: (silence)

T: okay, then guys, have a nice day. Have a nice weekend and see you next week.

Ss: Thank you, Okay, goodbye.

T: Okay, bye,

S: goodbye,

T: ნახვამდის/nakhvamdis (.) (goodbye).

აღნიშნული მაგალითის მიხედვით, ლექტორისთვის უცხო ენა (ინგლისური) ძირითადად არაფორმალურია (მაგ., guys, okay, bye); თუმცა ცვლის რეგისტრს მაგ, არაფორმალურ სიტყვებთან ერთად იყენებს ფორმალური (მაგ., goodbye) დამშვიდობების ფორმას; ქართული ენა მხოლოდ ფორმალურია (მაგ., ნახვამდის).

**მაგალითი 3/ლექტორი 2/ (კოდების გადართვა)**

ლექცია 3/01:28/თემა: Reading (Problem Solving); Grammar (Past modals)

ფუნქცია: (1) (2) ლექციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით: კითხვითი

S: მიჭედავდა და ხმა კარგად არ მესმის./mitchdavda da khma kargad ar mesmis. (It was stuck and I barely hear the voice.)

T: (1) არ ისმის ახლა ჩემი ხმა?/ar ismis akhla chemi khma? (?) (Can you hear my voice, now?)

S: ახლა კი, არ ვიცი რატომ ჭედავს./akhla ki, ar vitsi ratom tchedavs. (now yes, I don't know why it is unstable)

T: (2) ჟი, რატომ?/ui, ratom? (?) (oh, why?)

წინამდებარე მაგალითი ონლაინ სწავლებისას წარმოქმნილ ხარვეზებს ავლენს. მაგ., სუსტი ინტერნეტ კავშირის დროს წარმოქმნილი შეფერხებები სტუდენტისა და ლექტორის მხრიდან. როგორც მაგალითიდან ჩანს, ორივე მხარე, იყენებს ქართულ ენას, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, აღნიშნული პრობლემის სწრაფად აღმოფხვრის მიზნით. ლექტორის მიერ ქართული ენის არჩევანი განპირობებულია სტუდენტის არჩეული ენით.

**მაგალითი 4/ლექტორი 3 (ენათმონაცვლეობა) (კოდების შერევა) (კოდების გადართვა)**

ლექცია 5/1:34:56/თემა: Vocabulary (Law)

ფუნქცია: (1) ლექტორის მიერ ხაზგასმა (მაგ., სიტყვების ერთგვაროვნებაზე, გრამატიკული საკითხების მნიშვნელოვან ასპექტებზე, კონტექსტზე); განმარტება (მაგ., სიტყვის), ქართული შესატყვისის თქმა; - კოდების გადართვა: ძახილის

(2) სალექციო და საშინაო დავალების ორგანიზების მიზნით - კოდების გადართვა: კითხვით-ძახილის

(3) (5) ჩაღრმავება, ჩაკითხვა (ზიძგი სტუდენტისთვის, რომ დაფიქრდეს, გაიაზროს, პასუხი გასცეს ლექტორის მიერ დასმულ კითხვას) - კოდების გადართვა: კითხვითი

(4) განმარტება (მაგ., სიტყვის), ქართული შესატყვისის თქმა; ჩაღრმავება, ჩაკითხვა (ზიძგი სტუდენტისთვის, რომ დაფიქრდეს, გაიაზროს, პასუხი გასცეს ლექტორის მიერ დასმულ კითხვას) - ენათმონაცვლეობა: აზნატი

(6) ინსტრუქციის მიცემის მიზნით - კოდების შერევა: ზმნიზედა

(7) ინსტრუქციის მიცემის მიზნით - კოდების გადართვა: კითხვითი

T: have Muslim have nots right is have and have nots.

S: How many things you don't have at one point?

T: (1) არა, ნახე როგორ არის./ara, nakhe rogor aris, (no, look how it goes)= the have-ს = არის მდიდრები./-s aris mdidrebi, (are the rich) the haven't-ს არის ღარიბები. ვისაც აქვს ფული და ვისაც არ აქვს ფული ასე ვთქვათ./-s aris gharibebi. visats akvs puli da visats ar akvs puli ase vtkvat. (are the poor. Those people who have money and those who don't, let's say.) = Okay, um bean counters = (2) ვინ არის? მოდიოთ სიტყვებზე გადავალ იმიტომ, რომ ვერ ვასწრებ უკვე ბოლომდე განვიხილე. ამას ცოტ-ცოტას დავტოვებ და მეორეზე არ გადავალ. კიდევ მინდა ხელახლა რაღაცეებს გადახედოთ. აბა მოდიოთ/vin aris? modit sityvebze gadaval imitom, rom ver vaswreb ukve bolomde ganvikhile. amas tsot-tstotas davtoveb da meoreze ar gadaval. kidev minda khelakhla raghatseeb gadakhedot. aba modit (.) (who is? Let's move on to the words, because I can't keep up, I've already discussed it to the end. I will leave this little by little and not move on to another. I want you to look at some things again. Okay, let's) = bean counters = (3) ვინ არიან? იცით?/vin arian? itsiT? (who are they? Do you know?) (.) = bean counters. This is an accountant in a big company that keeps all financial records of the company and doesn't like to spend money on employees this is also a person who is responsible for financing a company being counted. I counted = (4) ხომ იცით ბუღალტერი, მაგრამ ისეთი ბუღალტერია ფინანსურად

ყველაფერი იცის კომპანიის შესახებ და თან ძალიან აკონტროლებს ფულის გადინებას კომპანიიდან, ფულის ხარჯვას და ა. შ. ახლა ვთქვათ რამე სიტყვები რაც თქვენ გახსოვთ./khom itsit bughalteri, magram iseti bughalteria pinansurad yvelaperi itsis kompaniis shesakheb da tan dzalian akontrolebs pulis gadinebas kompaniidan, pulis kharjvas da a. sh. akhla vtkvat rame sityvebi rats tkven gakhsovt. (.) (do you know an accountant, but this kind of accountant, who knows everything about the company financially and at the same time closely controls the flow of money from the company, money the company spends, etc. now any vocabulary items you remembered from the task?)

S: Excruciating about it.

T: (5) რა არის ეგ?/ra aris eg? (?) (what does that mean?)

S: მტანჯველი/mtanjveli (gives a Georgian definition of the word)

T: yeah. // (6) კიდევ?/kidev? (what else?) (?)

S: trepidation,

T: trepidation. So, you feel trapped sedation that's Isaac's excitement = (7) სავით არის ხომ? კიდევ?/saviT aris khom? Kidev? (?) (like excitement, isn't it?// what else?)

T: either incredulously

S: Yeah, კარგი სიტყვაა./kargi sityvaa. (it is a nice word)

მოცემულ მაგალითში გაერთიანებულია როგორც ენათმონაცვლეობის, ისე კოდების გადართვისა და კოდების შერევის მაგალიტები. ენათმონაცვლეობის ქცევის შემთხვევაში, ლექტორის მიზანია, სტუდენტებმა გაიაზრონ და ისწავლონ ბიზნეს ტერმინოლოგიის როგორც ქართული, ისე ინგლისური ლექსიკური შესატყვისები. კოდების შერევისა და კოდების გადართვის ქცევებს ლექტორის მხრიდან კონტექსტში ჩაღრმავების, ჩაკითხვის, სალექციო და საშინაო დავალებების ორგანიზებისა და ინსტრუქციის მიცემის დანიშნულება აკისრია.

თვისებრივი კვლევის მონაცემთა გაანალიზების შედეგად, გამოვლინდა შემდეგი ფუნქციები, რომლებითაც ხასიათდება ქართული საგანმანათლებლო, კერძოდ ინგლისური, როგორც უცხო ენისა და ბიზნეს ინგლისურის სწავლების კონტექსტები. ცხრილის სახით წარმოგიდგენთ კოდების გადართვის, კოდების შერევისა და ენათმონაცვლეობის ფუნქციების კლასიფიკაციას.

ცხრილი 9. ენობრივი ქცევების ფუნქციების კლასიფიკაცია ზოგადი და ბიზნეს ინგლისურის სწავლებისას

სილაბუსი	ენობრივი ქცევების ფუნქციები/რაოდენობა (EFL და ESP კონტექსტში)
<p>1. ლექციის თემატიკა</p>	<p>კოდების გადართვა:</p> <p>1.1 კულტურული შესაბამისობის გამოხატვა (EFL - 13) (ESP - 8)</p> <p>1.2 განმარტება (მაგ., სიტყვის), ქართული შესატყვისის თქმა (EFL - 46) (ESP - 26)</p> <p>1.3 ჩაღრმავება, ჩაკითხვა (ბიძგი სტუდენტისთვის, რომ დაფიქრდეს, გაიაზროს, პასუხი გასცეს ლექტორის მიერ დასმულ კითხვას) (EFL - 67) (ESP - 108)</p> <p>1.4 ლექტორის შეკითხვა სტუდენტის მიერ გაგებულის შემოწმების მიზნით (EFL - 15) (ESP - 3)</p> <p>1.5 ლექტორის მიერ ახსნა (მაგ., საკითხის, გრამატიკული მასალის) (EFL - 48) (ESP - 5)</p> <p>1.6 ლექტორის მიერ ხაზგასმა (მაგ., სიტყვების ერთგვაროვნებაზე, გრამატიკული საკითხების მნიშვნელოვან ასპექტებზე, კონტექსტზე) (EFL - 154) (ESP - 59)</p> <p>1.7 ლექტორის მხრიდან მინიშნება, მითითების მიცემა, ემოციური დამოკიდებულების ჩვენება სიტყვისადმი, ფრაზისადმი (EFL - 9) (ESP - 3)</p> <p>1.8 სტუდენტების მიერ გაუგებარი საკითხის ახსნა, განმარტება (EFL - 19) (ESP - 7)</p> <p>1.9 სტუდენტის მიერ გამოთქმული აზრის ლექტორის მიერ გაგრძელება და განმტკიცება/უარყოფა (EFL - 76) (ESP - 66)</p> <p>1.10 პარალელური თარგმანი (მშობლიურ ენაზე) (EFL - 40) (ESP - 10)</p>



	<p>1.11 სიტყვის წარმოთქმის ხაზგასმა/ჩვენება (EFL - 2) (ESP - 9)</p> <p>1.12 სხვა ენის (ქართულისა და ინგლისურის გარდა) გავლენა(EFL - 4) (ESP - 0)</p>
	<p><b>კოდების შერევა:</b></p> <p>1.1 კულტურული შესაბამისობის გამოხატვა (EFL - 3) (ESP - 1)</p> <p>1.2 განმარტება (მაგ., სიტყვის), ქართული შესატყვისის თქმა; (EFL- 21) (ESP - 6)</p> <p>1.3 ჩაღრმავება, ჩაკითხვა (ბიძგი სტუდენტისთვის, რომ დაფიქრდეს, გაიაზროს, პასუხი გასცეს ლექტორის მიერ დასმულ კითხვას) (EFL - 14) (ESP - 22)</p> <p>1.4 ლექტორის შეკითხვა სტუდენტის მიერ გაგებულის შემოწმების მიზნით (EFL - 4) (ESP - 2)</p> <p>1.5 ლექტორის მიერ ახსნა (მაგ., საკითხის, გრამატიკული მასალის) (EFL - 10) (ESP - 0)</p> <p>1.6 ლექტორის მიერ ხაზგასმა (მაგ., სიტყვების ერთგვაროვნებაზე, გრამატიკული საკითხების მნიშვნელოვან ასპექტებზე, კონტექსტზე) (EFL - 9) (ESP - 8)</p> <p>1.8 სტუდენტების მიერ გაუგებარი საკითხის ახსნა, განმარტება (EFL - 2) (ESP - 1)</p> <p>1.9 სტუდენტის მიერ გამოთქმული აზრის ლექტორის მიერ გაგრძელება და განმტკიცება/უარყოფა (EFL - 32) (ESP - 15)</p> <p>1.10 სიტყვის წარმოთქმის ხაზგასმა/ჩვენება (EFL - 0) (ESP - 1)</p>
	<p><b>ენათმონაცვლეობა:</b></p> <p>1.1 კულტურული შესაბამისობის გამოხატვა (EFL - 7) (ESP - 1)</p> <p>1.2 განმარტება (მაგ., სიტყვის), ქართული შესატყვისის თქმა;</p>

	<p>(EFL - 28) (ESP - 68)</p> <p>1.3 ჩაღრმავება, ჩაკითხვა (ბიძგი სტუდენტისთვის, რომ დაფიქრდეს, გაიაზროს, პასუხი გასცეს ლექტორის მიერ დასმულ კითხვას) (EFL - 0) (ESP - 15)</p> <p>1.5 ლექტორის მიერ ახსნა (მაგ., საკითხის, გრამატიკული მასალის) (EFL - 0) (ESP - 4)</p> <p>1.6 ლექტორის მიერ ხაზგასმა (მაგ., სიტყვების ერთგვაროვნებაზე, გრამატიკული საკითხების მნიშვნელოვან ასპექტებზე, კონტექსტზე) (EFL - 0) (ESP - 35)</p> <p>1.8 სტუდენტების მიერ გაუგებარი საკითხის ახსნა, განმარტება (EFL - 0) (ESP - 5)</p> <p>1.9 სტუდენტის მიერ გამოთქმული აზრის ლექტორის მიერ გაგრძელება და განმტკიცება/უარყოფა (EFL - 0) (ESP - 30)</p> <p>1.10 პარალელური თარგმანი (მშობლიურ ენაზე) (EFL - 0) (ESP - 14)</p>
<p><b>2. სალექციო პროცესისა და აუდიტორიის მართვა</b></p>	<p><b>კოდების გადართვა:</b></p> <p>2.1 სტუდენტების ყურადღების მიმართვა, გადატანა (EFL - 22) (ESP - 18)</p> <p>2.2 სტუდენტების ყურადღების მობილიზება (EFL - 16) (ESP - 7)</p> <p>2.3 სტუდენტების ჩართულობის გაზრდის მიზნით (EFL - 0) (ESP - 6)</p> <p>2.4 ადმინისტრაციული საკითხების გაჟღერების, დაზუსტების მიზნით (EFL - 14) (ESP - 0)</p> <p>2.5 ლექტორის მხრიდან დაყოვნება (მოფიქრების, შესვენების მიზნით) (ზოგ შემთხვევაში ლექტორი საკუთარ თავს მიმართავს) (EFL - 45) (ESP - 24)</p> <p>2.6 სტუდენტების დაჯგუფების/დაყოფის ორგანიზების მიზნით (EFL - 3) (ESP - 0)</p>

	<p>2.7 ლექციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით (EFL - 28) (ESP - 16)</p> <p>2.8 არა სალექციო თემაზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით (EFL - 7) (ESP - 2)</p> <p>2.9 ინსტრუქციის მიცემის მიზნით (EFL - 25) (ESP - 27)</p> <p>სალექციო და საშინაო დავალების ორგანიზების მიზნით (EFL - 53) (ESP - 72)</p>
	<p><b>კოდების შერევა:</b></p> <p>2.1 სტუდენტების ყურადღების მიმართვა, გადატანა (EFL - 1) (ESP - 2)</p> <p>2.2 სტუდენტების ყურადღების მობილიზება (EFL - 5) (ESP - 0)</p> <p>2.3 სტუდენტების ჩართულობის გაზრდის მიზნით (EFL - 2) (ESP - 1)</p> <p>2.4 ადმინისტრაციული საკითხების გაჟღერების, დაზუსტების მიზნით (EFL - 1) (ESP - 0)</p> <p>2.5 ლექტორის მხრიდან დაყოვნება (მოფიქრების, შესვენების მიზნით) (ზოგ შემთხვევაში ლექტორი საკუთარ თავს მიმართავს) (EFL - 18) (ESP - 13)</p> <p>2.7 ლექციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით (EFL - 2) (ESP - 2)</p> <p>2.9 ინსტრუქციის მიცემის მიზნით (EFL - 7) (ESP - 9)</p> <p>2.10 სალექციო და საშინაო დავალების ორგანიზების მიზნით (EFL - 13) (ESP - 13)</p> <p><b>ენათმონაცვლეობა</b></p> <p>2.10 2.10 სალექციო და საშინაო დავალების ორგანიზების მიზნით (EFL - 0) (ESP - 1)</p>
<p><b>3 ლექტორსა და სტუდენტს შორის</b></p>	<p><b>კოდების გადართვა:</b></p> <p>3.1 ლექტორის მხრიდან მზაობის ჩვენება/გამოხატვა (EFL - 17) (ESP - 2)</p>

<p><b>ურთიერთგაგება</b></p>	<p>3.2 სტუდენტ(ებ)ის შექება (EFL - 19) (ESP - 2)</p> <p>3.3 ლექტორის ხუმრობა (EFL - 14) (ESP - 24)</p> <p>3.4 ლექტორის გაოცება, შეშფოთება (EFL - 4) (ESP - 2)</p> <p>3.5 ლექტორის მიერ გამოთქმული უკუკავშირი (EFL - 7) (ESP - 6)</p> <p>3.6 ლექტორის თანხმობა/კომენტარი/შეკითხვა სტუდენტებში შფოთვის შემსუბუქების მიზნით (EFL - 8) (ESP - 6)</p> <p>3.7 სტუდენტთა მოტივირების მიზნით (EFL - 1) (ESP - 5)</p> <p>3.8 ლექტორის მხრიდან შენიშვნის მიცემა (EFL - 6) (ESP - 13)</p> <p>3.9 ლექტორის რჩევა სტუდენტის მოტივირების მიზნით (EFL - 3) (ESP - 0)</p> <p>მისალმება/დამშვიდობება (EFL - 4) (ESP - 0)</p>
	<p><b>კოდების შერევა:</b></p> <p>3.2 სტუდენტ(ებ)ის შექება (EFL - 4) (ESP - 1)</p> <p>3.3 ლექტორის ხუმრობა (EFL - 2) (ESP - 0)</p> <p>3.5 ლექტორის მიერ გამოთქმული უკუკავშირი (EFL - 3) (ESP - 0)</p> <p>3.6 ლექტორის თანხმობა/კომენტარი/შეკითხვა სტუდენტებში შფოთვის შემსუბუქების მიზნით (EFL - 0) (ESP - 2)</p> <p>3.7 სტუდენტთა მოტივირების მიზნით (EFL - 1) (ESP - 0)</p> <p>3.10 მისალმება/დამშვიდობება (EFL - 0) (ESP - 3)</p> <p><b>ენათმონაცვლეობა</b></p> <p>3.10 სტუდენტთა მოტივირების მიზნით (EFL - 0) (ESP - 1)</p>

ინგლისური, როგორც უცხო ენის სწავლების, ქართულ საგანმანათლებლო დისკურსში გამოვლენილი, ენობრივი ქცევების ფუნქციები დავაჯგუფეთ სამი ძირითადი ნიშნის: ლექციის თემატიკა, სალექციო პროცესის ორგანიზება, ლექტორ-სტუდენტის ურთიერთგაგება, მიხედვით. თითოეულ, ვრცელ კატეგორიაში გამოვყავით თითოეული ენობრივი მოქმედებისთვის დამახასიათებელი ფუნქცია და

მათი რაოდენობები ცალ-ცალკე ორივე, ბიზნეს ინგლისურისა და ინგლისური, როგორც უცხო ენის სწავლების, კონტექსტში.

ენობრივი ქცევების რაოდენობებზე დაყრდნობით და ფუნქციების რაოდენობებითაც მკაფიოდ ჩანს რომ ლექტორები ყველაზე მეტად კოდების გადართვის ქცევას იყენებენ ორივე კონტექსტში. შემდეგ მოდის კოდების შერევა და ბოლოს ენათმონაცვლეობა. სამივე ვრცელ კატეგორიაში ყველაზე გავრცელებული ფუნქცია კოდების გადართვის შემთხვევაში, ორივე კონტექსტში, არის სალექციო და საშინაო დავალების ორგანიზება, ხოლო ყველაზე ნაკლებად გავრცელებულია სიტყვის წარმოთქმის ხაზგასმა/ჩვენება და სხვა ენის (ქართულისა და ინგლისურის გარდა) გავლენა. კონტექსტებს (ბიზნეს ინგლისურისა და ინგლისური, როგორც უცხო ენის სწავლებას) შორის კოდების გადართვასთან მიმართებით, მკვეთრი განსხვავებაა 1.5 და 1.6 ფუნქციებში.

ამასთანავე, პირველ ვრცელ კატეგორიაში (ლექციის თემატიკა) ყველაზე მეტად ლექტორი იყენებს კოდების შერევას ჩაღრმავება, ჩაკითხვა (ბიძგი სტუდენტისთვის, რომ დაფიქრდეს, გაიაზროს, პასუხი გასცეს ლექტორის მიერ დასმულ კითხვას) ფუნქციით, ორივე კონტექსტში. ხოლო ყველაზე ნაკლებად იყენებს სიტყვის წარმოთქმის ხაზგასმის/ჩვენების მიზნით.

რაც შეეხება ენათმონაცვლეობას, ყველაზე მეტად ეს უკანასკნელი გამოყენებულია შემდეგი ფუნქციის: განმარტება (მაგ., სიტყვის), ქართული შესატყვისის თქმის მიზნით, ხოლო ყველაზე ნაკლებად ლექტორის მიერ ახსნა (მაგ., საკითხის, გრამატიკული მასალის და აშ.) მიზნით.

მეორე ვრცელ კატეგორიაში, ორივე კონტექსტში კოდების გადართვას ლექტორი ყველაზე მეტად სალექციო და საშინაო დავალების ორგანიზების მიზნით, ხოლო ყველაზე ნაკლებად სტუდენტების დაჯგუფების/დაყოფის ორგანიზების მიზნით იყენებს. რაც შეეხება კოდების შერევას, ეს უკანასკნელი ყველაზე მეტად გამოყენებულია ლექტორის მხრიდან დაყოვნების (მოფიქრების, შესვენების მიზნით) (ზოგ შემთხვევაში ლექტორი საკუთარ თავს მიმართავს) მიზნით, ხოლო ყველაზე ნაკლებად სტუდენტების ყურადღების მიმართვა, გადატანის მიზნით.

მესამე ვრცელი კატეგორიის მიხედვით, ლექტორი კოდების გადართვას, ორივე კონტექსტში ყველაზე მეტად იყენებს ხუმრობის, ხოლო ყველაზე ნაკლებად მისალმება/დამშვიდობების მიზნით. კოდების შერევა ყველაზე მეტად გამოყენებულია სტუდენტის შექების, ხოლო ყველაზე ნაკლებად სტუდენტთა მოტივირების მიზნით).

ენათმონაცვლეობის ენობრივი ქცევები მეორე და მესამე ვრცელ კატეგორიებში (2. სალექციო პროცესისა და აუდიტორიის მართვა, 3. ლექტორსა და სტუდენტს შორის ურთიერთგაგება) ყველაზე ნაკლებადაა წარმოდგენილი.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში, სტრუქტურულად, ჩანაწერებში გამოვყავით მეტყველების ნაწილები, შესიტყვება, ფრაზა და აბზაცი. ისინი დავაჯგუფეთ გამოყენების ინტენსივობის საჩვენებლად.

**ცხრილი 10. ენობრივი ქცევების სტრუქტურული კლასიფიკაცია**

სტრუქტურული კლასიფიკაცია	EFL	ESP
აბზაცი	კოდების გადართვა (34)	კოდების გადართვა (16); ენათმონაცვლეობა (21).
ფრაზა	კოდების გადართვა (21)	კოდების გადართვა (14); ენათმონაცვლეობა (2).
შესიტყვება	კოდების გადართვა (11) ენათმონაცვლეობა (7)	კოდების გადართვა (3); ენათმონაცვლეობა (4).
იდიომატური გამოთქმა	კოდების გადართვა (2)	კოდების გადართვა (0); ენათმონაცვლეობა (0).
მიმღეობა	კოდების შერევა (4)	კოდების შერევა (1)
არსებითი სახელი	კოდების შერევა (25) ენათმონაცვლეობა (1)	კოდების შერევა (12) ენათმონაცვლეობა (2)
ზედსართავი სახელი	კოდების შერევა (8)	კოდების შერევა (4) ენათმონაცვლეობა (1)
რიცხვითი სახელი	კოდების შერევა (8)	კოდების შერევა (2)
ზმნიზედა	კოდების შერევა (22)	კოდების შერევა (17)
ზმნა	კოდების შერევა (39); ენათმონაცვლეობა (1)	კოდების შერევა (31)
ნაწილაკი	კოდების შერევა (24)	კოდების შერევა (25)
შორისდებული	კოდების შერევა (5)	კოდების შერევა (4)
კავშირი	კოდების შერევა (9)	კოდების შერევა (2)
სუფიქსი	კოდების შერევა (5)	

ცხრილის მიხედვით, ყველაზე გავრცელებული სტრუქტურული ფორმებია ინგლისური, როგორც უცხო ენის სწავლების კონტექსტში კოდების გადართვა - აბზაცი (34), კოდების შერევა - ზმნა (39), და ენათმონაცვლეობა - შესიტყვება (7); ხოლო ბიზნეს ინგლისურის სწავლების კონტექსტში, კოდების გადართვა - აბზაცი (16), კოდების შერევა - ზმნა (31), და ენათმონაცვლეობა - აბზაცი (21).

მაგალითებში გამოვლენილი წინადადებები დაჯგუფებულია შინაარსის მიხედვით.

**ცხრილი 11. წინადადებების კლასიფიკაცია შინაარსის მიხედვით**

წინადადება (შინაარსის მიხედვით)	EFL	ESP
თხრობითი წინადადება	კოდების გადართვა (291)	სულ: 243 კოდების გადართვა (154) ენათმონაცვლეობა (90)
კითხვითი წინადადება	სულ 155: კოდების გადართვა (131); ენათმონაცვლეობა (24).	სულ: 127 კოდების გადართვა (113) ენათმონაცვლეობა (14)
მახილის წინადადება	კოდების გადართვა (153)	სულ: 111 კოდების გადართვა (92) ენათმონაცვლეობა (19)
